

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტი

ლალი აბრამიშვილი

”ქრთამი ძველ ქართულ სამართალში”

ხელმძღვანელი - სამართლის დოქტორი, იურიდიული  
ფაკულტეტის პროფესორი  
გიორგი ლავითაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.



თბილისი 2008

# სარჩევი

შესავალი	4
<b>თავი I</b>	
ქრთამის ცნებისათვის	12
ა) ქრთამის ცნება ძველ ქართულ სამართალში	12
ბ) ქრთამის ცნება ძველ ლათინურ, ძველ ბერძნულ და ძველ ფრანგულ ენებში	21
გ) ქრთამის ცნება ძველ რუსულ კანონმდებლობაში	24
დ) ქრთამის ცნება ძველ სომხურ სამართალში	29
<b>თავი II</b>	
ქრთამი ძველად საქართველოში მოქმედი სამართლის ძეგლების მიხედვით	31
1. ქრთამი ძველი ქართული საერო სამართლის წიგნების მიხედვით	31
ა) ქრთამი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით	31
ბ) ქრთამი ბექა – აღმუდას სამართლის წიგნის მიხედვით	37
გ) ქრთამი ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მიხედვით	40
დ) ქრთამი მეფეთ მეფის გირგის „ძეგლისდების“ მიხედვით	42
2. ქრთამი ძველად საქართველოში მოქმედი უცხოური სამართლის წიგნების მიხედვით	43
ა) ქრთამი ბერძნული სამართლის მიხედვით	43
ბ) ქრთამი სომხური სამართლის მიხედვით	49
გ) ქრთამი მოსეს სამართლის მიხედვით	53
3. ქრთამი ძველი ქართული კანონიკური სამართლის წიგნების მიხედვით	57
ა) ქრთამი „მცირე სჯულის“ კანონის მიხედვით	57
ბ) ქრთამი 1103 წლის „ძეგლისწერის“ მიხედვით	60
გ) ქრთამი „კათალიკოსთა სამართლის“ მიხედვით	62
<b>თავი III</b>	
ქრთამი კერძი სამართლებრივი აქტების მიხედვით	64
ა) „უცოდველი ქრთამი“	64
ბ) „საცოდავი ძღვენი“	92
<b>თავი IV</b>	
ქრთამი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით	100
<b>თავი V</b>	
ტერმინები რომლებიც ქრთამის მნიშვნელობით ხმარებოდნენ	110
ა) ფეშქაში	110
ბ) ძღვენი	116
გ) სახსარი	119
დ) საბუჩარგო	119
ე) ყაბზი	119

3) ვეხის ქირა -----	119
4) საფიცარი -----	120
თ) თნება -----	120
ი) სამთხოობლო -----	120
პ) ნიჭი -----	121
ლ) ვერცხლისმოყვარეობა -----	122
გ) საფასე -----	122

## **თავი VI**

მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით -----	125
ა) მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები სხვა ქვეყნის ხალხთა სამართალში -----	125
ბ) მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართალის მიხედვით -----	130
გ) მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები კანონიკური სამართლის მიხედვით -----	136
დ) მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები დავით ბატონიშვილის კანონპროექტის მიხედვით -----	140
<b>დასკვნითი თეზისები -----</b>	<b>144</b>
<b>ბიბლიოგრაფია -----</b>	<b>149</b>

## გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

- ა. ქ.ს.ძ. – ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედაქციით.
- ბ. „პ. გარიგება“ – „ხემწიფის კარის გარიგება“. ივ. სურგულაძის რედაქციით.
- გ. „ქრონიკები“ - ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ქორდანიას რედაქტორობით.
- დ. იხ. – იხილეთ.
- ე. დასახ. ნაშრომი – დასახელებული ნაშრომი.
- ვ. მითით. ნაშრომი – მითითებული ნაშრომი.
- ზ. სტრ. – სტროფი.
- თ. გვ. – გვერდი
- ი. ე.ი – ესე იგი
- კ. ა.შ – ასე შემდეგ
- ლ. ჩვ.წ. აღ-მდე – ჩვენს წელთ აღრიცხვამდე

## შესავალი

**კვლევის პრტუალობა.** მიუხედავად იმისა, რომ გამოჩენილმა სამართლის ისტორიის მკვლევარებმა თავიანთი შრომები და მეცნიერული მოღვაწეობები ქართული სამართლის ისტორიაში მთელი რიგი საკითხების შესწავლას მიუძღვნეს, დღემდე მაინც გამოუკვლეველია ბევრი ისეთი საინტერესო საკითხი, რომლის შესწავლა და მეცნიერული დამუშავება საშუალებას მოგვცემს ახლებურად შევხედოთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ებრიობისა და სამართლებრივი განვითარების გრძელ და საინტერესო გზას.

ერთ-ერთი ასეთი საინტერესო საკითხი, რომელიც, აბსოლუტურად, შეუსწავლელი იყო, არის ქრთამისა და მექრთამეობის საკითხი ძველ ქართულ სამართალ ში.

უძველესი სახელმწიფოების სოციალური პრაქტიკის მონაცემებით მექრთამეობა, მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. საზოგადოების სადად მოაზროვნე ნაწილს შეგნებული ჰქონდა, რომ იგი ხელს უშლიდა სახელმწიფო აპარატის ნორმალურ მუშაობას, სახელს უტეხდა და ამცირებდა სახელმწიფოს ავტორიტეტს.

ბაბილონის მეფის პამურაბის კანონებში მოცემულია, რომ მექრთამე მოსამართლეს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლებდნენ რა, იგი ვეღარასოდს ჩაჯდებოდა მოსამართლის სავარძელში, ანუ ვერ დაიკავებდა მოსამართლის თანამდებობას. ძველ რომში, მართალია, სისხლის სამართალი მისსავე სამოქალაქო სამართალთან შედარებით ჩამორჩენილი იყო, მაგრამ მექრთამეობას სასტიკად ებრძოდა და მოსამართლეს სიკვდილით სჯიდა. ისტორიამ იცის მაგალითი, როცა სპარსეთის მეფე კამბიზის ბრძანებით მექრთამე მოსამართლეს ტყავი გააძრეს და ის ტყავი მოსამართლის სავარძელს გადააკრეს გაფრთხილების ნიშად.

მექრთამეობის საწყისი ელემენტები ნებისმიერი ერის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძვლებში იდო. პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაბატონებული მდგომარეობის მქონე საზოგადოების ერთი ნაწილი, ერთდროულად, ფლობდა როგორც კანონის მიღების და მისი აღსრულების, ასევე მათზე კონტროლის ფუნქციებს. ცხადია, ისინი თავის თავს არ დასჯიდნენ და არც სჯიდნენ. სამაგიეროდ, საზოგადოება ირყვნებოდა და მიექანებოდა იმ უფსკრულისკენ, რომლიდანაც ამოსვლა ბევრ ხალხს ძალზე გაუჭირდა.

ასეთი უფსკრულის პირას საქართველო არაერთხელ მდგარა. XI-XII საუკუნეებში მექრთამეობა, იმდენად ფეხმოკიდებული და გავრცელებული მოვლენა ყოფილა, რომ მის გარეშე არა თუ საქმეთა გარჩევა, არამედ თვით უმნიშვნელო საქმეც არ კეთდებოდა. დავით აღმაშენებელს ერთგული და სანდო ადამიანების დახმარებით, დიდი ბრძოლისა და ენერგიის გაღება დასჭირდა მექრთამეობის მოსასპობად თუ არა, მინიმუმადე დასაყვანად მაინც. მაგრამ, მიუხედავად დიდი ცდისა, მაღალი ზნეობისა და ძლიერი მკლავის მქონე ხელისუფალმა, რომელიც პირველ რიგში პრაქტიკული მოქმედების ადამიანი იყო, მაინც რომ ვერ შეძლო მექრთამეობის ამოძირება და საზოგადოების მისგან გათავისუფლება, მოწმობს მისსივე 1123 წელს დაწერილი ანდერძი შიომდგიმის მონასტრისადმი, სადაც ქრთამი იხსენიება მძიმე

დანაშაულის მნიშვნელობით, უარყოფით კონტექსტში. თუ ვინმე, დიდი თუ მცირე მეფიდან დაწყებული გლეხის ჩათვლით, „ქრთამისათვის“ ანდერძს შეცვლიდა, ე.ი. ქრთამს აიღებდა და ანგარებით ანდერძს გააყალბებდა, საშინელ წყევლას და უმძიმეს სასჯელს ექვემდებარებოდა. ანდერძის ტექსტში მეფე ღმერთს ევედრებოდა მექრთამე „გონებისა, ცნობისა და ხედვისაგან ოხერ ყავო,“ „და ამ შემდგომად ამისა, ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა გელისუფალმან, თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს, ანუ ვინ საურავი მოუდოს, ანუ ქრთამისათვს, ანუ თუ თუთ იქმოდეს, ანუ მძლავრებითა და ანუ თუ დვოის-მსახურებასა რასმე აჩუენებდეს, ანუ მდგმესა შიგან სადგომად იურვოდეს, ანუ თავისათვს რადმე მოსაჯმარებლად ანუ გარეშე მონაზუნის მწიგნობართ-უხეუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს, რაღუარი გინდა ვინ იყოს, – პირველად შენ, დაუსაბამოო და დაუსრულებელო ღმერთო, მიაწიე რისხვად შენი დაუსრულებლად მისზედა: ნუმცა უხილავს ნათელი ღმრთაებისა შენისავ; ნუმცა მუცემის წყალობად შენი, ნუცა ცუარისაგან ზეცისა, ნუცა ნაყოფისაგან ქუეყანასა; იყავნ სამკადრებელი მისი ოჯერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ; მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვად შენი ეწიენ; გონებისა, ცნობისა და ხედვისაგან ოჯერ ყავ იგი ღმერთო“-თ.<sup>1</sup>

ცხადია, დანაშაულში მხილებულ მექრთამეს საერო სასამართლოც უმაღლესი სასჯელით დასჯიდა, მაგრამ თუ იგი ე.ი. მექრთამე, როგორდაც საერო სასამართლოს განაჩენს თავიდან აიცილებდა, ღვთის სასჯელს და რისხვას მაინც ვერ გადაურჩებოდა. 1123 წლის დოკუმენტიდან კარგად ჩანს: მიუხედავად გაწეული მძიმე მუშაობისა და მიღებული მკაცრი ღონისძიებებისა, დ. აღმაშენებელს მაინც პქნდა შიში საზოგადოებაში სულმოკლე ადამიანები რომ არ დაილეოდნენ. ამიტომაც, სიკვდილამდე ორი წლით ადრე დაწერილ ანდერძში მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფიზიკურ და სულიერ სასჯელებს, რითაც მექრთამენი, ანდერძის გამყალბებელნი უნდა დასჯილიყვნენ.

უმძიმესი წყევლა და სასჯელია აღწერილი 1259 წლის „მეჭურჭლეოუხეუცეს კახა თორელის რკონის მონასტრისადმი შედგენილ შეწირულების საბუთში“. კახა თორელი პირდაპირ ხაზს უსვამს: „და ესე ჩემგან გაჩენილი ვენაკი, ანუ ყანა, ანუ სამსახური, ანუ კულუხი და ანუ რაი სხუაი ბეგარი, რაიც წინამძღვარმა ანუ ვინ სხუამ მოურავმა შეცვალოს ქრთამისათვს, ვითა სამსამართა უყვეს, იგიმც კრულია ღმრთისა პირითა; და თუ კრებულმან შეიცნოს აუზოხორდენ და გააბედითონ“.<sup>2</sup> მექრთამე ბერის, მესთულეს თუ მედალის მარტო მონასტრიდან გაძევებით არ კმაყოფილდება კახა თორელი და თავის საბუთში მოყვანილი პირობების სიმტკიცისათვის თუ ვინმე, რა გვარისა და წოდებისაც არ უნდა ყოფილიყო, განწესებულს შეცვლიდა, ცოცხალიც და მკვდარიც დაწყევლილი იქნებოდა სამუდამოდ. ასეთი პირი უმკაცრესად უნდა დასჯილიყო როგორც საერო, ისე საეკლესიო უმაღლესი სასჯელით: „და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან: ანუ გუარესა ჩემისამან, ანუ სხუამან ვინ, დიდმან ანუ მცირემან, რაისაცა ჟამისა მოღებითა შეცვალოს, ანუ მძლავრობით, ანუ მოხუჭჭით, ანუ

<sup>1</sup> ქ.ს.ბ. ტ. 2. თბ, 1965, 17-18

<sup>2</sup> დასახ. ნაშრომი, 61

ქრთამისათუის, გადიდებისათუის გინა დამცრობისათუის, ვინ ესე ჩემგან გაგებული შეცვალოს და აქციოს, შე-მცა-იცვლების სჯულსაგან ქრისტეანეთასა; რისხავსმცა მამაი, ძე და სული წმინდაი;

ქრულმცა არს სიტყუითა დმრთისაითაი მკვდარი და ცოცხალი, გაუგნელად ორთავე შინა ცხორებითა; და ნაწილიმცა მისი ნესტორის და ორიგენისთან დასჯილ არს; და- მცა- ინოქმის დათან და აბირონისებრ; შე-მცა-ედების ძრწოლა კაენისი, კეთრი ბეზისი, შიშთვილი იუდაისი; სოდომელთა და გომორელთა ცეცხლითა და წუნწუბითამცა დაიწვისო”.<sup>3</sup>

დავით მეფის, თავისი დროის შესანიშნავი ადამიანის, განათლებული სახელმწიფო მოღვაწისა და მაღალი ზეობის მქონე მოქალაქის შიში რომ უსაფუძვლო არ იყო, ეს შემდგომი დროის საქართველოს სიმანდვილემაც დაგვანახა, როცა XVII-XVIII საუკუნეებში “ვიეთნიმე მოყვსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე დმრთის ურუდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთა, ვითარცა ენებათ სჯიდენ”.<sup>4</sup>

სწორედ, ასეთი ვითარება, ფეხმოკიდებული მექრთამეობა როგორც ქვეყნის და ერის დამღუპველი, მოუთმენლად მიიჩნია სჯულმდებელმა მეფე ვახტანგმა და ამიტომაც შეადგინა სამართლის წიგნი, რათა მოსამართლენი “სამართალსა მართალსა იქმოდენო”<sup>5</sup>. მეფე ვახტანგ VI-ის მიზანი იყო არავის განედრიკა სასწორი სამართლისა “ქრთამით, გინა მოყვასობით ანუ სხვეფრივ რითმე მიღგომითა”<sup>6</sup>. მეფეს ქრთამით საქმის გარიგება და მოსამართლის მოსყოდვა უდიდეს დანაშაულად მიაჩნდა, მითუმეტეს, როდესაც ღმერთი ყოვლის დამბადებელი ადამიანებისაგან “სიმართლის უფროს არას ითხოვს და ღვთის რისხვასაც უსამართლობით მოივლინებისო”<sup>7</sup>.

ვახტანგ მეექესის სამართლის წიგნის თანახმად, ქრთამის ადებით, სიხარბით უსამართლობის ქმნისათვის, დამნაშავე ისჯება სააქაოშიც და საიქიოშიც: “უსამართლობა ამ სოფელს კაცს უძეოდ აღმოჰყენების და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობას მოუკლებს, ქვეყანას აუოკრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა-ზაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებსო”<sup>8</sup>.

როცა ვახტანგ VI სამართლის წიგნში მსჯელობს მოსამართლის თვისებების შესახებ, მის მთავარ დადებით მახასიათებლად დგომისმოშიმობა და უქრთამობა მიაჩნია: “არც მტყუანსა და არც მართალზე ქრთამი არ არისო”<sup>9</sup>. მეფე, რა თქმა უნდა, დიდ ანგარიშს უწევდა თავისავე შექმნილ სამართლის წიგნს, მაგრამ იმის უფლებასაც იტოვებდა, მექრთამე მოსამართლე თავისი შეხედულებისამებრ უმკაცრესად დაესაჯა ამ ქვეყნად, ხოლო, რაც შეეხება საიქიოს, იგულისხმებოდა, რომ “იმ სოფელში” ღმერთი საუკუნო სატანჯველს განუმწევებდა სასჯელად მექრთამე მდივანბეგს, გინა სხვა მოსამართლეს.

<sup>3</sup> ქ.ს.ძ. ტ. 2. ობ, 1965, 63-64

<sup>4</sup> დოლიძე ის, სამართალი ვახტანგ მეექესისა, ობ, 1981, 74

<sup>5</sup> ენუქიძე თ, ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ობ, 1955, 46

<sup>6</sup> დასახ. ნაშრომი, 47

<sup>7</sup> იქვე

<sup>8</sup> იქვე 49

<sup>9</sup> იქვე 49

იუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ქრისტიანული მოღვაწეობა და მოსამართლეობა გვერდით არ შეიძლება პატიოსანი ადამიანებიც არ ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც, სხვანაირად ქვეყნის წინსვლა და გაჭირვებიდან გამოსვლა შეუძლებელი იქნებოდა.

ქრისტიან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც: მართალია, ქრისტიანი დღეს დანაშაულებრივი კატეგორია და სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებთან არანაირი კავშირი არა აქვს, მაგრამ მას მკვეთრად გამოხატული მნიშვნელობა თითქმის, XIX საუკუნის ბოლომდე, არც სხვაგან და არც საქართველოში, არ ჰქონია. ჩვენამდე მოღწეული სამართლის წიგნები თუ კერძო სამართლებრივი დოკუმენტები ნათელ სურათს იძლევიან იმისას, თუ როგორ იხმარებოდა ტერმინი “ქრისტიანი” გადასახადების, დირექტულების, გასამრჯელოს, ფასების, პატივისცემის და ა.შ. გამოსახატავად, ე. ი. გამოიყენებოდა სამოქალაქო ვალდებულებით, პირად ყოფით თუ სავაჭრო ურთიერთობებში. “ქართლის ცხოვრება” სავსეა მაგალითებით, როცა ქართველი მეფეების მიერ სპარსეთის შაპის, თურქეთის სულთნისა და სხვათათვის, იძულებით მირთმეული ძღვენი და ფეშქაში, იგივე ქრისტიანი იყო.

“სიტყვის კონის” მიხედვით, ქრისტიანი ისეთი ძღვენია, რომლის მიზანიც “ცოდვის” (დანაშაულის) ჩადენა იყო. ე.ი. ძღვენის მიმღებს დანაშაული ძღვენის მიმცემის ინტერესების შესაბამისად უნდა ჩაედინა, მაგრამ მირთმეული ძღვენი თუ საჩუქარი ყოველთვის არ გულისხმობდა უკანონო ქმედებას. ხშირ შემთხვევაში, როგორც ავღნიშნეთ, “ქრისტიანული ძღვენი, იგივე საჩუქარი, კანონიერი გასამრჯელოს და სხვათა მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

ქართული სამართლის ძეგლების მეოთხე ტომში პროფ. ი. დოლიძემ გამოაქვეყნა XVI-XVIII საუკუნეების სასამართლო განჩინებები, სადაც ქრისტიანი 13-ჯერ არის ნახსენები, მაგრამ 12 შემთხვევაში ის კანონიერ გასამრჯელოს ნიშნავს და მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს თანამედროვე დანაშაულებრივი მნიშვნელობა.

„ხელმწიფის კარის გარიგების” მიხედვით, ქრისტიანი კანონიერ გასამრჯელოს პქვია: „ქრისტიანი სიგლისა მანდატურთ-უხუცესსა და ამირ-სპასალარსა სწორი მართებს, მესტუმრეს-უმცროსი და მერიგეს რაც მას დაუვარდეს მანდატურს მართებს, და მიხვდების მისგან მართებს.<sup>10</sup> ე. ი. როდესაც მეფე ვინმეს წყალობას უზამდა, აუცილებლად, დოკუმენტით ანუ სიგელით უნდა დადასტურებულიყო. სწორედ, სიგელის ანუ დოკუმენტის შედგენისათვის გადაიხდებოდა გარკვეული სახის გადასახადი, რომლიდანაც როგორც კანონიერი გასამრჯელო, რომელსაც ქრისტიანი ერქვა, განსაზღვრული ოდენობებით უნდა მიეღოთ მათ, ვისაც წვლილი შეჰქონდა ამ დოკუმენტის შედგენაში, აქედან მანდატურთუხუცესსა და ამირ-სპასალარს თანაბარი რაოდენობით. ამ შემთხვევაში ქრისტიანი „საცოდავი ძღვენი” აღარ არის, ის თანამდებობრივი კანონიერი სარგოა.

ქრისტიანი და სასაურვო, როგორც კანონიერი გასამრჯელოს სახეობები ერგებოდა მექურჭლეულუხუცესსაც, რომელიც ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვეზირი იყო და უმაღლეს ხელისუფალთა წარმომადგენლობას მიეკუთვნებოდა: „ქრისტიანი და სასაურვო, უქალაქოთ,

<sup>10</sup> ქ.ს. ტ 2, თბ, 1965, 83

სხვაც მისია – და მსახურთ-უხუცესისა სწორია, ვით ამირ-სპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა.”<sup>11</sup>

ს. ს. ორბელიანი თავის ლექსიკონშივე გასამრჯელოს, საზღაურს, ძღვენს თუ საჩუქარს, რომელსაც მიზნად არა აქვს ამღების მიერ დანაშაულის ჩადენა “უცოდველ ქრთამს” უწოდებს. ასე, რომ საუკუნეების განმავლობაში, თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე, “უცოდველი ქრთამი” სამოქალაქო სამართლებრივ კატეგორიადაც გვევლინება.

მაშასადამე, ქართულ სამართალში არსებული დოკუმენტებით მტკიცდება, რომ ტერმინი “ქრთამით” აღინიშნებოდა ვალდებულებით ურთიერთობებში სამუშაოს შესრულებისთვის მიცემული გასამრჯელო, ყიდვა-გაყიდვისას ნივთის ღირებულება, იჯარისა თუ ქირავნობისას, იჯარისა და ქირის ფასი. “ქრთამით” აღინიშნებოდა ქონების “ბოძება-წყალობისათვის” მირთმეული “საჩუქარიც”, ქრთამი ერქვა ქალის მზითევში გატანებულ ფულს თუ საგნებს, პატივისცემის ნიშნად მირთმეულ ძღვენს და ა.შ.

ამდენად, საუკუნეების განმავლობაში ძველი ქართული სამართლის სინამდვილისათვის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს, მეტად საინტერესო საკითხი იმის შესახებ, რომ ტერმინი “ქრთამი” ორმაგი შინაარსის მატარებელია. ერთის მხრივ, იგი სისხლის სამართლებრივი კატეგორია იყო და დანაშაულებრივ შინაარსს ატარებდა, მეორეს მხრივ, გაცილებით უფრო ხშირად და ამასთან, მრავალფეროვნებითაც, სამოქალაქო ვალდებულებით ურთიერთობებშიც გახვდება, როგორც კანონიერი გასამრჯელო, ღირებულება თუ საჩუქარი, ე.ი. როგორც “უცოდველი ქრთამი”, რომელსაც დანაშაულთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და ცხადია, არც დასჯას ექვემდებარებოდა.

**პვლევის მიზანი:** შესწავლილი იქნას ქართული სამართლებრივი ურთიერთობის ისეთი საკითხი როგორიც ქრთამი და მექრთამეობაა. ქრთამი და მექრთამეობა საზოგადოების მუდმივად თანმდევი სოციალური მოვლენაა. თუმცა, ისევე როგორც სხვა ტერმინები, ქრთამიც შინაარსობრივი თვალსაზრისით ცვლილებებს განიცდიდა და ჩვენს თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაში საბოლოოდ დამკვიდრდა, როგორც სოციალური მოვლენა, რომელიც საზოგადოებისთვის მიუღებელია. საკითხის ჩვენეულმა კვლევამ, ქართული სამართლის ადრეულ საწყისებიდან მოყოლებული, მოგვცა საშუალება აგვეხსნა, რომ ქრთამის შინაარსში მოიაზრებოდა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე, სრულიად, ბუნებრივი და აუცილებელი, სამოქალაქო შინაარსი, საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში.

კვლევის მიზანია ქართულ თანამედროვე საზოგადოებას, და არამარტო სამართლის სპეციალისტებს, დავანახოთ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა კანონს, და ზოგადად საზოგადოებას, ქრთამისა და მექრთამეების მიმართ, თუ როგორ ვითარდებოდა ქართული სამართლებრივი აზოვნება, როგორ იხვეწებოდა, წინ მიღიოდა და ტოლს არ უდებდა იგი როგორც მეზობელი სახელმწიფოების, ისე ევროპული სახელმწიფოების სამართალს.

<sup>11</sup> ქ.ს. ტ 2, თბ, 1965, 86

**ქვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი:** სადისერტაციო ნაშრომში დასმული საკითხის შესწავლისას ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა კვლევის ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. აღნიშნული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა განაპირობა იმან, რომ ამა თუ იურდიული ინსტიტუტის არსის, მისი დანიშნულებისა და შემეცნების კარგ საშუალებას, სწორედ, ამ მეთოდების გამოყენება იძლევა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებას სადისერტაციო ოქმის შესწავლისას, ვინაიდან უცხოური საკანონმდებლო ძეგლებისა და სამართლებრივი აქტების ანალიზის და მათთან შედარების გარეშე შეუძლებელი იყო სრულყოფილად წარმოგვეჩინა ქრთამისა და მექრთამეობის საკითხი ქართულ სამართალში და ამ კუთხით განგვეხაზღვრა ქართული სამართლის განვითარების დონე როგორც ევროპული, ისე მეზობელი სახელმწიფოების სამართლის განვითარების კვალდაკვალ.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა:** დისერტაცია შედგება შესავლის, ექვსი თავის, 32 ქვეთავისა და დასკვნითი ნაწილისგან. დისერტაციის მოცულობა შეადგენს 152 გვერდს, რომელშიც შედის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 3 გვერდზე.

**ნაშრომის პირველ თავში „ქრთამის ცნებისთვის”,** რომელიც ოთხი ქვეთავისგან შედგება, განხილულია „ქრთამის” შინაარსი. თავში აღნიშნულია, რომ ქართულ სინამდვილეში, ადრეული საუკუნეებიდან დაწყებული ქრთამის სხვადასხვა მნიშვნელობა შენარჩუნებული იქნა XIX საუკუნის ბოლომდე. გამოკვლეული გვაქვს, რომ ქრთამი ჩვენს ენაში, დიდი ხნის განმავლობაში, იხმარებოდა, როგორც დანაშაულებრივი ქმედების გამომხატველი ტერმინი, ასევე, როგორც კანონიერი ძღვენი, საჩუქარი, კანონიერი საზღაური რაიმე საქმის გასაკეთებლად და სხვა. ასევე მითითებული გვაქვს, რომ ერთიანი ცნება, ტერმინის ერთნიშვნელოვანი შინაარსი ქრთამის შესახებ არ გააჩნდა, როგორც ძველ ქართულ, ასევე არც ძველ ლათინურ, ძველ ბერძნულ, ძველ ფრანგულ, ძველ რუსულ და ძველ სომხურ სამართლებსაც.

**მეორე თავია „ქრთამი საქართველოში მოქმედი სამართლის ძეგლების მიხედვით”.** თავი შედგება სამი ქვეთავისაგან, რომელიც თავის მხრივ ქვეთავებად იყოფა. მოცემულ თავში დეტალურადაა ნაჩვენები, რომ ქრთამის აღება და მით საქმის მოგვარება ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც საერო ხასიათის სამართლისთვის ისე კანონიკური სამართლისთვის. ამავე თავში ნაჩვენებია, რომ მექრთამეობა წარმოადგენდა როგორც სისხლისამართლებრივ კატეგორიას, როგორც ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულს, რომლის შენდობაც არ დაიშვებოდა არც საერო პირთაგან და არც საეკლესიო მსახურთაგან. მექრთამეობისადმი მკაცრი დამოკიდებულების გვერდით ნაჩვენები გვაქვს, რომ იმავე ტერმინის ქვეშ ხდებოდა არადანაშაულებრივი შინაარსის შემცველი მთელი რიგი საყოფაცხოვრებო ურთიერთობების მოგვარება საკანონმდებლო დონეზე, როგორც საერო ისე საეკლესიო სამართლაში.

**მესამე თავია „ქრთამი კერძო სამართლებრივი აქტების მიხედვით”.** იგი შედგება ორი თავისგან: ა) „უცოდველი ქრთამი” და ბ) „საცოდავი ძღვენი”. „უცოდველ ქრთამში” განხილულია, თითქმის, დღემდე ცნობილი ყველა სამართლებრივი დოკუმენტი. მათში მითითებულია ტერმინები, რომლებიც თავისი ბუნებით და შინაარსით ქრთამის ადმინიშვნელი იყო, ხოლო თავად ქრთამი კი სამართლებრივი აქტების მიხედვით ნახმარია, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ნასყიდობის, წყალობის, ჩუქების და ა. შ. საშუალება და საზღაური, რომელიც არ ისჯებოდა. მთელი ქვეთავი დათმობილი აქვს, იმას, რომ ადრეული საუკუნეებიდან ვიდრე XIX საუკუნემდე, ქრთამი სამოქალაქო- ვალდებულებითი შინაარსითაც იხმარებოდა და იგი დასჯას არ ექვემდებარებოდა. ხოლო „საცოდავ ძღვენში” განხილულია ის სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებშიც წარმოჩენილია ქრთამი, როგორც სისხლისამართლებრივი კატეგორია და ქრთამის აღებით განხორციელებული ქმედების დანაშაულებრივი ბუნება.

**მეოთხე თავია „ქრთამი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით”.** როგორც ვიცით, დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნი წარმოადგენს კანონპროექტს, რომელმაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო კანონად ქცეულიყო, მაგრამ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში მოცემულია ქართული საზოგადოების ის სულისკვეთება, რაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარის საქართველოში იყო. კანონპროექტის ნორმები მნიშვნელოვანი ინფორმაციას იძლევიან იმის შესახებ, რომ ამ პერიოდისათვის აუცილებელი იყო მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება სახელმწიფო წყობილებაში, ადმინისტრაციასა და მართლმსაჯულებაში, მთელ სამეცნიერო ცხოვრებაში ისე, რომ შენარჩუნებული ყოფილი მეფის ხელისუფლება და დიდებულთა პრივილეგიები. დ. ბატონიშვილმა ქვეყნისთვის მეტად მწვავე პერიოდში შეიმუშავა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სახელმწიფო წყობის ახლებურად მოწესრიგების ნორმები. კანონპროექტში სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გვერდით მწვავედაა დაყენებული ქრთამისა და მექრთამეობის საკითხიც.

**მეხუთე თავია „ტერმინები, რომლებიც ქრთამის მნიშვნელობით იხმარებოდნენ”.** თავში განხილულია ტერმინები: ფეშქაში, ძღვენი, სახსარი, საბუჩარგო, ყაბზი, ფეხის ქირა, საფიცარი, თხება, სამათხერობლო, ნიჭი, ვერცხლიმოყვარეობა, საფასე, რომელთა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვენახა, რომ ქართულ სასაუბრო თუ სალიტერატურო ენაში იხმარებოდა რიგი ტერმინები, რომლებიც ერთსა და იმავე აზრის გამოხატვას ემსახურებოდა.

**ბოლო მეექვსე თავია „მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით.”** თავი შედგება ოთხი ქვეთავისგან. საკითხის შესწავლამ დაგვანახა, რომ მექრთამეობა ყველა ქვეყნის სამართალში უძველესი დროიდან მოყოლებული მძიმე დანაშაულად იყო მიჩნეული და მექრთამენი შესაფერისი სასჯელითაც ისჯებოდნენ. მექრთამეების მიმართ სხვადასხვა ქვეყნის სამართლის მიხედვით გამოიყენებოდა

როგორც სხეულებრივი ასევე გამაწმილებელი სასჯელები, ასევე დგებოდა მათი მატერიალური პასუხისმგებლობაც. მაგალითად, ხდებოდა მექრთამეთა ქონების კონფისკაცია, საცხოვრებელი ადგილიდან გაძევება, წოდებების ჩამორთმევა, სამოქალაქო ჩამოქვეითება, ფულადი ჯარიმები, პატიმრობა, სიკვდილით დასჯა, გადასახლება, გამათრახება, შერისხვა, დაწყევლა, დაზარალებულის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება, ქუჩებსა და ბაზრებში ჩამოტარება, დატუსაღება, პირისათვის სამმაგი ოდენობით ჯარიმის დაკისრება სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ, მექრთამე პირებზე ქისების ან სხვადასხვა ხარახურის ან დამარილებული თვევზის ჩამოკიდება და ამგვარი სახით ბაზაარ-ბაზარ ჩამოტარება ქალაქებში, თემებში, სოფელებში, რათა ყველას დაენახა მექრთამე მოხელეები.

სხეულებრივი, გამაწმილებელი და დამამცირებელი სასჯელები გამოიყენებოდა მექრთამეების მიმართ ქართულ სამართალშიც. მაგალითად, ასეთი სასჯელები იყო: თანამდებობიდან გადაყენება, გაკრეჭვა, გაძევება, პირის შავად შედებვა, თავზე ცხვრის ფაშვის ჩამოცმა, ვირზე შესმა და ქუჩა-ქუჩა ჩამოტარება ხალხმრავალ ადგილებში, გადასახლება, მძიმე სამუშაოს შესრულების დაკისრება, მონასტრიდან გაძევება და თანამდებობიდან ჩამოქვეითება, სახალხოდ დაწყევლა, ანათემაზე გადაცემა, შეჩვენება, მღვდელმსახურების ფლების ჩამორთმევა და სხვა.

## თავი I

### ქრთამის ცნებისათვის

#### ა) ქრთამის ცნება ძველ ქართულ სამართალში

სულხან-საბა ორბელიანი „ქრთამს“ განმარტავდა როგორც „საცოდავ ძღვენს“<sup>12</sup> და საილუსტრაციოდ მოჰქონდა ძველი აღთქმის ქართული თარგმანის შესაბამისი ტექსტი: „ვეცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად და ქრთამი უბრალოსა ზედა არა მოიღო; რომელმან ყოს ესე, იგი არა იძრას უკუნისამდე“<sup>13</sup>. „საცოდავი“ ამ შემთხვევაში ნიშნავდა დანაშაულებრივს ანუ „ცოდვის“ ჩადენისათვის გამიზნულ ძღვენს, ე.ი. მექრთამედ ჩაითვლებოდა ის, ვინც უკანონობას ჩაიდენდა, სამართალს გაამრუდებდა, საამისოდ კი, უკანონო გასამრჯელოს, ქრთამს, აიღებდა.

მაგრამ, იმთავითვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრთამის, როგორც დანაშაულებრივი ქმედებისათვის გამიზნულ ძღვენს, ერთმნიშვნელოვანი შინაარსი არ პქონდა და იმ დროს და მანამდეც, როცა ს.ს. ორბელიანი თავის „სიტყვის კონაზე“ მუშაობდა, ტერმინი „ქრთამი“ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა როგორც წერილობით საკანონმდებლო დოკუმენტებში, ისე სასაუბრო ენასა და ლიტერატურულ ძეგლებში.

ქართულ სინამდვილეში, ადრეული საუკუნეებიდან დაწყებული, ქრთამის სხვადასხვა მნიშვნელობა შენარჩუნებული იქნა XIX საუკუნის ბოლომდე. მაგ. „ამათი ფასი სასყიდელი ჩემგან ძღვნად მიიღე და მეტი მათდა საოხად მიითვალე“<sup>14</sup>, „ბეჭედისშვილი პაპუა გვიბობა მეფემ, ქრთამიც მივართვით“<sup>15</sup>, „ვევედრე ჩემს პეტრე, მეფე სოლომონს და როგორც შემეძლო, ქრთამიც ისე მივართვი,“<sup>16</sup> მამია გურიელი კი მალაქია კათალიკოზს ბერეუიანისეულ სასახლეს აძლევს, სამაგიეროდ, მამია გურიელს იგი მიართმევს ძღვენს, იგივე ქრთამს, რის შესახებაც თვითონვე ამბობს: „და მივართვი ქრთამად ერთი მძიმე ჩარაყაფი, ორი ოქროსი, . . . ერთი წყვილი პატიოსანი ლალის საყურე მისის ღილითა და მარგალიტითა შემკობილი“<sup>17</sup> და სხვა.

ამგვარი საქმეებისათვის გაცემულ ქრთამს „საცოდავი ძღვენი“ ადარ ჰქვია, არამედ იგი ადამიანთა შორის წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობის მოწესრიგების საშუალებაა. ხოლო „საცოდავი ძღვენი“ ანუ ქრთამი, იგივე ფეშქაში და საჩუქარი, დანაშაულებრივია, როცა თანამდებობის პირი მას არ იმსახურებდა, არც ეკუთვნოდა და თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით აიძლებდა ქრთამის მიმცემს მისთვის საჩუქარი მიერთმია, ანდა ქრთამის აღება ისეთი პირის მიერ, ვინც ზნეობრივ ნორმებს არღვევდა, უკანონობას ჩაიღია და ქრთამის აღებით უწესო საქმეს ასრულებდა, მაგალითად, როცა მოწმეები ქრთამის აღების გამო ცრუ ჩვენებებს აძლევდნენ. ამგვარი ქმედება ადამიანის

<sup>12</sup> ობელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული, ტ. II. მერანი, 1993, 233

<sup>13</sup> შანიძე მზექალა, ფსალმუნის ძვ. ქართული რედაქციები, თბ. 1960, 26

<sup>14</sup> ქ.ს.ძ. ტ. III. თბ., 1970, 921

<sup>15</sup> დასახ. ნაშრომი, 512

<sup>16</sup> დასახ. ნაშრომი, 1093

<sup>17</sup> ქ.ს.ძ. ტ. III. თბ., 1970, 503

უზნეობაზე მეტყველებდა და იგი საცოდავ პიროვნებას წარმოადგენდა, ხოლო უწესო საქმისთვის მირთმეული ძღვენი, რომელსაც საფუძვლად არ ედო სამართლიანობა და კანონიერება, „საცოდავი“ დანაშაულებრივი ძღვენია, რაც ყოველთვის დანაშაულთან, იმულებით მირთმევასთან, გამოძალვასთან არის დაკავშირებული.

ქრთამის ადება მექრთამისათვის სარგებლის მიღებას ანუ სარგებლიანობის მოპოვებას ნიშნავდა. ქრთამი, მაშასადამე, სარგებელია, მაგრამ, სარგებელი, რომელსაც ადამიანი მიიღებდა, ს.ს. ორბელიანის აზრით, „საცოდავიც“ შეიძლებოდა ყოფილიყო და კანონიერიც.

ს.ს. ორბელიანი ტერმინ – „სარგებლის“ შესახებ ამბობს: „სარგებელი ზოგადი სახელი არის ყოველთა სარგებელთა სულიერთა ანუ კორციელთა, წესიერთა, გინა უწესოთა მოსაღვაწოთა, გინა მოსახვეჭელთა, ... ყოველთათვის განზოგებით და სხვა უმეტესი კორცთათვის უცოდველი ქრთამი.“<sup>18</sup>

მაშასადამე, უკანონო, უწესო საქმისათვის, ანდა, პირის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისა თუ შეუსრულებლობისათვის აღებულ ქრთამს, როგორც სარგებელს, ს.ს. ორბელიანი „საცოდავ ძღვენს“<sup>19</sup> უწოდებს, ხოლო სამართლიან საქმიდან მიღებულ სარგებელს – „უცოდველ ქრთამს“. მისივე აზრით, ქრთამი ჰქინია იმასაც, რაც ადამიანს ეკუთვნის და უნდა მიეცეს. ამრიგად, საცემელი ე.ი. ადამიანისათვის მისაცემი კანონიერი გასამრჯელო, საჩუქარი თუ ძღვენი ქრთამს წარმოადგენს. „საცემელი“ – მიუთითებს ს.ს. ორბელიანი – ეს არის მისაცემელი, გინა ქრთამი, გინა საგვემელი<sup>20</sup>. დავით ჩუბინაშვილიც ქრთამს განმარტავს როგორც „იძულებით და უსამართლოდ მირთმეულ ძღვენს საქმის გასარიგებლად“<sup>21</sup>, და მასაც საილუსტრაციოდ მოჰყავს ძველი აღთქმიდან ისაია წინასწარმეტყველის ქართული თარგმანი: „რომელნი განამართლებენ უთხოსა ქრთამისათვის და სამართალსა მართალისასა აღიდებენ“ (5. 23), აგრეთვე ფსალმუნის სათხადო ადგილი: „ვინც ფულს ვახშით არ გასცემს და ქრთამს უდანაშაულოზე არ აიღებს, ამის მოქმედი არასოდეს წაფორხილდება“ (ფს. 14.5). ფსალმუნის ავტორს მძიმე დანაშაულად მიაჩნდა უდანაშაულო ადამიანისაგან ქრთამის აღება. ძველ აღთქმაშივე ვკითხულობთ: „უბრალოდ და მართალი არა მოჰკლა და არა განამართლო ულმრთოდ ქრთამითა“ (23.7),<sup>22</sup> აქვე ფსალმუნის აცხადებს, რადგან ქრთამის აღება „მხედველობისა კაპი არის“, ამიტომ „ქრთამი არა მოიღო, რამეთუ ქრთამმან დააბრმნის თუალნი მხედველთანი და განრყუნნის სიტყუანი მართალნი-ო“ (23.8).<sup>23</sup>

მაშასადამე, ძველი აღთქმის თანადროულ ებრაულ სამართალში, ქრთამი მოცემულია როგორც დანაშაულისათვის გამიზნული ძღვენი და იგი სასტიკადა დაგმობილი. ასე რომ, იმ პერიოდებში, ადრეფეოდალურ ხანაში, როცა ქართველები ბიბლიას თარგმნიდნენ, ქრთამის აღებას უკვე პქონდა მნიშვნელობა დანაშაულებრივი ქმედებისა, თუმცა ეს სიტყვა ჯერ კიდევ ტერმინად ჩამოყალიბებული არ იყო, რადგან ის სხვა აზრითაც

<sup>18</sup> ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული, ტ. II. მერანი, 1993, 49

<sup>19</sup> დასახ. ნაშრომი, 223

<sup>20</sup> დასახ. ნაშრომი, 67

<sup>21</sup> ჩუბინაშვილი დ, ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ. 1984, 1346

<sup>22</sup> შანიძე აკ, დაბადებისათვის გამოსვლვათავ, ტ. I. ნაკ. I. თბ., 1947, 97

<sup>23</sup> იბ. იქვე

იხმარებოდა.<sup>24</sup> როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტერმინ „ქრთამის“ დეფინიციამ, ე.ი. მისმა სხვადასხვაგვარმა მნიშვნელობამ საქართველოში არსებობა ადრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული XIX საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა.

საქართველოში მოქმედი ეროვნული თუ უცხოური სამართლის ძეგლებში ქრთამი გვხდება როგორც თანამდებობრივი დანაშაული. მნიშვნელობა არ პქონდა, პირი მოხელეთა მაღალ საფეხურზე იქნებოდა, თუ დაბალ საფეხურზე. კანონმდებლები არც იმას ანიჭებდნენ მნიშვნელობას, დამნაშავე სასულიერო წოდების წარმომადგენელი იყო, თუ საერო წოდებისა, თუკი, „საცოდავი ძღვენის“ აღება დანაშაულთან იქნებოდა დაკავშირებული. „თავადთაგან არ არის რიგი და მართებული რომე ქრთამი აიღოს და ვინც უნდოდეს ის დაასმევინონ“<sup>25</sup> – აღნიშნავს სომხური სამართალი. „ვინც ქრთამი აიღოს. . . შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან“-ო<sup>26</sup> პირდაპირ მიუთითებს კათალიკოზთა სამართალი. ბექა-აღბუდას სამართლის წიგნის 90-ე მუხლში ტერმინი „ქრთამი“ მოცემულია როგორც სისხლისამართლებრივი კატეგორია, სადაც სახსრიკადაა გაკიცხული ის მექრთამე მოსმართლე, რომელიც ქრთამს აიღებდა და საქმეს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. „სიხარბით სარჩელსა ნუ დაუმტკიცებს ბჭე კაცსა და, თუ ბჭისაგან ქრთამის აღება გამოჩნდეს, იგი ნაბჭობი ტყუილი იყოს, და მას ბჭესა სიავისა ხელნი დაესხნეს, და ოდესცა გამოჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაიბჭვნენ-ო“<sup>27</sup>.

ტერმინი „ქრთამი“, როგორც სისხლისამართლებრივი კატეგორია, დაკანონებულია ფრაგმენტების სახით ჩვენამდე მოღწეულ ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც: „ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მათსა საჩივარსა მართლად მოიხსენებდეთ, თქუენთა გულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სონიოთ, არა მამასა და დედასა, არა ბატონსა, არა ქმათა და მეცვასთა, არას ქრთამის ქადებისათვის“<sup>28</sup>.

მაშასადამე, მართალია, ბაგრატ კურაპალატის სამართალზე ადრეული საკანონმდებლო ძეგლი არ მოგვეპოვება, მაგრამ, ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ტერმინი „ქრთამი“ ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული, დანაშაულებრივი მნიშვნელობითაც იხმარებოდა და საჩუქრის, ძღვენის მნიშვნელობითაც ასე რომ არ ყოფილიყო „ქრთამი“ როგორც ტერმინი, არ აისახებოდა როგორც დანაშაული არც ბიბლიაში და არც პაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში- „შუშანიკის წამებასა“ თუ სხვა ძეგლებში. ისევე როგორც, ვერ შეიქმნებოდა იგივე „შუშანიკის წამება“, რომ არ ყოფილიყო ლიტერატურული ნიადაგი მომზადებული, არ ყოფილიყო სხვა ნაწარმოებები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევიათ. „შუშანიკის წამებაში“ მისი ავტორი, აღწერს რა დედოფლის მოწამეობრივ ტანჯვას, იძულებულია, ქრთამის გადებით მოინახულოს ციხეში მყოფი შუშანიკი, ე.ი. ციხის მცველს, რომელსაც ეკრძალება დედოფალთან ვინქეს შეშვება, დანაშაულს ჩადის, ქრთამს იღებს, მოვალეობას დალატობს და მხოლოდ ქრთამის მიღების შემდეგ რთავს

<sup>24</sup> ნადარეიშვილი გ. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, № 210, 5 აგვისტო, 2000

<sup>25</sup> ქს. ტ. I. თბ., 1963, 277

<sup>26</sup> იბ. იქვე, 393

<sup>27</sup> იბ. იქვე, 460

<sup>28</sup> იბ. იქვე, 464

ნებას იაკობს შუშანიკთან შევიდეს: „ხოლო მე მრავლითა გედრებითა ვარქვ მცველსა მას და უქადე ჭურჭელი ერთი სამისოდ და ძნიად თავს იდვა შეტევებად ჩემი და მრქვა მე: რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტო“<sup>29</sup>. რაც შეეხება მეორე პაგიოგრაფიულ ძეგლს იოანე საბანის-ძის „პაბოს წამებას“-აქ ქრთამი ნაჩვენებია, არა როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება, არამედ როგორც საჩუქარი, რომლის მიცემითაც მის თანამემამულებს სურო პაბოს გული მოიგონ, რათა დატოვოს ქრისტეს რჯული და კვლავ მათ სარწმუნოებას დაუბრუნდეს: „დაუტოვე სიცოფისა ეგე განზრახვად და უკეთუ ნაკლულოვანებისა შენისათვის შედგომილ ხარ ქრისტეანთა, მე უფროდსლა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ – მაგრამ აბო პასუხობს – ოქროდ და ვეცხლი შენი შენ თანვე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა, მე პატივსა კაცოაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქვს მე ნიჭი ქრისტესმიერი,“<sup>30</sup> „ხოლო აბოდ დაღადებდა და ეტყოდა. არად, არად მიუმს მე თქუენგან ქრთამი ოქროდ, არცა ანთრაკორ“<sup>31</sup>.

მეტად საინტერესოა ტერმინ „ქრთამთან“ დაკავშირებით XII ს. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ქრთამი მოცემულია როგორც „უცოდველი“, ისე „საცოდავი“ ძღვენის სახით.

ავთანდილს სურს ტარიელთან წასვლა დასახმარებლად. იგი ვალდებულია წასვლის შესახებ პატრონს, მეფე როსტევანს აცნობოს, მაგრამ ეშინია, ვაი თუ გაუბრაზდეს, არ გაუშვას. ეკრძალვის რა ავთანდილი მეფეს, ცდილობს, საკითხი ვეზირის, მეფესთან დაახლოებული პირის, მეშვეობით მოაგვაროს.

ვეზირმა უარი რომ არ უთხრას თხოვნაზე, ცდილობს მის მოსყიდვას, რისთვისაც წინასწარ სთავაზობს ქრთამს: „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეთ“<sup>32</sup>. ქრთამით „მოხიბლული“ ვეზირი იდებს ავთანდილის წინადაღებას. თუმცა მეფისათვის ასეთი ამბის ცნობა მისი მხრიდან დანაშაულია. დანაშაულია, რადგან ვეზირმა წინასწარ იცის, რომ მეფე ძალიან გაბრაზდება, განერვიულდება და შესაძლოა არა მარტო ქრთამს, არამედ მის სიცოცხლესაც კი საფრთხე შეექმნას, მაგრამ იმდენად დიდი აღმოჩნდება მექრთამე ვეზირში ცოუნება „ასი ათასი წითელის“ ხელში ჩაგდებისა, რომ მიღის რისკზე და მეფეს აუწყებს ავთანდილის დანაბარებს. მართლაც, ამგვარი ცნობისაგან გაავებული როსტევანი „უსაზომო რისხვას“ დაატეხს თავს ვეზირს. მეფისაგან თავდაღწეული ვეზირი მწარედ აცხადებს: „რად მოვდორდი, რად დავბრელდი, ნეტარ ვინდა გამითენოსოვ“<sup>33</sup>.

ვეზირს შეგნებული პქონდა თავისი ქმედება, იცოდა, პატრონს ასეთი ამბის გაგება არ ესიამოვნებოდა და მაინც ეუბნება, მის განერვიულებას არ ერიდება, ოფონდაც კი დაპირებული ქრთამი ხელში ჩაიგდოს. ქრთამისათვის გალანძღული ვეზირი, უყვება რა ავთანდილს თავს გადამხდარ ამბებს, სინდისის ქეჯის გარეშე სთხოვს დაპირებულ ქრთამს შესრულებული საქმისათვის:

<sup>29</sup> ქართული პროზა. ხუცესი ი, შუშანიკის წამება, წიგნი I. თბ, 1982, 18

<sup>30</sup> ქართული პროზა. საბანისძე ი, პაბოს წამება, წიგნი I. თბ, 1982, 133

<sup>31</sup> ყუბანევიშვილი ს, ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ქებად წმინდისა აბოსი, ტ.1. თბ, 1946, 9

<sup>32</sup> რუსთაველი შ, ვეფხისტყაოსანი, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ. 1957, სტ. 741

<sup>33</sup> იხ. იქვე. სტ. 762

„ქრთამსა სოხოვს და ამხანაგობს, ოუცა ცრემლსა ვერ იწურვებს,  
მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს“<sup>34</sup>,

გაკვირვებით კითხულოს პოემის ავტორი. ვეზირი კი, პირიქით,  
მხიარულია და შეფარვით შეახსენებს ავთანდილს, რომ დანაპირებს  
შესრულება უნდა: „ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა  
მოიმდურვებს“-ო.<sup>35</sup>

ვალდებული ავთანდილი დანაპირებს ასრულებს:

„შეკრა, წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად საროსმან  
სამასი თავი სტავრა-ატლასი უხვმან, ნიადაგ მიუმცმარომან,  
სამოცი თვალი ლალ-მარგალიტი, ფერად მართ ვითა მიუმხვდარომან,  
კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან.“<sup>36</sup>

ასეთი ქრთამისათვის ვეზირს უღირდა იმ შეურაცხჲყოფის მიღება, რაც  
მეფემ მას მიაყენა.

ავტორისავე აღიარებით, დიდძალი ძღვენით არა თუ სააქაო  
ცხოვრებაში, არამედ ჯოჯოხეთშიც კი შესაძლებელი იყო ყოველგვარი  
საქმის გაკეთება: „თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსაც  
დაიურვებსო“<sup>37</sup>.

მაშასადამე, პოემის ამ ადგილას ქრთამი დანაშაულის სახით არის  
მოცემული. სხვა ადგილებში კი – შ. რუსთაველი ქრთამს-ძღვენს  
წარმოგვიდგენს როგორც უანგარო საჩუქარს, როგორც პატივისცემის  
გამოხატვის საშუალებას. ზღვათა მეფემ:

„ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა უსაზომო დიდი ძღვენი  
ძვირფასისა უნაგირი, უკეთესი თვითო ცხენი,  
თვითო კაბა თვალიანი, უცხო ფერთა შუქთა მფენი“.  
„ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა, შემკული თვალითა,  
იაგუნდითა წითლითა, ბადაღშითა და ლალითა“<sup>38</sup>

ასე რომ, შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“, ერთის მხრივ, ოქროს  
გვიჩვენებს, როგორც დანაშაულის ჩადენისათვის ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი საშუალების ყოვლისშემძლეობას, როცა „ოქრო მისთა  
მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა“<sup>39</sup>, და მეორეს მხრივ, ოქროსა და  
ძვირფასეულობას, როგორც კანონიერ ძღვენს, უანგარო საჩუქარს,  
როგორც სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვის საშუალებას.

ფეოდალურ საზოგადოებაში რანგით დაბალი პირის მიერ მასზე  
მაღლა მდგომისათვის ძღვენის, საჩუქრის მირთმევა არ ითვლებოდა  
საძრახის ქმედებად. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ქართული  
სამართლებრივი ხასიათის საბუთებში, ხშირად, ქრთამი კანონიერი  
გასამრჯელოს მნიშვნელობით იხმარება. არნოლდ ჩიქობავა „ქართული  
ენის განმარტებითი ლექიკონის“ ერთტომეულში ქრთამის სამგვარ  
მნიშვნელობას უსვამს ხაზს:

1. თანამდებობის პირისათვის მოსახვიდად მირთმეული  
ფული ან „ძღვენი“.
2. ძველად საჩუქარი – კანონიერი გასამრჯელო რაიმე საქმის  
გარიგების, ან რაიმე სამსახურის გაწევისათვის.

<sup>34</sup> რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ. 1957, სტრ. 764

<sup>35</sup> იბ. იქვე. სტრ. 764

<sup>36</sup> იბ. იქვე. სტრ. 771

<sup>37</sup> იბ. იქვე. სტრ. 764

<sup>38</sup> იბ. იქვე. სტრ. 1439

<sup>39</sup> იბ. იქვე. სტრ. 1197

3. ძველად საპატარძლოსათვის – ფულად მისაცემი თანხა  
მზითევთან ერთად“.

სამართლის ძეგლებსა თუ კერძო სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებში დადასტურებულია ქრთამის ზემოთაღნიშნული მნიშვნელობები. მაგ. „ბექა-აბულას სამართლის წიგნში“ ერთის მხრივ, ქრთამი წარმოდგენილია, როგორც სისხლის სამართლებრივი კატეგორია, ხოლო მეორეს მხრივ, ის საზღაურია შესრულებული სამუშაოსთვის. სამართლის წიგნის 85-ე მუხლი მიუთითებს, თუ ყმა თავის პატრონს კარგად მოემსახურება, მაშინ „პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის“ ბატონი მას „აქრთამებს“, ე.ი. მისცემს „გინა სამამულო და გინა სასაქონლო რამეს“<sup>40</sup> მაშასადამე, ტერმინი „ქრთამი“ აქ საზღაურის მნიშვნელობით არის მოცემული. საზღაური კი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ნატურალური, ისე ფულადი სახის.

ტერმინი „ქრთამი“ კანონიერი გასამრჯელოს მნიშვნელობითად წარმოდგენილი XIV საუკუნის „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“.

სამეფო კარზე, საჭიროების მიხედვით, მოქალაქეებზე გაიცემოდა სიგელები, რომლებიც სხვადასხვა საკითხებს შეეხებოდა. სიგელების მიმღებ პირებს სიგელების მიღებისთვის საზღაური უნდა გადაეხადათ. ალბათ, ეს იყო, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, მომსახურების ხარჯები. შემოსული ხარჯები ნაწილდებოდა იმ პირებს შორის, ვინც თანამდებობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მონაწილეობას იღებდა სიგელის შედგენასა და გაცემაში. სწორედ, იმ საზღაურს, გასამრჯელოს, რომელსაც მეფის მოხელეები იღებდნენ სიგელის შედგენისა და გაცემისათვის, ქრთამი ეწოდებოდა. ასეთი გზით გასამრჯელოს ანუ ქრთამის აღება შესრულებული სამუშაოსთვის XIV და შემდგომ საუკუნეებში დაკანონებული და მიღებული ფორმა იყო, როგორც სიგელის ამღების მხრივ გადასახადის გადახდის, ასევე ქრთამის ამდების მხრივ, გასამრჯელოს მიღების თვალსაზრისით. „სიგელი ვისცა უბოძონ, ვისთვიცა დაუწერია, რა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის ქრთამი გათავდეს, რომელსაც დაეწეროს, მას უკან მან მისი აიღოს, მაშინდა მესტუმრეს მისცეს.

ქრთამი სიგლისა მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარსა სწორი მართებს, მესტუმრეს-უმცროსი, და მერიგეს; რაც მას დაუვარდეს, მანდატურს მართებს და მიხვდების, მისგან მართებს“<sup>41</sup>.

რაც შეეხება ცალკეულ, კერძო ხასიათის სამართლობრივ აქტებს, მათში ტერმინი „ქრთამი“ გამოყენებულია ვალდებულებით ურთიერთობებში როგორც გადახდის საშუალება. უშვილო დიაკონი მჭელიძე გიორგი მიმართავს ბიჭვინთის კათალიკოზს გრიგოლს, სანამ ცოცხალია, უმების უკან დაბრუნების პირობით, მისცეს, მიაქირაოს მას 4 სული მონასტრის ყმა, რისთვისაც დიაკონ გიორგი მჭელიძეს ქრთამი ანუ ძღვენი მიაქვს კათალიკოზისათვის: „სანავარდოს მოსახლედ მყოფი ხელოსნის სახლისკაცი მჭელიძე დიაკონი გიორგი გვევედრა და შეგვეხვეწა დიდად გულმოსდგინებით; უშვილო იყო და ოთხი სული მოსამსახურე გრიგოლ კათალიკოზს ეწყალობებინა მარტო ამ გიორგი მჭელიძე დიაკონისათვის, დიდი სამსახურით და ქრთამის მირთმევით“<sup>42</sup>.

<sup>40</sup> დოლიძე ის, სამართალი ვახტანგ მეექვისისა, თბ, 1981, 400

<sup>41</sup> „ქ. გარიგება“. რედ, სურგულაძე ი, თბ, 1970, 39

<sup>42</sup> ქ.ს. ტ. III. თბ, 1970, 897

ქრთამი ნაცვალგების საშუალებად არის წარმოდგენილი „იოანე ქავთარიასადმი კათალიკოს დავით ნემსაძის წყალობის წიგნში“. იოანე ქავთარია კათალიკოს დავით ნემსაძესთან მისულა და ბიჭი დავითია უთხოვია. მართალია, მისი თხოვნა კათალიკოსმა დააკმაყოფილა, მაგრამ სანაცვლოდ ქრთამი მიიღო. „მოგვადექით კარსა და გვეჯენით: და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი. დავითია ბიჭი გუთხოვეთ დისკუდია და ქრთამიც მოგვართვით, როგორც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდაო.“<sup>43</sup>

კერძო ხასიათის მრავალრიცხოვანი სამართლებრივი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ რაიმეს „ბოძება“ და „შეწყალება“ ნაცვალგების გარეშე არ ხდებოდა. დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ შემწყალებელი „ჰუმანურობას“ იჩენდა და მთხოვნელის სურვილს აკმაყოფილებდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთხოვნელი შესაფერის საზღაურს, ფასს გადაიხდიდა, თანაც იმდენს, რომ მწყალობელის გული „შეჯერებულიყო“.

სიტყვა „ქრთამი“ გვხვდება მამულზე გადასახადის მნიშვნელობითაც. „გაბაშვილთა სახლიკაცობის გარიგების საქმეზე განჩინებაში“ მითითებულია: „დღეის იქით რაც მამულიდამ, ან სასვიანო ან საქვრივო ან გასამყრელო ან მამულის ქრთამი მოვიდეს, ოთხ წილად იქმოდენ-ო.“<sup>44</sup> ქრთამი ეწყდებოდა, აგრეთვე, ფულადი თუ ნატურალური შემოსავლის იმ წილს, რომელსაც გივი ამილახვარი, როგორც ოჯახის უფროსი, აძლევდა სახლიკაცებს: „ამილახვარი, ყმათა წახდენის და გაკეთებისა და მამულის გაცემასა სახლიკაცთა შეკითხულობით იქმოდეს და მართებულად ქრთამს ამათვისაც მიაცემინებდეს და მშოველი შეიჯერებდესო.“<sup>45</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, ტერმინი „ქრთამი“ ერქვა როგორც ბეითელმანი, უშვილოდ გადაგებული კაცის მიწის ბოძებისათვის გადებულ მისართმეველს, ასევე, ნიშნის-„ამოწერისათვის“, ე.ი. გადასახადის გაუქმებისათვის გაცემულ საჩუქარსაც. დავით გელოვანს ცაგარელმა იოანემ მისცა ნიშნის ამოწერის წიგნი: „შეძლების მსგავსად ქრთამიც მოგართვით და ამოგიწერეთ ნიშანი შენ და მეუღლეს დადიშქელიანის ასულს მარიამს და ოქვენს ძეთა, და მომავალთა ყოველთავე“<sup>46</sup>. მაშასადამე, დავით გელოვანმა ნიშნისაგან გათავისუფლებაში ქრთამი, ერთდროული გადასახადი აიღო, რასაც არც მალავს. ბუნებრივია, არ მალავს, რადგან ასეთად ქრთამის აღება კანონდარღვევად არ ითვლებოდა, პირიქით, იგი საუკუნეების მანძილზე მიღებული ფორმა იყო.

ქრთამი ეწყდებოდა თანამდებობაზე დასანიშნად აღებულ გადასახადსაც. მნიშვნელობა არ ჰქონდა პირს თავად სთავაზობდნენ სამსახურს, თუ თვითონ იყო სამსახურის მთხოვნელი. ორივე შემთხვევაში, ნებით თუ იძულებით სამსახურში მიღებული პირი იხდის გადასახადს-ქრთამს დამნიშვნელის სასარგებლოდ, ანუ დამნიშვნელს აძლევენ საჩუქარს, როგორც კანონიერ ძღვენს. „იოვანე კლდიაშვილისადმი სვიმონ გენათელის წყალობის წიგნში“ ვკითხულობთ: „სვიმანეთის დეკანოზი მოკვდა და ასეთი ხუცესი არ იყო მანდ რომ

<sup>43</sup> ქ.ს.ძ. ტ. III. თბ, 1970, 615

<sup>44</sup> ქ. ს. ძ. ტ. IV, თბ, 1972, 191

<sup>45</sup> იხ. იქვე, 159

<sup>46</sup> ქ.ს.ძ. ტ. III, თბ, 1970, 1122

საყდარი მიგვებარებინა შემოგიკვეთეთ: დეკანოზობა აიდეო; შენ გვიუარე, ასრე გვითხარი: რომ მე შენი სამსახური მირჩევნიაო, თვარამ თუ თქუენ არ მიმსახურებო, მეფეს ვემსახურებიო. ეგ ჩვენ არ ვქენით, ქრთამიც გამოგალებით, როგორც გული შეგვიჯერდებოდა<sup>47</sup>. მეორე შემთხვევაში, „ბოშიხისუ მეუნარგიასადმი გრიგოლ ცაიშელის წყალობის“ წიგნში თვითონ ბოშიხისუ სთხოვს სამსახურს, სახუცოს ათისთავის ადგილს გრიგოლ ცაიშელს, რისთვისაც მას მიართმევს ქრთამს, გადასახადს იმ რაოდენობით, რომ გრიგოლ ცაიშელის გული დაკმაყოფილებული ყოფილიყო.<sup>48</sup>

XVIII საუკუნის II ნახევრის ღოკუმენტებში ხშირად გვხდება გამოთქმები „ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიდეთ“<sup>49</sup>, „ადგილი ვიქრთამეთ“<sup>50</sup> ან კიდევ, „ქრთამით ამოვიყვანეთ“<sup>51</sup> და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში ტერმინი „ქრთამი“ გადასახადის ან საჩუქრის თუ ძღვენის კანონიერად მირთმევის მნიშვნელობით იხმარებოდა.

მაშასადამე, ტერმინ „ქრთამის“ ქვეშ იგულისხმება კანონიერი გასამრჯელო, საჩუქარი, ძღვენი, რომლის მიცემითაც შესაძლებელი იყო, არა მარტო მიწების, მამულების თუ თანამდებობათა მიღება ან გააზატება და გადასახადებისაგან გათავისუფლება, არამედ შესაძლებლი იყო ნებისმიერი ცხოვრებისეული სიკეთისა თუ სარგებლის მიღება.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, საქართველოში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ქრთამი ეწოდებოდა საპატარძლოსთვის მიცემულ საჩუქარს. როგორც უპვე აღვნიშნეთ, არნოლდ ჩიქობავა ქრთამის განმარტებისას, ხაზს უსვამს, რომ ქრთამი – ეს არის „ძველად საპატარძლოსთვის ფულადი მისაცემი თანხა მზითევთან ერთად“, რასაც ივ. სურგულაძეც იზიარებს.<sup>52</sup>

საინტერესოა, რომ დაგით ბატონიშვილი თავისი კანონმდებლობის 128 მუხლში მიუთითებს: „სასიძო ქრთამი არა დაეხუთვის სიძესა, გინა სასძლოს.“<sup>53</sup>, ე. ი. სიძისათვის თუ საპატარძლოსათვის მისართმევ საჩუქარსაც „სასიძო“ და „სასძლო“ ქრთამი რქმევია.

მაშასადამე, ქართულ სინამდვილეში ძღვენის, საჩუქრის, იგივე ქრთამის მირთმევა ნებისმიერი საქმის გასარიგებლად არ ითვლებოდა უწესო საქციელად. პირიქით, ქრთამი, ამ შემთხვევაში, კანონიერ გასამრჯელოს სახით მირთმეულ ძღვენს ნიშნავდა, რომლის ხმამაღლა და თავისუფლად აღიარება არც საძრახისი იყო და არც საშიში.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება ვთქვათ, რომ ცნება „ქრთამი“ ჩვენს ენაში, დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდა, როგორც დანაშაულებრივი ქმედების გახმომსატველი ტერმინი, ასევე როგორც კანონიერი ძღვენი, საჩუქარი, კანონიერი საზღაური რაიმე საქმის გასაკეთებლად.

<sup>47</sup> ქ.ს.პ. ტ III, თბ, 1970, 621

<sup>48</sup> დასახ. ნაშრომი, 1051

<sup>49</sup> დასახ. ნაშრომი, 395

<sup>50</sup> დასახ. ნაშრომი, 736

<sup>51</sup> დასახ. ნაშრომი, 733

<sup>52</sup> „ქ. გარიგება“. რედ. სურგულაძე ივ, თბ, 1970, 195

<sup>53</sup> ფურცელაძე დ, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964, 75

## ბ) ქრთამის ცნება ძვ. ლათინურ, ძვ. ბერძნულ და ძვ. ფრანგულ ენებში

ქართულ სამართალში XIX საუკუნის ბოლომდე, ქრთამის ერთიანი ცნება არ არსებობდა, თუმცა, ერთიანი ცნება არ არსებობდა არც სხვა ქვეყნის ხალხთა ენებშიც. „თვით ლათინურიც, დიდი იურისტების ენა, ნათლად ვერ მიჯნავდა „საცოდავ“ ძღვენს მართებული, ზნეობრივად კანონმდებლობით გამართლებული ძღვენისაგან.“<sup>54</sup> ლათინური სიტყვა „largitor“-ი ერთდროულად აღნიშნავდა: 1. გულუხვს, ხელგაშლილს, მწუქებელს, დამსაჩუქრებელს, შემწირველს 2. ქრთამის მიმცემს. 3. წამახალისებელს, წამქეზებელს<sup>55</sup>. სიმონ ყაუხხიშვილის ლათინურ-ქართულ ლექსიკონში „largitor“-ი ასევე აღნიშნავს ქრთამის მიმცემს, ხოლო „largitio“ ნიშნავს, ერთის მხრივ, უხვად გამცემს, ბოძებას, ხოლო მეორეს მხრივ, მოსყიდვას. „largitoris“ – კი მომსყიდვებელს, ქრთამის მიმცემს. როგორც ვხედავთ, ქრთამის აღმნიშვნელი ერთი გამოკვეთილი ტერმინი ლათინურ ენაში არ არის. ტერმინ „largitor“-ით, ერთსა და იმავე დროს, შეიძლებოდა გამოხატებულიყო, როგორც „საცოდავი“ ძღვენი, ასევე „უცოდვებელი“ ქრთამიც.

ქრთამის ერთიანი ცნება არ არსებობდა არც ბერძნულ სამართალშიც. ბერძნულ ენაში მექრთამეობას შეესაბაებოდა ტერმინი ნორინია, ქრთამს კი – ნორინია, რაც აგრეთვე საჩუქარსაც ნიშნავდა; ნორი – საჩუქარი, ნოკე – ვიღებ, ე.ი. საჩუქარს ვიღებ, ქრთამს ვიღებ, იგი ნიშნავდა მოსყიდვასაც. ნორი-ნოკოს – ქრთამის ამღები, მექრთამე, ნორი-ნოკიმი – აღნიშნავდა მოსყიდვის გზით, ქრთამისათვის. მაშასადამე, ნორინია – ერთდროულად ატარებდა როგორც დანაშაულებრივი, ასევე კანონიერი საჩუქრის, კანონიერი გადასახადის შინაარსს<sup>56</sup>.

ძეელ ფრანგულ სამართალში ტერმინი „epice“-ი, განსაკუთრებით კი სასაუბრო ენაში, ქრთამის აღსანიშნავად იხმარებოდა. თავიდან „epice“-სს დანაშაულებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, პირიქით, იგი იყო საჩუქარი, რომელსაც მოსამართლებს მიართმევდნენ ხოლმე გამარჯვებული მხარეები.

„Epice“ – სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა არომატულ ნივთიერებას, რომელიც მზადდებოდა მცენარეებისაგან და იხმარებოდა კერძების შესანელებლად. მისგან ამზადებდნენ, აგრეთვე ტკბილეულს, კამფეტებს, დრაჟეებს და სხვა. მადლიერების გამოსახატავად, სწორედ, „epice“-დან დამზადებულ ტკბილეულს მიართმევდნენ-ხოლმე მოსამართლებს გამარჯვებული მხარეები იმ სიამონების აღსანიშნავად, რაც მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას მხარეებისთვის მოჰქონდა. მითუმეტეს, რომ იმ ჰერიოდში, ასეთი საჩუქრები ძალიან ფასობდა და პატივადაც ითვლებოდა. თავიდან, მოსამართლეებისათვის საჩუქრების მირთმევას საგალდებულო ხასიათი არ ჰქონდა და მას გამარჯვებული მხარეები თავისი სურვილის მიხედვით აკეთებდნენ. (elle furent d'abord facultative),

<sup>54</sup> ნადარეიშვილი გ, ქრთამი ჯოჯოხეთს მუდამ იურვებს, საქ. რესპუბლიკა №210 5 აგვისტო, 2000

<sup>55</sup> Дворецкий. И.Х. Латинско-русский словарь., М. 1976, 578

<sup>56</sup> Дворецкий И.Х. Древнегреческо-русский словарь., М. 1957, 443.

მაგრამ მოგვიანებით „epice“-მა ფართო ხასიათი მიიღო, ხოლო 1402 წლის ორდონანისით შარლ VII-ემ მისი გადახდა მოსამართლეებისათვის სავალდებულოდ გახადა. აღნიშნულმა საფრანგეთში მოსამართლეების მიერ ქრთამის აღების პროცესი გააძლიერა და გააღრმავა, და რაც მთავარია, დააკანონა. ვინაიდან, ვინც „epice“-სს არ გადაიხდიდა, მის საქმეს სასამართლოში არ განიხილავდნენ. ადრე თუ „epice“-ი ნატურალური ხასიათისა იყო, სავალდებულოდ გამოცხადების შემდეგ მისი გადახდა ფულით განისაზღვრა. მოსამართლეები, იმისათვის, რომ დიდი თანხები მიეღოთ, განგებ აჭიანურებდნენ და ართულებდნენ სასამართლო პროცესებს. ასე, რომ „epice~-ის, როგორც კანონიერი გასამრჯელოს სავალდებულო ხასიათმა შემდგომ საუკუნეებში მეტად მწვავე და საშიში ხასიათი მიიღო, რადგან მექრთამებამ მოიცვა უკვე არამარტო სასამართლოები, არამედ ცხოვრების ყველა სფერო. მაგრამ, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, 1789 წლის რევოლუციამდე მისი გაუქმება ვერ მოხერხდა<sup>57</sup>.

მაშასადამე, „epice“-ი იყო ქრთამი, საჩუქარი, რომელიც ჯერ ნება-ყოფლობითი, ხოლო XIV საუკუნის ბოლოდან სავალდებულო ხდება და კანონის ჩარჩოში ექცევა. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იგი კანონიერი გასამრჯელოს ხასიათს ატარებდა, იგი „მაღარიჩი“ იყო<sup>58</sup> და მისი მიღებისათვის მოსამართლენი არა თუ ისჯებოდნენ, არამედ, პირიქით, უფლება პქონდათ ვინაც „epice“-სს არ გადაიხდიდა, მისი საქმე სასამართლოში არ გაერჩიათ.

XVIII საუკუნის ბოლო პერიოდიდან, და განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან, ფრანგულ სამართლში მკვიდრდება ტერმინი pot-de-vin-ი ე.ი. ქრთამი. ფრანგული ლექსიკონები ხაზს უსვემენ pot-de-vin-ის ორ მნიშვნელობას. ერთ შემთხვევაში იგი არის უკანონო გასამრჯელო, გინა საჩუქარი რაიმე საქმის გასარიგებლად და იგი დასჯადია, მეორე შემთხვევაში კი, დაშვებული, მიღებული ფორმაა, რომელიც დასჯას არ ექვემდებარება.

„Pot-de-vin-ი ეს არის ფულადი თანხა, საჩუქარი, რომელიც გადაიხდება ლეგალური ხელშეკრულების გარეშე, რათა მიღწეული იქნას ხელსაყრელი გარიგება (კადრს მიღმა, ე.ი. ფარულად, უკანონო საჩუქარი)<sup>59</sup>.“

„Pot-de-vin-ი არის ფულადი თანხა, რომელსაც ერთი პირი აძლევს მეორე პირს მაღულად, ხშირად არალეგალურად, რის სამაგიეროდაც ფულის მიმცემს ნებას რთავენ მარჯვედ წარმართოს და წარმატებით დაასრულოს თავისი საქმეები<sup>60</sup>.“

Grand larousse encyclopédique-ის მიხედვით pot-de-vin-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

1. იგი არის ქრთამი, ფულადი თანხა, გადახდილი იმაზე მეტი, ვიდრე შესაბამისი ფასია ბაზარში, ის მიმართულია სამომავლო საქმისათვის.

<sup>57</sup> Grand larousse encyclopédique. Librairie larousse. Paris,T, 196, 609

<sup>58</sup> Ганшина К.А, французско-русский словарь, М, 1977, 660

<sup>59</sup> Grand usel larousse dictionnaire encyclopédique. T IV, Larousse-Bordos, Paris, 1997, 5897

<sup>60</sup> Le Robert, Dictionnaire de la langue fransaise, Nouvelle edition, Paris, 1996, 1741

2. იგი არის ქრთამი-საჩუქარი იმ პიროვნებისათვის, ვისი მეშვეობითაც შუამავლობითაც აღწევენ უპირატესობას, წამატებებს საქმეში.

3. ზოგიერთ შემთხვევაში, „pot-de-vin“-ის მიცემა დაშვებულია დიად. ე.ი. ქრთამის შეთავაზებაც და აღებაც დაშვებული ფორმაა<sup>61</sup>.

XIX საუკუნიდან ქრთამისა და მექრთამეობის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე ტერმინი „corruption“-ი. კორუფცია ლათ. სიტყვაა და ნიშნავს წახდენას, გაფუჭებას, გარყვნას, მოსყიდვას ფულითა და საჩუქრებით<sup>62</sup>.

ფრანგულ სასაუბრო ენაში იხმარებოდა, ასევე ტერმინი „bakchich“-ი ქრთამი, რომელსაც ფეხის ქირას (pourboire-ს) უწოდებდნენ. ეს ტერმინი ფრანგულ ენაში შემოსულია თურქულ-არაბული ენებიდან და ნიშნავდა ქრთამს, საჩუქარს, რაც ფულადი სახის იყო და გაიღებოდა მადლიერების გამოსახატავად გაწეული სამსახურისათვის<sup>63</sup>.

როგორც ვხედავთ, ფრანგულ სამართალსაც არ გააჩნდა ერთიანი ცნება ქრთამის შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ მას ხან „epice“-ი და მოგვიანებით, ხან „pot-de-vin“-ი ჰქვია, ერსადაიმავე შემთხვევაში გასამრჯელოც იყო და დანაშაულებრივი ქმედებაც.

<sup>61</sup> Grand larousse encyclopédique, t VIII, librairie larousse, Paris, 1973, 1649

<sup>62</sup> Малинин. А.М., Латинско-русский словарь, М, 1952, 29

<sup>63</sup> Grand larousse encyclopédique. Librairie larousse. T 1, Paris, 1960, 846  
et Grand larousse encyclopédique, Librairie larousse, T 8, Paris, 1963, 736

## გ) ქრთამის ცნება ძველ რუსულ სამართალში

ქრთამის ერთიანი ცნება არ არსებობდა არც ძვ. რუსულ სამართალში. აქაც, ქრთამი განიხილებოდა, როგორც დანაშაული და როგორც საჩუქარი, საზღაური ან გადასახადი.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულმა სამართალმა ქრთამის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი იცის, თუმცა მათი შინაარსი კანონიერი თუ უკანონო სარგებლის მიღების თვალსაზრისით, უცვლელი რჩებოდა. იცვლებოდა, მხოლოდ ტერმინები. მაგალითად, XVIII საუკუნის დასაწყისამდე რუსეთის ისტორიის ქამთაღმწერლები თუ სჯულმდებელი მეფები, მათ მიერ შედგენილ მატიანებსა თუ სამართლებრივ დოკუმენტებში, ქრთამის აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს – *Посул-ს*.

Посул-ი ეს არის მოსარჩევის ან მოპასუხის მიერ მოსამართლისათვის მიცემული გასამრჯელო, საფასური – ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, მოსარჩევის თუ მოპასუხის მიერ მოსამართლისათვის მიცემული უკანონო გადასახადი, ქრთამი. 1397 წლის დვინის საწესდებო სიგელში ვკითხულოთ: „А самосуда четыре рубли, самосуд то: кто изымав татя с поличным, да отпустит, а себе посул возьмет, а наместники доведаются по заповеди, ино то самосуд, а oprочь того самосуда нет.” იქვე მე-8 მუხლში აღნიშნულია: „...а через поруку не ковати, а посула в железех не просити; а что в железех посул, то не в посул<sup>64</sup>“.

Посул-ს – ქრთამს, როგორც კანონის დარღვევით აღებულ სარგებელს კრძალავს და მკაცრად სჯის ივანე III-ის და ივანე IV-ის სჯულდებები. ივანე IV-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მწერალი, რომელიც ქრთამის (посул-ს) აღებით შეადგენდა ყალბ განაწეს, დაწერდა გადაწყვეტილებას სასამართლოს გარეშე ან მთავრის უწყების გარეშე, ანდა დაამახინჯებდა მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების შინაარსს ქრთამის აღებით, დაისჯებოდა საპყრობილები ჩასმით. ქრთამის აღებით საქმეთა გარჩევა-გადაწყვეტას კრძალავს მეფე ალექსი მიხეილის ძის 1649 წლის „ძეგლისდებაც“, რომლის 5-9-ე მუხლები (რომლებიც იმეორებენ 1550 წლის სამართლის წიგნის ნორმებს) ეხებიან მოსამრთლეთა მექრთამეობის საკითხს. მაგალითად, 1649 წლის ძეგლისდების მე-5 მუხლის მიხედვით: „Которой боярин, или Окольничий, или думной человек или дьяк, или иной какой судья, истца или ответчика по посулом, или по дружбе, или по недружбе правого обвинит, виноватого оправит, а сыщется про то допряма: и на тех судьях взяти истцов иск втрое, и отдати истцу, да и пошлины и пересуд и правой десяток взяти на Государя на них же да за ту же вину у боярина, и у окольничаго, и у думного человека отняти честь”<sup>65</sup>.

XVIII საუკუნიდან რუსულ სამართალში ქრთამის აღსანიშნავად ტერმინი მოსული იყო ნაცვლად მკვიდრდება ტერმინები: „мздоимство” და „лихоимство“.

„Мздоимство“-ს და „лихоимство“-ს საფუძველი ერთი და იგივეა: ქრთამის, სარგებლის (მძა-ის ან ლიхვა-ის) მიღება, მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა.

<sup>64</sup> Судебники XV - XVI вв., Москва-Ленинград, 1952, 46

<sup>65</sup> Памятники русского права Царя Алексея Михайловича, 1649 г, М, 1957, 78

გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონი განმარტავს: „მექრთამეობას ჩვენს სისხლს სამართლის კანონმდებლობაში ეწოდება ლიხიმство, რომლის ქვეშაც მოიაზრება ყოველგვარი ქონებრივი სარგებლის კანონსაწინააღმდეგო მისაკუთრება იმ პირის მიერ, რომელიც იმუფება სახელშიფრთ თუ საზოგადოებრივ სამსახურში<sup>66</sup>“. ლიხიმство-ს შინაარსს გამოხატავენ ტერმინები მზიანი მძიმელი და ვიმოგალისტობა, პირველი აღნიშნავს ლიხიმство-ს დაბალ, მეორე კი მაღალ ფორმას. მზიანი მძიმელი ეწოდება სახელშიფრთ თუ საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის მიღებას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ მოვალეობასთან, მაგრამ ისე, რომ არ ირდვევა კანონი, არ ირდვევა სამსახურებრივი მოვალეობები, ე.ი. პირი საჩუქრის, ქრთამს იღებს იმ მოქმედებების შესრულების თუ შეუსრულებლობისათვის, რომელიც მას სამსახურებრივად ისედაც ევალება. მზიანი მძიმელი იყო ყველა შემთხვევაში, არ ჰქონდა მნიშვნელობა ქრთამი, მოქმედების შესრულებამდე წინასწარ იქნებოდა აღებული თუ მოქმედების შესრულების შემდეგ. რაც შეეხება ლიხიმство -ს,<sup>67</sup> როგორც აღვნიშნეთ, მის ქვეშ იგულისხმება საჩუქრის,

<sup>66</sup> Гранатъ. Энциклопедический словарь, Т IX, Кн. 10, М, 1913, 39

66 Гранатъ. Энциклопедический словарь Т IX, кн 10, М, 1913, 46. აღსანიშნავია, რომ ქართული სამართლის ძეგლების ოუსულ თარგმანებში ტერმინი „ქრთამი“ თარგმნილია, როგორც „лихиимство“ ან „мздомимство“, მაგალითად, დ. ბაქრაძე, ვახტაგვაძე VI სამართლის წიგნის თარგმნისა იუქებს, სურაულ ტერმინ „лихиимство“-ს. „Въ ней судили и ридили по собственному своему мудрованию ... а нѣкоторые по лихиимству, кому какъ было угодно“ (стр.1) «.... Но если судья по лихиимству, по родству, по дружбѣ, по боязни, по пристрастію или по враждѣ предпрочтеть одного другому, то ему уже невозможно соблюсю правосудія. Ни отъ праваго, ниже отъ праваго не долженъ судья желать и принимать мзду, въ противномъ случаѣ онъ возложитъ себѣ тяжкая бремя на рамена (стр. 4) საინტერესოა, რომ დ. ბაქრაძე „ბეჭა-აღბულას სამართლის წიგნის“ თარგმანისა მუხლში, სადაც საუბარია ქრთამს როგორც კანონიერ გასამრჯელოზე, ქრთამს თარგმბის ტერმინი «Подарок» მაგ: «Если кто за испрошение другому у господина милости или за какое одолжение возтметь в поддарокъ движимое или недвижимое именіе то никто уже другой не в праве требовать онаго обратно. (Присяга обыкновенно полагается в случае недостатка доказательствъ) и посему ежели при доносе о принятіи подарка получивши оный не присягнетъ, то долженъ возвратить поддарокъ (стр. 115) ტერმინი «Подарокъ»-ის გმოუქნებით დ. ბაქრაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართულ დადგურ ტექსტში ხახმარი ტერმინი „ქრთამი“ უკანონო გასამრჯელო არ არის, არამედ იგი კანონიერი გასამრჯელოა. ამიტომ მისი თარგმნა „Мзды-ის ან „Лихвы“-ით არასწორი იქნებოდა, მაგრამ მოსამართლის მიერ უკანონო საქმისათვის აღებულ „ქრთამს“ და ქრთამად აღებულ საგნებს მუხლ 91-ში თარგმნის როგორც „мздомимство“-ს და ლихвы-ს (გვ. 116). მოსეს სამართლში „ნუ გარდასდრეა სახჯელისა, ნუცა სჯიდე თუალდებით, ნუ მიიღებ ქრთამსა, რამეთუ ძღუებამ და ქრთამმან დაუყვებს თუალნი ბრძენთანი და გარდააქცინის სიტყვანი სიმართლისანი (იხ. დოლიძე გ. I. მოსეს სამართლი გვ. 109) დ. ბაქრაძეს თარგნილი აქვს შემდეგნაირად: «Суди не возмуть даров дары ибо осльпляючи очи мудрых и отмъшуть словеса праведныхъ (стр. 149) მაშასადამ, ქრთამი აქ თარგმნილია, როგორც „Дары, როგორც „Дары, როგორც დანაშაულებრივი ქმედების აღმნიშვნებული ტერმინი. იგივე აღგილი ებრაულ ენციკლოპედიაში შემდეგნაირად არის მოცემული: «ибо взятка осльпляет зрячихъ и израшает слова правыхъ» (Еврейская Энциклопедия) т.10 ред. Гарков и Каценельсон.) მოტანილი აღგილის შინაარსიდან გამომდინარე „Дары“-იც და „ვзятка“-ც ერთი და იგივე დანაშაულებრივი ბეჭების აღმნიშვნებულ ტერმინებად არიან გამოყენებული. ბერძნული სამართლის ტექსტის თარგმანისას „ქრთამის“ როგორც დანაშაულებრივი მნიშვნელობის გამოსახატავად იხმარება „Лихимство“ „Вельжисамъ наджисить не допускать судей до лихиимства, но искоренять иное, и бо за суд опройзводство не следуетъ принимматъ более того, что определено царями“ (стр. 224).

მაშასადამ, ქართული სამართლის ძეგლებში გამოყენებული ტერმინები „ქრთამი“, „ძღვენი“, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედებისათვის გადაიცემოდა, რუსულად თარგმნილია როგორც „лихиимство“ და „мздомимство“ ე.ი. იმ ტერმინებით, რომლებიც მყარად არიან დაფუძნებულნი რუსულ სამართლშიც და ზეპირმეტყველებაშიც, XX საუკუნის დასაწყისისადევ. აგრეთვე, იშვიათ შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინები „дары“-ი და „подарокъ“-ი ხოლო „ძღვენი“, „გასამრჯელო“, „საჩუქრი“, რასაც კანონიერი, ნებადართული შინაარსი ჰქონდა, თარგმნილია ტერმინით „подарокъ“. რაც შეეხება ტერმინი „ვзятка“ -ს, ქართული სამართლის ძეგლების

ქრთამის მიღება, ისეთი ქმედების შესრულების თუ შეუსრულებლობისათვის, რომელიც დაკავშირებულია თანამდებობის პირის მიერ კანონის დარღვევასთან, თავისი მოვალეობების შეუსრულებლობასთან ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასთან ე.ი ლიხიმწვე-ს დროს აუცილებელია, პირმა, რომელიც იმყოფება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სამსახურში ქრთამის აღებით შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომელიც მას არ ევალება, ან პირიქით, დაარღვიოს კანონის და მოვალეობათა მოთხოვნები და არ შეასრულოს გარკვეული მოქმედებანი. მაშასადამე, ლიხიმწვე-ს და მძიმწვე-ს შორის მთავარი მსგავსება მდგომარეობს მასში, რომ მათ საფუძვლად უდევთ სარგებლის, ქრთამის (მძვი-ის ანდა ლიხვი- ის) მიღება, ხოლო განსხვავება არის ის, რომ მძიმწვე-ს დროს კანონის მოთხოვნები არ ირგვება და პირი ქრთამს იღებს ისეთი მოქმედების შესრულებისათვის, რომელიც მას სამსახურებრივად ისედაც ევალება, მაშინ, როდესაც ლიხიმწვე-ს დროს ადგილი აქვს კანონის დარღვევას, თანამდებობის პირის მხრიდან სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბებას, კანონის დარღვევას თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით და სხვა ამგვარ ქმედებებს, რათა დაკმაყოფილებული იქნას ქრთამის მიმცემის მოთხოვნები.

Мძიმწვე-ზე და ლიხიმწვე-ზე მკაცრად დასჯადია ვიმოგათელესტვი, როცა თანამდებობის პირი, სახელმწიფო მოხელე თავისი მდგომარეობის გამოყენებით, დაშინებით ან ბალადობით ანდა უკანონო გადასახადებისა და ჯარიმების დადგენით, აიძულებს სხვებს მიართვან მას საჩუქრები და მიიღოს დიდი სარგებელი.

ტერმინი „ვჰართკა“, როგორც იურიდიული ცნება რუსულ სამართლში მოგვიანებით შემოდის და იგი ცვლის მანამდე არსებულ ყველა ტერმინს, რომელიც კი ქრთამის აღსანიშნავად იხმარებოდა. თუმცა ო. ლიპარდი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სიტყვა „ვჰართკა“, რომლიდანაც წარმოიშვა მექრთამეობა – „ვჰართონიურესტვი“ რუსეთში შემოვიდა თათართა უდლის დროს. ქრთამი, მექრთამეობა გულისხმობს მმართველი ძალების მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და გამორჩენის, სარგებლის მიღების მიზნით, უკანონო მოქმედების ჩადენას. თუ ამ განმარტებიდან გამოვალთ, მაშინ მექრთამეობა რუსეთში წარმოშობილა გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ X-XII საუკუნეებში, როცა მთავრის ხელისუფლების წარმომადგენელები „დოკუმენტები“ (რაზმელები), უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ რა მთავართა მმართველობის ყველა დარგს, დათარეშობდნენ და ხალხს ავიტორებდნენ მმიმე გადასახადებისა და „საჩუქრების“ აკრეფით.<sup>68</sup> ასევე იტანჯებოდა რუსეთის მოსახლეობა სასამართლო გადასახადებითა და გამოძალვით მთავრის მსახურეული პირებისაგან XII საუკუნეშიც და შემდგომ საუკუნეებშიც. მაგრამ ტერმინი „ვჰართკა“, რომელიც ქრთამის შინაარსთან იქნებოდა

თარგმნისას, არ გვხდება არც კანონიერი და არც უკანონო ქრთამის აღსანიშნავად. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე ტერმინი «ვჰართკა» ნაკლებად დამკვიდრებული ტერმინი იყო, როგორც წერილობით, ისე ზეპირმეტყველებაში.<sup>67</sup>

<sup>67.</sup> Бакрадзе Д. З. Сборникъ законовъ грузинскаго царя Вахтанг VI, Тифлисъ, 1887, 1. 4. 115 116. 109.

149. 224

დაკავშირებული, არ გვხვდება ამ პერიოდისათვის და მექრთამეობას გამოხატავდნენ ის ტერმინები, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც აღვნიშნეთ, ვერც რუსული სამართალი ასცდა ქრთამის ორგარ ბუნებას. ის გვხვდება, როგორც დანაშაული ერთის მხრივ, და მეორე მხრივ, როგორც კანონიერი გასამრჯელო. მაგალითად, მართალია, მოსამართლეებს ეკრძალებათ ქრთამის ადგით საქმეების გარჩევა-გადაწყვეტა, მაგრამ ძველი რუსული სამართლის „Русская Правда“-ს მიხედვით, მოსამართლეებისათვის დაწესებულია საჩუქრების ანუ გასამრჯელოს მიცემა გარკვეული მოქმედებათა შესრულებისთვის. „Русская Правда“-ს 86-მუხლი ადგენს გასამრჯელოს ოდენობას იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც ესწრებოდნენ ეჭვმიტანილის რკინით გამოცდის პროცესს. სამართლიანობის დასაცავად, რკინით გამოცდის დროს აუცილებელი იყო მოსამართლეთა მხრიდან მეთვალყურეობა. მეთვალყურებად, უფრო ხშირად, გამოდიოდნენ მოსამართლის თანაშემწები და მისდამი დაქვემდებარებული პირები მეცნიკ-ები, მეტელიკ-ები და სხვები, რომლებსაც ეძლეოდათ სათანადო გასამრჯელო გადასახადის სახით, და რომელიც სავალდებულო ხასიათისა იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ო. ამ პირების მონაწილეობის გარეშე რკინით გამოცდა ვერ ჩატარდებოდა.

გარდა აღნიშნულისა „руская правда“-ს 107-ე მუხლი ითვალისწინებს, აგრეთვე მოსამართლეებისათვის საქმის გარჩევისას, აუცილებელ გასამრჯელოს. მაგალითად, მხარეები ვალდებული იყვნენ საქმის გარჩევისას მოსამართლეებისთვის, დახარჯული დროისა და გაწეული სამსახურისთვის, გადაეხადათ გადასახადი და ეს მხარეებს ქრთამის მიცემად, ე.ო. დანაშაულად არ ეთვლებოდათ. მაშასადამე, „საქმის გარჩევა-გადაწყვეტის დროს აღებული სასამართლო გადასახადები კანონით განიხილებოდა როგორც გასამრჯელო, როგორც საზღაური მოსამართლეებისათვის. ეს გასამრჯელო გამოიხატებოდა როგორც გარკვეული ფულადი დაჯილდოება პირისა, რომელიც კი მონაწილეობას იღებდა საქმის სასამართლი გარჩევაში. გარდა ამისა, კანონი ადგენს გადასახადების ოდენობას საქმეთა სირთულის მიხედვითაც, და აგრეთვე, უთითებს მოხელეთა იმ წრეს, რომლის სასარგებლოდაც უნდა იქნას შეტანილი გადასახადი მხარეების მიერ, იმ როლის გათვალისწინებით, რა როლსაც ასრულებდნენ მოსამართლენი და მისი თანაშემწევები სასამართლო პროცესის დროს. გადასახადები აიღებოდა ნებისმიერი საქმიდან, მიუხედავად სარჩელის დირებულებისა.“<sup>69</sup>

ქრთამი, როგორც გასამრჯელო შენარჩუნებულია XV საუკუნეშიც. ამავე საუკუნის მეორე ნახევრის მოსკოვის სიგელებში აღნიშნულია, რომ ის არის მოსარჩლის თუ მოპასუხის მიერ მოსამართლისათვის მიცემული გასამრჯელო: „.. а посулят большему наместнику, а двема третником то же; а тиуну великого Князя что посулят“<sup>70</sup>.

ქრთამის, როგორც გასამრჯელოს ბუნება ასევე შენარჩუნებულია XVIII-XIX საუკუნის ძველ რუსულ სამართალშიც. მაგალითად, „мздоимство“ და „лихоимство“ „სასჯელთა დებულების“ მიხედვით,

<sup>69</sup> Русская Правда, М, 1958, 58

<sup>70</sup> Судебники XV-XVI вв, Москва-Ленинград, 1952, 46

մարտալու, դասչագո եասոատօնսած, մագրամ օգովը „սասչյելտա լցիլյեթա՛մո“ մոտութեծյլուա, րոմ ո՞յ սահյյերու, սարշյեթու – „մզդы“-ու մոլյեծ, առ արու դակավմորյեծյլո սամսաեշյրյեթուզ մովալյուծաստան, առ ոտշլյեծ դանամայլած. մացալուտած, կյրծո մոմսաեշյրյեթուստցու, րաշ շյոմլյեծ սասաելոյոյ գանցեալյեծու շյեցյենա՛մո, յալալդու շաճաֆյերա՛մո, կոնսյելթացյեծու շաֆյեցա՛մո և ա.Ռ. ասյու մոյմյեցյեծուստցու մուցյալյո սահյյերու ո՞յ ժջցյեն արու արա դանամայլութուզո, արամյեց գասամրչյելու շյերյելյեծյլո սամյառստցու.

Տուսելուս սամարտլյեթուզ դանամայլած առ ուցլուս „սասչյելտա լցիլյեթա՛մո“ ացրյետց տանամդյեթուծու პորու մոյր մզդы“-ու մոլյեծ սամսաեշյրյեթուզո մոյմյեցյեծու շյերյելյեծու շյեմդյեց, ո՞յ առ յոբուլա ֆինասֆարո շյետանեմյեծ յիշտամու ամդյեծսա և ամսահյյելյելու շորու. ասյու, „սաչյելտա լցիլյեթա՛մո“ մոակյուտցնյեծ շնծրալու դուցուձլունարյալ դարձյեցած.<sup>71</sup>

---

<sup>71</sup> Гранатъ, Энциклопедический словарь, Т 9, кн 10, М, 1913, 39

## დ) ქრთამის ცნება ძველ სომხურ სამართალში

ჩვენს მეზობელ სომხეთის სახელმწიფოში ქრთამის (კაშარაქ)<sup>72</sup> შინაარსის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს 1265 წლის სპარაპეტ სმბატის „სჯულდებას“. „სჯულდების“ შედგენის დროს სმბატს უსარგებლია პირველი დედნური წყაროებით, როგორიცაა: „მხითარ გოშის სჯულდება“, „სომხური საეკლესიო სამართლის კანონები“, ჩვეულებითი სამართლის ნორმები და მათ საფუძველზე შეუქმნია სრულიად ახალი იურიდიული ძეგლი, რომელსაც სომხეთის სახელმწიფოსთვის პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა; სმბატის სამართლის ძეგლის მიხედვით ქრთამი დანაშაულებრივი ხასიათისაა. მასში მოცემულია სპეციალური მუხლები, სადაც გამოკვეთილია ქრთამის დანაშაულებრივი ბუნება. „სჯულდების“ სათანადო მუხლები, კატეგორიულად, მოითხოვენ იმ მექრთამე საერო თუ სასულიერო მოსამართლების მკაცრად დასჯას, რომლებიც ქრთამისათვის მართლმსაჯულებას გაამრუდებდნენ. „როდესაც დამტკიცდება, რომ საერო თუ საეკლესიო მოსამართლე გაყიდის ღმერთის მართმსაჯულებას ქრთამისათვის, ასეთი უნდა გადააყენონ მოსამართლის სკამიდან და უნდა დაისაჯოს იგი როგორც ღმერთის გამყიდველი, იმიტომ, რომ მან გაყიდა ღმერთის მართლმსაჯულება, როგორც იუდამ გაყიდა ღმერთი<sup>73</sup>, ხოლო როგორ უნდა დასჯილიყო მექრთამე მოსამართლე, ამის შესახებ „სჯულდების“ 48-ე პარაგრაფში აღნიშნულია: ჯერ ერთი, მექრთამე მოსამართლე გადაყენებული უნდა იქნას მოსამართლის სკამიდან, ამასთანავე, მას უნდა ჩამოერთვას ყველა ღირსება „შემდეგ მეფებ ანდა ბარონმა უნდა მიუსაჯოს მას ცეცხლში დაწვა და უნდა მოხდეს მთელი მისი ქონების კონფისკაცია, იმიტომ, რომ უკეთესია ყველაფერი მისი ეკუთვნოდეს სამეფო ხაზინას, ვიდრე უნამოსო მდვდლის შვილებს.“<sup>73</sup>

სმბატის „სჯულდება“ ქრთამს უწოდებს ისეთ საჩუქარს, სარგებელსა თუ საზღაურსაც, რომელიც მიღებული იქნება ურწმუნო მდვდლების მიერ გარდაცვლილის დასასაფლავებლად ადგილის მიცემისათვის, საფლავის ადგილის გამოყოფისათვის, აგრეთვე ზიარებისა თუ წირვისათვის.

როგორც სმბატის სამართლის ძეგლიდან ჩანს, ზემოთაღნიშნული ქმედებებისათვის სარგებლის თუ საზღაურის მიღებას, კანონიერი სახე გააჩნდა გარკვეული დროის განმავლობაში. ეს იყო ერთგვარი სახის გადასახადი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაეხადა გარდაცვლილის პატრონს, რათა მიცვალებული დაესაფლავებინა, რათა მდვდელს ზიარება და წირვა ჩაეტარებინა ე.ი. იმისათვის, რაც ღმერთის მსახურს საზღაურის გარეშე უნდა შეესრულებია, იღებდა გადასახადს, როგორც კანონიერ გასამრჯელოს. მაგრამ სმბატმა ამ ჩვეულებას „უკანონო ჩვეულება“ უწოდა, რადგან იგი მომდინარეობდა არა წინაპრებისაგან, არამედ შემოღებული იყო ურწმუნო მდვდლებისაგან. ამიტომ § 47-ში მიუთითა, ის, ვინც საფლავის მიწის მიცემისათვის, ზიარებისა თუ წირვისათვის ქრთამ-საზღაურს, ქრთამ-გასამრჯელოს აიღებს, „დაწვან და ქვებით ჩაქოლონ, როგორც უნდონი, იმიტომ, რომ ისინი ატარებენ

<sup>72</sup> Судебник Смбата Спарапета (Гундстабля). 1265 г, Ереван, 1971, 59

<sup>73</sup> օქმ, 85

առաևֆոր და უკանոնո ჩვეულებաს. საფლავისათვის ფულის აღება არის ახალი გადასახადი და ახალი შემოღებული, რომელიც მოდის არა წინაპრებისაგან, არამედ ურწმუნო ხალხისაგან“<sup>74</sup>.

ამრიგად, თავში „ქრთამის ცნებისთვის“ შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრთამს, როგორც ცნებას უძველესი დროიდან ეყრება საფუძველი.

თითქმის ყველა ხალხის ენასა და კანონდებლობაში XIX საუკუნის ბოლომდე, კანონიერი თუ უკანონო ქმედებების აღსანიშნავად, არ არსებობდა ცალკე ტერმინები და ცნება „ქრთამის“ ქვეშ მოიაზრებოდა მოქმედებათა როგორც დანაშაულებრივი ბუნება, ასევე კანონიერი შინაარსიც.

ერთ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეებს და სამართლის მსახურებს, თუ ქრთამის აღება და მით საქმის არასწორად გადწყვეტა დანაშაულად ეთვლებოდათ, და მექრთამეთათვის სამართალიც, საკმაოდ, მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებდა, მეორე შემთხვევაში, იგივე ქრთამი ერქვა გადასახადებს, კანონიერ გასამრჯელოს, აღებულს შესრულებული სამუშაოსთვის, ქონების შეძენის დროს გადახდილ ფასს, მირთმეულ საჩუქარს და ა. შ.

ე. ი. ქრთამის ცნება ძველ ქართულ სამართალში ორგვარი მნიშვნელობით წარმოგვიდგება. იგი იყო როგორც დანაშაულის და როგორც კანონიერ მოქმედებათა აღმნიშვნელი ცნება.

<sup>74</sup> Судебник Смбата Спрапета (Гундстабля). 1265 г, Ереван, 1971, 84

## თავი მეორე

### ქრთამი საქართველოში მოქმედი სამართლის ძეგლების მიხედვით

#### 1. ქრთამი ქართული საერთ სამართლის წიგნების მიხედვით.

##### ა) ქრთამი ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით

XVIII საუკუნის I მეოთხედში, ვახტანგ VI თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სამართლის წიგნი, რომელიც ქართლის სამეფოსათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ იგი მაღე მთელ საქართველოში გავრცელდა და „საქართველოს სამართლად“ იქცა. „საქართველოს სამართლად“ ქცეული ვახტანგ მეფის კანონთა კრებული მოქმედი სამართალი იყო XVIII საუკუნის I მეოთხედიდან, ვიდრე XIX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით. სჯულმდებელ მეფეს სამართლის წიგნის შემუშავება, და მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის დაწყება დასჭირდა იმიტომ, რომ მის დროინდელ ქართლში, და მაშასადამე, მთელ საქართველოში განუკითხაობა იყო გამეფებული. ქვეყნის ეკონომიკურმა თუ ფიზიკურმა გაჭირვებამ უარყოფითად იმოქმედა საზოგადოების ზნეობრივ მხარეზე. განუკითხაობის ფონზე სამართალი აღარ სამართლობდა. ვისაც და როგორც უნდოდა, საქმეს ისე არჩევდა და წყვეტდა. უფრო მეტიც, უსინდისობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავისუფლად დათარეშობდა. მექრთამეობა – ეს საშინელი სენი მოღებული იყო მთელ სასამართლო სფეროზე. მოსამართლენი ქრთამის გარეშე საქმეებს აღარ არჩევდნენ, მაგრამ თუ არჩევდნენ, არასწორად. ქვეყანა მართლაც იღუპებოდა: „იყო ქვეყანა ესე ქართლსა ყოვლითურთ კეთილითა შემკულ და შეზავებულ, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა უამითა თვით სიბრძნითა და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდნენ, ვიეთნიმე მოყვსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღმრთის ურუდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ, სჯიდენ“<sup>75</sup> ამგვარი ვითარების გაგრძელება აღარ შეიძლებოდა ორ, საქართველოს ჯანიშინმა და გამგებელმა, ბატონიშვილმა ვახტანგმა გადაწყვიტა შეექმნა უსამართლობის დამმუხრუჭებული სამართლის წიგნი, რისთვისაც მეფემ შეკრიბა ერთგული და მცოდნე ადამიანები და „კითხვითა ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა“<sup>76</sup> რჩევით შეიმუშავა კიდეც.

ვახტანგ VI მიერ სამართლის წიგნის შედგენა, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა წესრიგის დამყარებას იმ ქაოსში, რომელიც ცალკეული სათავადოებისა და ქართლის მთელი სამეფოს სასამართლო წარმოებაში სუფევდა.

<sup>75</sup> დოლიძე ის, სამართალი ვახტანგ მეექსისა, თბ, 1981, 174

<sup>76</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 47

ამგვარად, XVII-XVIII სს. მიჯნაზე, ქართლში მდგომარეობა მეტად როცელი იყო. გამეფებული მექრთამეობისა და მართლმსაჯულების დაცემის ფონზე, ურჩი და თავნება ფეოდალები მეფის ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდნენ და თავიანთ სამფლობელოებში იმგვარად აწარმოებდნენ სამართალს, როგორც მოესურვებოდათ. მოსამართლენი საკუთარი არშინით ზომავდნენ ცოდვა-მადლის სიგრძეს და სიგანეს. თემიდას სასწორს იქითქენ ხრიდნენ, ვინც ძღვენითა და საჩუქრებით მათ გულს მოიგებდა.

საკოდიფიკაციო კომისიის მიერ სამართლის წიგნის შემუშავება და ვახტანგ VI-ს სასამართლო ხელისუფლებისადმი ზრუნვა, მართლაც, რომ დროული პროცესი იყო. თვით მეფე, სამართლის წიგნის დასაწყისში ამბობს: „ამით უფრო ვიქმნეით მიზეზ წიგნისა ამისა, რამეთუ აღრავინ განდრიკოს სასწორსი სამართლისა ქრთამით, გინა მოყვასობით ანუ სხვეფრივ რითმე მიდგომითა-ო.“<sup>77</sup>

სამართლის წიგნის შედგენა და სამართალწარმოების პრაქტიკაში საერთო წესების დამკვიდრების ცდა მიზნად ისახავდა ასევე მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ვახტანგ ბატონიშვილი თავის განზრახვას არ მაღავს და აშკარად ამბობს: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს, ქნას ... შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ხელის აღება-ო.“<sup>78</sup>

სჯულმდებელი მეფის სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებულია არამარტო საკუთრივ „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“, რომელიც როგორც ავდნიშნეთ, მეფემ „ჭკუათა მყოფელთა“<sup>79</sup> კაცებთან ერთად შეადგინა, არამედ სხვა სამართლის წიგნებიც, როგორც ქართული, ასევე ქართულად ნათარგმნი უცხოური სამართლის ძეგლები, რომლებიც მოქმედი კანონები იყო და რომლებითაც ადრიდანვე ხელმძღვანელობდნენ ქართულ სასამართლო წარმოებაში. ესენია: „პირველ „დაბადებისა“ მოსეს მიერ ქმნილი სამართალი, და კვალად ბერძენითა და სომებთა სამართალთა წიგნთაგან გარდმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები“.<sup>80</sup>

ვახტანგ VI არ ზღუდავდა სამართლის მსახურთ, გინდათ თუ არა მარტოდენ ჩემი სამართლის წიგნით იხელმძღვანელეთო, პირიქით, იგი აღნიშნავდა: „ესე წიგნი ასრე არ დამიწერია და არც ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა,“<sup>81</sup> ამიტომ „იგულეთ და იგულისმოდგინეთ, და რომელიც გენებოს და უმჯობეს გიჩნდესო, მით სჯიდეთ და სამართალსა მართალსა იქმეოდეთ-ო“.<sup>82</sup> მაგრამ იმ შემთხვევისათვის, როცა სასამართლო კაზუსის შესაბამისი ნორმა მოცემული იქნებოდა როგორც ეროვნული, ისე ქართულად ნათარგმნი უცხო სამრთლის წიგნებში, მოსამართლეს საქმის გადაწყვეტისას, უპირატესობა უნდა მიეცა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნისთვის, ხოლო როცა ეროვნული კანონმდებლობის ძეგლებში, პირველ რიგში კი, ვახტანგის სამართლის წიგნში, ასეთი ნორმა გათვალისწინებული არ იქნებოდა, მოსამართლეს

<sup>77</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 175

<sup>78</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 176

<sup>79</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 47

<sup>80</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 174

<sup>81</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 176.

<sup>82</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 175.

უნდა ეხელმძღვანელა კრებულში შეტანილი უცხო კანონმდებლობის ნორმებით.

ვახტანგის სამართლის წიგნი მართლმსაჯულების მიზნებისა და პრინციპების გადმოცემით იწყება. პირველსავე მუხლში ბატონიშვილი მოსამართლეებსა და მსაჯულებს აუწყებს, რომ ამ ქაფენად ყოველგვარი უბედურების მიზეზი უსამართლობაა, რომელიც „ამ სოფელს კაცს უძოდ აღმოჰვერის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობას მოუკლებს, ქეყანას აუოპრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქეყანა-ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წაარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს-ო.“<sup>83</sup>

სჯულმდებელმა მეფემ თავის სამართლის წიგნში ჩამოაყალიბა სამაგალითო მოსამართლის ნიშან-თვისებები: „მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მომხდური, გამომძიებელი, გონგბა-აუსქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის უურის მიმღდები, გამსინჯავი, მოჩივრის მოადის მომცდელი და სხვისაც მკითხველი, მოწმის მძებარი უნდა იყოს, უქრთამო, ლვთის მოშიში“<sup>84</sup>, ასეთი თვისებით სრულყოფილი უნდა ყოფილიყო, ვახტანგის აზრით, სამაგალითო მოსამართლე, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართლში, იმ პერიოდისათვის, ამგვარი ნიშან-თვისებების მქონე მოსამართლენი თითქმის არ იყვნენ.

ვახტანგ VI დროინდელი ქართლი და, მთლიანად, საქართველო ფეოდალური ქვეყანა იყო, რომელსაც სათავეში მეფე ედგა, მეფე, რომელსაც ყველა სახელმწიფო ხელისუფლება გააჩნდა, მათ შორის მართლმსაჯულებაც. მეფეა უზენაესი მსაჯული. მაგ: ვახტანგ VI, როგორც ქართლის განგებელი და მეფე, იმავდროულად, სამეფოს უზენაესი მსაჯული, „ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა“<sup>85</sup>. სხვა პირებს საქმის გარჩევის და სამართალწარმოების უფლება მეფისაგან პქონდათ მინიჭებული. მეფე საგანგებოდ არჩევდა ადამიანებს, მოსამართლეობის უფლება რომ მიენიჭებინა. მოსამართლედ დასანიშნი პირი 40 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო და, ამასთან, ეკონომიურადაც ძლიერი. თუ ბერძნულ და სომხურ სამართალს მოსამართლედ დასანიშნი პირის ასაკად 25 წელი მიაჩნდათ, ვახტანგ VI-ემ 40 წელი განსაზღვრა, რადგან 40 წლის ჭკუადამჯდარი, სერიოზული და ცხოვრებაგამოცდილი მოსამართლე ძნელად თუ მოუქცეოდა ქრთამის გავლენის ქვეში, მას მეტი შეგნება და დავის გადაწყვეის მეტი უნარი ექნებოდა. „ხემლწიფემ ასეთ კაცს უნდა უბრძანოს, რომე ორმოცს წელიწადს იქით იყოს“<sup>86</sup>. მეფეს უნდა ეზრუნა მოსამართლისათვის სამუშაო პირობების შექმნაზე, ეზრუნა მის მატერიალურ მდგომარეობაზე, რათა დარიბ მოსამართლეს ქრთამის აღებაზე არ ეფიქრა და სამართალი არ გაემრუდებინა. მოსამართლეს თუ სიღარიბე შეაწუხებდა ღმერთის შიში გაუქრებოდა, მეფისადმი პატივისცემა დაეკარგებოდა: „არც დიად, სიღარიბე აწუხებდეს, თორემ მოტყუვდება, დათის მოშიში იყოს-ო“<sup>87</sup>.

<sup>83</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 176

<sup>84</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 177

<sup>85</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 20

<sup>86</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 247

<sup>87</sup> იქვე

მოსამართლისათვის დიდი მანკიერება იყო ქრთამის აღება. უურადღებით უნდა ყოფილიყო მოსამართლე, რათა „არც მტყუანსა და არც მართალზე“<sup>88</sup> ქრთამი არ აედო, რადგან ამით დიდ ცოდვას აიკიდებდა, დანაშაულს ჩაიდენდა და ლმერთს განარისხებდა. „მოსამართლე თუ ან ქრთამითა, ან მოყვასობით, ან მუსაიბობით, გინა შიშით ანუ თუ სიყვარულით და ანუ მტერობით ერთს მეორეზე მიუდგა-არ იქნების და არც სამართლი მოვწდების-ო. <sup>89</sup>“

მოსამართლეს უამრავი საქმე ჰქონდა. ამიტომ ყოველ საქმეზე წასვლა და სიტუაციაში გარკვევა მას გაუჭირდებოდა. არადა, მომჩივრებს, ხშირად, „ერთს მეორეში მიხდომა ან სამძღვრის ცილება რომ გარდეკიდებოდათ“<sup>90</sup>, აუცილებელი ხდებოდა მდივანბეგის წასვლა, და ადგილზე ვითარების გარკვევა. ამიტომაც, დავა, შეძლებისდაგვარად, სწრაფად და ხწორად, რომ გადაეწყვიტა, მოსამართლეს უფლება ეძლეოდა დამხმარე პირები აეყვანა, რომლებსაც, საჭიროებისამებრ, გამოიყენებდა, გააგზავნიდა, „გასინჯე, მოკითხული ქენო და მართალი ამბავი მოგვიტანეო“<sup>91</sup>, რადგან „გაგზავნილი მოსაქმის“ მოტანილ ამბავზე დიდად იქნებოდა და იყო კიდეც დამოკიდებული საქმის გადაწყვეტა, მოსამართლე უნდა ცდილიყო, იასაული და სხვა დამხმარე პირები მასავით პატიოსანი, ალდოიანი, უქრთამო და მართლისმთქმელნი ყოფილიყვნენ, რადგან „თუ იმ იასაულმა დათი გმო და ქრთამით მოსამართლეს მრუდი ამბავი მოუტანა.“<sup>92</sup> მოსამართლე სამართლს გაამრუდებდა. დამხმარე პირი მოსამართლეს შეიძლება რამდენიმე ჰყოლოდა, ამაში კანონი მას არ ზღუდავდა. მთავარი იყო, რომ ისინი უქრთამობით, ჰკუთ და პატიოსნებით გამორჩეულნი ყოფილიყვნენ: „მდივანბეგს, გინა სხვას მოსამართლეს, ამგვარის საქმისათვის სხვარიგი ჰკუთის მყოფელი, უქრთამო, მართლის მთქმელი, სიმართალზე ცნობილი იასაული ჰკუგანდეს და ის გაგზავნოს, და დამბარებელი და გაწყრომაზე დასაჭერებილად გასაგზავნი იასაულები სხვა უნდა ყვანდეს და იმას გაგზავნიდეს-ო.“ <sup>93</sup>

სამართლის წიგნის 99-ე მუხლში, ვახტანგ მეფე მოსამართლეების განსაკუთრებულ უურადღებას მიაპყრობდა გაყრის საქმის გარჩევას. ოჯახის წევრებს შორის გაყრა ადვილი არ იყო. გაყრის მონაწილენი რომ კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ, მოსამართლისათვის არ უნდა შეემნიათ რომელიმე მათგანისადმი მიდგომა, გამოსარჩლება, ძლვენის აღებით, ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ინტერესის გამოჩენა, რადგან არასწორი მიღვოვით ჩატარებული გაყრა, შეიძლება მიზეზი გამხრადიყო ოჯახის წევრთა ურთიერთხუბისა და წაკიდებისა: „მოსამართლეს თავად ყოველს სამართალში სიფრთხილე და უქრთამობა მართებს, და ნამეტნავად ამაში, რომ გაყრა ძნელი საქმე არის და გარდაწევას, სარჩლობას, ქრთამს, უსამართლობას, მოსამართლე უფრთხილდეს და ერიდებოდეს-ო.“<sup>94</sup> იმის შემდეგ, რაც მოსამართლენი საქმეებს გაარჩევდნენ და განაჩენს დაადგენდნენ, აუცილებელი იყო მიეთითებიათ,

<sup>88</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 47

<sup>89</sup> დოლიძე ის, სამართლი ვახტანგ მეექვსისა, თბ, 1981, 178

<sup>90</sup> ენუქიძე თ, დასახ. ნაშრომი, 49

<sup>91</sup> იქვე

<sup>92</sup> იქვე

<sup>93</sup> იქვე

<sup>94</sup> დოლიძე ის, სამართლი ვახტანგ მეექვსისა, თბ, 1981, 211

რომელი სამართლის წიგნით და რა მუხლით იხელმძღვანელებს განაჩენის დაწერისას. ეს აუცილებლია, აღნიშნავს ვახტანგ VI, იმიტომ, რომ „როდესაც ან ამჟამად და ან ბოლოს, მომჩივამან როდესმე თქვას – „ქრთამითა და მიღომითა მოსამართლებ უსამართლო მიყოო“<sup>95</sup> – მაშინ განაჩენსა და ამ სამართლის წიგნს შეამოწმებდნენ „და აქედან ნასამართლი იქნება და ვეღარავინ იუარებს-ო“<sup>96</sup>. აღნიშნული მუხლით, ვახტანგ VI კონტროლს აწესებდა მოსამართლებზე, რომ ხელი არ წასცდენოდათ და ქრთამით ან სხვაგვარი მიღომით სამართალი არ გაემრუდებინათ.

ასეთ სიფრთხილეს იჩენდა ვახტანგ VI მოსამართლის სასამართლო საქმიანობისადმი. პირდაპირი მითითებითა და დვოის სასჯელის შიშით აიძულებდა სამართლის მსახურო „მართალი სამართალი“ ეწარმოებიათ. დიდი იყო მეფის შიში, რომ მოსამართლენი ყველანი პატიოსანი არ იქნებოდნენ, ამიტომაც სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობაში ვედრებად ისმის სჯულმდებლის თხოვნა, რომ მოსამართლეებს მისთვის კარგად მოესმინათ, რათა მექრთამეობის მოსპობისათვის მისი გარჯა წყალში არ გადაყრილიყო, ამდენი წვალებით შედგენილი სამართლის წიგნი არ მოეძულებიათ და ჭეშმარიტი სამართლსათვის არ ედალატათ: „აწ ვიაჯები ყოველთა და ისმინონ ესე, რომელმან ბრძენმან და გულისკმის-მყოფელმან მსაჯულმან და მოსამართლემან აღმოკვეთისათვის ქრთამთა და მიუდგომლობისთვის მოყვასთა და თვალუხვად სჯათა წვრთილებისათვის იმძულვაროთ წიგნი ესე და მოიძაგოთ, და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნურც გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგვეწეროს-ო.“<sup>97</sup>

მაშასადამე, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში ქრთამის აღება, და მით საქმის გაკეთება დანაშაულად არის გამოცხადებული. ავტორს მექრთამეობა დმერთის წინაშე ჩადენილ უდიდეს ცოდვად მიაჩნია.

მართალია, ვახტანგ მეფეს თავის კანონთა კრებულში არ დაუკონკრეტებია თუ რა სასჯელით იქნებოდნენ დასჯილნი მექრთამე მოსამართლენი, სამართლის გამმრუდებელნი მსაჯულნი, მაგრამ უდავო კია, რომ დიდი სიფრთხილით შერჩეული მოსამართლენი, რომლებიც მეფის ნდობას და დმერთის რწმენას არად ჩააგდებდნენ და მექრთამეობას მიჰყოფდნენ ხელს, სასჯელის გარეშე ვერ გადარჩებოდნენ, თუ რა თქმა უნდა, მოსამართლეთა მექრთამეობა მეფისა და საზოგადოებისათვის ცნობილი იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერმინი „ქრთამი“ სამართლის წიგნში მარტოდენ დანაშაულის მნიშვნელობით არ გვხდება. XVIII საუკუნის I მეოთხედში, როცა სამართლის წიგნი იქმნებოდა, ტერმინი „ქრთამი“ უკვე დიდი ხანია, სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით ისმარებოდა, როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში. მით უმეტეს, რომ XIII-XIV სს. „ბექა-აღბუდას სამართალი“, რომელშიც ქრთამი წარმოდგენილია, როგორც დანაშაული და როგორც საზღაური, ვახტანგ VI-სა და საკოდიფიკაციო კომისიისათვის, სამართლის წიგნის შედგენისას, ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო წყარო იყო.

<sup>95</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 101

<sup>96</sup> ენუქიძე თ დასახ. ნაშრომი, 243

<sup>97</sup> ენუქიძე თ დასახ. ნაშრომი, 241

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ვახტანგ მეფის სამართლის წიგნის 101-ე და 107-ე მუხლებში ნახმარი ტერმინები „ქრთამი“ და „მექრთამებინო-ს“ ნასყიდობასთან დაკავშირებული ურთიერთობის აღმნიშვნელ ტერმინებად გვხდება.

სამართლის წიგნის მიხედვით, გაყრისას ოჯახები და ოჯახის წევრები ვალდებული იყვნენ ხელმწიფის სასამყრელოდ გადაეხადათ გადასახადი, რომელსაც გასამყრელო ეწოდებოდა. გასამყრელოს სიდიდე დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი შეძლების ოჯახები იყრებოდნენ. გადასახადი-გასამყრელო შეიძლება ყოფილიყო როგორც ფული, სხვადასხვა საგნები, ასევე გლეხები და მიწები, რომლებსაც აიღებდნენ „თუ უნდა, ერთს ალაგს, თუ უნდა დაფანტიოთ“<sup>98</sup> ხოლო „დიდ თავადზე“<sup>99</sup> მთელი სოფელიც კი შეიძლებოდა აღებულიყო. გასამყრელო მეფის საკუთრება იყო და მას მეფე ისე მოიხმარდა, როგორც სურდა. უნდოდა თავისთვის დაიტოვებდა, უნდოდა სხვას ან გაყრილთვან ერთ-ერთს უბოძებდა, უნდოდა გაყიდდა, შესაძლო იყო, ორივე მხარისათვის მიეცა საშუალება ერთად „ექრთამებინათ“ და ა.შ. (XVII–XVIII საუკუნის კერძო სამართლებრივ აქტებში „ქრთამი“, „ქრთამობა“ ყიდვის სინონიმად გვმვლინება).

„გასამყრელო ასრე ჭელმწიფისა არის, რომე როგორც თავისი სახასო, ისრე ეს არის. ეპრიანების, თვითან დაიჭერს; იქნების, სხვას უბოძოს; იქნების, იმათშივე ერთს და ერთს უბოძოს და, იქნების, ორთავ ერთად აქრთამებინოს-ო“<sup>100</sup>. ე.ი. გასამყრელოდ აღებული, უკვე საკუთარი გლეხი, მიწა, სოფელი და ა.შ. მეფეს, სურვილისამებრ, შეუძლია ისევ მიჰყიდოს იმ პირებს, ვისგანაც ის გასამყრელოს სახით აიღო.

107-ე მუხლში კი, როცა მემკვიდრეებს შორის, დედის, მამის, უშვილო ბიძის თუ ძმის გარდაცვალების შემდეგ დატოვებული ქონების გაყრაზეა საუბარი, კანონმდებელი მეფე, მიუთითებს, თუ ქონება დაიხარჯა საერთო საქმისათვის, ან დაიხარჯა რაიმეს ყიდვისას, ან თუ ქონებით გასტუმრებული იქნა ძველი თუ ახალი ვალები, ის უკვე „ჩავლილია“ ე.ი. სამართლიანად დახარჯულია, და განაწილდება მხოლოდ ის ქონება, რაც სახეზეა, რაც დარჩა: „რომელიც საერთოდ, სასახლოდ ან ქრთამად, ან ბატონზე, ან საერთოს ძველსა და ახალს ვალზედ დახარჯულა, ის ჩავლილი არის; რაც ალაგს არის, სამმო არის-ო.“<sup>101</sup>

მაშასადამე, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, რომელიც, როგორც ავლინიშნეთ, სახელმძღვანელო კოდექსი იყო ქართლის სამეფოს სამართლად არმოებაში, და რომლის მოქმედების არეალიც მთელ საქართველოზე გავრცელდა, მექრთამება წარმოადგენს, როგორც სისხლისსამართლებრივ კატეგორიას, როგორც ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულს, რომლს შენდობაც არ დაიშვებოდა. ქვეყნისათვის მოამაგე ისეთი მეფისათვის, როგორიც ვახტანგ VI იყო, სრულიად ბუნებრივად მოჩანს დამრიგებლური ტონის შემცველი მისი დაღადისი მოსამართლებისადმი, სახელმწიფო მოხელეებისადმი, არ აეღოთ ქრთამი და მრუდე ხელით თემიდას სასწორზე ცოდვა-მადლი არ აეწონ.

<sup>98</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 77

<sup>99</sup> იქვე

<sup>100</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 212

<sup>101</sup> ენუქიძე თ. დასახ. ნაშრომი, 215

აქევ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერმინ „ქრთამის“ გამოყენებისას მან გვერდი ვერ აუარა საუკუნეებით გამტკიცებულ რეალობას და მასში არადანაშაულებრივი შინაარსის გამოხატვის შესაძლებლობაც ჩადო, თუმცა ეს სრულიად არ გვიშლის ხელს, გავარკვიოთ, სად იწყება და სად მთავრდება ქრთამი, როგორც დანაშაულებრივი ქმედების აღმნიშვნელი, რომელიც თანდათანობით იკიდებდა ფეხს ქართულ იურიდიულ აზროვნებაში და თავიდან იცილებდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის აღმნიშვნელ ხასიათს.

## ბ) ქრთამი ბექა-ალბულას სამართლის წიგნის მიხედვით

თავდაპირველად სამცხის სამთავროსათვის შედგენილი ბექასა და აღბულას სამართალი, ცოტა ხანში, საქართველოს სხვა სამეფო სამთავროებშიც გავრცელდა. ამიტომ აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტები დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ, შეა საუკუნეების საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება ასევე ფეოდალური იყო.<sup>102</sup>

რა თქმა უნდა, ბექა-აღბულას სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართულ კანონმდებლობაზე. განსაკუთრებით, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე. XVIII საუკუნის დასაწყისში ბექასა და აღბულას სამართლის წიგნის დიდი ნაწილი, სათანადო რედაქციით სჯულმდებელმა მეფემ, მეექვსე წიგნად შეიტანა თავის სამართლის წიგნში და ამით მისი ნორმები XVIII საუკუნიდან მოყოლებული, დააკანონა, როგორც მოქმედი სამართალი.

ბექა-აღბულას სამართალი შეიცავს მდიდარ მასალას საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილების შესახებ. იმის შესახებ, როგორი ურთიერთობა არსებობდა საზოგადოების მაღალ და დაბალ ფეხას შორის, როგორ უყურებდა და რას სოვლიდა საზოგადოება დანაშაულად, როგორ სჯიდა დამნაშავე პირებს, როგორი იყო პასუხისმგებლობა იმ პირებისა, ვისაც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესრიგისა და უსაფრთხოების მოვალეობები ეკისრებოდათ და სხვა.

ღმერთისა და ღვთისმშობლის „მინდობით“ დაწერილი სამართლის წიგნის სწორად გამოყენება დიდად იყო დამოკიდებული იმ თანამდებობის პირებზე, რომლებსაც მოსამართლეებს უწოდებდნენ, ამიტომ „ბექა-აღბულას სამართალი“, რომელიც „ერთბაშად გაჩენილია განგებათა ღვთისათა“ მოსამართლეებს „არავის სთნიო“-სა და „არა ქრთამით ქადებისათვის“ პრინციპით მუშაობას სთხოვდა.

მოსამართლეები, უპირველეს ყოვლისა, სიწმინდით და პატიოსნებით აღჭურვილნი უნდა ყოფილიყვნენ, რათა „მართალი სამართალი გაეჩინათ“, მაგრამ როგორც სამართლის წიგნის სათანადო მუხლები გვიჩვენებენ, უცხო არ ყოფილა მოსამართლეთაგან „ეშმაკისათვის სულის მიყიდვა“, ქრთამის აღება და ქრთამის აღებით საქმეთა გარჩევა-გადაწყვეტა. ქრთამის აღება კი ზნეობრივი უწმინდურობის შედეგია. ამიტომაც კანონმდებელი დაუნდობელნი იყვნენ უზნეო მექრთამე მოსამართლეების მიმართ.

ბექა-აღბულას სამართლის წიგნი ქრთამს წარმოგვიდგენს როგორც დანაშაულებრივ კატეგორიას, რომელიც უფრო მძიმეა, ვიდრე დამნაშავის მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული. მექრთამედ ცნობილ მოსამართლეებს სამართლის წიგნი აიძულებს მძიმე ორდალით, აღუდებულ წყლიან ქვაბიდან გავარვარებული რკინის ამოდებით, დაიცვან თავიანთი ღირსება და პატიოსნება.

ხაზი უნდა გაესვას „ბექა-აღბულას სამართლის წიგნის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ქრთამს წარმოგვიდგენს არამარტო როგორც სისხლსამართლებრივ დანაშაულს,

<sup>102</sup> ჯავახიშვილი ივ, თხზულებანი თორმეტ ტომად, გ VI, თბ, 1982, 108

არამედ ასევე, როგორც გასამრჯელოს, საზღაურს შესრულებული სამუშაოსთვის, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ XIII-XIV საუკუნეებში ტერმინი „ქრთამი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა და ის არ მოიცავდა მხოლოდ უკანონო ქმედებისათვის აღებულ „საცოდავი ძღვენის“ შინაარსს.

სამართლის წიგნის 85-ე მუხლი მიუთითებს, რომ თუ ყმა თავის პატრონს, ე.ი. ბატონს, კარგად მოემსახურება და ამ სამსახურისთვის ბატონი მას „აქრთამებს“, ე.ი. მისცემს „გინა სამამულო და გინა სასაქონლო“ რამეს, ბატონმა ნაქრთმევი, უსამართლოდ, აღარ უნდა წართვას, ხოლო თუ ქრთამის მიმდებს დასჭირდა „საქრთამოს შოებისათვის“ შეუძლია დაიფიცოს კიდევ, რომ მამული თუ სხვა რამ საქონელი, მან საზღაურის ფასად მიიღო: „თუ კაცს კაცისადა ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის ქრთამად მიეცეს რამე, გინა სამამულო და გინა სასაქონლო, და მას კიდე რომელმან გამოუაროს იგი მისაცემელი, თხოვასა და წაღებასა არას ემართლების.

ფიცი უღონიოდ წესია ამისა, რომე მისსა საქრთამოსა შოებისათვის პატრონი კიდეცა მასვე არ შეებეზღოს. და თუ ვერ ფიცოს, განადამცა ხელთა მისცეს და კიდეცა ემდუროდეს მართლადა“<sup>103</sup>.

ე.ი. ტერმინი ქრთამი, აქ საზღაურის მნიშვნელობით არის ნახმარი. საზღაური კი შეიძლება ყოფილიყო, როგორც ნატურალური, ისე ფულადი სახის. ბატონს შეეძლო ებოძებინა ყმისთვის მიწა, მამული და სხვა რამ, თუ ამას ყმა დაიმსახურებდა. ბატონისათვის ქრთამად რაიმეს მიცემა, უფლებას წარმოადგენდა და არა მოვალეობას. და თუ, ამ უფლებიდან გამომდიანერე, ბატონი ყმას ქრთამს – საზღაურს მისცემდა კარგი სამსახურისათვის, უსამართლოდ უკან აღარ უნდა წაერთმია. მართალია, „ყმისა ყველა ბატონისა იყო“, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ქრთამი „კარგად ყოლისა და საურავისათვის“ გაცემული, მიმდებსავე უნდა დარჩენოდა, უსამათლოდ წართმევა, უკან წაღება კი ბატონის ავტორიტეტს შელახავდა, ძირს დასცემდა და ეს თუ ბატონს არას ავნებდა, სასარგებლოც არ იქნებოდა.

რაც შეეხება ამავე სამართლის წიგნის 90-ე მუხლს, აქ უკვე ქრთამი სისხლისსამართლებრივი ცნებაა. მუხლში მექრთამე მოსამართლე სასტიკადა გაკიცხული.

კანონმდებელი იმასაც აღნიშნავს, რომ წმინდა მამათა თქმით, სიხარბე „მხედველობისა კაპი არის.-ო“<sup>104</sup> ე. ი. მხედველობის დასაბრმავებელი არის, რომ სიხარბიდან მომდინარეობს ყოველგვარი ცუდი საქმე, რაც თავისთვად დმერთსაც ანრისხებს და კაცსაც ვნებს. ამიტომ კანონმდებელი არა თუ აფრთხილებს მოსამრთლეებს, არამედ მოითხოვს მათგან, სიხარბე ნუ დაგძლევთ, ქრთამის აღებით საქმეს ნურც გაარჩევთ და ნურც გადაწყვეტილების გამოიტანთ: „ესე სიტყვა წმიდათა მამათა არს, თუ სიხარბე ბუნებით მხედველობისა კაპი არის და ყოველი ავი დმრთისა და კაცთა განმარისხებელი საქმე მას ზედა ჩამოკიდებული არისო“<sup>105</sup>. მაგრამ მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, თუ მაინც გამოჩნდებოდა ისეთი მოსამართლე, რომელიც ცდუნებას ვერ გაუძლებდა, ვერ დასძლევდა სიხარბეს, ქრთამს აიღებდა და საქმეს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ გადაწყვეტდა, მაშინ ჯერ ერთი, რომ

<sup>103</sup> დოლიძე ის, სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბ, 1981, 400

<sup>104</sup> იგვა

<sup>105</sup> დოლიძე ის, დასახ. ნაშრომი, 460

ასეთი გასამართლებელი საქმე ანუ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმდებოდა, მეორე, მექრთამე მოსამართლე სასტიკად დაისჯებოდა, მესამე, მომჩივრები ხელახლა გასამართლდებოდნენ და საქმე ხელმეორედ გაირჩეოდა: „სისარბით სასარჩელსა ნუ დაუმტკიცებს ბრჭე კაცსა და, თუ მას ბჭისაგან ქრთამისა აღება გამოჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაიძვნენ-ო. <sup>106</sup>“

კანონმდებელი 90-ე მუხლში მიუთითებს საშუალებაზე, კერძოდ, მდუღრით გამოცდაზე, რათა დადასტურებულიყო მოსამართლის პასტიოსნება და მისი პრესტიჟი საზოგადოებისათვის შეუბდალავი დარჩენილიყო. (მდუღრით გამოცდაზე არჩევანი შეჩერებულ იქნა, სხვა ორდალებთა შორის, შესაძლოა იმიტომაც, რომ მექრთამე მოსამართლეს, სწორედ ხელები უნდა დაწვოდა ქრთამის ხელის მოკიდებისთვის და მოქრთამული ხელებით უკანონო განაჩენის გამოტანისთვის). იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე გამოცდას ვერ გაუძლებდა და გამტყუნდებოდა, ე.ი. ხელები დაეწვებოდა, სასჯელის დასადებად იგი მართლმსაჯულებას გადაეცემოდა.

მაშასადამე, ბექა-აღბუდას სამართლის წიგნში, ისევე როგორც სხვა სამართლის წიგნებში, საუბარია არა ზოგადად მექრთამე მოხელეებზე, არამედ, პირდაპირ მითითებულია, მექრთამე მოსამართლეებზე. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მოსამართლე როგორც მეფისაგან ხელდასმული მოხელე, მეფის პოლიტიკის უშუალო გამტარებელი იყო. სადაო საკითხების სამართლიან გადაწყვეტაზე დიდად იქნებოდა და იყო კიდეც დამოკიდებული მეფის ავტორიტეტი, მისი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. მართლმსაჯულება ის ერთ-ერთი ხელისუფლება იყო, რომელიც მეფეს ხელთ ეპყრა და, რომელიც მას ერთგული მოხელეების დახმარებით უნდა განეხორციელებია.

სასამართლო ხელისუფლება მეფის მთავარი დასაყრდენი ძალა იყო. ამიტომაც, დავით აღმაშენებელმა ეს ხელისუფლება შემთხვევით პიროვნებას ვერ ჩააბარა და მსაჯულთუხუცესად ერთგული და საიმედო გამზრდელი, გიორგი ჭყონდიდელი დანიშნა.

ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც უცხოური, ასევე ქართული სამართლის ძეგლები, სწორად ეხებოდნენ მოსამართლეთა სამართლიანად მოქმედების საკითხს. ხაზს უსვამდნენ მოსამართლედ დასანიშნი პირის ასაკს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას და იმ თვისებებს, რაც მოსამართლეს უნდა ჰქონდა.

<sup>106</sup> დოლიძე ის, სამართლი ვახტანგ მეექსისა, თბ, 1981, 173

## გ) ქრთამი „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის“ მიხედვით

ვახტანგ VI-ემ სამართლის წიგნთა კრებულში გააერთიანა სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი სამართლის ძეგლები. მათ შორისაა „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტები“, რომელიც დართული აქვს „ბექა-აღბურას სამართლის წიგნს“ და XIV საუკუნის გ. ბრწყინვალის, ანუ როგორც ვახტანგ VI აღნიშნავს „მეფეთა-მეფის გიორგის „ძეგლისდება“. აღნიშნულ სამართლის ძეგლთა ნორმები, „ცოცხალ ნორმებს“ წარმოადგენენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათზე დაყრდნობით წარმოებდა მთელი რიგი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. მართალია, ვახტანგ VI-ემ საქართველოში არსებულ სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით შეიმუშავა ახალი სამართლის წიგნი, მაგრამ მის კოდიკოში შესული საკანონმდებლო ძეგლთა ნორმები, როგორც აღვნიშნეთ, კვლავ ინარჩუნებდნენ „სიცოცხლისუნარიანობას“ ე.ი. თუ მოსამართლენი არსებული დავის გადასაწყვეტად ვახტანგის სამართლის წიგნში ვერ იპოვნიდნენ სათანადო მუხლებს, მაშინ, შეეძლოთ გამოეყენებიათ სამართლის სხვა წიგნები, რომელშიც კი შესაფერისი მუხლები იქნებოდა, რათა მით ეხელმძღვანელათ საკითხის გარჩევისას.<sup>107</sup>

რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ იქნებოდა და არც იყო, როგორც ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტების, ისე გ. ბრწყინვალის „ძეგლისწერის“ ნორმები.

„ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებს“, რომლებმაც კი ჩვენამდე მოაღწიეს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სამართლისთვის. აღნიშნული სამართლის წიგნი ეხება ჩვენთვის საინტერესო, ქრთამის საკითხს, კერძოდ სასამართლოს და მოსამართლეთა მუშაობას. იგი ქრთამს და მექრთამებას დანაშაულად აცხადებს და „ქრთამის ქმადებისთვის“ მოსამართლეების მიერ სადაო საქმეთა გადაწყვეტა საძრახისად მიაჩნია.

ფეოდალური საქართველო სხვადასხვა წოდებათა წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. საზოგადოების შესაბამისად, წოდებრივი ხასიათისა იყო სასამართლოებიც. უოველ წოდებას მეფეთაგან დანიშნული მოსამართლე ჰყავდა.

მოსამართლეებს უფლება არ ჰქონდათ საჩივარი მიეღოთ და გაერჩიათ, თუ იგი მათი ქვემდებარე არ იქნებოდა. ასე რომ, სოფლის მამასახლისი, მხოლოდ, გლეხთათვის ყოფილა მოსამართლედ დასმული, დიდ-ვაჭარნი ვაჭარ-ხელოსანთა და მოქალაქეთა წოდების წევრთათვის მოსამართლეობდა, ხოლო „მოძღვარი“, „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი“, ჩვეულებრივ, მაღალი წოდების ე.ი. აზნაურთათვის დანიშნული მსაჯული იყო.<sup>108</sup>

ნებისმიერი წოდების მოსამართლე, აუცილებლად, ჭკვიანი, ზრდილობიანი და კანონების კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო: „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ანუ კარგი დიდ ვაჭარი, ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, ეგოთი

<sup>107</sup> ენუქიძე თ, დასახ. ნაშრომი, 47

<sup>108</sup> ჯავახიშვილი ივ, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი 2  
ნაკვეთი 2, ობ, 1929, 484

კაცი დასვი ბჭედ, ჭკუიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობაი და უსამართლოს არას იტყვს,<sup>109</sup> აღნიშნულია „ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის“ მე-100 მუხლში.

სამართლის წიგნი ხაზს უსვამდა მოსამართლეთა სიჭკვიანეს და კანონების კარგ ცოდნას, მაგრამ საგანგებოდ მიუთითებდა მათ პატიოსნებაზე. სამართლის წიგნის ფრაგმენტებში თხოვნა-ბრძანებად ისმის, რომ მოსამართლემ უსამართლო სიტყვა არ თქვას, მომჩივრებს კარგად მოუსმინოს, დმერთისადმი შიში შეინარჩუნოს, საქმის გარჩევისას ანგარიში არ გაუწიოს, არც მშობელს, არც ახლობელს, არც მტერსს და არც მოყვარეს. ხათრი არავისი მოიდოს და, რაც მთავარია, „ქრთამის ქადებისათვის“ ე.ი. ქრთამის დაპირებისათვის, ანგარების, სიხარბის გამო სამართალს არ უდალატოს. მოსამართლე ვალდებული იყო პატიოსნად ემსახურა დმერთის, მეფის და თავისი საქმის წინაშე. „ვინცა საბჭოდ სჯედებოდეთ თქუენითა გულითა შიგან დმრთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნიოთ, არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმათა და მეუვსთა, არას ქრთამის ქადებისათვის, არა, არამედ მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ“<sup>110</sup>

გაფრთხილების ეს მკაცრი ტონი უთუოდ ასახული იქნებოდა იმ სასჯელებში, რომლებითაც დაისჯებოდნენ მექრთამე მოსამართლენი, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეულ სამართლის წიგნის ფრაგმენტებში სასჯელის აღმნიშვნელი ნორმები არ გვხვდება. მაგრამ, რაკი მექრთამეობას ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი დანაშაულად და საძრახის ქმედებად მიიჩნევდა, მეფისაგან ხელდასმული მექრთამე მოსამართლე, უდალატებდა რა მეფეს, მეფისგანვე იქნებოდა „ჩამომცრობილი“ და დაჯარიმებული, როგორც დიდი ცოდვის და დიდი დანაშაულის ჩამდენი პირი.

<sup>109</sup> ქ.ს. ქ. I, თბ, 1963, 442

<sup>110</sup> დასახ. ნაშრომი, 464

## დ) ქრთამი მეფეთა-მეფის გიორგის „ძეგლისდების“ მიხედვით

რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებას“, მართალია, აქ არაფერია ნათქვამი მოსამართლეთა მიერ ქრთამის აღებაზე და მით საქმის გადაწყვეტაზე, მაგრამ უდავოა, მექრთამეობა აღნიშნული ძეგლის მიხედვით, მიუღებელი მოქმედებაა. საინტერესოა „ძეგლისდების“ 29-ე მუხლი, რომელიც მოწმეთა უქრთამობაზე საუბრობს, მოდავე მხარეთაგან თუ ერთი სთხოვს მეორეს, წაყვეს სამართალში, რათა მათი დავა სასამართლოში გაირჩეს, მაგრამ მიუხედავად თხოვნისა, მითუმეტეს რამდენიმეჯერ თხოვნისა, არ გაყვება, მაშინ, ამ უკანასკნელს შეუძლია მარტო მივიდეს სასამართლოში და სასამართლო მას გაამრთლებს. ოდონდ გამართლებისათვის საჭიროა, რომ მოდავე მხარესთან მისი მრავალჯერ მისვლა და თხოვნა დადასტურებული იყოს მოწმეებით. მოწმეები კი უნდა იყვნენ პატიოსანნი, მოუსყიდველნი, რათა „მოწმობდნენ მართლად, უთნევად და უქრთამოდო“ (ძეგლისდება, მუხლი 29), ე.ი. არა ვინმეს მორიდებისა და ხათრის, ან ქრთამის გამო, არამედ მხოლოდ სიმართლისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მექრთამე მოწმეების ჩვენებას არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მაშასადამე, თუ „ძეგლისდებისთვის“ მიუღებელი იყო ცრუ, მექრთამე და უპატიოსნო მოწმე, ბუნებრივია, უფრო მეტად მიუღებელი იქნებოდა მექრთამე მოხელეები, მათ შორის მოსამართლენიც: ასე რომ, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“ ქრთამის აღებას და მით რაიმე ქმედების განხორციელებას დანაშაულად მიიჩნევდა.

## 2. ქრთამი საქართველოში მოქმედი უცხოური სამართლის ძეგლების მიხედვით

### ა) ქრთამი ბერძნული სამართლის წიგნის მიხედვით

ბერძნული სამართლი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის ერთ-ერთი შემადგენელი ძეგლია.

სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში ნათქვამია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა „მიება-ყო საბერძნეთით, ოთხთა პატრიარქთა მიერ ქენებითა კაცთათა, რომელთა თვით უმეტეს შეეწოდა თარგმანსა შინა.“<sup>111</sup> კანონთა კრებულზე მუშაობისას, ვახტანგ მეფის საკონდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, რომ ბერძნული და მასთან ერთად, მეორე, უცხოური სომხური სამართლის ძეგლი მოქმედი კანონები იყო, რომლებითაც, ძველთაგანვე, ხელმძღვანელობდნენ ქართულ სასამართლო წარმოებაში. სჯულმდებელი მეფე სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში ჩამოთვლის რა კრებულში შეტანილ უცხოურ და ეროვნულ სამართლის ძეგლებს, ასე მიმართავს მოსამართლეებს: „ხოლო ესეცა სცნოთ, იგულეთ და იგულისმოდგინეთ, და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სიმართლეს იქმოდეთ“<sup>112</sup>. აღნიშნული სიტყვებით ქართლის გამგებელი ადასტურებდა კრებულში შესული უცხოური კანონების მოქმედებას.

უცხოურ კანონებს რომ პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა საქართველოში, დადასტურებულია, ჩვენამდე მოღწეული სასამართლო განჩინებებებში დაცული ცნობებითაც. უფრო მეტიც, ბერძნული სამართლის ნორმების გამოყენებას იურდიულ ურთიერთობათა მოწეს-რიგებისათვის ადგილი ჰქონდა XIX საუკუნი I ნახევარშიც კი.

ბერძნული კანონების მიხედვით, მსგავსად სამართლის სხვა ძეგლებისა, სამართლი ლვთისაგან მომდინარეობს. სამართლს იგი „სიბრძნის სიმართლეს“<sup>113</sup> უწოდებს, რაც ადამიანის მიერ საღვთო და საკაცობრიო, ე.ო. სამოქალაქო საქმეების, სამართლიანობისა და უსამართლობის კანონზომიერებათა ცოდნას ნიშნავს. „სიბრძნის სამართლი ესე არის, რათა იცოდეს კაცმან სამღთო თუ საკაცობო საქმე, სამართლი თუ უსამართლო“<sup>114</sup> იმ პერიოდისათვის „სიბრძნის სამართლის“ განდრეკის, უსამართლობის ქმნის მრავალი მიზეზი არსებობდა, რომელთაგან ერთ-ერთი მექრთამეობა იყო. მექრთამეობა „ბერძნულ სამართლში“ წარმოდგენილია, როგორც დანაშაულებრივი ქმედება. მისთვის ერთნაირად მიუღებელია, როგორც მექრთამე მოსამართლე, რომელსაც უველაზე მეტად ევალება სიმართლით სამართლის ქმნა, ისე მექრთამე საპყრობილეს უფროსი, მექრთამე ცრუ მოწმე, ანგარებით დამნაშავისათვის თავდებად დამდგარი პირი და ა.შ. მაგრამ, მაინც, უველაზე მეტად, უურადღება გამახვილებულია მოსამართლეთა პატიოსნად და სამართლიანად მოღვაწეობის საკითხზე.

<sup>111</sup> დოლიძე ის, ვახტანგ მეექვსის სამართლი, თბ, 1981, 7

<sup>112</sup> დასახ. ნაშრომი, 63

<sup>113</sup> ქ.ს.ძ. ტ I, 164

<sup>114</sup> დასახ. ნაშრომი, 163

და ეს, ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მოსამართლე ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული, ის თანამდებობის პირია, ვისაც თანამდებობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, მრავალი შესაძლეობლო ჰქონდა, მართალი გაემტყუნებია, მტყუანი კი გაემართლებინა. სამართლის ძეგლებში ჩამოთვლილია ნიშან-თვისებები, რაც მოსამართლეს უნდა ჰქონოდა. პირველ ნიშნად მიჩნეულია ასაკი: „კაცი ოცდახუთის წლის ნაკლები იყოს, იგი მოსამართლედ არ დაიყენებისო“<sup>115</sup>. მოსამართლეობა ადვილი საქმე არ იყო. ამიტომ კაცი, რომელიც მოინდომებდა „მსაჯულად სახელის წოდებას“<sup>116</sup>, ვალდებული იყო, დაეცვა ყველა წესი და არ ჩაედინა ურიგო რამ, დმერთის საწყენი: „რათა პპოვოს ჭეშმარიტი დათი დღესა მას სასჯელისასა შემწედ თვისისა თვისისა.“<sup>117</sup>

მსაჯულს, რომელსაც წესად არ ჰქონდა ქცეული სიმართლით საქმეთა გარჩევა ქრთამის გამო, ვინმეს სიყვარულის თუ სიძულვილის გამო, ან უფროსის წინაშე მორიდებისათვის და ა.შ. სამართლის წიგნი „პირფერს“ უწოდებდა: „რომლისა სიმართლე არა აქუს წინაშე თვისსა, არამედ ქრთამისათვის ანუ კაცთა სიყვარულისთვის ვერა იქმს სამართალსა, ანუ მტერობისათვის გარდააქცევს, გინათუ უფროსთა კაცთა მორიდებისათვის ვერა იქმს სამართალსა, არამედ გარდააქცევს და გაამტყუნებს, იგი სამართალი არ არს, არამედ მოსამართლესა მას ეწოდების პირფერი“<sup>118</sup>. მოსამართლე უნდა ყოფილიყო კეთილშობილი და არა კაცომოძულე, მშვიდი და არა მრისხანე, პატიოსანი და არა მექრთამე, მას დამბეზდებლებისთვის არ უნდა მოესმინა, საქმე გულმოდგინებით უნდა გაესინჯა, შეესწავლა და სამართლიანად გადაეწყვიტა. „ბატონის საქმეს სამი რამ გამოაჩენს, პირველად, რათა იყოს თავმდაბალი ქრისტიანეთა თავადებთა ზედა და ბერი მდვდელი უყუარდეს და თავის ტრაპეზა ყუანდეს, მეორე, რათა იყოს სახიერი კაცთა ზედა. თუ ვისმე გაუწყრეს, მალ მობრუნდებოდეს. მესამე, რავამს სამართალს იქმოდეს, ნურავის დაეფერება და ნურც ქრთამს აიღებს-ო.“<sup>119</sup>

მოსამართლეთაგან – ამბობს ბერძნული სამართალი–უპირველესი მსაჯული მეფე. ეს უფლება დმერთისაგან აქვს მას ნაბოძები. რადგან, მეფე მოსამართლეთაგან გამორჩეულად დგას, როგორც უზენაესი და უპირველესი მსაჯული, განსაკუთრებულია მისი უფლებებიც. მეფისაგან ნათქვამი სიტყვა და მიღებული გადაწყვეტილება გონიერებით და მიუკერძოებლობით უნდა გამორჩეულიყო: „ყოველი მისი განზრახვანი იყუნენ გონიერნი და არა ქრთამის ამღებნი.“<sup>120</sup> სხვა პირებს მოსამართლეობა მხოლოდ მეფისგან ჰქონდათ მინიჭებული. თვითნებურად საქმეთა გარჩევა არავის შეეძლო. მეფისაგან „ხელდასმულ“ მოსამართლებს, მეფის მსგავსად, პატიოსანი მოღვაწეობა ევალეობოდათ. მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ნამდვილ დოკუმენტებს უნდა დაყრდნობოდნენ. დოკუმენტები კი შეიძლება ყოფილიყო როგორც ნივთიერი, ასევე წერილობითი. წერილობითი მტკიცებულებების ერთ-ერთ სახეს მოწმის ჩვენება წარმოადგენდა. მოწმის ჩვენება კი ის მტკიცებულება იყო, რომელსაც ძველ ქართულ, და არა მარტ ქართულ,

<sup>115</sup> ქ.ს.ძ. გ I., თბ, 1963, 173

<sup>116</sup> დასახ. ნაშრომი, 129

<sup>117</sup> დასახ. ნაშრომი, 129

<sup>118</sup> ქ.ს.ძ. გ I., თბ, 1963, 130

<sup>119</sup> დასახ. ნაშრომი, 145

<sup>120</sup> დასახ. ნაშრომი, 146

სამართალში მნიშვნელოვანი, და შეიძლება ითქვას, ზოგჯერ გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა საქმეთა გარჩევის დროს. ამიტომაც, ბერძნული სამართალი საგანგებოდ მიუთითებდა მოწმეთა მიერ ჩვენებების მიცემის სამართლიანობაზე.

ჩვენების მიცემის წინ, მოწმე ვალდებული იყო დაეფიცა, რათა მოსამართლეს მის ნაამბობში ეჭვი არ შეპარვოდა. კანონმდებელი სიფრთხილეს იჩენს, როცა სამართლის წიგნში მოწმის შესახებ სპეციალური მუხლები შემოაქვს. მოწმეთა შესახებ მუხლების არსებობა გვიდასტურებს, რომ არცთუ იშვიათად ცხოვრებაში, ადგილი ჰქონდა მოწმეთა მოსუიდვა-მოქრთამგას, როცა სარგებლის მიღების მიზნით ცრუ მოწმეს შეეძლო ტყუილზე ემოწმებინა ქრთამის მიმცემისათვის. მაგრამ, თუ ანგარებით მიცემული ცრუ ჩვენება მოსამართლისათვის ცნობილი გახდებოდა, მაშინ, გარდუვალად დადგებოდა მექრთამე, ცრუ მოწმის პასუხისმგებლობის საკითხი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნული სამართლის წიგნი ყველას როდი ანიჭებდა მოწმედ დადგომის უფლებას. „უკეთუ ოცს წელიწადს დაბლად იყოს ვინმე კაცი, მას მოწმობა არ დაეჯერება. უკეთუ სასამართლოში გამოჩნდეს კაცისა ვისიმე, რომ ეს კაცი დამნაშავე არ არის და მტყუანი ანუ ექსორიაქმნილი არის, ანუ ქრთამი აუღია მოწმობისათვის, ანუ მემრუშე იყო, ამგვარი კაცის მოწმობა არ იოწმუნება-ო.“<sup>121</sup>

მოწმედ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნასყიდი კაცი თუ ბატონისაგან გათავისუფელბული ყმა, რადგან ბატონებს მათგან მიღებული ჰქონდათ ე.წ. იმდენი საჩუქარი, რამდენზეც მათი „გული შეჯერდებოდა“. ბატონისათვის მირთმეული ქრთამ-საჩუქარი სხვადასხვა სახის შეიძლება ყოფილიყო: ნატურალურიც და ფულადიც, მათ შორის შეიძლება ყოფილიყო პურმარილიც: „ნასყიდ კაცსა და აზატნაქმნარს თავისის ბატონისა და ბატონისშვილისათვის მოწმობა არ დაეჯერება, ამისათვის რომ პურმარილი ახსოვს“<sup>122</sup>. ასევე მიუღებელია დარიბი კაცის მოწმობაც: „დარიბი არის ის, რომე სამი ათასი თეთრი არ ჰქონდეს.“<sup>123</sup> დარიბი კაცი თავისი მატერიალური გაჭირვების გამო, მოექცეოდა ცდუნების ქვეშ და ქრთამის აღებით ადვილად იკადრებდა ტყუილს, მისცემდა ცრუ ჩვენებას, ამიტომაც „დარიბთა კაცთა მოწმობა არ დაიჯერებისო“<sup>124</sup> – აცხადებდა სამართლის წიგნი.

ბერძნული სამართლის ძეგლის რამდენიმე მუხლი თავდებობის საკითხესაც ეხება. თავდებად გამოდიოდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო მოღვაწენი, რომლებიც, არცთუ იშვიათად, თავდებად ქრთამის მიღებისათვის დგებოდნენ. ბერძნული სამართლის წიგნის შესაბამისი ნორმები გმობდნენ რა თავდებობას უკანონო სარგებლის მიღების მიზნით, მოუწოდებდნენ ეკლესიის მსახურო, მორიდებოდნენ თავდებობას, რადგან ეს იყო საერო და არა საღვთო საქმე, მაგრამ თუ პატიოსნად ჩაერეოდნენ „ორთა მომჩივართა შორის“ და „ცილისწამებით დაბეზღებულთა კაცთათვის, რომელსაც სჯიდნენ და არცხვენდნენ უბრალოდ დაუნაშავებულსა მას კაცსა“<sup>125</sup>, მაშინ ეკლესიის მსახურთა

<sup>121</sup> ქს. გ. I, თბ, 1963, 168

<sup>122</sup> იქვა

<sup>123</sup> იქვა

<sup>124</sup> იქვა

<sup>125</sup> ქს. გ. I, თბ, 1963, 176

მხრიდან თავდებობა „საქებელია და არა საძაგელიო“, მაგრამ თუ თავდებად დაუდგებიან ავის მქნელებს, რომელთაგან ქრთამი ექნებათ აღებული, თუ თავდებობა გაკეთებულია სარგებლის მიღების, გამორჩებისა და სიხარბისათვის, მაშინ „ისინი მეყსეულად დაკარგავენ საღმოსა მსახურებასა და მეფეთაგანაც განისჯებიანო“<sup>126</sup>. მნიშვნელოვანია, ბერძნული სამართლის წიგნის 95-ე მუხლი, სადაც დასჯადად იყო გამოცხადებული ქრთამის აღება იმ შემთხვევისათვის, როცა ორი მოდავე მხარე, მოსამართლის გვერდის ავლით, ქრთამის გაღებით, საქმეს ურთიერთშორის მორიგებით დაამთავრებდა, როცა მტკუანი მხარე, ქრთამს მისცემდა დაზარალებულს, რათა მისთვის არ ეჩივლა. თუ ასეთი „შინაურული მორიგება“ ქრთამის აღებით შესრულდებოდა და ეს ფაქტი სასამართლოსთვის ცნობილი გახდებოდა, მაშინ სასამართლო იწყებდა საქმის გამოძიებას და დაზარალებულს, რომელმაც ქრთამი აიღო და სასამართლოს გვერდის ავლით მოურიგდა დამნაშავეს, მექრთამედ გამოცხადებდა და დასჯიდა იმგვარად, როგორადაც სჯიდა, საერთოდ, მექრთამეს, ქრთამის ამღებს: „რომელმანცა კაცმა კაცს აგინოს და ჩუმად ქრთამი გაიღოს და შერიგდნენ და მოსამართლესთან აღარ იჩივლონ, ტყუოდა და ქრთამი გაიღო, ამისათვის განიპატიჟოს, ვითარცა ქრთამის ამდებიო.“<sup>127</sup>

სამართლის წიგნის მიხედვით დანაშაულად იყო გამოცხადებული ქრთამით ეკლესია-მონასტერების კუთვნილი მამულების გათარხნებაც.

ეკელსია მონასტრები, როგორც ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური ორგანიზაციები, დიდ მამულებს ფლობდნენ, რომელსაც ამუშავებდნენ მათზე მიწერილი, საეკლესიო ყმები. მამულებიდან ეკლესია-მონასტრები უზარმაზარ შემოსავალს დებულობდნენ. არავის პქონდა უფლება მათი მიწები, თვითნებურად, მიესაკუთრებინა, ანდა სურვილისამებრ გამოეყენებია. მათზე ბაღი, ვენახი, ყანა გაეშენებია, მაგრამ თუ მაინც ვინე ამას ჩაიდგნდა, მაშინ კანონის ძალით მიწაც და მოსავალიც ეკლესია-მონასტრებს დარჩებოდა, ხოლო მის გამშენებულს „ვენახი, ხილი თუ ყანა, ჭირნახული უუელა დაეკარგებოდა“<sup>128</sup>. მიუხედავად კანონის სიმკაცრისა, ქრთამის აღებით მაინც პქონდა ადგილი ეკლესია-მონასტრების მფლობელობაში არსებული მიწების უკანონო გასხვისებას თუ უკანონო გათარხნებას, რაც დიდ უხერხულობას და დავას იწვევდა. ცხოვრებაში არსებული ეს დანაშაულებრივი მოვლენა აიძულებდა კანონმდებელს შეემუშავებინა ნორმა, რითაც დაცული იქნებოდა ეკლესია-მონასტრების ქონება სხვათა ხელყოფისაგან. „მონასტრის მამულს პატრონის უკითხავად ნურავინ გასცემს და ნურცა თავისთვინ დაიჭერენ მონასტრის მამულთა-წინააღმდეგ შემთხვევაში-უკეთუ ვინემ მონასტრის მამული ესრეთ შექმნას, მეფეთაგან იტანჯოს იგი ძლიერად“-ო<sup>129</sup>.

ბერძნული სამართლის წიგნი იცნობდა ე.წ. „ქრთამის ჩავლას“ და წინასწარ შეპირებულ, მაგრამ გადაუხდელ ქრთამს, რაც ქალის მიერ ქრთამის გადებასთან იყო დაკავშირებული.

საერთოდ, ბერძნული სამართლის წიგნი ქალის მაღალ უფლებებზე არ მიუთითებდა. პირიქით, ქალის როლი და სამართლებრივი

<sup>126</sup> დასახ. ნაშრომი, 156

<sup>127</sup> იქვე

<sup>128</sup> ქ.ს. გ. I., ბერძნული სამართალი, თბ, 1963, 181

<sup>129</sup> ქ.ს. გ. I., ბერძნული სამართალი, თბ, 1963, 182

მდგომარეობა დაკნინებულად მოსჩანს. ოჯახში მამაკაცის როლი იყო გაბატონებული, შვილებიც მამას ემორჩილებოდნენ, „მხოლოდ მამას აქუს ხელმწიფება შვილთა თვისთა ზედა, ავის ქნა, გინა კარგისა“<sup>130</sup>. ქალი სამართალში ვერ მივიღოდა, რადგან მას არავინ მოუსმენდა. გამონაკლისი იყო, „თუ მოუკლის ვინმე მამა ანუ შვილი ანუ ბატონი, ანუ ნათესავნი იმ საქმის საჩივლელად მივა სამართალშია და უნდა გაუგონონ. და არა სხვა საქმისათვის მივა, თუ სხვისა რისთვისმე მივიდეს, ნუ გაუგონებენ“-ო<sup>131</sup>. ქალს აკრძალული პქონდა სასამართლოში მოწმედ გამოსვლა, ქმრის თავდებად დადგომა, ცოლის ვალებისათვის ქმარი თავისუფლებოდა პასუხისმგებლობისაგან და ა.შ. ამგვარ უფლებებში წარმოუდგენელი იყო ქალი, როგორც მსაჯული. კანონი მკაცრად აცხადებს; „დედაკაცი მსაჯულად არ დაიყენებიან და არც უფროსად დაიყენებიან, არცა ვეზირობაში დაისმის და არც სხვა საქმე ეკითხვის სახლის მოვლის მეტი“<sup>132</sup>. ამგვარი შეზღუდული უფლებების ფონზე გამონაკლისად ჩანს, როცა კაონმდებული ერთგვარ დათმობაზე წავიდა და არ დააყენა ქალის პასუხისმგებლობის საკითხი შეპირებული და გადაუხდელი ქრთამისათვის. ე.ი. ქალს ვალად არ უთვლიდა გადაუხდელ ქრთამს, ასევე არ აყენებდა ქალის პასუხისმგებლობის საკითხს უკვე გადებული ქრთამისათვის, როცა მისი მხრიდან ქრთამის მიცემა უკანონო ქმედებასთან, მაგრამ დაპატიმრებული ქმრის გამოხსნასთან იყო დაკავშირებული. იმ შემთხვევისათვის, თუ ქალი თავის ქონებას, ქმრის დამკავებლებს წინასწარ მისცემდა და ქმარს გაუთავისუფლებდნენ, ქრთამის სახით გადებული ქონება უკვე „ჩავლილი“ იყო, ე.ი. უკან აღარ დაუბრუნდებოდა, ხოლო თუ ციხის უფროსს ქრთამის მიცემას ქმრის გათავისუფლების შემდეგ შეპირდებოდა, მაგრამ ქალი დაპირებულ ქრთამს ვეღარ გადაიხდიდა, კანონი ქრთამის მიუცემლობისათვის, ე.ი. ვალის გადაუხდელობისათვის არ სჯიდა. „უკეთუ კაცი ვინმე დაიჭიროს და დააბან, და ცოლი მისი მივიდეს და თავისი საქონელი ქრთამად უთხრას ან მისცეს ქმრის გამოსახსნელად, სანამდინ ქმარი მისი საპყრობილიდამ გამოიხსნებოდეს, თუ უწინვე გამოართვეს, ის ქრთამი ჩაივლის, თუ არადა მისი ქმარი გამოუშვეს, მას უკან დედაკაცი აღარას მისცემს და აღარცა ვალი შეჰვეუბა დედაკაცსა“<sup>133</sup>.

მაშასადამე, ქალის ქმედება, დაკავშირებული ქრთამის გადახდასთან, თუ იგი დაპატიმრებული ქმრის გამოხსნას ემსახურებოდა, კანონმდებელის მიერ გამართელებულია და გადაუხდელი ქრთამი ქალს ვალად აღარ შეერაცხებოდა. აღნიშნულ მუხლში, ქრთამთან დაკავშირებით, საინტერესოა კანონმდებლის აზრი, ხომ არ არის აქ ქრთამი კანონიერი გასამრჯელო, საჩუქარი ან სავალდებულო გადასახადი, როცა ქრთამის ამღებნი მექრთამეობისათვის არ ისჯებოდნენ? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან აქ გამართლებულია არა ქრთამის აღება საპყრობილის მოხელეებისაგან, რასაც სხვა მუხლში დავინახავთ, არამედ გამართლებულია თავად ქალის ქმედება, რომ იგი ქმრის გასათავისუფლებად უკან არაფერზე იხევდა და მთელ ქონებას ქრთამად იძლეოდა, აქ ქალის მოქმედება იძუელითია. ცოლის ქმრისადმი

<sup>130</sup> ქ.ს.ძ. გ. I., ბერძნული სამართალი, თბ, 1963, 155

<sup>131</sup> ქ.ს.ძ. გ. I., ბერძნული სამართალი, თბ, 1963, 155

<sup>132</sup> დასახ. ნაშრომი, 154

<sup>133</sup> დასახ. ნაშრომი, 155

მოვალეობა აიძულებდა მას ასე მოქცეულოფო, ხოლო ქრთამის ამღებთა მხრიდან ქრთამის აღება, დანაშაულებრივია და კანონიც მკაცრი იყო იმათ მიმართ, ვინც შეპირებული თუ წინასწარ აღებული ქრთამის გამო, დამნაშავე კაცს გაათავისუფლებდა. სამართლის წიგნის 380-ე მუხლში პირდაპირ არის მოცემული, ამგვარი საქმისათვის ქრთამის დანაშაულებრივი ბუნება და დასჯადობა.

საპყრობილე უშუალოდ მეფეს დამორჩილებული დაწესებულება იყო, სადაც მეფის მიერ დანიშნული მოხელეები მუშაობდნენ: მათი მოვალეობა იყო პატიოსნად შეესრულებინათ მოვალეობანი და ერთგულად ემსახურათ, რისთვისაც გასამრჯელო ეძლეოდათ. მაგრამ თუ საპყრობილეს უფროსი და მისი ხელქვეითნი ბოროტად გამოიყენებდნენ თანამდებობას, ქრთამს აიღებდნენ და პატიმრებს გაათავისუფლებდნენ, ე.ი. დანაშაულს ჩაიდგნდნენ, კანონისაგან მკაცრად იქნებოდენ დასჯილნი. საპყრობილეს უფროსს თაგს მოკვეთავდენ ანდა მთელ ქონებას ჩამოართმევდნენ და ქვეყნიდან გააძევებდნენ. „ვინცავინ სამეფოს საპყრობილის უფროსი იყოს და ვინცავინ მაშიგ პყრობილნი ყუანდეს, და მისგან ქრთამი აიღოს, და ის კაცნი არ დააბან ჯაჭვითა ანუ ხუნდითა და გაუშვან, ანუ რომელმან ბორკილი გააღონ ან ჯაჭვი გატეხონ, იმ საპყრობილეთ უფროსთა თავი მოეჭრის ანუ ექსორია ექმნასო“<sup>134</sup>.

<sup>134</sup> ქს. გ I, ბერძნული სამართალი, თბ. 1963, 215

## ბ) ქრთამი სომხური სამართლის მიხედვით

მეორე უცხოური სამართლის ძეგლი, რომელიც ვახტანგ VI კოდიკოშია შესული, სომხური სამართლია. სომხური სამართლის ქართული ვერსია ორი ნაწილისაგან შედგება: სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიისა და მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსიისაგან.

პირველი V საუკუნის ბოლოს, ბასილიკე კეისრის მეფობაში შედგენილ და აღმოსავლეთში შედგენილ რომაული კანონების სომხურ რედაქციას წარმოადგენს, ხოლო მეორე, ნაწილი რომაული კანონების სომხური ვერსიის თარგმანს, ნაწილი კი მხითარ გოშის მიერ XII საუკუნის ბოლოს შედგენილ „სომხური სამართლის წიგნის“თარგმანს.

ქართული ვერსია სომხური ტექსტების თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, ეს კანონები მოქმედებდა საქართველოს სამეფოს იმ პროვინციებსა და ქალაქებში, სადაც სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა<sup>135</sup>.

სომხურ სამართალში, ისევე როგორც ბერძნულ სამართალში, მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ქრთამის საკითხს და იგი წარმოდგენილია დანაშაულებრივი ქმედების სახით.

სომხურ სამართალს, როცა იგი ქრთამის საკითხს ეხება, უპირველესად, მხედველობაში აქვს მოსამართლეთა უქრთამობა. მოსამართლე დმერთის სიმაღლეზეა აყვანილი, ხოლო მეფე, როგორც უპირველესი მოსამართლე დედამიწაზე, მიჩნეულია დმერთის ტოლად, ოღონდ სააქაო ცხოვრებაში, რომელსაც „სახით მარტო კაცი ეთქმის“, საქმით და სამართლიანობით კი დმერთის მსგავსია.

მოსამართლეებს საქმის სამართლიანად გადაწყვეტა ევალებოდათ. მოსამართლე პირები უნდა მორიდებოდნენ ყველაფერ იმას, რაც აიძულებდა მათ, გაემრუდებინათ სამართალი. მოსამართლეებს უფლება არა პქონდათ შეეძინათ ქონება იმ ადგილებში, სადაც მოსამართლეებად იყვნენ განმწერებულნი. „რომელი იყვნენ მისი მორჩილნი და მისსა ბანებასა ქუეში მყოფნი, რა იყუნენ უფროსად და მოსამართლედ, მათ არ უნდა იყადონ არც ვენახი, არც ბალი და ბოსტანი, არც სახლ-კარი, არც მიწა-წყალი და არცარა სხვა“<sup>136</sup>, რათა არ მოქცეულიყვნენ ვინმეს გავლენის ქვეშ.

სომხური სამართალი მოსამართლეში, უპირველესად, ერთგულ მოხელეს ხედავდა, რომელსაც, რა თქმა უნდა, პატიოსნება და სამართლიანობა მოეთხოვებოდა, მაგრამ ის მაინც აღამინი იყო და რაკი ადამინი იყო, ადვილად შეიძლებოდა ცდუნების წინაშე დამდგარიყო და ქრთამისა თუ სხვა სახის გამორჩენისათვის სამართალი გაემრუდებია. ეს ცდუნება მით უფორ დიდი იქნებოდა, მსაჯული თუ დარიბი იქნებოდა. რათა მოსამართლეს საქმის გარჩევა არ დაზარებოდა, მომჩივრებისთვის გულისყრით მოესმინა, ქრთამი არ აედო და დამნაშავე პირი არ გაემართლებინა, მეფეს, როგორც სახელმწიფოს პატრონს და ხელმძღვანელს, სომხური სამართალი ავალებდა მოსამართლეებისთვის წყალობას, მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას, მათთვის ცხოვრების

<sup>135</sup> დოლიძე ის, სამართალი ვახტანგ მექქსისა, თბ, 981, 8

<sup>136</sup> ქ.ს.ბ. ტ. I, თბ, 1963, 256

ნორმალური პირობების შექმნას, გასამრჯელოთი დაკმაყოფილებას, საჩუქრების მიცემას და ა.შ.

„მართებთ მოსამართლეთა ზედა ხელმწიფეს-უნდა უყოს წყალობად თეთრად და სხვარიგად პატივი სცეს დიდად. მოსამართლეთა აქტო ხელმწიფისაგან, ამიტომ, რომ არ შეზარდნენ სამართლის ქნასა და მოჩივრის მრავლად მისულსა; არც ხელმოკლედ უნდა იყუნენ, რომე ხელმოკლეობისათვის სამართალი არ გაამრუდონ-ო“<sup>137</sup>.

რაკი სომხური სამართლის ნორმები მოსამართლეთა ეკონომიურ მდგომარეობაზე ზრუნავდნენ, სანაცვლოდ, მოსამართლე-მოქადაგეთა მხრიდან მოითხოვდნენ, რათა ყოფილიყვნენ ისინი განსწავლულნი, მცოდნენი, ღირსეულნი, რომლებსაც არ ეყვარებოდათ ფული, არ ექნებოდა შიში და მოხათრება არავის წიანშე, დავას განიხილავდნენ და გადაწყვეტდნენ სამართლიანად: „მოქადაგენი უნდა იყუნენ რიგითა უწინევე მცოდნენი ძევლთა და ახალთა უკლებრივ, წამკითხავი კანონის ბრძანებისა, უშიშრად მოქმედი და კაცი ღირსი, ფილოსოფოსი და თეთრის უმოვარო-ო“<sup>138</sup>. მოსამართლებს შეგნებული უნდა ჰქონდათ, რომ ქრონიკისათვის უსამართლო გადაწყვეტილებათა გამოტანა ღალატი იყო, უპირველესად, იმ ადამიანისა, ვინც მათ მოსამართლეობის უფლებას ანიჭებდა. ეს ადამიანი მეფე იყო. მეფე კი ღმერთის მაგიერია დედამიწაზე, ამიტომ მეფისადმი ღალატი, ღმერთისადმი ღალატს ნიშნავდა. და თუ მაინც, მქადაგებელ მოსამართლეებმა „გაამრუდონ და გაამსუბუქონ, პირვერობით ქნან და მართალი გაამტყუვნონ და მტყუანნი გაამართლონ, იმათთანა მოსამართლეების“<sup>139</sup> მიმართ კანონი მკაცრი იყო. სიმკაცრე სასჯელებში გამოიხატებოდა. სასჯელი კი ხელმწიფიდან, როგორც მოსამართლედ დამნიშნავი პირიდან მომდინარეობდა. მეფე მექრთამე მოსამართლებს თანამდებობიდან გადააყენებდა და სამეფოდანაც აძევებდა, რადგან მათ ვერ შეეგნოთ დაკისრებული პასუხისმგებლობა, ვერ გაეზიარებიათ იმ წერილის შინაარსი, ღმერთმა რომ მისცა მოსეს: „ნუ გაამრუდებთ სამართალსა ქვრივზე და ობოლზე, მოსამართლენო, ნურც ქრონიკითა და ნურც მოტყუებით“<sup>140</sup>.

სამათლის წიგნის მნიშვნელოვანი ადგილი, დათმობილი ჰქონდა საეკლესიო სასამართლოებს და იქ მოღვაწე სასულიერო მოსამართლეთა საქმიანობას. სამართლის წიგნის ნორმები, როგორც საერო მოსამართლეებს, ისე სასულიერო სფეროში მოღვაწე მოსამართლეებს პატიოსანი სამოსამართლო მოღვაწეობისკენ მოუწოდებდა.

იმ პერიოდში, როცა სომხური სამართალი იქმნებოდა და შემდგომ პერიოდებშიც, ეკლესია-მონასტრებს უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური გავლენა გააჩნდათ სახელმწიფოში. შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია-მონასტრები დამოუკიდებელ ავტონომიას წარმოადგენენ და არც თუ ისე იშვიათად, საეკლესიო მოღვაწენი უფრო მაღლა იდგნენ-ხოლმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, ვიდრე საერო ფეოდალები.

საერო წოდების წარმომადგენლები ცდილობდნენ მაღლა საეკლესიო თანამდებობები მათ, და მათ შვილებს დაეკავებინათ. საამისოდ ისინი არც მატერიალურად და არც მორალურად უკან არ

<sup>137</sup> ქ.ს.ძ.. ტ. I, ობ, 1963, 267

<sup>138</sup> ქ.ს.ძ.. ტ. I., ობ, 1963, 277

<sup>139</sup> დასახ. ნაშრომი, 293

<sup>140</sup> დასახ. ნაშრომი, 324

იხევდნენ და ცდილობდნენ მაგანთა მოქრთამვა-მოსყიდვის გზით ეს სურვილი შეესრულებინათ.

ეკლესია-მონასტრებს, როგორც ცალკე ავტონომიურ ფეოდალურ ორგანიზაციას, საკუთარი სასამართლოები ესაჭიროებოდათ ამ ორგანიზაციაში წამოჭრილი დავების გადასაწყვეტად, რადგან საერო სასამართლოებს უფლება არ ჰქონდათ საეკლესიო მოღვაწეთა შორის წამოჭრილი სადაო საკითხებზე სასამართლო პროცესები ეწარმოებინათ.

თუ საერო მოსამართლეებს, სამსაჯულო უფლება მეფისაგან, როგორც სახელმწიფოს უპირველესი მოხელისაგან, ჰქონდათ მინიჭებული, სასულიერო სასამართლოებში მოსამართლედ ხელდასმა მაღალი სასულიერო პირისაგან, კათალიკოსისაგან ხდებოდა.

სომხური სამართალი, მსგავსად საერო პირთა მწყემს-მეფისა, კათალიკოსებს ავალებს, მის მიერ დანიშნულ მოსამართლეებს არ მოაკლოს პატივი და წყალობა: „იმგვარად ეკლესიათა მოსამართლეთა, რომელნი მოქადაგენი ეპისკოპოზნი იყუნენ წყალობა და პატივი კათალიკოზისაგან სჭირდეს სავსედ, ამიტომ რომე არ წაახდინონ სწორი სამართალი ლ-თსად“<sup>141</sup>.

მექრთამეობა და ქრთამის აღებით ნებისმიერი მოქმედების შესრულება დაგმობილია როგორც მოსამართლეთაგან, ისე რიგითი საეკლესიო მოღვაწისაგან. სამართლის წიგნში ცალკე მუხლადაა მოცემული და საგანგებოდ არის მითითებული სასულიერო პირთა ისეთ მანკიერ ნიშანზე, ანუ დანაშაულზე, როგორიც ქრთამით საფლავის მიწების გაცემა იყო.

ამგვარი დანაშაული ცხოვრებაში ხდებოდა და კანონმდებელიც იძულებული იყო შეედგინა ნორმა, სადაც მიუთითა ასეთ საშიშ დანაშაულზე და იმ სასჯელზეც, რომელიც უსინდისო, საფლავის მიწის ქრთამით გამცემ მღვდელებს მოელოდათ.

საეკელსიო პირნი მიუხედავად დაკისრებული მოვალეობისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით გამოწვეული შიშისა, უკან მაინც არ იხევდნენ და პირადი გამორჩენის მიზნით საფლავებს ყიდდნენ. არადა, ამავე სამართლის წიგნის მიხედვით, „საფლავის მიწის ფასი არ არის კანონით“ ე.ი. საფლავის მიწა უფასო იყო. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ხარბი და მექრთამე მღვდლები ამას არად აგდებდნენ და ამიტომაც „გამორთმევა და შეწუხებით თხოვნა ხარბისა და მგლეჯელის მდვდლისაგან მოხდების“<sup>142</sup>-რა, ასეთი მდვდლები ეკლესიიდან გაიყრებოდნენ და განკითხვის დღეს ღმერთისაგანაც მოკითხული იქნებოდნენ. სამწუხაროდ, არც თუ ისე ცოტანნი იყვნენ ხარბი, მექრთამე და სიმდიდრის მოყვარული მდვდლები თუ ეპისკოპოსები. ისეთნი, რომლებსაც პირადი გამორჩენის მიზნით, შეეძლოთ ღმერთის საყდრის კარები გამოეკეტათ, მიუტოვებინათ წირვა-ლოცვები და საქრთამო საქმეზე წასულიყვნენ. ასეთ მდვდელ-ეპისკოპოსებს სომხური სამართლის წიგნი აფრთხილებს: „ნუ იქმონენ საყდრის კარის დაკეტასა და საღმთო ლოცვისა და წირვის მოცდენასა თავის გამორჩომისა და ხარბობისათვის“<sup>143</sup>, თორემ მკაცრად იქნებიან დასჯილნიო.

საეკლესიო თანამდებობებზე ღირსეულნი უნდა ყოფილიყვნენ. ეს სასულიერიც იყო და კანონიც ამას მოითხოვდა. თანამდებობის პირებს,

<sup>141</sup> ქ.ს.დ. ტს I, თბ, 1963, 267

<sup>142</sup> ქ.ს.დ. ტ I, თბ, 1963, 376

<sup>143</sup> ქ.ს.დ. ტ I, თბ, 1963, 355

დმერთის ჭეშმარიტ მსახურებს, სულიერი სიმტკიცისა და დმერთის მსახურების გარდა, ორგანიზაციული ნიჭიც უნდა ჰქონოდათ, რათა სამწყოსათვის რიგიანად ეხელმძღვანელათ.

სომხური სამართალი მიუთითებს, თუ წინამძღვარი გარდაიცვლება, მის ახლო ნათესავებს არ უნდა გაუჩნდესთ სურვილი ნათესაობის გამო, მისი ადგილის დაკავებისა. მაგრამ „თუ ასეთი კაცი იყოს, შეეძლოს გაძლოლა და კრებულთაც უნდოდეს და თვითონაც ღირს იყოს“<sup>144</sup>, მაშინ, შეუძლია დაიკავოს გარდაცვლილი წინამძღვრის ადგილი და მართოს სამწყოო, მაგრამ თუ ნათესავთაგან ღირსი კაცი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ ამავე „კრებულში ან სხვათა გამოარჩიონ კაცი ბრძენი და ღირსი, დაუყენონ მამად და წინამძღვარად“-ო<sup>145</sup>.

საერო პირებს კი ეკრძალებოდათ ჩარეულიყვნენ საეკლესიო-სატაძრო ცხოვრებაში, მაგრამ თუ ჩაერეოდნენ საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნისათვის, დასანიშ პირთაგან ქრთამი არ უნდა აედოთ, პირადი გამორჩენისათვის კრებულის წევრები არ უნდა აეძულებიათ უცოდინარი, პირად ღირსებებს და განსწავლულობას მოკლებული პირი თავიანთ უფროსად დაესვათ: „თავადთაგან არ არის რიგი და მართებული, რომ ქრთამი აიღოს და ვინც უნდოდეს ის დაასმევინონ“-ო<sup>146</sup>.

<sup>144</sup> დასახ. ნაშრომი, 277

<sup>145</sup> იქვე

<sup>146</sup> ქ.ს.ძ. ტ I, თბ, 1963, 277

## გ) ქრთამი მოსეს სამართლის მიხედვით.

ბიბლია ოდესმე დაწერილი წიგნებიდან ყველაზე უძველესია, რადგან მისი ზოგიერთი ნაწილი დაიწერა დაახლოებით 3500 წლის წინ. ის მრავალი საუკუნით უძველესია, ვიდრე რომელიმე სხვა წიგნი, რომელიც წმინდად მიიჩნევა.

ბიბლია, უდიდესი ცნობების შემცველია. იგი ერთნაირად საინტერესოა ისტორიკოსების, გეოგრაფების, ენათმეცნიერების, ლიტერატურათ-მცოდნებისათვის და სხვა დარგის მუშაკებისთვის. მაგრამ ბიბლიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართალმცოდნეთათვის, ვინაიდან, იგი იყო და დღესაც რჩება მორალურ – ზეობრივ კოდექსად, რომლის ნორმების შეუსრულებლობა თვით უზენაესისაგან კონტროლდება და ამ ნორმების დამრღვევთ იგი, თავისი სამსჯავროს წინაშე წარდგომისას, შეუბრალებლად სჯის, სამუდამო ჯოჯოხეთს უსჯის.

როცა უფლის მითითებით მოსემ ისრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა და ადგილმონაცვლეობით უდაბნოში დაჲყავდა, უფალს იგი ხშირად ხვდებოდა. უფალი მოსეს რჩევა – დარიგებებს და მითითებებს აძლევდა. ერთი ასეთი შეხვედრის დროს დმერთმა მოსეს მისცა ფიქალის ქვაზე დაწერილი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები, რომლებსაც თვით უფალმა „რჯული და მცნებები“ უწოდა. შემდეგში უკვე მოსეს სამართლად წოდებული „რჯული და მცნებები“, რომლებიც ბიბლიის ერთ – ერთ ქვაკუთხედად იქცა, ვრცელდება და მისი შესრულება მორწმუნეთათვის სავალდებულო ხასიათს იძენს.

მოსეს სამართალი მართლმსაჯულებას დმერთის საქმედ მიიჩნევს, ხოლო კაცთათვის მსაჯულობას, მოსამართლეობის უფლების მინიჭებას კი - დმერთის ნებად. და რაკი მსაჯულობა დმერთისაგან ბოძებული საქმეა, მოსამართლენი, დმერთის მიბაძვით პატიოსანნი უნდა ყოფილიყვნენ სამართალწარმოების დროს: „მსაჯული, განმგებელი და მწიგნობარი დაიდგინენ თავისა შენისა ყოველთაგან ნათესავთა შენთა, ყოველთა მათ ქალაქთა, რომელ იგი უფალმან დმერთმან შენმან მოგცეს შენ, და სჯიდე ერსა მას სიმართლისა სასჯელითა“-ო.<sup>147</sup>

მოსამართლენი ჯერ დმერთის და მერე ერის წინაშე ვალდებული იყვნენ სიხარბით და ქრთამის ადებით სამართალი არ დაემახინჯებიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მექრთამე მოსამართლეების, მექრთამე მსაჯულების სიტყვებს და გადაწყვეტილებებს ძალა არ ექნებოდათ, რადგან მათ საქმიანობას საფუძვლად ჭეშმარიტება არ დაედებოდა: „ნუ გარდასდრე სასჯელსა, ნუცა სჯიდე თუალდებით, ნუ მიიღებ ქრთამსა, რამეთუ ძღუენმან და ქრთამმან დაუყვნეს თუალნი ბრძენთანი და გარდააქცინის სიტყუანი სიმართლისანი“-ო.<sup>148</sup>

ყოველი მორწმუნე ადამიანის ზრუნვის საგანი სულის გადარჩენა იყო და რაკი დმერთმა ადამიანთა შორის რამდენიმეს, სააქაო ცხოვრებაში, მსაჯულობა მიანდო, ამით ისინი გამოცდის წიაშე დააყენა. მოსე აფრთხილებს მოსამართლე ადამიანებს: „სიმართლით სამართალსა

<sup>147</sup> ქ. ს. ა. ტ 1, მოსეს სამართალი, თბ, 1963, 109

<sup>148</sup> იქვე

შეუდექით, რათა სხცოვნდეთ, შეხვიდეთ და დაიმკვიდროთ ქუეყანა იგი, რომელ უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ“-ო<sup>149</sup>.

მაგრამ ყველა როდი იყო ჭეშმარიტი მორწმუნება, ყველას როდი აშინებდა საიქიო ჯოჯოხეთი, ყველა როდი ზრუნავდა სულის საცხონებლად და ღმერთის სიტყვის „გეცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად და ქრთამი უბრალოსა ზედა არა მოიღო-ს“<sup>150</sup> შესასრულებლად. თვალისმომჰრელი საჩუქარი ბევრ მსაჯულს სააქაო ცხოვრებაში უფრო ერჩივნა, ვიდრე მარადიული სიმშვიდე და ნეტარება საიქიო სამოთხეში. ღმერთმა კარგად უწყოდა, თუ თორმეტ მოციქულთაგან, საყვარელი მოწაფე იუდა, მაინც აღმოჩნდა გამყიდველი და ვერცხლისმოყვარე, ადამიანთა შორისაც იქნებოდნენ მექრთამენი, გამყიდველი და თვალხარბნი, ისეთნი: „რომელნი განამართლებენ უთნოსა ქრთამისათვის და სამართალსა მართლისასა აღიღებენ“. (ფს. 5. 23). ამიტომაც ღმერთის სიტყვის: „უბრალოდ და მართალი არა მოჰკლა და არა განამართლო უდმრთოდ ქრთამითა“-ს (ფს.23.7) უართმყოფელთათვის ერთგვარ მუხრუჭად გათვალისწინებული იქნა წყევლა და კრულვა, როგორც სასჯელი. რელიგიური წყევლა კი, იმ პერიოდშიც და შემდგომშიც, როცა ბიბლიის ხორმები მოქმედი სამართალი იყო, უფრო მძიმე და საშიშია, ვიდრე სხეულებრივი თუ გამაწილებელი სასჯელები: „წყეულ იყავნ, რომელმან მოიღოს ქრთამი მოკვლად სულისა მართლისა... რომელმან დრიკოს სასჯელი მწირისა, ობლისა და ქვრივისად“-ო<sup>151</sup>.

მოსეს სამართლით გათვალისწინებული წყევლა ერთგვარი „სავიზიტო ბარათია“ ღმერთობან მექრთამე მოსამართლეთათვის, და საერთოდ, მექრთამე პირთათვის, ერთგვარი დახსასიათებაა ადამიანისა იმ მარადიული სასჯელისათვის, რომელსაც უფალი ღმერთი ბოროტებს და მექრთამეებს უმზადებს ჯოჯოხეთში მოხვედრით, ხოლო ის პატიოსანი მოსამართლენი: „ვინც ფულს ვახშით არ გასცემს და ქრთამს უდანაშაულოზე არ აიღებს, ამის მოქმედი არასოდეს წაფორხილდება“-ო.(ფს. 14.5) მითითებულია საეკლესიო ტრაქტატში.

მოსეს სამართლის ამგვარი სულისკვეთება გადმოტანილი იქნა მთარგმნელების მიერ მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაშიც. მოსეს სამართალი, რომელიც ბერძნული და სომხური სამართლის ქართული ვერსიების გვერდით საქართველოში პრაქტიკულად გამოიყენებოდა, საერო და სასულიერო პირებს უქრთამო „სიმართლით სამართლის“<sup>152</sup> ბჭობას შთაგონებდა.

ასე რომ, მოსეს სამართალში ქრთამი დანაშაულებრივი შინაარსის მატარებელიია. იგი აქ მოცემულია როგორც უკანონო საჩუქარი, რომელიც აიღება მოსამართლის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიერ, რათა გადაწყვიტოს საქმე საჩუქრის (ამ შემთხვევაში ქრთამის) მიმცემის სასარგებლოდ.

სწორედ იმიტომ, რომ ქრთამი, ყველაზე ძვირფასს, სულს, პრყვნის და ადამიანებს ტკიფილს აყენებს, მექრთამენი სასჯელის გარეშე ვერ რჩებიან და ღმერთის სახელით დაწყევლილთათვის ჯოჯოხეთის კარები ფართოდ იღება.

<sup>149</sup> ქ.ს. ძ. ტ 1, მოსეს სამართალი, ობ, 1963, 109

<sup>150</sup> შანიძე მზექალა, დასახ. ნაშრომი, 26

<sup>151</sup> ქ.ს. ძ. ტ I, ობ, 1963, 125

<sup>152</sup> ქ.ს. ძ. ტ I, ობ, 1963, 140

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უფრო ადრე, ვიდრე ბიბლია შეიქმნებოდა, რაბინულ ლიტერატურაში ქრთამის (რუსულად იგი თარგმნილია როგორც მზიმეს) აღება არ იყო დაკავშირებული დანაშაულთან. პირიქით, იგი წარმოადგენდა გასამრჯელოს მოსამართლებისათვის, მათ მიერ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ.

უძველეს დროში ადამიანები, რომლებსაც საქმეთა გარჩევის უფლება ჰქონდათ მინიჭებული, მარტო მოსამართლის ფუნქციებს არ ასრულებდნენ. მოსამართლენი ამ მოვალეობას საოჯახო, კერძო საქმეების გვერდით აწარმოებდნენ. რადგან სასამართლო საქმეების გარჩევას გარკვეული დრო სჭირდებოდა, მოსამართლე საოჯახო საქმეებს ვეღარ აუდიოდა. იგი წყდებოდა თავის პირად სამუშაოს, ამიტომ გაუკეთებელი საკუთარი საქმეების საკომპენსაციოდ მათ ქრთამს, ე.ი. საზღაურს აძლევდნენ.<sup>153</sup>

თალმუდური კანონი, მაგალითად, პირდაპირ ნებას რთავდა მოსამართლებს სამოქალაქო საქმის გარჩევამდე წინასწარ აეღოთ გასამრჯელო, როგორც საზღაური დაკარგული დროისათვის, ანდა მოსამრათლისთვის მიეცათ კაცი, რომელიც შეასრულებდა მის საოჯახო საქმეებს სასამართლო საქმის წარმოების პერიოდში.<sup>154</sup>

მართალია, მოვინანებით შედგენილმა მიშნაიდურმა კანონებმა უკვე წინ წამოსწიეს ქრთამის დანაშაულებრივი ბუნება და აღიარეს, თუ მოსამართლე საქმის გარჩევისა და გადაწყვეტისას, აიღებდა ქრთამს, მაშინ ქრთამის აღებით მიღებულ გადაწყვეტილებას ძალა არ ექნებოდა, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიშნა საუბრობდა მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მოსამართლენი ქრთამს აიღებდნენ, სწორედ, საქმის სწორად გადაწყვეტისთვის და არა დაკარგული დროისთვის.<sup>155</sup>

მაშასადამე, ქრთამს, ორგვარი მნიშვნელობა და შინაარსი, როგორც დანაშაულებრივი და როგორც კანონიერი გასამრჯელოსი, ჰქონდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამართალი და სამართლებრივი ურთიერთობები ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე იმყოფებოდა.

შემდგომ პერიოდებში ქრთამის, როგორც კანონიერი გასამრჯელოს გვერდით, ფართოდ, მოიკიდა ფეხი დანაშაულებრივმა ქრთამმა. ამიტომაც, მოგვიანებით შედგენილ ებრაულ კანონებში ზუსტად იქნა განსაზღვრული, თუ რა დროს და რა პირობებით ემოსამართლა კაცს. მაგალითად, არ შეიძლებოდა მოსამართლეს გაერჩია იმ ადამიანების საქმე, რომლებიც მას უყვარდა ან სძულდა, მოსამართლეს უარი უნდა ეთქვა იმ საქმის გარჩევაზეც თუ ერთ-ერთი მხარე აღმოჩნდებოდა იმ სასტუმროს მფლობელი, სადაც იგი, ჩვეულებრივ, რჩებოდა ხოლმე, ე.ი. დამეს ათევდა და სხვა.

საინტერესოა, რომ მიშნას კანონებით მოსამართლები, რომლებიც ქრთამს იღებდნენ და ანგარებით წყვეტილები საქმეებს, თითქოსდა, მანამდე არ მოკვდებოდნენ, ვიდრე ჯერ არ დაბრმავდებოდნენ.<sup>156</sup>

მაიმონიდური კანონები დასჯადად აცხადებდა, როგორც ქრთამის ამღებს, ისე ქრთამის მიმცემს, ე.ი. ქრთამის ამღებნიც და ქრთამის მიმცემნიც დამნაშავეები და კანონის დამრღვევნი იყვნენ, რადგან,

<sup>153</sup> Еврейская энциклопедия ред А Гарков и Л Каценельсон С Петербург Т 10 1892 946

<sup>154</sup> Еврейская энциклопедия. ред. А.Гарков и Л.Каценельсон, С.Петербург, Т.10, 1892, 946

<sup>155</sup> იქვე

<sup>156</sup> იქვე

ორივეს, ქრთამის ამღებსაც და ქრთამის მიმცემსაც, ერთი მიზანი, ჭეშმარიტების „განდრეკა“ ამოძრავებდათ<sup>157</sup>.

ასე რომ, უძველესი დროიდან მოყოლებული, ებრაელ ხალხთა მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მოსამართლეთა სამართლიანობაზე, და საერთოდ, უქრთამო მოდგაწეობაზე შექმნილმა კანონებმა ასახვა პპოვა მოსეს სამართალში, და მთლიანად, ბიბლიაში ამიტომაც, ასეთ ნიადაგზე შექმნილი რელიგიური კოდექსი შემდგომ საუკუნეებში არამარტო ებრაელი, არამედ მთელი საქრისტიანო სამყაროს სახელმძღვანელო დებულებად გადაიქცა.

---

<sup>157</sup> Еврейская энциклопедия. ред. А.Гарков и Л.Каценельсон, С.Петербург, Т.10, 1892, 946

### 3. ქრთამი ძველი ქართული კანონიკური სამართლის წიგნების მიხედვით ა) ქართამი „მცირე სჯულის კანონის“ მიხედვით

მე-10 საუკუნის ბოლოს, ქართველი მწიგნობრის ექვთიმე ათონელის მიერ, „შედგენილი იქნა კანონიკური კრებული „მცირე სჯულის კანონის“ სახელწოდებით, რომელიც ქართული კლასიკური კანონიკური მწერლობის სათავეს წარმოადგენს.

„მცირე სჯულის კანონი“, როგორც მას შემდგომში ეწოდა, ე. მთაწმინდელს შეუდგენია ბერძნული კანონიკური მწერლობის სხვადასხვა წყაროების მიხედვით.

თავიდანვე ქართული ეკლესიის სახელმძღვანელოდ გამიზნული, „მცირე სჯულის კანონი“ ფართოდ გამოიყენებოდა საეკლესიო ცხოვრებაში, რასაც მოწმობს ის, რომ იგი ხმარებიდან ვერ განდევნა, შემდგომში, არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილმა „დიდი სჯულის კანონმაც“ კი. „მცირე სჯულის კანონი“, როგორც საეკლესიო სამართლის ძეგლი, ეკლესიის მსახურთა სარწმუნოებრივ და საეკლესიო ცხოვრების უფლება-მოავალეობებს ეხება. იგი მიუთითებს ეკლესიის მსახურთა პატიოსნებაზე, ღვთისადმი შიშვე, ღმერთისა და ერისადმი სამსახურზე, მათ მიერ საღვთო წესების წმინდად დაცვაზე და ა.შ. „რაოთა განეყენებ ყოვლისაგანვე ცოდვისა და ჰმონებდნენ უფალსა მოქალაქობითა კეთილითა, რაოთა მიემთხვენ ცხოვრებასა საუკუნესა“<sup>158</sup>. ეპისკოპოსები, მდვდლები, დიაკონები – აღნიშნულია „მცირე სჯულის კანონში“ – ეკლესიის ყველა მსახური, უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თავის საქმეს, ერთგულად ემსახურებოდეს ღმერთს. მაგრამ „უკუთუ ყუელა საქმესა ამას წარმდებებით იქმოდის“,<sup>159</sup> მაშინ აუცილებლად დაისჯებიან, დაისჯებიან იმის და მიხედვით, თუ როგორია მათი ბრალეულობა ჩადენილ ქმედებაში, როგორი სიმიმისაა ის დანაშაული, რომელიც მათ ჩაიდინეს.

ერთ-ერთი შეუწყნარებელი დანაშაული, სხვა დანაშაულთა შორის, „მცირე სჯულის კანონის“ მიხედვით, მექრთამეობაა.

მდვდელ-მსახური, საეკლესიო ცხოვრებაში სიწმინდის დასაცავად, თანამდებობებზე ღირსებისა და დამსახურების მიხედვით უნდა დანიშნულიყვნენ, მაგრამ „მცირე სჯულის“ სათანადო მუხლების მკაცრი ტონი გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ქრთამის აღებითა და „უკანონო ძღვენით“ ადგილი ჰქონდა უღირსი პირების საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნას. უღირსი ადამინები დანაშაულს ჩადიოდნენ, რომელთაც საეკლესიო წესები არ პატიობდნენ. უღირსი დანიშნულიც და დამნიშვნელიც, ორივე ისჯებოდნენ. ასეთებს საეკლესიო მოღვაწეობას ჩამოაცილებდნენ და ეკლესიიდან დევნიდნენ: „უკუთუ ვინ მდვდელთმოძღვარმან ქრთამითა და საფასისა მიღებითა აკურთხოს ეპისკოპოსი, ანუ ხუცესი, ანუ დიაკონი, ანუ რომელიცა მოწესეთაგანი და სასყიდლის სავაჭრო ყვეს უსყიდელი იგი მაღლი და არა სათხოებისათვის მისცეს მდვდელთობამ, არამედ ქრთამისათვს და საფასისა, ესე ვითარი

<sup>158</sup> გიუნაშვილი ე, მცირე სჯულის კანონი, თბ, 1972, 40

<sup>159</sup> იქვე

იგი მდვდელთმოძღვარი, გინა თუ კათალიკოზი, გინათუ ეპისკოპოსი აღიჯოცონ მდდელობისაგანო“<sup>160</sup>. „მცირე სჯულის კანონი“ კიდევ უფრო დიდ ცოდვად და დანაშაულად თვლის იმ ეპისკოპოსების ქმედებას, ვინც ანგარების გამო, კეთილი, პუმანური მორწმუნის სახელის ქვეშ „პატიოსანსა რასმე სახელსა უწესენ ევლოგიად, და ესე უძვრესი არს, რამეთუ უკუეთუ ვინმე ბოროტსა სახითა კეთილისამთა იქმოდის... რამეთუ იქმს ბოროტსა და სახესა მას, გინა სახელსა კეთილისასა იჯმარებს შემწედ თვისისა ცოდვისა“<sup>161</sup>. ასეთი პირი „ორკეცისა ტანჯვისა დირს არისო“<sup>162</sup>— ამბობს „მცირე სჯულის კანონი“.

დანაშაულად მიაჩინია „მცირე სჯულის“ ავტორს ვერცხლისმოყვარეობის გამო საღვთო „ნიჭის“, საღვთო ცოდნის სხვებისთვის სასყიდლით გადაცემა. მან, რომელმაც „უსასყიდლოდ მიიღო“ საეკლესიო განათლება, თავად კი „სასყიდლად მიჰყიდის“ სხვებს, ჯერ ერთი, რომ „ვერცხლის საფარდულ პყო ეკლესია“, და მეორეც, მან დაივიწყა პეტრე მოციქულის პასუხი სკიმონისადმი, როცა ამ უკანასკნელს „ენება საფასითა მოსყიდად მადლისა მის სულისა წმინდისად“ - პეტრემ უპასუხა- ვერცხლი შენი შენთანვე იყავნ წარსაყმედელად შენდა, რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა პგონებ საფასითა მოპოვებად.“<sup>163</sup> ასეთი საქციელი, გაცილებით მძიმეა მათგან, ვინც შეგნებულად გააკეთებს, ვიდრე „უსწავლელისად მის უმეცრებით თხოვად საფასით მადლისად“.<sup>164</sup>

მძიმე დანაშაულად ითვლება, ასევე მდვდლების მიერ ანგარებით, ქრთამის აღებით ჩატარებული ზიარებაც, „რამეთუ არა ისყიდების მადლი ქრისტესი“.<sup>165</sup>, მაგრამ „უკუეთუ კვუალა იპოოს ვინ მოწესეთაგანი, რომელ წმინდისა ზიარებისათვეს ფასესა რასმე მიიღებდეს, ადიკოცონ ვითარცა მობაძავი სიმონისი, რომელი ვერცხლითა ჭელ-ჟეოფდა სყიდად მადლსა მას სულისა წმინდისასა და ემსილა მოციქულისა პეტრეს მიერ.“<sup>166</sup>

მაშასადამე, „მცირე სჯულის კანონი“ დაუნდობელია მექრთამე, ანგარებიანი საეკლესიო პირების მიმართ. არა აქვს მნიშვნელობა ქრთამი „კურთხევამდე“ იქნება აღებული თუ „პურთხევის“ შემდეგ, რადგან „ესე ერთი არს, გინათუ პირველ მიიღოს, გინათუ -შემდგომად, ქრთამი ეწოდების, რომელი მის პირისა და მის საქმისათვის მიეცეს“<sup>167</sup>.

ექვთიმე ათონელი მკაცრ გაფრთხილებას აძლევს მექრთამე მდვდელმსახურებს, მოქებნონ სხვა ადგილი „სადა ჭელ-ეწიფებოდის ნიჭსა ღმრთისასა სყიდად და განსყიდად, რამეთუ ჩუენდა ეკლესიათა ესე ჩვეულებად არა გუაქუს-ო“<sup>168</sup>.

რა თქმა უნდა ექვთიმე მთაწმინდელისათვის, როგორც სპეტაკი და განათლებული საეკლესიო მოღვაწისათვის, ძალზე ძნელი და გულსატკენი იქნებოდა უზნეო მდვდელ-მსახურების ხილვა, მათ მიერ ქრთამის აღებით გადაწყვეტილ საქმეთა ამბის ცნობა. ამიტომაც მისი

<sup>160</sup> გიუნაშვილი ე, მცირე სჯულის კანონი, ობ, 1972, 41

<sup>161</sup> დასახ. ნაშრომი, 41

<sup>162</sup> დასახ. ნაშრომი, 42

<sup>163</sup> იქვე

<sup>164</sup> იქვე

<sup>165</sup> გიუნაშვილი ე, დასახ.ნაშრომი, 44

<sup>166</sup> იქვე

<sup>167</sup> გიუნაშვილი ე, დასახ. ნაშრომი, 43

<sup>168</sup> იქვე

საეკლესიო სამართლის ძეგლის მკაცრ ბრძანებლურ ტონში მოისმის ვედრება ეკელსიის მსახურთა გასაგონად, რადგან, ვერცხლისმოყუარება ყოველი ბოროტების ძირია, ფრთხილად იყვნენ, სულს ნუ წაიწყმენდენ, ნუ დაემსგავსებიან იუდას, ქრთამის აღებით ნუ შეურაცყოფენ ქრისტეს სახელს, იმ ქრისტე ღმერთისას, რომელიც ჩვენთვის ჯვარს ეცვა, მაგრამ თუ ამ ვედრება-თხოვნას და ვედრება-შეგონებას არად ჩააგდებდნენ, უგულებელყოფდნენ საეკლესიო კანონებს, სხვა გამოსავალი აღარ იყო, უნდა დაისჯილიყვნენ და თანაც მკაცრად: „ხოლო რომელმან უგულებელყოს წესი ესე და კანონი და ქრთამითა და საფასითა აკურთხოს ეპისკოპოსი ანუ მღვდელი, ზემოწერილისა მას კანონსა თანამდებ არს მაკურთხეველიცა და რომელი ქრთამითა იკურთხოს ორივე უდირს არიან და აღჭოცილ მღდელობისაგან-ო“<sup>169</sup>.

---

<sup>169</sup> გიუნაშვილი ქ, მცირე სჯულის კანონი, თბ, 1972, 44

## ბ) ქრთამი „1103 წლის საეკლესიო „ძეგლისწერის“ მიხედვით

საეკლესიო პირთა ქრთამით დანიშვნის საკითხეს ეხება 1103 რუსურბანისის საეკლესიო კრებაზე მიღებული „ძეგლისწერაც“. აღნიშნული საეკლესიო სამართლის ძეგლი შემუშავებული და დადგენილი იქნა დაგით აღმაშენებლის მეფობის პირველ წლებში. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში მექრთამეობა ძლიერად ფეხმოკიდებულ მოვლენად გვევლინება. ქართული საქრისტიანო სამყარო უწმინდურების, გამყიდველობის და ანგარების ჭაობში იყო ჩაფლული. გამოძალვისა და ქრთამის გარეშე ეკლესიის მსახურნი ნაბიჯსაც კი არ დგამდნენ. პატიოსნება და სამართლიანობა დაცინვის ობიექტად იყო ქცეული. ეკლესიის მესვეურნი არავითარ ღონისძიებას არ ატარებდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. თანამდებობებზე დანიშვნისათვის საჭირო იყო ქრთამ-გადასახადები. ღმერთისა და ერის ჭეშმარიტი მსახურნი ეკლესიებიდან იდევნებოდნენ და მათ ადგილს მაღალი წრიდან გამოსული, მაგრამ უზნეო ადამიანები იკავებდნენ. ეკლესიებში გავრცელებული იყო საშინელი სენი, „სოდომური ცოდვაც“. მეტის ატანა უკვე აღარ შეიძლებოდა. თუ ყველა ამ ბოროტებას და უმსგავსობას ბოლო არ მოედებოდა, ქვეყანა უსათუოდ დაიღუპებოდა, ისევე როგორც დაიღუპნენ თავისი დროისთვის განვითარებული სახელმწიფოები. ასეთ ყოფაში ჩავარდნილ საქართველოს მსსნელად დავით მეფე მოევლინა, რომელსაც ხალხმა ქვეყნისათვის თავდადებული სამსახურისთვის „აღმაშენებელი“ უწოდა. სრულიად ახალგაზრდა მეფემ, მეფობის პირველსავე წლებში გადადგა მეტად ძნელი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი და მიუხედავად დიდი და საშიში წინააღმდეგობისა, „უგვანო“ მექრთამე საეკლესიო პირებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. მან პირადი ძალისხმევით, სათანადო პირთ საეკლესიო კრება მოაწვევინა, რომელზედაც მიღებული იქნა ისეთი დადგენილება, რომელმაც ჩიხიდან გამოიყვანა ეკლესია-მონასტრები, და, მაშასადამე, მოელი საქართველო. „ძეგლისწერაში“ კატეგორიული ტონით, ხმამაღლა იქნა გამოცხადებული: ამიერიდან აკრძალული ყოფილიყო ყოველგვარი ქრთამისა და საფასის აღებით პირთა დანიშვნა საეკლესიო თანამდებობაზე. „ძეგლისწერით“ ეკლესია-მონსტრებს ჩამოცილებული იქნენ მექრთამე, ანგარებიანი მსახურნი და ვინც გაფრთხილების მიუხედავად, გაბედავდა და თანამდებობაზე დასანიშნი პირისაგან ქრთამს აიღებდა, ეკლესიიდან იქნებოდა გაძევებული და სამუდამოდ ჩამოერთმეოდა საეკლესიო საქმის წარმოების უფლება. ამასთან ერთად, ასეთ პირს პეტრე მოციქულის მიერ სუმონ მოგვის მსგავსად შეაჩვენებდნენ. შეჩვენება კი მცირე სასჯელი როდი იყო საეკლესიო მოღვაწისათვის: „ხოლო ქრთამისათვს და საფასისა, რომელსა მიიღებენ კელთდამსხმადთაგან, ზემოდგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებრ, განჩინებად ვიკადრებო ჩუქნცა, რათა მოისპოს ეგევითარი იგი ეკლესიისაგან და აღიჭოცოს მდვდელობისაგან, მაგურთხეველისა თვისისა თანა, რომლისა ქმნავ ამიერითგან ნუდარამცა-ვის ეკადრებიეს, რათა არა იგიცა შევსძინოთ, ვითარმედ შეიჩუნოს ვითარცა სუმონ მოგვ პეტრე მოციქულისაგან-ო.“<sup>170</sup> რათა თავიდან იქნას აცილებელი ეკლესიის

<sup>170</sup> ქს. გ. III, თბ., 1970, 116

მსახურთა იძულებითი დათხოვნა, „ძეგლისწერა“ იმეორებს წინამორბედ საეკლესიო სამართლის წიგნის - „მცირე სჯულის კანონის“ გაფრთხილებას, არ აიღონ მსახურებმა ქრთამი, არც საჩუქარი თანამდებობაზე დასანიშნი პირებისაგან: „ნუ-რა-რას“ ნუ ოდეს: ნუცა პირველ გელთდასხმისა, ნუცა ძღვენსა, ნუცა ევოლოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსისაგან, გინა ხუცესდიაკონთა და ხორებისკოპოსთა, ნუცა რად სხუათა სამღდელოსა დასისგანთა ანუ რომელთავე საეკლესიოთა მნეთაგან-ო.“<sup>171</sup>

ქრთამით კურთხევას „ძეგლისწერა“ „ვაი, ქრთამ კურთხევას“ უწოდებს. 1103 წლის „ძეგლისწერის“ შემდგენლებს სურდათ, რათა კათალიკოსები და ეპისკოპოსები, მღვდელები თუ დიაკნები და ა.შ. ყველა მსახურნი საღვთო წიგნებისა და სჯულის ცოდნით გამორჩეულნი ყოფილიყვნებ, უბიწოდ, პატიოსნად დაუცვათ საქრისტინო წესები. თავიანთი ცოდნა და გამოცდილება სხვათაოვის გადაეცათ ყოველგვარი ქრთამის აღების გარეშე, რათა ბიწიერებით და ანგარებით არ დაემკვიდრებიათ საიქიო ჯოჯოხეთური ცხოვრება. „კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორებისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდენ მღვდელი ანუ დიაკონი და შიშითა დმრთისამოთა ემცნებოდენ მას უბიწოდ დაცვად ყოველთავე საქრისტიანოთა წესითად, რათა არა რად მათგანი განსცეს ქრთამისათვს, არცა რად განყიდოს ვეცხლად, ვითარცა იუდა უფალი; რათა არა შიშთვილიცა მისი დაიმკვიდროს-ო.“<sup>172</sup>

<sup>171</sup> ქ.ხ.ღ ვ III, ობ, 1970, 116

<sup>172</sup> ქ.ხ.ღ ვ III, ობ, 1970, 118

## გ) ქრთამი „კათალიკოსთა სამართალის“ მიხედვით

„კათოლიკოსთა სამართალი“ თავდაპირველად შედგენილი იყო, როგორც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სჯული, მაგრამ, შემდგომ მისი მოქმედება მთელ საქართველოში გავრცელდა. „კათალიკოზთა სამართალი“ ეროვნული სჯულმდებლობის მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელშიც ასახულია ქართული კალესიის წესები, მისი კანონმდებლობითი ტრადიცია და პრაქტიკული მოღვაწეობა.“<sup>173</sup>

XVI საუკუნეში შექმნილი სამართლის წიგნი, რომელიც მეოთხე ძეგლადაა შესული ვახტანგის წიგნთა კრებულში, პრაქტიკულად გამოიყენებოდა თვით XVIII საუკუნეშიც. 1773 წლის 7 ოქტომბრის „განჩინებაში დავით-გარეჯის მონასტერსა და ავალიშვილების დავის გამო მამულის თაობაზე“, ბერძნულ და ვახტანგის კანონებთა ერთად, დამოწმებულია კათალიკოზთა სამართალიც, რაც დასტურია იმისა, რომ „კათალიკოზთა სამართლის“ მუხლები ცხოვრებაში მოქმედ ნომრებს წარმოადგენენ.

ისევე, როგორც „მცირე სჯულის კანონსა“ და 1103 წლის საეკლესიო „ძეგლისწერაში,“ ქრთამი დანაშაულად არის გამოცხადებული „კათალიკოსთა სამართლის“ ძეგლშიც.

სამართლის წიგნი პირველსავე მუხლში საუბრობს ქრთამზე, როგორც დანაშაულზე და მექრთამე მოსამართლეს მმიმე სასჯელით, შეჩენებით ემუქრება. შეჩენება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საეკლესიო სფეროში, სიკვდილით დასჯის ტოლფასი სასჯელი იყო.

„კათალიკოზთა სამართალს“ შეუწყნარებელ დანაშაულად მიაჩნდა ადამიანის გაყიდვა. ამგვარი დანაშაულის დაბრალება კაცისათვის ადვილი არ არის. ამიტომაც, „მართლით განკითხვითა და გამოძიებით“ მოითხოვს „კათალიკოზთა სამართალი“ გაყიდვის ყოველი ფაქტის დადგენას. თუ „პაცის სყიდვა“ დამნაშავეს დაუმტკიცდება, სასამრთლო აძლევს მას საშუალებას უკან მოიყვანოს გაყიდული კაცი, მაგრამ თუ ვერ ან არ დააბრუნებს გაყიდულს, დამნაშავე თავს ვერაფრით დაიხსნის.

უცილებლად, დაისჯება ყველა, მიუხედავად იმისა, რომელი წოდების წარმომადგენელიც არ უნდა იყოს ადამიანებით მოვაჭრე. ამგვარი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი მკაცრია. დამნაშავეს ჩამოხრიბდა ელის: „თუ ვერ მოიყუანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადიშვილი უნდა აზნაურიშვილი, უნდა გლეხი, მაშინაც ვერამ საქმემ ვერ იხსნას უკანონდა არს-ძელსა მიეცეს“.<sup>174</sup>

„კათალიკოზთა სამართალს“ უმძიმეს დანაშაულად მიაჩნია რა კაცის გაყიდვა, საგანგებო ყურადღებას იჩენს დამნაშავისათვის გათვალისწინებული სასჯელის შესრულებაზე, რათა მოსამართლეებმა სულმოკლეობა არ გამოიჩინონ, სიხარბემ არ დასძლიოს ისინი, ქრთამი არ აიღონ და დამნაშავეს სასჯელი არ შეუმსუბუქონ, ჩამოხრიბის ნაცვლად მსუბუქი სასჯელი არ შეუფარდონ. მაგრამ გაფრთხილების მიუხედავად, თუ მექრთამე მოსამართლე გაბედავდა და კაცის გამყიდველს სასჯელს შეუმსუბუქებდა, იგი აუცილებლად დასჯილი იქნებოდა, რადგან სასჯელის შემამსუბუქებელმა მოსამართლემ ორმაგი დანაშაული ჩაიდინა. ერთი, რომ ქრთამი აიღო და სამართალს უდალატა,

<sup>173</sup> დოლიძე ის, სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბ, 1981, 34.

<sup>174</sup> ქს. გ. I, თბ, 1963, 393

კანონის მოთხოვნა არ შეასრულა, მეორე - დამნაშავეს, სასჯელის შემმსუბუქებით, სიკვდილი აარიდა, რითაც კვლავ მისცა სხვა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. ე.ი. უდანაშაულო ადამიანები დააყენა დამნაშავისაგან საფრთხის წინაშე. ამ ქმედებისათვის მექრთამე მოსამართლე კაცის გამჟიდველზე არანაკლებ დამნაშავეა რა, „კათალიკოსთა სამართალი“ ამბობს: „ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩუენებულ იყოს წინდათა კრებულთაგან და კანონმსაცა ქუეშე არის წმინდათა მოციქულთასა-ო.“<sup>175</sup> უნდა აღინიშნოს, რომ XVI საუკუნეში შედგენილი „კათალიკოსთა სამართლის“ მუხლები კვლავ იმეორებენ ქართულ საეკლესიო სამართლის წიგნთა მოთხოვნას - ქრთამის გარეშე, საეკლესიო თანამდებობაზე პირთა დანიშვნის შესახებ. ამგვარი შინაარსის მუხლები მუდმივად თან სდევს რა ქართულ კანონიკურ სამართალს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრთამით საეკლესიო პირთა დანიშვნა არცთუ იშვიათი მოვლენა იყო, და რომ მექრთამე, განდიდების მოყვარული, მსახური, ეკლესია-მონასტრებში, ყველა პერიოდში არსებობდნენ. ჭეშმარიტი მონაზონნი იბრძვიან რა ამ მანკიერების წინააღმდეგ, სამართლის ძეგლებში, საეკლესიო დადგენილებებში, თითქმის, უცვლელად გადააქვთ მექრთამე-დამნაშავე მსახურთა მკაცრად დასჯის მოთხოვნა, და ამასთან, მექრთამეობას აცხადებენ, როგორც ერთ-ერთ დიდ ცოდვათაგანს.

„კათალიკოსთა სამართალი“ კრძალავს ეპისკოპოსებისაგან უდირსი მდვდელებისა და დიაკვნების კურთხევას, უდირსი მდვდელებისათვის წირვის უფლების მიცემას, მით უმეტეს, თუ ულირსი მდვდელების და დიაკვნების დანიშვნა ქრთამის აღებით მოხდება. ასევე დასჯადადა გამოცხადებული ქრთამით ეპისკოპოსების, მოძღვართა და წინამძღვართა დანიშვნა. მექრთამე დამნიშვნელიც და ქრთამის გამდები დანიშნულიც, ორთავენი ისჯებოდნენ, მათ აცილებდნენ საღვთო საქმეს და სამუდამოდ აჩვენებდნენ: „რომელმანცა ეპისკოპოზმან უდირსი მდვდელი ანუ დიაკონი აკურთხოს და ანუ იცოდეს მისი უდირსობა, და ანუ წირვა დაანებოს და ანუ ქრთამი აართვას; შეჩუენებულიმცა არის, ვითარცა სუმონ მოგვ-ნურც ეპისკოპოზი, ნურც მოძღვარი და წინამძღვარი ქრთამით ნუ დაიდგინების. ამისათვს სჯულის კანონი ასრე ბრძანებს: შეუნდობელი იყოს მკურთხეველიცა და კურთხევულიცა.“<sup>176</sup>

<sup>175</sup> ქ.ს.დ. გ I, თბ, 1963, 393

<sup>176</sup> ქ.ს.დ. გ I, თბ, 1963, 396

## თავი III

### ქრთამი კერძო სამართლებრივი აქტების მიხედვით

#### ა) „უცოდველი ქრთამი“

საქართველოს მეფის უზენაეს უფლებას, მრავალ უფლებათა შორის, „სამართლის დადება“ ანუ კანონმდებლობის შექმნა და უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელება შეადგენდა, მაგრამ მეფეს, მარტოს, საქართველოში ახალი კანონი არ „დაუდვია“, არამედ კანონებს იგი დარბაზის ერთა თანამშრომლობითა და განხინებით ქმნიდა. მეფეს, რომ „დარბაზის ერთა თანამშრომლობით და განხინებით“ უწარმოებია ქართული კანონმდებლობა, მოწმობს ფეოდალური ურთიერთობის სხვადასხვა პერიოდში შექმნილი სამართლის ძეგლები, რომელთა ნორმებზე დაყრდნობითაც ხდებოდა სასისხლო თუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, მათ შორის ყმების, მიწების, „სახელოების“ ანუ თანამდებობების და სხვა ქონების ყიდვა და წყალობა. რა ფორმითაც და რა ვადითაც არ უნდა მომსადარიყო ყმა-გლეხთა და მიწა-მამულის – საკუთრებისა და სიმდიდრის, ამ ორი ძირითადი ობიექტის გასხვისება, აუცილებელი იყო მათი შესატყვისი ფასის – საზღაურის გადახდა, ანდა ქონების ღირებულების ტოლფასი ვალდებულების შესრულება. მართალია, როგორც ნასყიდობა, ასევე წყალობა საზღაურის გადახდას გულისხმობდა, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც იყო. ნასყიდი ქონება ხელშეუხებელს წარმოადგენდა, მას ვერავინ წაართმევდა მყიდველს და არც ხელმეორედ დამტკიცებას საჭიროებდა. ნასყიდი ქონება მყიდველს მუდმივ საკუთრებაში, განკვარგივს უფლებით გადაუცემოდა. მემკვიდრეც ნასყიდ ქონებას წინააღმდეგობებისა და ხარჯის გარეშე იღებდა. მაშინ, როდესაც წყალობა - დროებითი ხასიათისაა. წყალობა ანუ ბოძება ხდებოდა კონკრეტული პირისათვის ან გარკვეული დამსახურების, ანდა ხევწა-მუდარით საგსე თხოვნის წერილის საფუძველზე. მართალია, მეფეებსა და ცალკეულ ფეოდალებს უფლება ჰქონდათ თავიანთი ქვეშვრდომისათვის წყალობა ეყოთ და განსაზღვრული პირით ქონება გადაეცათ, მაგრამ თუ ნაწყალობევი, ე.ი. დასაჩუქრებული პირი, ან მისი მემკვიდრეები უმაღურობას გამოიჩნდნენ, ერთგულების ფიცს გადავიდოდნენ, მაშინ განსაზღვრული პირით მიღებული ქონების ფლობის უფლება მოესპობოდათ და იგი წინანდელ პატრონს ან მის მემკვიდრეს უბრუნდებოდა.

მაშასადამე, ნაწყალობევი ქონება არ იყო კერძო საკუთრება, არამედ იყო მფლობელობა, რომელიც, ხშირად, მემკვიდრისათვის გადაცემის უფლებითაც ხდებოდა. ასე, რომ ნაწყალობევი ყმა-მამული დროებითი, ან მემკვიდრეობითი მფლობელობა იყო და მის მფლობელს, გარკვეული პირით, ქონების გამოყენების, სარგებლობის და მისგან შემოსავლის მიღების უფლება ჰქონდა. ე.ი. ქონება სახმარებლად

ეჭირა.<sup>177</sup> ნაბოძები ყმა-მამულის მფლობელობა დროთა განმავლობაში, როგორც ამას მეფეთა და კერძო პირთა წყალობის წიგნები მოწმობენ, შეიძლებოდა სათუოდ ქცეულიყო ან მქონებელს სულაც დაეკარგა. ამიტომ, როგორც დასახუქრებულს, ასევე მის მექვიდრეებს, თუ ნაბოძები ქონების შენარჩუნება უნდოდათ, გარდაცვლილის ადგილის დამკავებლისთვის, ახალი პატრონისათვის, უნდა მიემერთათ და ნაბოძებ ქონებაზე ვადის გაგრძელება ეთხოვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბუთს არ ექნებოდა რა განახლების შესახებ დადასტურება, ნაბოძების მფლობელობა მოისპობოდა და მის ნამდვილ პატრონს დაუბრუნდებოდა, ხოლო თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ახალი წყალობის წიგნი გაიცემოდა, რა თქმა უნდა, წყალობის წიგნით მიღებული ქონების მფლობელობის აუცილებელი საზღაურის გადახდის შემდეგ.

ტერმინები „ნასყიდობა“ და „წყალობა“ რომ სხვადასხვა შინაარსის მქონე ცნებები იყო მოწმობს, „დარეჯან დედოფლის მიერ ოქრომჭედლიშვილის ქვრივის მამულის თაობაზე“ განხილული საჩივარი. საჩივარში აღნიშნულია, რომ დავით ურიათყოფილმა ოქრომჭედლიშვილის ქვრივს მოტყუებით, ქრთამის ფასად ოც დღიურამდე „ნაფუზარი“ მიწა გამოართვა, ნასყიდობით გაიფორმა და ნასყიდობის დამადასტურებელი საბუთიც აიღო. ოქრომჭედლიშვილის ქვრივი მიხვდა, რომ დავით ურიათყოფილმა იგი მოატყუა და მოითხოვა, ნასყიდობის და მისი დამადასტურებელი საბუთის გაუქმება. მაგრამ ურიათყოფილი ქვრივს უარს ეუბნება: „მამაშენი მამაჩემმა ვეშაპის პირიდან გამოიყვანაო და ოცი დღის მიწა რომ მიეცესო, რა იქნებოდაო.“<sup>178</sup> ქვრივი იძულებულია მეფის სახელზე საჩივარი დაწეროს, რათა საკუთარი მიწა დაიბრუნოს. საინტერესო მომენტია, თუ ქრთამით მიწის აღება და ნასყიდობა ერთი და იგივე იყო, რატომ უნდა დაჭირვებოდა დავით ურიათყოფილს ქვრივის მოტყუება ან რატომ გახდა იძულებული ქვრივი საჩივარი დაეწერა? საქმე იმაშია, რომ თუ დავით ურიათყოფილს მიწა ნასყიდობით ექნებოდა შეძენილი, შემდგომში ვერც მას და ვერც მის მექვიდრეებს მიწას ვეღარავინ წაართმევდა, ქვრივი კი ასეთი საბუთით, სამუდამოდ, კარგავდა მიწაზე საკუთრებას, ხოლო ქრთამით, დროებით სარგებლობის უფლებით, აღების შემთხვევაში, ვერც დავითი და ვერც მისი მექვიდრეები, მისი დასტურის გარეშე, მიწას ვერ გაასხვისებდნენ. მიხვდა რა ამ საშიშროებას, ოქრომჭედლიშვილის ქვრივმა დროზე მიმართა მეფეს, რათა მისცეს მან ოქმი და იასაული, რომ აბიათარს: „რაც ქრთამში მამული ეჭიროს, ნასყიდობით წიგნი ქონდეს დაწერილი, გამომირთვას და მამცეს ნასყიდობის წიგნიო“.<sup>179</sup>

დარეჯან დედოფალმა საჩივრის განხილვა-გადაწყვეტის დროს, მესაკუთრის ინტერესები დაიცვა, რადგან აშკარა იყო, რომ დავით ურიათყოფილს ქვრივისათვის მოტყუებით გამოუძალია მიწა და ბრძანება გასცა: „ჯარდან ეშიკადასხაშო! ახლავ ერთი ბეჯითი იასაული გაგზავნე: ქრთამით მიწები რომ გამოურთმევია და ნასყიდობით დაუჭერია, ის ნასყიდობის წიგნიც ახლავ აბიათარს უნდა წაართვას და მიწებიც ამ

<sup>177</sup> ჯავახიშვილი ივ, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, ნაკვეთი 2, თბ, 1929, 417

<sup>178</sup> ქ.ხ. ტ. VII, თბ, 1981, 544

<sup>179</sup> იქვე

ოქრომჭედლიშვილს დაანებოს, და ნასყიდობის წიგნის წაურთმევლობა კი არა გზით არ იქნებაო.“<sup>180</sup>

მაშასადამე, „ნასყიდობა“ და „წყალობა“ სხვადასხვა შინაარსის აღმნიშვნელი ცნებებია, და ორგორც გამყიდველს თუ წყალობის გამცემს, ასევე მყიდველს თუ წყალობის მიმღებს, ნასყიდობის თუ წყალობის წიგნების შედგენის დროს ყურადღება უნდა გამოეჩინათ, რათა შემდგომში სადაო არ გამხდარიყო გაცემული საბუთები და მიღებული ქონება. მაგრამ ის კიდ რომ, ორგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში აუცილებელი იყო საზღაურის გადახდა. იმ საზღაურს კი, რომელიც ყიდვისა თუ წყალობის დროს გაიღებოდა, ძველ ქართულ სამართალში ქრომს უწოდებდნენ. ქრომ-საზღაურის ოდენობას, რა თქმა უნდა, ქონების მესაკუთრე განსაზღვრავდა. მყიდველი და წყალობის მიმღები ვალდებული იყვნენ მესაკუთრეთა გულის შემაჯერებელი ქრომი გადაეხადათ, რათა მათი თხოვნა დაკმაყოფილებული ყოფილიყო. ეზია იოსელიანი თხოვნის წერილით მიმართავს მეფე ალექსანდრეს, რათა უწყალობოს მას მიწები. მეფე ალექსანდრემ გაითვალისწინა ეზია იოსელიანის მის წინაშე დამსახურება და მისცა: „სამკვიდრო მამული და სოფელი გუშტიბი და იქ მოსახლენი ორი შვანგირაძე, ორი ჩაფიძე და ერთი მელაძე, თავისი მიწითა, წყლითა, საყანითა, სანადიროთა, ტყე და ველითა, ყოვლის მისის შესავლითა და გასავლითა, საფლავ-სამარხითა“<sup>181</sup>. მეფეს, მართალია, უფლება ჰქონდა ეროგული ქვეშევრდომისათვის მიწების და ყმების წყალის ეკო, მაგრამ ქონებას სათანადო საზღაურის-ქრომის მირთმევის გარეშე ვერ თმობდა, რადგან ქონების, მიწა-მამულის და ყმა-გლეხების გაცემას „საჭურჭლეთა შემოსავლის რაოდენობაზე საგრძნობელი გავლენა ჰქონდა“<sup>182</sup>. ეზია იოსელიანი წყალობისათვის მეფე ალექსანდრეს საზღაურს აძლევს: „ქრომიც სრული გამოგართვით“-აღნიშნულია წყალობის წიგნში. ერთგულების და თავდადებით სამსახურისათვის მეფე, წყალობის სახით, მამულს აძლევს დავით წულუკიძესაც. თავდადებით სამსახურის მიუხედავად, დავით წულუკიძეც ვალდებულია ქრომი გადაუხადოს მეფეს: „ოდესცა დაგვეაჯენით და ქრომი მოგვართვით, რითამცა მამულისა ამის ბოძებითა შეგიწყალეთ და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გაქროამეთ და შეგიწყალეთ და გიბოძეთ: ხონს ხოსროსეული სასახლე და გლეხები“<sup>183</sup>.

დიდი ხევწისა და „ქრომის კარგის“<sup>184</sup> მირთმევის შემდეგ მეფე ბაგრატი ქაიხოსრო წერეთელს და მის შვილებს, დროებით სარგებლობის უფლებით, აძლევს „იაშვილ კაციას, მის ძმას გიორგის, დათუნა და ფაციას მათი ცოლ შვილითაც“<sup>185</sup>. საინტერესოა, დოკუმენტზე გაკეთებული პატარა მინაწერი, რომლითაც ვგებულობთ, რომ ქაიხოსროსთვის წყალობით მიცემული გლეხები მეფეს ადრე ნაწყალობევი ჰქონდა ფალავანდიშვილებისა და თვალიაშვილებისათვის, რომელთაც, ახლა

<sup>180</sup> ქს. გ. VII, თბ., 1981, 544

<sup>181</sup> ბერძნიშვილი 6, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი I, თბ. 1940, 473

<sup>182</sup> ჯავახიშვილი ივ, დასახ. ნაშრომი, 226

<sup>183</sup> ბურჯანაძე შ, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა 1466-1770 წწ., წიგნი I, თბ., 1958, 19

<sup>184</sup> იქვე

<sup>185</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 19

ჩამოართვა და წერეთელს გადასცა: როგორც ჩანს, რაღაც მიზეზით მეფემ, როგორც მესაკუთრემ, ყმა-გლეხები ერთს ჩამოართვა და მეორეს უწყალობა. ასევე უწყალობა მეფემ ქაიხოსრო წერეთელს 1680 წელს შედგენილი წყალობის წიგნით, ფალავანდიშვილების სხვა გლეხებიც. მეფე ბაგრატმა მოისმინა ქაიხოსრო წერეთლის „აჯა-მოხსენება“ და კარგი ქრთამის აღების შემდეგ, მიუბოდა „საფალავანდიშვილო ბასილიძე გიორგი, დათუნა, შიო და ოვანე. მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა . . . მთითა, ბარითა, საძებრითა და უძებრითა.“<sup>186</sup>

მაშასადამე, ქაიხოსროსათვის „მიბოძებული“ გლეხები, ადრე ფალავანდიშვილებს ჰყავდათ, მაგრამ მათ, ეტყობა სერიოზული მიზეზის გამო, მეფის წყრომა დაიმსახურეს. განაწყენებულმა მეფემ საკუთრების იარადი აამოქმედა, ფალავანდისშვილებს ჩამოართვა მფლობელობის უფლება აღნიშნულ გლეხებზე და ისინი ქაიხოსრო წერეთელს, ქრთამის გადახდის შემდეგ მისცა.

ქაიხოსრო წერეთელს არჩილ მეფის მამამაც, თავის დროზე, ქრთამის გადახდის შემდეგ, უწყალობა იონათამა და გიორგი ქავთარაძეები. შემდგომში, ისინი ბაგრატ მეფეს მისთვის გამოურთმევია და გივი ქავთარაძისათვის მიუცია. ახლა, ქაიხოსრო წერეთელი სთხოვს, მისი მამისგან, ქრთამის გადახდით ნაწყალობევი ქავთარაძეების კვლავ მისთვის დაბრუნებას, რისთვისაც ქაიხოსრო წერეთელი არჩილ მეფესაც აძლევს ქრთამ-გადასახადს. ქრთამის მიღების შემდეგ, მეფე მას თხოვნას უცმაყოფილებს. „ბატონს მამაჩემს ქავთარაძეები იონათამ და გიორგი თქვენთვის ებოძა. მერმეთ მეფეს ბაგრატს გამოერთმია და გივის ქავთარაძისათვის ებოძა. მერმე აწე ამის საჭმეზედ დაგვეაჯენით, და ბატონის მამის ჩემის საფიცარი ვერ გავსტეხეთ. ქრთამი თავად ბატონის მამაჩემისთვის მიგერთმიათ და ჩვენც სრული ქრთამი გამოგართვით. შეგიწყალეთ და გიბოძეთ გივი ქავთარაძე, იონათამისსეული, გიორგისსეული, მისის სახლ-კარითა, წყლითა, წისქვილითა, სანადიროთა, სასაფლაოთა, ეკლესიათა, საძებრითა, უძებრითა, შესავლითა, გასავლითა გვიბოძებია“<sup>187</sup>. დოკუმენტიდან ჩანს, რომ პირველი: ერთი ხელისუფალის მიერ ქრთამის აღებით, დროებით სარგებლობის უფლებით „ნაწყალობევი“ ქონება მეორე ხელისუფალს შეუძლია ჩამოართვას მფლობელს და სხვას უბოძოს, მეორე, ახალი ხელისუფალის მიერ ძველი ხელისუფალისაგან წყალობით მიცემული ქონება, აუცილებლად, დამტკიცებული უნდა იქნას, და მესამე, საჭიროა ახალი ბატონისათვის კვლავ ქრთამის მირთმევა და მით ქონების ფლობის ვადის გაგრძელება.

ქრთამის გამორთმევა ხდებოდა არამარტო ახალი ყმების წყალობისათვის, არამედ ბატონისაგან გაქცეული, სხვასთან მისული ყმების დაბრუნებისთვისაც. მარკოზ წერეთელს ნასყიდი ყმები გაეპარნენ და თამარ დედოფალთან მივიდნენ. მარკოზისათვის ცნობილი გახდა რა, რომ მისი ყმები დედოფალ თამართან იმყოფებოდნენ, სთხოვს დედოფალს უკან მათ დაბრუნებას. დედოფალი თამარი უარს არ ეუბნება მარკოზ წერეთელს ყმების დაბრუნებაზე, მაგრამ თანხმობის სანაცვლოდ, აუცილებელია, რომ მარკოზმა დედოფალს ქრთამი მიუტანოს. ქრთამის გადახდის შემდეგ, დედოფალი თამარი წყალობის

<sup>186</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 39

<sup>187</sup> დასახ. ნაშრომი, 34

წიგნს აძლევს მარკოზს: „თქვენი ყმა დოლმაზის მეცხვარის შვილი დათუნა მისის ცოლშვილით წამოგივიდათ და ჩვენ შემოგვეხვეწა ნასყიდი გყოლოდათ და თქვენ დაგვიწყეთ ხვეწნა და ქრთამიც მოგვართვით და ის შენი კაცი დათუნა მეცხვარე მისის ცოლ-შვილით შენვე გიბოძე და შემოგარიგე“<sup>188</sup>.

როგორც დოკუმენტები მოწმობენ, მეფეთა თუ სხვა სოციალურად უფრო მაღლა მდგომი პირის მიერ სოციალურად დაბლა მდგომი პირისთვის წყალობის ობიექტები იყვნენ არამარტო ყმა-გლეხები, არამედ აზნაურები და მოხელეებიც. ალექსანდრე მეფემ ოტია ლორთქიფანიძეს უწყალობა და ხელახლა აქრთამებინა მამის და პაპის უფლი აზნაური შვილები: „დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, ძუელათაც მამის და პაპის-შენის სოული იყო, და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ხოსია ყიფიანი და ბუჭუა მესხი – ეს ორი აზნაური შვილი მათის კეთილის ყოფით, რასაც პატრონი (არიან) ან გლეხის და ან მამულის და ან მიწა-ალაგის, მათის ცოლ-შვილით და ყმით და მოსამსახურით – რისთვისაც - ქრთამიც კარგი მოგვართვი, რარიგათაც ჩვენი გული შესჯერდებოდა-ო“<sup>189</sup>. ხოლო, „სვიმონ აბაშიძის მიერ შიოშ წერეთლისადმი მიცემულ წყალობის წიგნში“ კი საუბარია ხუცესის ბოძებაზე.

შიოშ წერეთლმა თხოვნით მიმართა ბატონ სვიმონ აბაშიძეს, რათა მისთვის მიეცა ხუცესი კაპანაძე მახარობელი, რისთვისაც წინასწარ ბატონ აბაშიძეს ქრთამი მიუტანა. მიღებული ქრთამით კმაყოფილი აბაშიძე, წყალობის წიგნით, მიმართავს შიოშ წერეთლს: „შემოგვეხვეწა და ქრთამიც მოგვართვით, როგორითაც გული შეგვჯერდებოდა, გვთხოვეთ და გიბოძეთ ხუცესი კაპანაძე მახარობელი, მისი შვილი ივანე მათის ცოლ-შვილითა და ალაგითა, მამულითა, მიწა-წყლითა, ტყითა, სასაფლაოთი, საწისქვილოთი და რისაც მქონებელი იყოს, მისის ყოვლის ფერითა“<sup>190</sup>.

მიწა-მამულის და ყმა-გლეხთა წყალობის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა ფაქტორი. მაგალითად, ერთგულებით სამსახური, ბატონისათვის ომში თავდადება, დიდი ოდენობითი ანუ „კარგი ქრთამის“ მირთმევა და ა.შ. წყალობის პირობა კი ერთი იყო, ნაწყალობევი პირი მწყალობლის ერთგული უნდა ყოფილიყო და ასეთად დარჩენილიყო: „გყავდეს და გიბედნიეროს ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შიგან“, <sup>191</sup> „ჩვენი ერთგული და ჩვენი სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმა შეიქნათ და ყოვლის ბატონისას ჩვენი გერჩიოს“ და ა.შ. ასეთი მიმართვებით ამთავრებენ „მწყალობლები“ მათ მიერ გაცემულ წყალობის წიგნებს. მაგრამ თუ ყმა ერთგული არ აღმოჩნდებოდა, „მწყალობელს“ აღვილად შეეძლო ორგული ყმისთვის, აღებულ ქრთამის მიუხედავად, დროებით სარგებლობაში მიცემული ქონება ჩამოერთმია და სხვისთვის გადაეცა.

ლიხთ-იმერეთის უფლისწულმა ბატონი შვილმა არჩილმა, წყალობის წიგნი მისცა ბუჭუა ჯოხთაბერიძეს. წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ ბატონი შვილი არჩილი ბუჭუა ჯოხთაბერიძეს გასწყრომია და მასზე

<sup>188</sup> ბერძენი შვილი ნ, დოკუმენტები საქათველოს სოციალური ისტორიიდან.

წიგნი I, თბ, 1940, 437

<sup>189</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 59

<sup>190</sup> ბერძენი შვილი ნ, დასახ. ნაშრომი, 461

<sup>191</sup> იქვე

გულმოსული ართმევდა ადრე ქრთამით ნაწყალობევ ქმებს- კვამლაძეებს. ჯოხოდა ბერიძე, ამ საწყენი ფაქტის გამო, იძულებული ხდება ბატონიშვილთან მივიდეს, და სოხოვოს, არ წაართვას ქმები. ამასთან, ხელახლა მიაქვს “კარგი ქრთამი”<sup>192</sup>, რათა უფლისწულის გული კვლავ მოიგოს და ქმების წართმევა გადააფიქრებინოს, რასაც მიაღწია კიდეც: „ცოტა რაიმე სამდურავი მოგვიხდა ბატონ-ქმობაში: შეგწყერით და კვამლაძეებს გართმევდით. მერმეთ მოხვედი და შემოგვევეწე, ვისმინეთ ხევწნა და მოხსენება შენი. ქრთამიც ისე მოგვართვი, როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა ისევ ხელახლა წყალობა გიყავით: გვიბოძებია ისევე კვამლაძეები მათის ყოვლისფერით ... დმერთმან გახმაროს ჩემს ერთგულობაში“<sup>193</sup>.

მაშასადამე, „წყალობა“ გულისხმობდა ქმისა და მამულის დროებით სარგებლობაში გადაცემას. ნაწყალობევი ქონების სარგებლობის ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო, ერთის მხრივ, მწყალობელის სამართლიანობაზე, და, მეორეს მხრივ, პირის საქციელზე, თუ რამდენად ერთგული დარჩებოდა იგი მწყალობელი ბატონისა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ტერმინი „ქრთამით“ აღინიშნებოდა არამარტო ქონების წყალობა და წყალობისათვის მიცემული საზღაური, არამედ, ამავე ტერმინით აღინიშნებოდა ყიდვის დროს გადახდილი ფასიც.

მეფე გიორგი XI-ემ მდივანბეგ ვახტანგ ორბელიშვილის წყალობის წიგნით, დროებით სარგებლობაში უბოძა ბეითელმანად დარჩენილი მებაღეთ-ხუცესის ნაქონი სასახლე. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გარდა წყალობად მიცემული ბეითელმანი ქონებისა, ვახტანგ ორბელიშვილისათვის მიუციათ ათინას ნაქონი სახლები. აღნიშნული სახლებში, ისევე როგორც მებაღეთ-ხუცესის ნაქონ სახლებში, მან ქრთამი გადაიხადა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ათინას სახლები ვახტანგმა იყიდა, ქრთამი გადაიხადა: „ამის გარდაო-საუბარია მებაღეთ-ხუცესის ნაქონ სახლებზე - ათინას ნაქონი სახლების წყალობაც გიყავით და ფასიც მიეც და იყიდე. სხვა ზოგი ალაგები კიდევ გეყიდა იქავ მრავალი“<sup>194</sup>. მაშასადამე, სიგელში, ერთის მხრივ, მითითებულია ქრთამის გადახდით უძრავ-მოძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ, მეორეს მხრივ, აღნიშნულია, რომ ვახტანგ ორბელიშვილი ქრთამით ყიდულობს სახლებს და მიწა-მამულს.

ქრთამით ნასყიდობას გულისხმობს „პაპუნა დოქიდისადმი ზაალ ყანჩლელის მიერ მიცემული წყალობის წიგნიც“. ზაალ ყანჩლელს საკუთარი ყმა ახრისელი დათუნა კალატოზიშვილი აეყარა და მოლარეთუხუცეს პაპუნა დოქიდესთან მივიდა. ზაალ ყანჩლელი პაპუნას სოხოვს ყმის დაბრუნებას, ყმას არ სურს მასთან დაბრუნება, ბოლოს მოლარეთუხუცესი და ზაალ ყანჩლელი ერთმანეთში მორიგდნენ, რომ მოლარეთუხუცესმა მისი ყმა იყიდოს, რისთვისაც პაპუნა დოქიდე ყანჩლელს აძლევს ქრთამს: „არც იმ კაცმა გამოიწია ჩვენკენა და შენც დახსნა მოინდომე და ჩვენც გამოგართვით ფასი და სახსარი, რითაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა“<sup>195</sup>. ქრთამის მიცემა, რომ იგივე ყიდვას

<sup>192</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 121

<sup>193</sup> იქვე

<sup>194</sup> თაყაიშვილი ე, საქართველოს სიმველენი. გ II., ტფ, 1909, 141

<sup>195</sup> ბერძენიშვილი ნ, დოკუმენტები საქათველოს სოციალური ისტორიიდან.

წიგნი I, თბ, 1940, 193

ნიშნავდა, მოწმობს „განჩინება მანგლელსა და მისი ძმების საქმეზე“. ვიღაც ანდრომ აბაშიშვილ მანგლელს და მის ძმას ლევანს, როსტომისა და გუგუნას გლეხები მიყიდა, რის გამოც „როსტომ და გუგუნა მანგლელსა და იმის ძმას საქონლის მიბარებასა და სალირაშენზე ქრთამის გადებინებას ედავებოდა და ერთმანეთში დავა ბევრი პქონდათ“<sup>196</sup>. სასამართლომ გაარჩია მათ შორის არსებული დავა და მიიღო გადაწყვეტილება: „და რაც იმას (კ.ი. ანდროს მანგლელისათვის და მისი ძმისთვის) მიეყიდა, იმ გასყიდულს კაცებზედ ხელი ავალებინეთ მანგლელსა და ისევ როსტომსა და გუგუნას დავანებეთ“<sup>197</sup>. მაშასადამე, სასამართლოს განჩინებაში მითითებულია, რომ ადგილი პქონდა ყიდვას, ყიდვისას კი გადახდილი იქნა დირებულება, კ.ი. ქრთამი.

ქრთამი ყიდვის მნიშვნელობით დასტურდება, აგრეთვე „მერაბ წულუკიძის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი მიცემულ ნასყიდობის წიგნში“. მერაბ წულუკიძემ სისხლში აღებული მოდინახის ციხე მიაქრთამა ანუ მიყიდა ქაიხოსრო წერეთელს, იმის შემდეგ, რაც ქაიხოსრო წერეთელმა თხოვნით მიმართა წულუკიძეს მოდინახე ციხის მისთვის მიყიდვის შესახებ: „თქვენ დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა თქვენი, მოგეცით ის ციხე და ქრთამიც მოგვეცით, როგორცა გული შეგვიჯერდებოდა-ო“<sup>198</sup>.

წერეთლის მიერ ქრთამის მიცემა, რომ მოდინახე ციხის ყიდვას ნიშნავდა, თვით დოკუმენტის სახელწოდებითაც დასტურდება. წულუკიძე წიგნის დასაწყისშივე მიუთითებს, რომ მან გასცა არა წყალობის ან ბოძების, არამედ სწორედ ნასყიდობის წიგნი: „ესე ნასყიდობის წიგნი, ფიცი და პირი მოგეცი მე, წულუკიძემ მერაბ, შვილმა ჩემმა გიორგიმ და ქაიხოსრომ თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს და პაატასა.“<sup>199</sup>

ქრთამი ყიდვის მნიშვნელობით მოსჩანს „როსტომ რაჭის ერისთავის მიერ გლახუჩ გლოველისადმი მიცემულ წყალობის წიგნშიც“. გლახუჩ გლოველმა რობუა იაშვილისაგან იყიდა ვენახი და მასში ფასი, კ.ი. ქრთამი გადაიხადა. გლახუჩ გლოველი ქრთამს უხდის არამარტო რობუა იაშვილს, არამედ დიდ ბატონს, რაჭის ერისთავს, რომელიც ქრთამის მიღების შემდეგ დასტურს აძლევს როგორც გლახუჩა გლოველს – მყიდველს, ასევე, რობუა იაშვილს –გამყიდველს, მოახდინონ ვენახის ყიდვა-გაყიდვა. „ჩვენის ნებამყოფლობით რობუა იაშვილისაგან ბარს ვენახი იყიდვ, მეტრეველის კარზედ: მასაც ფასი კარგი მიეცი და ჩვენც კარგი ქრთამი მოგვართვი“<sup>200</sup>. მაშასადამე, რობუა იაშვილისათვის მიცემული „ფასი კარგი“, იგივე ქრთამია, გაცემული ვენახის ყიდვისთვის, ხოლო რაჭის ერისთავისთვის გლოველისაგან მიცემული ქრთამი არის არა ვენახის ფასი, მისი დირებულება, არამედ ყიდვა-გაყიდვის ნებართვისათვის გაცემული ქრთამი. ამ ნებართვის გარეშე ვერც იაშვილი გაყიდდა და ვერც გლოველი იყიდდა ვენახს. საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს გლოველის მიერ ორმაგად, ორი პირისათვის ქრთამის მიცემა და მით ვენახის ყიდვა. საქმე იმაშია, რომ იაშვილს, როგორც ჩანს, ვენახი რაჭის ერისთავისაგან, თავის დროზე, ქრთამის მირთმევით ექნებოდა „ნაწყალობევი“ და არა ნაყიდი, რის გამოც მას

<sup>196</sup> ქს.ძ. ტ IV, ობ, 1972, 335

<sup>197</sup> იქვე

<sup>198</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 44

<sup>199</sup> დასახ. ნაშრომი, 44

<sup>200</sup> იქვე

დამოუკიდებლად მიწის გაყიდვის უფლება არ ექნებოდა და არც ჰქონდა. ნამდვილი მესაკუთრე რაჭის ერისთავია, სწორედ, ამიტომ რობუა იაშვილს, ისევე როგორც გლოველს, ერისთავისგან სჭირდებათ დასტური ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

ქრთამის გადახდით ქონების დროებითი მფლობელობის თუ საკუთრების უფლებით შეძენას ადგილი ჰქონდა არა მარტო საერო პირთა შორის, არამედ ეკლესია-მონასტრების, როგორც დიდი ფეოდალების მხრიდანაც. ეკლესია-მონასტრების წინამდღოლნი მუხლჩაუხელად შრომობენ, ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რათა კიდე უფრო გააფართოვონ ქონება. საერო პირთაგან მათ უხდებათ ყმა-გლეხებისა და მამულების ყიდვა-მოქრთამვა თუ გამოწირვა ანუ გამოსყიდვა, რაც ადვილი საქმე ნამდვილად არ იყო, რადგან შეწირული ქონება ხომ მესაკუთრეთა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო, მაგრამ საეკლესიო პირები საერო ხელისუფალთ არ ეშვებიან. სოხოვენ, ეხვეწებიან, ღმერთის სახელით თუ მათი სულის საოხად, ეკლესია-მონასტრებისათვის ქონების შეწირვას ემუდარებიან და მიზანსაც აღწევენ, თუმცა მათი სურვილი მის შემდეგ მიიღწევა, როცა სათანადო დირებულება-ქრთამი იქნება გაღებული. „დოსითეოზ კათალიკოსის მიერ იტრიის ეკლესიისადმი შეწირულების წიგნზი“ მოცემულია, თუ რის ფასად შეისყიდა თუ მოიქრთამა კათალიკოსმა იტრიის ეკლესიისათვის შესაწირი ყმა-მამული.

კათოლიკოს-პატრიაქმა დოსითეოზმა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ აიძულა მეფე გიორგი მისთვის მიეყიდა სოფელი იტრია, რის შესახებ კიდეც ამბობს: „ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან დოსითეოზ ვიგულე და ვიგულისმოდგინე და დავენუკე მეფეთ-მეფესა გიორგის მოგვებობა და მოგვყიდა სურამის პირსა სოფელი იტრია, დიდის ფასითა“<sup>201</sup>, ასევე, დიდი ფასით იქრთამაგს და ყიდულობს შუველას ხოდაბუნს და ყმა-გლეხებს და ასე „გიორგის მეფისგან მოსყიდულს და მოქრთამებულს“<sup>202</sup> სწირავს მონასტერს. მოსყიდულ-მოქრთამული ქონება, მართლაც, ძვირად უჯდება კათალიკოს, რის შესახებაც აღნიშნავს: „ამის ფეშქაშად მიმირთმევია ერთი მძიმე სირმით შეკერილი ომფორი, შემკული თვალითა და მარგალიტითა და მისის თორმეტის საუფლოთა. ერთი სახელმწიფო სურა და ერთი დოსტაქანი, ერთი სირაჯული ორხოო, ერთი კარგი ნაქსოვი.“<sup>203</sup>

რა თქმა უნდა, ეკლესია-მონასტრების წინამდღოლნი ამჯობინებდენ მამულები და ყმა-გლეხები, ყოველმხრივ „მოუდევარი“ შეეძინათ და შეწირათ, რისთვისაც, როგორც აღვნიშნეთ, არ ერიდებოდნენ “დიდი ქრთამის“<sup>204</sup> ანუ გამოსასყიდი ფასის გადახდას ნატურით თუ ფულით.

ქერძო ხასიათის საეკლესიო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ძალზე ხშირად საერო ხელისუფალთაგან ეკლესია-მონასტრებისათვის ქონების შეწირვა საკუთრების უფლების გარეშე ხდებოდა. მაგრამ, თუნდაც, სარგებლობის და მფლობელობის უფლებითაც კი ქონების შეწირვა ადვილი არ იყო, რადგან გამონაკლისის გარეშე, საერო პირთაგან ეკლესია-მონასტრებისათვის ქონების შეწირვა მის მესაკუთრეთა თავისუფალ ნებას არ ეფუძნებოდა, იმ მიზეზით, რომ ფეოდალებს

<sup>201</sup> ქს. გ მ, 1970, 353

<sup>202</sup> იქვე

<sup>203</sup> ქს. გ მ, 1970, 356

<sup>204</sup> დასახ. ნაშრომი, 353

ქონების გაცემით ეკარგებოდათ მუდმივი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. მართალია, შეწირვის დროს საკუთრების უფლება ისევ მემემულეებს რჩებოდათ, მაგრამ ქონების გამოწირვა, ეკლესიის მსახურთა ზეგავლენით და ღმერთის შიშით, თითქმის, აღარ შეიძლებოდა და მიუხედავად ამისა, საერო პირები, თუკი საშუალება მიეცემიდათ არ თაკილობდნენ ისევ მოექციათ თავიანთ სრულ საკუთრებაში, და მაშასადამე, მფლობელობაში, ერთხელ უკვე ქრთამით გაცემული ქონება. მემამულეთა მხრიდან ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, მფლობელობის ხელშეკრულების შედგენის დროს, ეკლესიის მსახურნი სიგელებს ბოლოში ურთავდნენ საშინელ წყველას: „რამანც კაცმან ბიჭვინთისა ღმრთის-მშობელსა გამოსწიროს ჭალა მონასტრები და რაც მაშინ მამული შესწირეს, რისხვსმცა ღმერთი, მამაი, ძე და სული წმინდა, ყოვლად წმინდად ღმრთისმშობელი, ყოველი წმიდანი ღმრთისანი წევისანი და ქუეყანისანი-ხორციელი და უხორცონი-ო“<sup>205</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ერთი ხელისუფალისგან თუ ბატონისაგან შეწირული - ნაბოძები ქონება, მისი გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრისაგან ხელახალ დამტკიცებას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ძალა ეკარგებოდა და მის ძველ პატრონს უბრუნდებოდა. თავის დროზე მანუჩარ დადიანმა ბიჭვინთის მონასტერს ქონება შესწირა, რისთვისაც მას ქრთამი გადაუხადეს: „თორმეტს ტყუეთ დაფასებული კარავი, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ბედაური ჯორი“, ხოლო როცა მანუჩარ დადიანი მიიცვალა-მას უკან, მის შვილს ლეონ დადიანს მივეც ერთი გაუკუეთებელი სარისანი და ერთი ყირმიზი იაზდური ხავერდი“<sup>206</sup> – აღინიშნავს დოკუმენტში კათალიკოსი ეფთვიმე საყვარელიძე. ე.ი. მანუჩარ დადიანის მემკვიდრეებს რომ კვლავ დაედასტურებინა მამის მიერ მონასტრისათვის გაცემული შეწირულების სიგელი, ექვთიმე საყვარელიძე მას ქრთამს აძლევს.

ბიჭვინთის მონასტრის ქონების გაზრდაზე ზრუნავენ სხვა კათალიკოს - წინამდლოლნიც. გრიგოლ ლორთქიფანიძე საკუთარ თეთრს არ ზოგავს, ყიდულობს, ფასს იხდის, იქრთამავს შესაწირავ უმა-მამულს. „ოდიშს ქუეყანას მეჯეთს დოდელიასეგული ადგილი ბეჟან დადიანისაგან ვიქრთამეთ მისის ყოვლისფერიანთ,“<sup>207</sup> ე.ი. იყიდა, ფასი გადაიხადა, იმდენი, რამდენზეც დადიანის გული დაკმაყოფილდებოდა. გრიგოლ ლორთქიფანიძეს უხდებოდა, არამარტო ახალი მიწების და უმა-გლეხების ყიდვა-მოქრთამვა, არამედ, ერთხელ უკვე ნაყიდი ქონების ხელახლა ყიდვა, მასში ახალი ქრთამის, ფასის გადახდა. კათალიკოსმა ნემსაძემ, თავის დროზე, ბეჟან წულუკიძისაგან უმა-გლეხები იყიდა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო მონასტრისათვის მათი შეწირვა, რითაც ისარგებლეს ლიონ დადიანმა და მისმა მემკვიდრემ და უკანონოდ უკან დაიბრუნეს. გრიგოლ ლორთქიფანიძე იძულებული ხდება ახალ ბატონს ქრთამი მიართვას და მით დაიბრუნოს ერთხელ უკვე ნაყიდი ყმები. ქრთამის გადახდა უხდება, აგრეთვე მას გიორგი მიქელაძის მიერ კათოლიკოს ნემსაძისათვის ნაბოძებ ყმებშიც, რომლებიც, ასევე შეუწირავი დარჩა ნემსაძეს, რომლის გარდაცვალებით ისარგებლა დადიანმა და უკან დაიბრუნა მიქელაძის მიერ ნემსაძისათვის ნაბოძები

<sup>205</sup> ქს. ტ. III, ობ, 1970, 394

<sup>206</sup> ქს. ტ III, ობ, 1970, 395

<sup>207</sup> დასახ. ნაშრომი, 732

გლეხები. „ნემსაძე კათალიკოზს ბეჭან წულუკიძისაგან ეყიდა და შეწირავად დარჩომოდა. კათალიკოზი გარდაიცვალა და დადიანმა ლიონ დაიჭირა. ის დადიანი რომ გარდაიცვალა, მეორეს დადიანისაგან და ბატონის გიორგის ლიპარტიისაგან ჩუენ ვიქრთამეთ და ვიშოვნეთ. კიდევ ოთხი მოსახლე ბარაიები იმავ კათალიკოზის გელშიდ მიქელაძეს გიორგის შეწირა და კათალიკოზისათვის წელიწადში წირვა დაედვა. კათალიკოზი გარდაიცვალა, იმავე დადიანის გამოეწირა, დადიანი გარდაიცვალა; მეორე დადიანისაგან და ბატონის ლიპარტიის გიორგისაგან ჩუენ ვიქრთამეთ“<sup>208</sup>. ასევე უხდება გრიგოლ ლორთქიფანიძეს ნემსაძის მიერ ბაბადიში ხახუასაგან ნაყიდი მირცხულავა ქოჩუას კვლავ გამოსყიდვა სამას მარჩილად დადიანისაგან, რომელსაც ნემსაძის გარდაცვალების შემდეგ უკან წაუყვანია გაყიდული ყმა. მოცემულ შემთხვევაში ყიდვა იგივე მოქრთამგას ნიშნავდა. ქოჩუა მირცხულავა ბაბადიში „მოუდევარ“ საკუთრებას არ წარმოადგენდა, არამედ დიდი ბატონის, დადიანისაგან ჰქონდა ქრთამით შეძენილი, სწორედ, ქრთამით შეძენილი ყმა მიყიდა მან კათალიკოზ ნემსაძეს დადიანის თანხმობით. მაგრამ, როცა ნემსაძე მიიცვალა, ნამდვილმა პატრონმა, ბატონმა დადიანმა ქოჩუა მირცხულავა უკან დაიბრუნა. სწორედ, ამ ყმის დაბრუნებისთვის უხდის გრიგოლ ლორთქიფანიძე დადიანს, ხელახლა, ქრთამს და იბრუნებს უკან ე.ი. ხელახლა ყიდულობს.

გრიგოლ ლორთქიფანიძეს „ქრთამის ამოყვანით“ უხდება გაფანტული ყმების მოძებნა და მონასტრისათვის მათი დაბრუნება. „ახლა ეს ჩვენი შეწირული კაცნი ზოგი რომელიმე სხვათ კათალიკოზის ხელშიდ დაკარგულიყო და ქრთამით ჩვენ ამოვიყვანეთ და ზოგნი ჩვენ ვიშოვნეთ, რომელი საკათალიკოზო ყოფილიყო გავსინჯეთ და ხატის შემატებისათვის და საბოლოვოთ შერჩენისათვის ამ ჩუენ შეწირულს კაცს ყველას ბეგრათ სანთელი დავადგვით“<sup>209</sup>. ამავე დოკუმენტის სხვა აღილას ყმების დაბრუნების შესახებ სწერია არა „ვიქრთამე“, „ქრთამი გადავიხადე“, „ქრთამი მივართვი“, არამედ „ვიყიდე“. მაგ, „მამუკა მიქელაძისაგან ვიყიდე ერთი იქაური ძირი ყმა კახაბერა ფანცულაია და მისი ძმა მახარობელი“<sup>210</sup>. მაშასადამე, ვიყიდე - ფასის გადახდას ნიშნავს, იყიდა, ე.ი. ქრთამი გადაიხადა, თანაც იმდენი, რამდენიც მამუკა მიქელაძის გულს შეაჯერებდა. „ვიქრთამე“-ს ნიშნავს ტერმინი „ამოვიყვანე“. „მეორე მოსახლე ჩემი ამოვიყვანილი იოვანე ფრანგისაშვილი ილია და მისი ძმა გიორგი. . . ავთანდილი ქაბზიანიძე, მახარობელი, ესევი ყველა ტყით, წყლით, მათის ყოვლისფერიანით ამოვიყვანე“<sup>211</sup>. „დათუნა გულავა სენაკის კანდელაკის სისხლშიდ ამოვიყვანე მისის ცოლშვილით“<sup>212</sup> და სხვა. ზემოთ ჩამოთვლილ პირებს, როგორც ჩანს, ვალი აქვთ, რომელსაც ვერ იხდიან. აღნიშნულ ვალს კათალიკოსი იხდის მათ ნაცვლად, ამით კათალიკოსი, ფაქტოურად, ყიდულობს გლეხებს. ე.ი. გრიგოლ ლორთქიფანიძემ, ყმების მაგივრად მათი ვალი გადაიხადა. სამაგივროდ, გლეხებმა თავიანთი თავი კათალიკოსს მიყიდეს. ასე რომ, კათალიკოსმა, ამგვარი მოქმედებით იყიდა, იქრთამა ყმები და

<sup>208.</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 646

<sup>209.</sup> დასახ. ნაშრომი, 730

<sup>210.</sup> იქვე

<sup>211.</sup> იქვე

<sup>212.</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 731

მონასტერს შეწირა. „ამოყვანა“, რომ იგივე ქრთამის გადახდას ანუ ფასის გადახდას ნიშნავდა, მოწმობს დოკუმენტის ერთ ადგილზე აღნიშნული: „დათუნა გულავა სენაკის კანდელაკის სისხლშიდ ამოვიყვანე მისი ცოლშვილით ... მისის უოვლისფერიანად“-ო, „სხვათა კათალიკოსის ხელშიდ დაკარგულიყო და ქრთამით ჩვენ ამოვიყვანეთო-“<sup>213</sup> მაშასადამე, „ამოყვანა“ ქრთამის ანუ ლირებულების გადახდას და ამ გადახდით საკუთრებაში მოქცევას ნიშნავდა.

მონასტრის კუთვნილი ქონების დაკარგვის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო თვით ეკლესიის მსახურთა მხრიდან, ქრთამის გამორთმევით საეკლესიო მამულების დროებით სარგებლობაში გადაცემა, როგორც ეკლესიის მსახურთათვის, ისე საერთ წოდების წარმომადგენლებისთვის. მაგალითად, აფხაზეთის კათალიკოსმა დავით ნემსაძემ წყალობის წიგნით იოვანე ქავთარიას ქრთამის გადახდის შემდგომ უბოძა მონასტრის ყმა დისკუდია<sup>214</sup>. დიაკონმა გიორგი მჭელიძემ ქრთამის მირთმევის შემდეგ ეპისკოპოს გრიგოლისაგან იქრთამა მოსამსახურები. გრიგოლის გარადაცვალების შემდეგ ახალი კათალიკოსი იოსები, ხელახლად, ქრთამის აღებით, კვლავ უდასტურებს გიორგი მჭელიძეს მოსამსახურების მიცემას, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მონასტრის ყმები კვლავ მონასტერს დაუბრუნდებიან.<sup>215</sup>

თავის დროზე იოვანეს და მის ძმას ეკლესიისთვის და დადიანებისათვის ქრთამის მირთმევით მიუღია საეკლესიო, საკანდელაკო გლეხები, რომლებიც ჟამთავითარებისაგან გამორთმეოდა ისევ ეკლესიის მესვეურთაგან. იოვანე და მისი ძმა აფხაზეთის ახალ კათალიკოსს ზაქარიას სთხოვენ ყმების უკან დაბრუნებას და მას წარუდგენენ წყალობის წიგნს, რომლითაც დასტურდება მათ მფლობელობაში ყმების ყოფნა. წყალობის წიგნში მოცემულია საშინელი წყევლა – კრულვა იმათ მიმართ, ვინც იოვანეს უსამართლოდ ამ ყმებს ჩამოართმევს. გენათელი ზაქარია იძულებულია იოვანეს დაუბრუნოს აღრე ქრთამით ნაწყალობევი ყმები. მაგრამ დაბრუნებისთვის აუცილებელია იოვანემ კვლავ გადაიხადოს ქრთამი, წინააღმდეგ შემთხვევაში გენათელი ზაქარია ახალ წყალობის წიგნს არ გასცემს. იოვანეც იხდის ქრთამს, რასაც კათალიკოსი უდასტურებს: „ქრთამიც აგართუით“-ო<sup>216</sup>. ეკლესია - მონასტრების ქონების დაკარგვის მიზეზი ისიც ყოფილა, რომ ურჯულოებით და მძლავრობით თავადები საეკლესიო ყმებს ყიდიან. ეკლესიის წინამდობლებს კი ქრთამის გაღება უხდებათ, თავადთა უზნეობით დაკარგული ყმების დასაბრუნებლად. „კაცია ჩიჩუამ ჩვენი ბიჭვინთის ეკლესიის კაცის შვილები მძლავრობით და ურჯულოებით დაგვიყიდა და ურჯულოთა ოთომანიანთა მისცა წარსაწყმედელად და შესაგინებლად“<sup>217</sup>. სწორედ, ასეთი ქმედებისათვის მაქსიმე კათალიკომა საშინლად დაწყევლა კაცია ჩიჩუას და შეაჩვენა იგი: „ამისთათვს შევაჩვენებ წყეულსა მას კაცია ჩიჩუას და განვახვამ ეკლესიისაგან და განვაყენებ ქრისტეგანობისაგან“<sup>218</sup> –აღნიშნავს მაქსიმე კათალიკოსი.

<sup>213.</sup> ქ.ს.ძ. ტ. III, თბ., 1970, 733

<sup>214.</sup> დასახ. ნაშრომი, 615

<sup>215.</sup> დასახ. ნაშრომი, 897

<sup>216.</sup> თაყაიშვილი ქ, დასახ. ნაშრომი, 86

<sup>217.</sup> ქ.ს.ძ. ტ III, თბ., 1970, 909

<sup>218.</sup> იქვე

თავდაუზოგავი შრომის გაწევა უხდება გენათელ იოსებსაც, რათა გელათის ტაძარს დაუბრუნოს, დიდი ხნით ადრე, დაკარგული ყმა-მამული. „საცა იყო დაბნეული ან გლეხი, ან მამულ-ადგილი იყო და შევიტყვე წიგნით ყველა ამოვიდე, ზოგი თეთრით, ზოგი ცდით და სარჯლით-“<sup>219</sup>.

გენათელ იოსებს წიგნები აქვს, რომლითაც შეუძლია ამტკიცოს, რომ სადაო ყმა-მამული მონასტრისაა, მაგრამ იმდენად დიდი დროა გასული, ხშირ შემთხვევაში, უჭირს უკან გამორთმევა ამჟამინდელი მფლობელისაგან გარკვეული საზღაურის, ქრთამის გადახდის გარეშე. „ჩუნეში და უძლურო ორივე საფიცრით გაცემული იყო და ამოვიყვანე სრულებით ჩემი სარჯლით. რიონს სულაკველიძენი სამი გლეხი დაკარგული იყო და ამოვიყვანე. კორიშს გლეხები, ამოვიყვანე. . . ერთობით ყველა დიდი ცდით და თეთრით მიყიდია“<sup>220</sup>.

მაშასადამე, „ამოვიყვანა“ ფულის ანუ ქრთამის გადახდას გულისხმობს, ქრთამის მიცემა და მით „ამოვიყვანა“ კი - ყიდვას. დოკუმენტის თავშივე გენათელი იოსები მიუთითებს „ერთობით ყველა დიდის ცდით და თეთრით მიყიდია“<sup>221</sup>.

გელათის მონასტრის ქონების გაფართოებაზე მზრუნველია მიტროპოლიტი ეფთვიმეც. მან მეფე სოლომონისგან გამოღმა ბოსლევს საიაშვილო სოფელი და ადგილ-მამული შეიძინა და მასზე გელათის მონასტრის სამკვიდრო ყმები ჭუმბურიძეები და მიქაბერიძეები დაასახლა: „მათის უმაღლესობის ჩემის ჭემწიფის მეფის სოლომონისგან მე, გაენათელ მიტროპოლიტმა ეფთვიმებ გამოღმა ბოსლევს საიაშვილო სოფელი და ადგილ-მამული ვიქრთამე და ჭუმბურიძეები და მიქაბერიძეები დავასახლე“<sup>222</sup>.

მიტროპოლიტ ეფთვიმეს ადვილად არ უხდება ყმა-მამულის შეძენა და მონასტრისათვის შეწირვა. „ვევედრე ჩემს ჭემწიფეს მეფე სოლომონს და როგორც შემეძლო, ქრთამიც ისე მივართვი და იაშვილისხეული მიწა-წყალი და სადაც რამე მისი იყოს ბოსლევს შემავალი ადგილ-მამული, გელათს შევწირე“<sup>223</sup>. მაშასადამე, მიტროპოლიტი ქონების შეძენისათვის ქრთამს იხდის, ქრთამი კი აქ ყიდვის მნიშვნელობითაა მოცემული. საკუთარი თეთრის გადახდით ნაყიდ ყმებს და მიწას ეფთვიმე გელათის მონასტერს სწირავს: „ჩემი ნაშოვარი არის, თეთრი ჩემი საკუთარი არის გაღებული და ისე ნაყიდი მაქვს და ჩემის ეკლესის გელათისათვის შემიწირავს და მისი სამკვიდრო ყმა ჭუმბურიძე და მიქაბერიძე დავასახლე. და ასე დავამტკიცე ეს გარიგებულობა: არასოდეს არ მოიშალოს არც ჩემგან და არცა შემდგომთა ჩემთა გენათელთაგან, ისე საუკუნოდ დამიმტკიცებია“<sup>224</sup>. ასე, რომ ტერმინი „ქრთამი“ დირებულებას ნიშნავს, ხოლო „ვიქრთამე“-„ვიყიდეს“, ვინაიდან მოქრთამული, იმავდროულად, შეიძლებოდა მოსყიდულიც ყოფილიყო.

კერძო ხასიათის სამართლებრივი აქტების შესწავლამ დაგვანახა, რომ ქრთამი თუ დანაშაულებრივი მიზნისათვის გადებული არ იყო, ყველა სხვა შენთხვევაში საჩუქარი, კანონიერი გადასახადი ან საზღაურია

<sup>219.</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 907

<sup>220.</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 907

<sup>221</sup> იქვე

<sup>222.</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 1092

<sup>223.</sup> იქვე

<sup>224.</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 1094

საგნით სარგებლობისათვის, სამოხელეო უფლების მოპოვებისათვის, ნებისმიერი სახის სიკეთის ბოძებისათვის. ვინაიდან ბატონი იყო უძრავ-მოძრავი ქონების და თავისი ყმების მესაკუთრე, წყალობის ნიშნად, უფრო ხშირად კი ხვეწნა მუდარის საფუძველზე გასცემდა ხოლმე მიწა-მამულს თუ ყმა გლეხებს ცალკეულ პირებზე გარკვეულ დროით და გარკვეული საზღაურის-ქრთამის აღების შემდეგ. ასეთი ქმედებით, ბატონი ორ საქმეს აკეთებდა, ერთი რომ მთხოვნელის გულს იგებდა, მას იმადლიერებდა და ერთგულთა რიცხვს ზრდიდა, მეორეს მხრივ, ნაწყალობებ მიწაზე დადებულ გადასახადებით შემოსავალს იღებდა. ბატონის „გულკეთილობით“ ნაბოძებ უძრავ-მოძრავ ქონებას პირი ფლობდა და მით სარგებლობდა ბატონის სიცოცხლის განმავლობაში, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეებისათვის, ფლობის უპირატესი უფლების გამოყენებით, ხელახალი ქრთამის მირთმევით იხანგრძლივებდა „ქრთამით“ ნაშოვნი ქონებით სარგებლობის უფლებას. მაგრამ თუ პირის ოჯახი ისე ამოწყდებოდა, რომ მას მემკვიდრე ადარავინ დარჩებოდა, მიცემული ქონება, ავტომატურად, ბატონს რჩებოდა, რადგან: „უშვილოს კაცის სეული ყოველივე ბატონის იყო.“ უშვილოდ გადაგებულის ქონება ბეითელმანად ე. ი. უპატრონოდ ცხადდებოდა. უპატრონობა კი იმას ნიშნავდა, რომ მას მოსარგებლე და მფლობელი აღარ ჰყავდა. რა თქმა უნდა, ბევრს უჩნდებოდა სურვილი ე. წ. „უპატრონო“ ქონება ბატონისათვის გამოეთხოვა. ბატონს კი, კიდევ ერთხელ ეძლეოდა საშუალება ბეითელმანი ქონება მთხოვნელისთვის მიეცა ქონების შესაბამისი ღირებულების - „ქრთამის“ აღების შემდგომ. ბატონი ქონებას კი მას აძლევდა, ვინც ქონების სარგებლობისათვის მეტ ქრთამს გადაუხდიდა. მაშასადამე, ბეითელმანი ე. ი. უპატრონო ქონების სარგებლობის უფლების გამოთხვისთვის, ბატონისათვის მირთმეულ გადასახადს, რომელიც საბუთებში კანონიერი, ერთდროული საზღაურის სახით არის წარმოდგენილი, ქრთამი ეწოდებოდა.

ბეითელმანი, უშვილოდ ამოწყვეტილის სახლ-კარისა და მიწა-მამულის მთხოვნელი იყვნენ, როგორც გლეხები, ასევე აზნაურები და თავადები. მათ მიერ მისართმევი ქრთამი შეიძლებოდა გამოხატული ყოფილიყო როგორც ფულით, ასევე ნატურით.

გიორგი დადიანის შვილი თხოვნით მიმართავს კაცია დადიანს, რათა უწყალობოს მას დეისა ქოჩაქიძის სოული ადგილ-მამული. იმის შემდეგ, რაც კაცია დადიანი მისგან ქრთამს მიიღებს, იძლევა „საბოლოვოდ გასათავებელ და მტკიცედ შეუცვალებელ წყალობის წიგნს“<sup>225</sup>, რომელშიც აღნიშნულია: „გიბოძეთ ბატონმან დადიანმან კაციამ შენ, ჩემს მმას გიორგის, ასე ამა პირსა ზედა რომ დეისმა ქოჩაქიძის სოულობა გვთხოვთ და ქრთამიც მოგვართვით . . . მომიცემია, გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენს სიყვარულშიდ.“<sup>226</sup>

როსტომ რაჭის ერისთავი დიდად ერთგულსა და კარგის მდომ მერაბ ჯაფარიძეს, თხოვნისა და ქრთამის მირთმევის შემდეგ აძლევს იოსებაშვილის ნაქონ ვენახს. „ვენახი გვთხოვთ, ქრთამიც მოგვართვი,

<sup>225</sup> ე. ბურჯანაძე შ, დასახ, ნაშრომი, 158

<sup>226</sup> იქვე

როგორც გული შეგვიჯერდებოდა, და მოგეცით შეუბანს იოსებაშვილის ურის ნაქონი ვენახი“.<sup>227</sup>

ასევე მიმართავს თხოვნით ბეჭან წერეთელი დვთით გვირგვინოსან მეფეთ-მეფე გიორგის, რათა დაუთმოს მას თავისი განაყოფის, უშვილოდ გადაგებული, ზაალ წერეთლის მამული, გლეხები და სასახლე. მეფე გიორგიც, სათანადო ქრთამის აღების შემდეგ, წყალობის წიგნით, უმტკიცებს სიძეს, ბეჭან წერეთელს, მისი განაყოფის, უშვილოდ გადაგებულის ზაალ წერეთლის მთელ ქონებას: „დაგვეაჯენით, ვისმინე აჯა და მოხსენება თქვენი. თქვენი განაყოფის წერეთლის დავითის შვილის ზაალისსოული მამული, გლეხები და სასახლე, რისაც მქონებელი ის ზაალ ყოფილიყოს. . . გვიბოძებია . . . ქრთამიც მოგვართვი, რარიგათაც ჩვენი გული შესჯერდებოდაო“.<sup>228</sup>

იყო შემთხვევები, როცა ბეითელმანი ქონების გადაცემამდე, მწყალობელსა და მთხოვნელს შორის იდებოდა გარიგება ე.ი. მყარდებოდა ორმხრივი ვალდებულება, რაც წერილობით, საფიცრის წიგნის შედგენით ფორმდებოდა. საფიცრის წიგნით მთხოვნელი ვალდებული იყო დროზე გადაეხადა ქონების ლირებულება – ქრთამი მწყალობელისათვის, ხოლო მწყალობელი ქრთამის აღების შემდეგ ვალდებული იყო მთხოვნელისათვის გადაეცა უპატრონო ქონება და მასთან ერთად სათანადოთ შედგენილი დოკუმენტი – წყალობის წიგნი, რომელიც ადასტურებდა ქონებით სარგებლობის და მფლობელობის უფლებას, მაშასადამე, მთხოვნელსა და მწყალობელს შორის დადებული გარიგება, საფიცრის წიგნით განმტკიცებული ეხებოდა არა ქონების ყიდვას, არამედ სარგებლობის, ფლობის უფლების მოპოვებას. ზურაბ აბაშიძე სიძეს, პაპუნა წერეთელს აძლევს საფიცრის წიგნს, სადაც დადასტურებულია მისი სურვილი ბერუკაშვილის სახლ-კარის მიცემაზე. საფიცრის წიგნში ზურაბ აბაშიძე მიმართავს სიძეს, რომ რაც შეიძლება დროზე გადასცეს მას შეთანხმებული ქრთამი, რათა დროზევე იქნას შესრულებული საფიცრის წიგნით გათვალისწინებული პირობები: „ბერუკაშვილისეული ან სასახლე, ან გლეხები, ყველა მოგვირთმევია და გიბედნიეროს ღმერთმან მკვდრად და შეუცილებლად. რომელსაც ქრთამს დაგვპირდი, თუ ის ადრე გამოგვიგზავნო და გაგვითაო, ჩვენც ეს საფიცარი გაგითაოთ“<sup>229</sup>. გამოდის, რომ „საფიცრის წიგნი“ – ეს არის დოკუმენტი, რომელიც წინ უძღვის წყალობის წიგნის გაცემას და რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი ვალდებულებების შესრულებას. საფიცრის წიგნში მისი გამცემის მხრიდან ფიცის წარმოთქმით გარანტირებული ხდება სარგებლობის უფლების სათანადო პირისათვის მინიჭება.

როგორც აღვნიშნეთ, უმემკვიდრეოდ გადაგებული ოჯახის მთელი ქონება ბატონის საკუთრება იყო. ბატონისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვის მისცემდა უპატრონო ქონებას, უშვილოდ გადაგებულის სახლიკაცს, ნათესავს თუ უცხო გვარის კაცს, მთავარი იყო, ბეითელმანი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემით მისთვის გულის „შემაჯერებელი“ გადასახადი – ქრთამი მიერთმიათ და „ქონების წყალობით“ ერთგული და კმაყოფილი ადამიანები გაემრავლებინა. დავით

<sup>227</sup>. შ. ბურჯანაძე შ, დასახ, ნაშრომი, 115

<sup>228</sup>. დასახ. ნაშრომი, 50

<sup>229</sup>. დასახ. ნაშრომი, 85

კორძაიას, უშვილო ბიძა გარდაეცვალა. ბატონს სურვილი აქვს გარდაცვლილის მაჟული ქრთამით გასცეს. რადგან დავით კორძაიას იმ მომენტისათვის ქრთამის მისაცემი თეთრი არ აქვს, იასე კორძაიას სთხოვს, ბატონს მან გადაუხადოს საზღაური, რათა ბატონმა სხვაზე არ გასცეს გარდაცვლილი უშვილო ბიძის ქონება, ხოლო როცა ფულს იშოვნის მას კუთვნილ ნახევარს უკან დაუბრუნებს. მაგრამ იასე კორძაიამ სრული ქრთამი გადაიხადა რა, ქონება მთლიანად დაისაკუთრა, რაზეც ნაწყენმა დავითმა უჩივლა. „შენ საკუთრათ წიგნი დაიწერე ბატონისაგან და ის ბიძის ჩემისხეული შენ დაიკავე. მე სახლ—კარი, ხარი, ზროხა დავყიდე, თეთრი მოგაყენე, მაგრამ აღარ გამომართვი<sup>230</sup>.“ იასემ უპასუხა, მე გითხარი ნახევარში შემომიდექი, ბატონს ქრთამი მივართვათ, თორემ ბატონი სხვას უბოძებს, სხვას მიაქრთამავს მამულსო. მაგრამ შენ იმ დროს არ ჰქენი, ნახევარში არ შემომიდექი. ამიტომაც გადავიხადე რა საქრთამო, მარტომ, ქონებაც ჩემიაო. „ბატონის ბიძის ჩემისხეულს სხვას აძლევდა, მიბრძანა: ერთგული ხარ ჩემი, ჩემი სასაკუთრო არის, უშვილო კაცისხეული, შენ წყალობას გიზამ, ქრთამს თუ მომცემ, თორემ სხვა გვარის კაცს მივცემო; შენ გითხარი, მაგრამ მაშინ არ შამომიდექი, აღარც ბატონმა ინება თავისი უშვილო კაცისხეული საკუთარ წიგნით მიბოძა და მაქვსო.“<sup>231</sup>

ფეოდალურ საზოგადოებაში მიწა ის საშუალებაა, რომელიც ადამიანის ეკონომიურ მდგომარეობასაც ზრდის და ბატონის ავტორიტეტსაც ამაღლებს. ამიტომაც მისი დათმობა ადვილი არ არის, რასაც ადასტურებს ქართულ სამართლებრივ დოკუმენტებში მმებს, ბიძაშვილებსა თუ სხვა ახლო ნათესავებს შორის უშვილოდ გარდაცვლილი ოჯახის წევრისა თუ ნათესავის ქონებაზე წარმოშობილი დავები, რაც ხშირად მწვავე ხასიათსაც კი იღებდა და დავის გადაწყვეტა სასამართლოს გარეშე აღარ ხერხდებოდა.

მმები ლევანი, დავითი და ზაალი თავისივე მმას სვიმონს ედავებიან, რომ, მიუხედავად ერთმანეთში მოლაპარაკებისა, უცოლშვილო მმისთვის ერთად მოევლოთ, ერთად დაემარხათ და მისი ქონებაც თანაბრად გაეყოთ, ივანეს გარდაცვალების შემდეგ მთელი მამული სვიმონმა დაიკავა, რაშიც საკმაოდ დიდი ქრთამი გადაიხადა, ე.ი. მან ერთდროული გადასახადი ქრთამის სახით ბატონს მიართვა. სასამართლომ გაარჩია მმებს შორის არსებული დავა და გამოიტანა გადაწყვეტილება: „სვიმონს ქრთამი რაც დახარჯოდეს, თავისი მმები ყველა შეუდგეს, და თუ ისე სიტყვით არ დაუჯერონ ქრთამი რა გასლოდეს, სვიმონმა აჯით შეატყობინოს და იმით გარდაუხადონო“<sup>232</sup>.

უშვილოდ გადაგებულის ქონებაზე დაობენ, აგრეთვე მმები ქაქუჩელა და სეხნია ყრუაშვილები, რომელთაგან ერთმა, ქაქუჩელამ ისე იქრთამა ბატონისაგან, უშვილოდ გადაგებული ბაბუის ბუშის ქონება, რომ მმას სეხნიას ამის თაობაზე არაფერი შეატყობინა. სეხნია, რომელსაც არ უნდა დათმოს თავისი წილი მიწები, მმას უჩივის, ჩვენი ბაბუის ბუშის მიწები, რომელიც უშვილო იყო და უშვილოდ გარდაიცვალა უსამართლოდ მიიღე, შენ ჩემთვის უნდა შეგვეტყობინებია, რადგან მეც ჩვენი მამის შვილი ვარ და ბატონისაგან ორივეს უნდა

<sup>230</sup>. ქ.ს.ძ ტ VI, ობ, 1977, 273

<sup>231</sup>. იქვე

<sup>232</sup>. ქ.ს.ძ ტ VI, ობ, 1977, 277

მიგვეფო მიწებით: „ბაბუის ჩუში იყო და ის უშვილო გარდაეგო და შენ მიდი ბატონს ცაგარელთან და მისისეულობა იქრთამე და მე არ შემატებინეო და არც ზიარებას მიპირებო“<sup>233</sup>. ქაქუჩელას არ უარუყვია სეხნიას სასარჩელო მოთხოვნები. მართალია, მე უშენოდ ვიქრთამე-კასუხობს ქაქუჩელა – (ე.ი. მიწის სარგებლობისათვის ბატონს ქრთამი გადავუხადე), მაგრამ თუ ახლა შენ ნახევარში შემომიხვალ (ე.ი. თუ მიცემული ქრთამის ნახევარს მომცემ), მიწების ნახევარი შენი იყოსო: „მართალია, რაც თქვიო, სულ მთელ ქრთამში შემიდექი ნახევარში და ვიზიარებო“<sup>234</sup>.

მეტად საინტერესო XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის დოკუმენტი „განჩინება გიორგი უგანაძისა და შერმაზან ბასილიშვილის მამულის თაობაზე“, რომელშიც საუბარია უმემკვიდრეოდ დარჩენილი ქონების თაობაზე უგანაძესა და შერმაზან ბასილიშვილს შორის არსებულ დავაზე. შერმაზან ბასილიშვილს ბატონისაგან უქრთამებია უშვილოდ გადაგებული ზაალ უგანაძის მამული და ახლა, გიორგი უგანაძე თხოვს შერმაზანს წილს ნაქრთმევი მამულიდან.

სასამართლომ საქმის გარჩევის შემდგომ ბასილიშვილი გაამართლა და ზაალ უგანაძის ნაქრთმევი მამული კანონიერად ჩაუთვალია. აღნიშნული დოკუმენტი იმ მხრივაც არის საიმტერესო, რომ იგი ხანდაზმულობის ვადებზეც მიუთითებს. ე.ი. ქართულ სამართალში ქონების სარგებლობის და საკუთრების ინსტიტუტმა იცის ხანდაზმულობის ვადები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი კანონის დარღვევით ფლობდა ქონებას, მაგრამ გასული იყო საგმაოდ დიდი დრო და ამ ხნის განმავლობაში მოდავე მხარე არ გამოჩენილა, ე.ი. არავის გამოუხატავს პრეტენზია უფლების დარღვევის შესახებ, უკანონოდ მოპოვებულ ქონებაზე მფლობელობას ვედარავინ შეეცილებოდა. ზაალ და იასე უგანაძეები ერთმანეთთან გაუყრელებიც რომ ყოფილიყვნენ, იასეს შვილი გიორგი მაინც ვერ მიიღებდა ზაალის ქონებიდან რაიმე წილს, ვინაიდან შერმაზანის და იასეს გაყრის შესახებ საბუთის თარიღიდან 26 წელია გასული. და რა კი ამ ხნის განმავლობაში უგანაძის მხრიდან არავითარი დავა და მოთხოვნა არ წარმოშობილა, ხანდაზმულობით შერმაზანს ნაქრთამევი მამული თავისად დარჩებოდა. „თუ გინდ რომ ზაალ უგანაძესთან იესე უგანაძე გაუყრელიც ყოფილიყოს, რადგან თავისავე სიცოცხლეში ზაალს სიკვდილის უკან ბასილიშვილს შერმაზანთან გაუყვია და იმ მამულის გაყოფისა და შეფარდებულის ბარათებს ამისი მამა დასჯერებია, მაინც ახლა სამართლით შერმაზანს, იმისი შვილი უგანაძე გიორგი ვედარას შეუვიდოდა, თორემ ამის მოტანილი ბარათები რომ სამართალში გაგშინჯეთ იმ თარიღის უკან ოცდაექვსი წელიწადი არის, სამი ცოლიც გამოუცვლია ამის მამას ამდენს ხანს იმაზე არც უდავნია და არც ერთხელ არ უჩივლია“,<sup>235</sup> ამიტომაც სადაც მამული შერმაზან ბასილიშვილს დარჩა.

როგორც აღნიშნული გვაქს, ყოველგვარი ქონება, მათ შორის ბეითელმანი ქონება, წყალობისას, სარგებლობის უფლებით გაიცემოდა, ამიტომ მექვიდრეებს არ შეეძლოთ ქონება პირდაპირ თავის ქონებად

<sup>233</sup>. ქს.ძ გ VI, თბ, 1977, 502

<sup>234</sup>. იქვე

<sup>235</sup>. ქს.ძ. გ V, თბ, 1974, 95

გამოეცხადებიათ, თუ არ გადაიხდიდნენ კარგ ქრთამს და პატრონი არ მისცემდა მის მფლობელს ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს – წყალობის წიგნს. უშვილოდ გადაგდებულის ნათესავებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მთხოვნელთა შორის უპირველესად, ჯერ მათი სურვილი იქნებოდა გათვალისწინებული, ხოლო თუ ქონების დროებითი სარგებლობის მსურველი ნათესავი არ აღმოჩნდებოდა, ბატონი სხვას მიაქრთამავდა. მაგრამ ეს, ალბათ, იშვიათად ხდებოდა. როგორც წესი, მემკვიდრე ნათესავები დიდი გულმოდგინებით იწყებდნენ ზრუნვას ბატონის გულის მოსაგებად. აღნიშნულისათვის ზრუნვა არამარტო გარდაცვალების შემდეგ, არამედ უშვილო კაცის სიცოცხლეშიც იწყებოდა. მაგალითად, ქაიხოსრო წერეთელმა ბაგრატ მეფეს თხოვნით მიმართა, მისთვის წყალობა ეყო და უშვილოდ დარჩენილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი მის პაატას მთელი ქონება მისთვის ებოძებინა, რათა პაატას გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება მას დარჩენოდა. თხოვნის დასაკმაყოფილებალად ქაიხოსრო წერეთელმა მეფე ბაგრატს „კარგი ქრთამი“ მიართვა: „თქვენი მმა პაატა უშვილო შეიქნა და მისის კერძი მამული თქვენთვისვე მოინდომა მოხვედით ჩვენს კარსა და დაგვეაჯენით და ქრთამიც კარგი მოგვართვით. და შეგიწყალეთ და ჩვენც გიბოძეთ თქვენი მმის პაატას წერეთლის კერძი აზნაურიშვილი, გლეხი და სასახლე და მამული“<sup>236</sup>.

მოცემული დოკუმენტიდან ცხადად ჩანს, რომ ცალკეულ პირებს, რომლებსაც პირდაპირი მემკვიდრეები, შვილები არ ჰყავთ, არ აქვთ უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი საკუთრების თუ სარგებლობის უფლებით შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონების ბედი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე ეხება მმას, მმისშვილს, შვილობილს და ა.შ. უშვილოდ გადაგებული კაცის ქონების განმკარგველი ბატონია. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო და ამიტომაც ქაიხოსრო წერეთელი წინასწარ საქმეს იმზადებს, ქრთამს იხდის და მმის ქონება მის სიცოცხლეშივე წერილობითი დოკუმენტით იმტკიცებს, რომლის რეალიზება ანუ ქონების მფლობელი, მხოლოდ მმის სიკვდილის შემდეგ გახდება. მანამდე კი „სანამდის ცოცხალი იყოს, მას ჰქონდეს, ნურც თქვენ ეცილებით“ და რადგან სოფელმა მისი წესი არ მოიშალოს და მიიცვალოს, თქვენ გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმათ“<sup>237</sup>.

როგორც აღვნიშნეთ ბეითელმანი, უშვილოდ გადაგებულის ქონება, შვილების გარდა, სხვა ახლო მემკვიდრეებზე არ გადადიოდა, მითუმეტეს, შორეულ მემკვიდრეებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, უპატრონო ქონების დაუფლებისათვის საჭირო იყო კანონად ქვეული საზღაურის – ქრთამის მირთმევა ბატონისათვის, რომლის შემდეგ ბატონი დასტურს იძლეოდა უპატრონო ქონების წყალობაზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უშვალოდ მწყალობელის გარდაცვალების შემდეგ, ისე, როგორც სხვა შემთხვევაში, ბეითელმან ქონებასთან დაკავშირებითაც, აუცილებელი ხდებოდა ახალი ბატონისათვის ხელახლა ქრთამის მირთმევა, რათა მფლობელობის და სარგებლობის უფლება ნაწყალობევ, უპატრონო ქონებაზე კვლავ გაგრძელებულიყო.

გიორგი გურიელის მმამ, თავის დროზე, სიამაიშვილებს უწყალობა ცენტრაძისსოული მამული, რისთვისაც ქრთამი გადაიხადა. მისი

<sup>236</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 37

<sup>237</sup> მითოთ. ნაშრომი, 38

გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა მმამ, გიორგი გურიელმა. ეს უკანასკნელი სიამაიშვილებს აძლევს ახალ წყალობის წიგნს, სადაც მათ ხელახლა უმტკიცებს გარდაცვლილი ძმისაგან მათთვის ნაწყალობევ ცენტრამისსოულ მამულს უძრავ-მოძრავი ქონებით, რის სანაცვლოდაც სიამაიშვილებისაგან იღებს გულის შესაჯერებელ ქრთამს: „წყალობის წიგნი ... გიბოძე ჩვენ, ბატონმა გურიელმა გიორგიმ ... ბერს სიამაიშვილს ... რომე ცენტრამისსოული ჩემი ძმისაგან მოცემული გქონდა და მეც მომიცემია, რაც არის მისისევული ... ქრთამიც აგვილია, რაითაც გული შეგვიჯერდებოდა.“<sup>238</sup>

მეფეს, მიწების წყალობა, რასაკვირველია, სახელმწიფო ან სამეფო უძრავი ქონებიდან შეეძლო და, ჩვეულებრივ, ასეთი მიწები თავისუფალი „უმკვიდრონი და უმამულონი უნდა ყოფილიყო“. „უმკვიდრო“ და „უმამულო“ ისეთ უძრავ ქონებას ეწოდებოდა, რომელსაც მემკვიდრეობით მფლობელი და პატრონი არ ჰყავდა<sup>239</sup>. უპატრონო ქონება ყოველთვის მეფის ხელში გადადიოდა და მის დაუკითხავად, მას ვერავინ დაეპატრონებოდა. ლიპარიტის ძე რატი რომ „მოკუდა... და ესრე დასრულდა სახლი ... და აღარავინ დარჩა საყოფელთა მათთა მკვიდრი ... მამული მათი აღიღო შემდგომად მეფემანო“<sup>240</sup>. ე.ი. უპატრონო ქონება სამეფო, სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა და მას თავისი ნებით ვერავინ დაეპატრონებოდა.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქონება ბეითელმანი, უპატრონო, მხოლოდ ოჯახის ამოწყვეტის შემდეგ არ ხდებოდა. სიცოცხლეშივე შეიძლებოდა გაპარტახებულიყო კაცის სახლ-კარი, მიწა-მამული, მთელი ქონება. ჩვენ ვიცით, რომ მეფეთა და დიდებულთა წყალობა დიდად იყო დამოკიდებული მის ხელქვეთთა ერთგულებაზე, მაგრამ, ვინც ბატონისადმი ორგულობაში იქნებოდა შემჩნეული. გაგულისებული ბატონები მოდალატე ქვეშევდრომებს უძრავ-მოძრავ ქონებას ჩამოართმევდნენ და მათი სახლ-კარი პარტახი ხდებოდა. აღნიშნულს ადასტურებს „ევდემონ ქუთათელის მიერ პაპუა აგიაშვილისადმი მიცემული წიგნი“. წიგნში მითითებულია: „ჩემი ორგული კაცი მექმარიაშვილი ეს ახლა პატრიკეთს, და ის მექმარიაშვილი, შენ გაალნე და აგაურევინე: და ყველა მე მომგვარე და მომეციო“<sup>241</sup>. ე.ი. ევდემონ ქუთათელმა ორგულ მექმარიაშვილს დალატი არ აპატია, ამიტომაც პაპუა აგიაშვილის დახმარებით მისი სახლ-კარი „პარტახტად“ აქცია. თავის მხრივ, უპატრონოდ დარჩენილი „პარტახტი“ თავად აგიაშვილს სურს ევდემონ ქუთათელს გამოსთხოვოს და უგზავნის შუამავალს, მისცეს მას მექმარიაშვილისსოული ქონება. ამასთან, მზადაა გადაიხადოს შესაბამისი საზღაური. ევდემონი პაპუა აგიაშვილს უარს არ ეუბნება: „მერმე იმ ჩემის კაცის მექმარიაშვილისსოული პრტახტი გვთხოვე და ქრთამიც მოგვართვი, როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა, ისე გამოგართვით, აწ მოგვიცემია ... გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან-ო“<sup>242</sup>.

<sup>238</sup> ბურჯანაძე შ, ისტორიული დოკუმენტები, იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების (1466-1770წ), თბ, 1958, 147

<sup>239</sup> ჯავახიშვილი ივ, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, ნაკვეთი 2, თვე, 1929, 228

<sup>240</sup> დასახ. ნაშრომი, 290

<sup>241</sup> ქ.ს.ძ. ტ III, თბ, 1970, 710

<sup>242</sup> იქვე

მაშასადამე, სოციალურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მაღლა მდგომი პირი, მასზე უფრო დაბლა მდგომს, ქრთამის ფასში, „საჩუქრად“ გარკვეულ ქონებას აძლევდა. ქონება შეიძლება ყოფილიყო ეველაფერი, რისგანაც დასაჩუქრებული პირი სარგებელს მიიღებდა. „ჩუქებას“ ქართული სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით, როგორც უპმ ვნახეთ, „წყალობა“, „შეწყალება“ ან „ბოძება“ ეწოდებოდა, ხოლო ასეთ საჩუქარს „ნაწყალობევი“, „ნაბოძვარი“ ერქვა. „ნაწყალობევი“ თუ „ნაბოძვარი“ ქონების „ჩუქება“, „შეწყალებულს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა: კერძოდ, „დასაჩუქრებული“ პირი მწყალობელის ერთგული უნდა ყოფილიყო.

მართალია, ქონების ფლობისა და სარგებლობისათვის პირის უპირველესი მოვალეობა ერთგული სამსახური იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელი იყო მწყალობელისათვის ერთჯერადი გადასახადის - ქრთამის გადახდაც.

გარდა იმისა, რომ მთხოვნელი ქონების სარგებლობის და მფლობელობის უფლების გამოთხოვისათვის იხდიდა ერთჯერად ქრთამ-გადასახადს, ვალდებულება ამით არ მთავრდებოდა და პერიოდულად ნაწყალობევი პირი ვალდებული იყო, სხვა ქონების მსგავსად, ნაბოძებ ქონებაზეც ეხადა დადებული გადასახადებიც. გადასახადები უამრავი სახის არსებობდა, და როგორც წესი, მათი უმრავლესობა უძრავ ქონებაზე - მიწაზე მოდიოდა. გადასახადს იხდიდა ეველა: ყმა-გლეხიც, აზნაურიც და თავადიც. თავად-აზნაურთა გადასახადების გადახდა თუმცა ყმა-გლეხების მხრებზე გადადიოდა, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, თავად-აზნაურთა საერთო ქონებიდან გადიოდა. ე.ი. გადასახადი ედო როგორც ყმა-გლეხის, ასევე აზნაურის და თავადის მამულს, ყველაფერ იმას, რასაც პირი ფლობდა. მამულზე დადებულ და მამულიდან ასაკრეფ გადასახადებს კრებით სახელად ქრთამი ეწოდებოდა: „დღეის იქით რაც მამულიდამ ან სასვიანო ან საჭრივო ან გასამყრელო ან მამულის ქრთამი მოვიდეს ოთხ წილად იქმოდენ-ო.“<sup>243</sup>

მამულზე, ქონებაზე დადებულ გადასახადებს, რომ ქრთამი ერქვა მოწმობს XVII საუკუნის II ნახევრის დოკუმენტიც „კათალიკოზის სალოთხუცესის რიგის და შესავლის“ შესახებ. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ყოვლის მამულის გამოსავალი, იმას ეკითხებოდეს, რაც ან სახასო მამული არის და ან სოფელი, ან აზნაურისშვილისა და ან მსახურის გამოსაღები და მოსავალი არის, სულ უკლებლად სახლოთხუცესმა შემოაგროვოს პური თუ დვინო რაც რამ ფერი“<sup>244</sup>. ასე, რომ სახლოთხუცესია პასუხისმგებელი „მამულის გამოსავლაზე“, მან უნდა „შემოაგროვოს“ „პური თუ დვინო რაც რამ ფერი“. სახლოთხუცესს მარტოს თუ გაუჭირდება „მამულის გამოსავლის“ „შემოგროვება“ უფლება აქვს დაიხმაროს ნაცვალი, მამასახლისი და მდივანი. გადასახადების ანუ „მამულის ქრთამის“ მთლიანად აკრეფის შემდეგ, სახლოთხუცესს ევალება ბატონს ეახლოს და ანგარიში მიართვას. სახლოთხუცესი ბატონთან დაახლოებული, მისი სამეურნეო საქმეების მომწერიგებელი პირია. იგი ბატონის შემდეგ, მის მამულში მეორე პირად მოსჩანს, რომლის უკითხავად „სოფელში საქრთამო“ თუ სხვა ნებისმიერი საქმე ვერ გადაწყდება. მხოლოდ სახლოთხუცესია

<sup>243</sup> ქ.ხ.მ. ტ IV, თბ, 1972, 191

<sup>244</sup> ქ.ხ.მ. ტ III, თბ, 1970, 573

უფლებამოსილი ბატონს მოახსენოს მის საურისდიქციო ტერიტორიაზე წამოჭრილი საკითხები, და მისგან მიღებული პასუხების მიხედვით იმოქმედოს: „სოფელში საქართველო იყოს თუ ჯურემი ან სხვა რაც გასარიგებელი ანუ კაცი დასასახლებელი იყოს, ანუ სხვა რაც გასარიგებელი იყოს, სოფლის მოურავმა და მოხელეებმა სახლოუბუცესს გაასინჯოს და სახლოებუცესმა ბატონს მოახსენოს და ისე გაარიგონო.“<sup>245</sup>

ფეოდალურ საქართველოში, მეტ-ნაკლებად, სოციალურად მაღლა მდგომი საზოგადოება „მამულის ქრთამით“ ცხოვრობდა. მართალია, „მამულის ქრთამის“ თვითხებური გადაუხდელობა არავის ეპატიებოდა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, გამონაკლისები მაინც ხდებოდა და ბატონები თავიანთ ქვეშევრდომებს მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებდნენ გადასახადების გადახდისაგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადებისაგან გათავისუფლება არ იყო მთლიად უპირობო გათავისუფლება. რადგან, ჯერ ერთი, აუცილებელი იყო, გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული პირი ბატონის „ერთგული“, „მაამებელი“ და „კაის მდომი ყმა“ ყოფილიყო, მეორეც, ბატონისათვის უნდა მიერთმიათ ერთჯერადი საჩუქარი. საჩუქარი, რომელსაც კერძო ხასიათის სამართლებრივ დოკუმენტებში ქრთამი ჰქვია.

შოშიგა მიქელაშვილი და მისი ძმები თხოვნით მიმართავენ სეხნია ტატის-შვილს, გაანთავისუფლონ „საფქუავის“ გადახდისაგან. სეხნია ტატის-შვილი შოშიგა მიქელაშვილს აძლევს თანხმობას და მასთან ერთად წყალობის წიგნს: „საფქუავი ამოგიკვეთეთ, ვერამ ჩვენმან მონათესავემ კაცმან თქუენ საფქუავი ვერ დაგაფქმევინოს და არაოდეს არ მოგეშალოს ეს ჩვენგან ნაბოძები წიგნი“<sup>246</sup>. ამგვარი წყალობისათვის შოშიგამ შესაფერი ქრთამი გადაიხდა. „თქუენც ჩვენთვინ მოგირთმევიათ ქრთამი, რითაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა-ო“<sup>247</sup>.

ქრთამის გადახდით შესაძლებელი იყო არამარტო ერთი სახის გადასახადისაგან გათავისუფლება, არამედ, საერთოდ, გადასახადებისაგან მთლიანი გათავისუფლებაც. „ბანა ჩხეიძისადმი სოლომონ მეფის წყალობის წიგნში“ ვკითხულობთ, რომ ბანა ჩხეიძე, თავისი შვილებით, სოლომონ მეფის „ერთგული და კაის მდომი ყმები იყვნენ“. მეფისადმი თავდადებამ და ერთგულებით სამსახურმა ბანა ჩხეიძეს მისცა უფლება მეფისათვის მიემართა თხოვნით – გაათავისუფლოს იგი გადასახადებისაგან. მეფე სოლომონმაც გაითვალისწინა ერთგული ყმის სამსახური, მირთმეული ძღვენი ანუ ქრთამი და იგი გადასახადების გადახდისაგან გაათავისუფლა „შამოგვევეწეთ და ქრთამიც მოგვართვით- აღნიშნულია წყალობის წიგნში – და ამისათვის ეს წყალობა გიბოძეთ: სადაც შენ გლეხი გყავდეს, ჩვენი გამოსავალი [არც] საური, არც საუდიერო, არაფერი სოფლის მუშაობა და თქვენი გლეხის გაწვევა და გადასახადი და სათხოვარი არა გეთხოვებოდეს-ო“<sup>248</sup>.

რა თქმა უნდა, გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლება, ბატონთა მხრიდან, აღვილად გადასაწყვეტი არ იქნებოდა და არც იყო,

<sup>245</sup> ქს.ძ. ტ III, ობ, 1970, 573

<sup>246</sup> ბერძენიშვილი ნ, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან.

წიგნი 1, ობ, 1940, 90

<sup>247</sup> იქვე

<sup>248</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 110

მაგრამ მაინც ხდებოდა. თუმცა, თხოვნის დადებითად გადასაწყვეტად ორი ფაქტორის: „ერთგულების“ და „ქრთამის“ მიცემის არსებობა, მაინც აუცილებელი იყო.

წლების მანძილზე დავით გელოვანი ცაგერის ეპლესიას ემსახურებოდა. გელოვანმა ცაგარელ მიტროპოლიტ იოანეს ხვეწნამუდარით სავსე წერილით მიმართა, რათა მისი ოჯახი „ნიშნის“ გადასახადისაგან გაეთავისუფლებინა, რაზეც მიტროპოლიტი იოანე დაეთანხმა, თუმცა თანხმობის მიცემა მისგან ადვილი არ ყოფილა. დავით გელოვანი ეპლესიის „დიდად ერთგული“ და „მამებელი“ იყო. ამიტომ მიტროპოლიტმა უარი ვერ უთხრა მას და სათანადო ქრთამის-საზღაურის გადახდის შემდეგ მისცა „ნიშნის“ გადასახადისაგან გათავისუფლების წყალობის წიგნი: „ყოვლის თქვენის შეძლებით ჩვენის ეპლესიის მოსამსახურე და ჩვენი ერთგული და მამებელი იყავით და ჩვენგან წყალობად ითხოვეთ და თუმცა ძნელი საქმე იყო, მაგრამ შენის მორჩილებისათვის ეს საქმე მე ვიტვიროვ ... შეძლების მსგავსად ქრთამიც მოგვართვით და ამოგიწერეთ ნიშანიო“<sup>249</sup>.

ბატონიურ ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა, არამარტო უკვე დადებული გადასახადისაგან გათავისუფლებას, არამედ თხოვნასაც, არ დაეკისრებიათ ახალი გამოსაღების გადახდა. თხოვნის დადებითად გადასაწყვეტად აუცილებელი იყო მთხოვნელისაგან საზღაურის – ქრთამის გადება.

გაბრიელ ელიოზის ძე გედავანი-შვილს წეროვნის გლეხებმა წერილით მიმართეს, რათა გაბრიელმა კათალიკოზთან უშუამდგომლოს გლეხებს, არ დაუწესოს ახალი გამოსაღების-კულუხის გადახდა. დახმარებისათვის წეროვნელი გლეხები გაბრიელ ელიოზის ძეს, ყოველ წელს, მისი ძმის სულის მოსახსენიებლად აღაპის გადახდას პირდებიან. ბატონი გაბრიელი იღებს წეროვნელ გლეხთა შემოთავაზებას და კათალიკოს საკუთარი თეთრის ქრთამად მირთმევის შემდეგ, უარს ათქმევინებს წეროვნელ გლეხებზე კულუხის დადებაზე: „თქვენ შემოგეხვეწენით და ბატონს კათალიკოზთაგან მოგვეწმარენით და ჩუენის კულუხის დაუდებლობისათვის ქრთამად თეთრი თქუენ გამოიდეთ და კულუხის დაუდებლობის სიგელი აგვართვით. მისად სამუქფოდ კურთხეულის თქუენის ძმის, ბატონის დავითის სულის მოსახსენებლად აღაპი დავიდევით-ო.“<sup>250</sup>

უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ქართულ სინამდვილეში ქრთამით ხდებოდა არა მარტო ყმა-გლეხთა და მიწა-მამულის „მოპოვება“, არამედ, როგორც სამართლებრივი აქტები გვიჩვენებენ, ქრთამით შესაძლებელი იყო ნებისმიერი თანამდებობის დაკავება, სამსახურის შოვნა ან ნებისმიერი სხვა უფლების მოპოვებაც. თანამდებობაზე დასანიშნად ქრთამის გადახდა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ე.ი. სამსახურში მისაღები პირი დამნიშვნელის სასარგებლოდ იხდიდა გამოსაღებს, საზღაურს, ერთჯერადი გადსახადის სახით და მას ქრთამი ეწოდებოდა. ამგვარ შემთხვევაში ქრთამი როგორც დაკანონებული გადასახადი, წყალობისა და მადლიერების გამოხატულების ნიშანი იყო.

ქრთამის გადახდა პირის ნება-სურვეილზე დამოკიდებული არ ყოფილა. მართლია, გარეგნულად მას, უმრავლეს შემთხვევაში,

<sup>249</sup>. ქ.ხ.დ. გ III, თბ, 1970, 1122

<sup>250</sup>. ბერძენიშვილი ნ, დასახ. ნაშრომი, 28

ნებაყოფლობის იერი ედო, მაგრამ, სინამდვილეში, იძულებითი შინაარსისა იყო. ქრთამის გადახდის გარეშე პირი „სახელოს“ ვერ მიიღებდა, უფრო მეტიც, დამნიშველი დასანიშნ პირს იძულებულს ხდიდა, მისი ნების საწინააღმდეგოდ, თანამდებობაზეც დაენიშნა და ქრთამიც გადაეხდევინებია. იოვანე კლდიაშვილს არ სურდა სვიმონეთის დეკანოზობა, მაგრამ მის სურვილს უური არავინ უგდო. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ძალით დანიშნეს და იძულებული გახადეს დამნიშვნელისათვის ქრთამიც მიეტანა. მთავარეპისკოპოსი სვიმონ გენათელი იოვანე კლდიაშვილს მიმართავს: „სვიმანეთის დეკანოზი მოკვდა და ასეთი ხუცესი არ იყო მანდ რომ საყდარი მიგვებარებინა შემოგიკვეთო: დეკანოზობა აიღო, შენ გვივურე, ასრე გვითხარი: რომ მე შენი სამსახური მირჩვნიაო, თვარამ თუ თქვენ არ მიმსახურებო, მეფეს ვემსახურებიო. ეგ ჩვენ არ ვქნით, ქრთამიც გამოგადებინეთ, როგორც გული შეგვიჯერდებოდა“<sup>251</sup>.

ქრთამ-გადასახადის გადახდა სამსახურში მიღებისათვის თუ დანიშნულის სურვილი იქნებოდა, გასაგებია, იგი მადლიერების გამოსახატავად დამნიშვნელს საჩუქარს – ქრთამს მიუტანდა, მაგრამ, როცა პირიქით, ხდებოდა, და დანიშვნა დამნიშველის ინტერესებში შედიოდა, (ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში დეკანოზად დანიშვნა ხომ თვით სვიმონ გენათელის ინტერესებში შედიოდა.) მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ უნდა აეძულებინა ხუცესი იოვანე კლდიაშვილი გენათელს მისთვის ქრთამი მიერთმია?

კლდიაშვილის უარი შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ორი მიზეზით: პირველი, თავმდაბლობით, მეორე, არ ჰქონდა შესაძლებლობა მთავარეპისკოპოზისათვის შესაფერი ქრთამი მიეტანა, მაგრამ უარი არ გაუვიდა, მაინც დანიშნა და ქრთამიც მიატანინა. დიდი თუ მცირე თანამდებობათა წყალობა ყოველთვის გულისხმობდა ქრთამის გადახდას. ამ შემთხვევაში გენათელს არ სურს დაარდვიოს ტრადიცია, დაუშვას გამონაკლისი, რათა სხვებს არ მიეცეთ მაგალითი ქრთამის მირთმევის გარეშე „სახელოთა მოპოვებისა“<sup>252</sup>, „სახელოების ბოძება“,<sup>252</sup> რომლებიც, ჩვეულებრივად, დასანიშნ პირთა თხოვნის საფუძველზე კარგი ქრთამის მირთმევის შემდეგ ხდებოდა, იყო იგივე სამსახურის ყიდვა განუსაზღვრელი ვადით, რომლის ხანგრძლივობა დანიშნულის ერთგულებასა და კარგ ქცევაზე იყო დამოკიდებული.

„ბოშიხისუ მეუნარგიასადმი გრიგოლ ცაიშელის წყალობის წიგნით“ ბოშიხისუ გრიგოლ ცაიშელს სთხოვს სამსახურს. ე.ი. დოკუმენტით ადგილი აქვს არა სამსახურის შეთავაზებას, არამდე პირიქით, სამსახურის თხოვნას. ბოშიხისუ მეუნარგია ცაიშელს სთხოვს რა სამსახურს, თხოვნის წერილთან ერთად მიაქვს ქრთამი-საჩუქარი, რადგან მეუნარგიამ იცის, რომ ქრთამის გაღების გარეშე მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდება: „დაგვეაჯე და რითაც შემძლე იყავი, ქრთამიც მოგვართვი. . . და ვისმინეთ თქვენი აჯა და შეხვეწა და რუებისა და სხვა საკანონოს გარდა, ამ რუებისა და სახუცოს ათისთავი გვიბოძებია შენთვის, შვილებისა და მომავლისათვის საუკუნოდ-ო.“<sup>253</sup>

<sup>251</sup> ქს.ძ. გ III, თბ, 1970, 621

<sup>252</sup> იქვე

<sup>253</sup> იქვე

ლიჩის მოურავობას ითხოვს ქაიხოსრო წერეთელიც ალექსანდრე მეფისადმი მირომეულ თხოვნის წერილში. ისევე, როგორც ბოშიხის, ქაიხოსრო წერეთელიც მეფეს საკადრის ქრთამს აძლევს, რის სანაცვლოდაც იღებს სამსახურს: „დაგვეაჯენით და შამოგვეხვეწეო და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი ქრთამიც კარგი მოგვართვით, როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა და მოგეცით ლიჩი სამოურაოთო“<sup>254</sup>.

სახელოს ბოძებისა და მისი შენარჩუნებისათვის ქრთამის მირომევა საკმარისი არ არის. აუცილებელია დასანიშნი თუ უკვე დანიშნული პირი დამნიშვნელის ერთგული, მისი ნება სურვილის გამტარებლი იყოს. „გქონდეს და გიბედნიეროს დმერომა ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შინა, ასრე რომე თუ შენ ჩვენი ერთგული და ჩვენი სიტყვის და ბრძანების მორჩილი ყმა იყო, ეს ჩვენგან ნაბოძები წყალობა არაოდეს მოგიშალოთ“-ო.<sup>255</sup> სხვა შემთხვევაში, „ნაწყალობებები“ სამსახურს ორგული ყმა, მაშინვე, დაკარგავდა, როგორც კი მწყალობელი დალატს შეამჩნევდა.

დოსითეოს ქუთათელმა ქაიხოსრო ჩენიძეს და მის ორ ძმას, მათივე თხოვნის საფუძველზე, წყალობა უყო და პაპუჩა აბულაძის ყოფილი სამსახური მთაში, ეკლესიის ყმა-მამულის და საბაჟოს მართვა უბოძა, „ამ გამოცხადებით“ ანუ პირობით: „თუ ჩვენი კაის მდომი და წინააღმდეგი არ შეიქმნეთ, ან ეკლესიის ყმას უსამართლობა და ძალა არ უყოთ და ჩვენი გამოსავალი არ დაგვაკლოთ, მოგვიბარებიაო“<sup>256</sup>. სამუშაოს მიცემაში ჩენიძეებმა დოსითეოს ქუთათელს ქრთამიც კარგი მიუტანეს, რასაც არც ქუთათელი უარყოფს და არც ჩენიძეები დასაყვედურების მიზნით არ ახსენებენ: „სვინომოვიჩმა სახელმწიფო მთა სახელოთ მიბოძა და თქვენი მამულიც ჩამომაბარა და მერმეთ თქვენც გევედრეთ, ქრთამი მოგვართვით და ბეჭდით და წერილით, რომელსაც თქვენ მამულს და საბაჟოს ბრძანებო მოგვაბარეთ“-ო<sup>257</sup>. მაგრამ როგორც სასამართლო განჩინებიდან ცხადი ხდება, რამდენიმე ხნის შემდეგ დოსითეოს ქუთათელს ჩენიძეების ერთგულებაში ეჭვი შეპარვია და მათ ბრალს დებს, რომ არავითარი სარგებლობა იმ ოთხი წლის განმავლობაში, რა პერიოდშიც ჩენიძეები აღნიშნულ სახელოს ფლობდნენ, არ უნახავს: „ამ მამულისა და საბაჟოსაგან, რომელსაც ვნიშნავთ, ჩვენ არა სამსახური გვაქ. საბაჟოს გამოსავალი თქვენ მიგქონდათ და ვინც სიყმილით და ჭირით გარდაშენდა, მათი ყოფაც თქვენ წაიღეთ. ცოცხალი ვინც არიან და სახლობან, ისინიც გარდასახადით და უსამრთლობით გააღარიბეთ და გთხოვთ, რომ რაც ჩემი მამულის გარდანახადი წაღებული გაქვსთ, ის მომცეო, მამულზედ და საბაჟოზედაც ხელი აიღეთ“- ო.<sup>258</sup>

ჩენიძეები თავის მართლებას ცდილობენ და, ერთგვარად, კიდეც შეახენებენ ქუთათელს: „რადგან ქრთამი მოგვირთმევია, და წერილით ჩამოგვბარებია თქვენგან [ჩვენ] ვითხოვთ, რომ : თუ დანაშაული არ ვიყოთ, წყალობა ნუ აგვეხდება და ნურც წერილი გაგვიტყდება“- ო.<sup>259</sup>

<sup>254</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 26

<sup>255</sup> იქვე

<sup>256</sup> ქ.ს.ძ. ტ VI, თბ, 1977, 456

<sup>257</sup> დასახ. ნაშრომი, 457

<sup>258</sup> დასახ. ნაშრომი, 456

<sup>259</sup> დასახ. ნაშრომი, 457

საინტერესოა სასამართლოს საბოლოო დასკვნა დოსითეოს ქუთათელსა და ჩეიძეებს შორის არსებულ დაგაზე. დოკუმენტის, იგივე განჩინების, ბოლოში გადაწყვეტილია ქუთათელისადმი ჩეიძეების მიერ სამსახურისათვის მირთმეული ქრთამის ბედის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ ჩეიძეები გამართლდებიან ქუთათელი მათ დაუბრუნებს სახელოს ბოძებისათვის აღებულ ქრთამს, მაგრამ ჩეიძეები სახელოზე ხელს აიღებენ, ე.ი. გათავისუფლდებიან სამუშაოდან დაუდევორბისათვის, ვინაიდან მოხელეები იყვნენ და მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ: „თუ ასე სრულებით ჩეიძე გამართლდეს, თითონ კი გამართლდება, მაგრამ რადგან მოხელე იყვნენ და მამული ჩაბარებული აქვნდათ, ყოველივე გამოსავალი უნდა მოეკითხათ: და ამისათვის რაც ქუთათელს ჩეიძეებისაგან ქრთამი მირთმეოდეს, ქუთათელმა ჩეიძეებს უბოძოს და სახელოზედ ჩეიძეებმა ხელი აიღოს-ო.“<sup>260</sup> მაგრამ თუ ჩეიძეები გამტყუნდებიან, მაშინ ვერც მიცემული ქრთამის უკან დაბრუნებას მოითხოვენ, სახელოდანაც გათავისუფლდებიან და დაკლებულ გასადახადსაც გადაიხდიან ქუთათელის სასარგებლოდ, ე.ი. ქუთათელს აუნაზღაურებენ მათი ბრალით მიყენებულ მატერიალურ ზარალს. „თუ ჩეიძე ფიცში ან გარდაშენებულის კაცების ყოფას, ან მოსახლე კაცების გარდანახადს, ან საბაჟოს გამოსავალს რასმეს ერთსა და ერთში გამოტყდეს, ისიც მიართვან მთავნი ქუთათელს და ვერც ქრთამს შეუვლენ და სახელოზედაც ხელი აიღოს ჩეიძეებმა-ო.“<sup>261</sup>

მაშასადამე, სასამართლომ გადაწყვიტა გაცემული ქრთამის ბედი, მაგრამ საინტერესოა აღინიშნოს, რატომ უნდა დაეკარგათ ჩეიძეებს სამსახური, თუ ისინი მართლები აღმოჩნდებოდნენ? მართალია, დოკუმენტი მიუთითებს, „მოხელეები იყვნენ და მამული ჩაბარებული პერიოდით, ყოველივე გამოსავალი უნდა მოეკითხაორ“<sup>262</sup> მაგრამ ხომ შეიძლებოდა საყვედურის ან გამაფრთხილებელი ღონისძიების მსგავსი რამ გაეტარებინა დამნიშვნელს და პირდაპირ არ გაენთავისუფლებინა ისინი? საქმე იმაშია, რომ კერძო მესაკუთრულ პირობებში საკუთრების უფლების მქონეა ყველაფრის განმკარგავი. მას ვერავინ, თვით სასამართლოც, ვერ აიძულებს კერძო საკუთრების მამულ ში სასამსახუროდ დატოვოს პირი, რომლის მიმართაც ნდობა დაიკარგა. არ იარსებებდა რა ნდობის ფაქტორი, არ იარსებებდა ურთიერთობაც, ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხოლოდ ქრთამის მირთმევა არ იყო აუცილებელი პირობა „სახელოს ბოძებისათვის“, არამედ აუცილებელი იყო დანიშნულის დამნიშვნელისადმი ერთგულებაც. გამართლების შემთხვევაში, ერთადერთი, რაც ჩეიძეებს შეუძლიათ არის ის, რომ მოითხოვონ სახელოსათვის გაღებული ქრთამის უკან დაბრუნება.

ქრთამის ანუ ერთდროული გადასახადის გაღება გათვალისწინებული იყო არამარტო თანამდებობაზე დანიშვნისათვის, არამედ ქრთამის მიცემა აუცილებელი იყო ნებისმიერი სახის უფლების მოპოვებისათვის. აღნიშნულს ადასტურებს „ვახტანგ VI მიერ მელიქის შვილების აბანოს საქმეზე მიცემული განჩინება“.

აბანოები, რომლებიდანაც სახელმწიფო ხაზინა დიდ შემოსავალს იღებდა, მეფეს თავის ხელში პერიოდი მოქცეული და მათზე სახელმწიფოს

<sup>260</sup> ქ.ს.ძ. ტ VI, ობ, 1977, 457

<sup>261</sup> დასახ. ნაშრომი, 458

<sup>262</sup> ქ.ს.ძ. ტ VI, ობ, 1977, 257

მონოპოლიური უფლება ვრცელდებოდა. მოგვიანებით, „კარის აბანოების“ გვერდით, ჩნდებიან კერძო პირთა აბანოებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი პირი სათანადო ნებართვის გარეშე, აბანოს ვერ ააშენებდა, თუ ააშენებდა ვერ - აამუშავებდა, რადგა აბანოსათვის, პირველ რიგში, საჭირო იყო წყალი. წყლის „შოვნა“ და მერე მისი გამოყენებისათვის უფლების მოპოვება, იოლი საქმე არ იყო. ასე, რომ აბანოს მოწყობა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, მიუხედავად სიძნელეებისა, ცდუნება, აბანოს ქონებისა, მაინც, დიდი იყო, რადგან აბანოებს კარგი შემოსავალი მოპქონდათ და მის მოწყობა-გამართვაში დახარჯულ ფულს, მისი პატრონი მალევე ამოიგებდა. სწორედ, ამიტომ, მელიქის შვილი ცოლის მზითებესაც არ ზოგავს და ფულს აბანოს გამართვაში ხარჯავს. მიუხედავად ზარალისა, ძმებთან გაყრის შემდეგ, როსტომა მელიქის შვილი კვლავ იწყებს აბანოს მოწყობისათვის ზრუნვას. აშენებს ახალ აბანოს და ისევ „შოულობს“ წყალს. წყლის „შოვნა“, წყლით სარგებლობის უფლების მოპოვებას ნიშნავდა. სწორედ ამ უფლების ე.ი. წყლით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის იხდის როსტომა მელიქის შვილი ერთდროულ გადასახადს-ქრთამს: „როსტომას თავისთვის მარტო, გაყრის უკან უშოვნია, ძმანი არას გარეულან, ქრთამი არა მოუდიათ რა წიგნში როსტომის მეტი არავინ წერებულა. ამიტომ რომე სხვათა ელანათ შვილთ და შვილი შვილთ ამ წყალთან ხელი არა ჰქონდეთ რა-ო.“<sup>263</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ სინამდვილეში, სამსახურისათვის დიდი თუ მცირე „სახელოსათვის“ ან უფლების მოპოვებისათვის, ქრთამის ანუ ძღვენის მირთმევა დაშვებული ფორმა იყო. კერძო მესაკუთულ პირობებში ბატონი, ვისაც უნდოდა, მას აიყვანდა გადასახადების ასაკრეფად, მოურავებად, მამულის მეთვალყურებად, მდივნებად, დეკანოზებად და ა.შ. და რაკი ეს პირადი ნებიდან მომდინარეობდა, მხოლოდ ბატონის გადასაწყვეტი იყო, დატოვებდა თუ გაათავისუფლებდა მის მიერვე დანიშნულ პირს სამსახურში. ამიტომაც საჩუქრის მირთმევა ანუ, ერთჯერადი გადასახადი, ამგვარი საქმისათვის საძრახისი არ იყო და უკანონო გასამრჯელოდ არ ითვლებოდა. ამ გასამრჯელოს ქრთამს უწოდებდნენ და იგი როგორც „სახელოზე“ ანუ თანამდებობაზე დანიშვნისათვის გამოძალული ქრთამი, როგორც დანაშაული, სასამართლოს დავის საგანი არასოდეს გახდებოდა.

ქართული სამართალი იცნობს შუამავლობისათვის გაცემულ ქრთამსაც. თავადაზნაურები მავანთან რაიმე საქმის მოსაგვარებლად, ხშირად იყენებდნენ ადამიანებს, რომლებსაც შუამავლები ეწოდებოდათ. შუამავლები გაწეული სამსახურისთვის ითხოვდნენ შესაბამის გასამრჯელოს, იგივე ქრთამს შუამავლობისათვის გადახდილ საზღაურს რომ ქრთამი ერქვა, მოწმობს „ბეჭან წულუკიძის მიერ გაცემული განჩინება გოგია ავალიანის საქმეზე“. განჩინებაში აღნიშნულია, რომ ზაუსტას, გოგია ავალიანის მამას, თავის დროზე, თავის საკერძო გლეხები მიუყიდნია ჩელებისათვის, (თათრებისათვის), რომლებიც შემდგომ მეფე სოლომონმა „ამოიყვანა“ ე.ი. თათრებს ქრთამი (ფასი) გადაუხადა და იყიდა. ივანე ავალიანს სურს მევე სოლომონს ამ

<sup>263</sup> ბერძენიშვილი ნ, დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი პირველი, თბ, 1962, 113

„ამოყვანილი“ გლეხების „წყალობა“ სთხოვოს. ივანე არ არის დარწმუნებული, მეფე რომ მას გლეხებს „უწყალობებს“. ამიტომ გოგია ავალიანმა და მისმა ძმამ ივანეს „ალნება“ ე.ი. სამსახური („შუამავლობა“) შესთავაზეს. „ალნება“ ე.ი. სამსახური იმაში მდგომარეობდა, რომ უშუამდგომლებდნენ მეფესთან, რათა „ამოყვანილი“ ყმები ივანესთვის ებოძებინა, მაგრამ სამაგიეროდ, გაწეული შუამდგომლობისათვის გოგიამ და მისმა ძმამ ივანე ავალიანს გასამრჯელოდ „ალნების ქრთამი“ მოსთხოვეს. მათი შუამდგომლობის წყალობით მეფე სოლომონმა ივანე ავალიანს „ამოყვანილი“ ყმები მისცა, გოგია ავალიანმა და მისმა ძმამ კი „ალნების ქრთამი“ მიიღეს: „მამაშენმა ის გლეხები ჩელებს მიყიდა მისგნით. მას უკან ღმერთმან მეფე სოლომონს ძლევა მისცა, თათრისგან ამოყვანა და შენის ალნებით, რომ მითხარი, ამისი ქრთამიც გამომართვიო“<sup>264</sup> - ეუბნება სასამართლო პროცესზე ივანე ავალიანი გოგიასა და მის ძმას.

ზოგჯერ შუამავლებად გამოდიოდნენ თვით მეფეებიც. მაგალითად, იგივე მეფე სოლომონი თავდებად უდგება ზაალ ერისთავს მამია გურიელის წინაშე, რათა მამია გურიელმა ზაალს უბოძოს „ერკეთი და მისი შემავალი მთლათ, ოქროს ქედა, ვანის ქედიანად და რაც საწინამდრო და ეკლესიის რამ იყოს“<sup>265</sup>, რისთვისაც ზაალ ერისთავი, ქრთამს აძლევს მამია გურიელს. მამია გურიელიც თანხმობას აძლევს ზაალს, რადგან „ბატონმა მეფე სოლომონ მოინდომა და შუა შემოვიდა ამ საქმეში თავდებადო“<sup>266</sup>.

მაშასადამე, მეფე სოლომონი შუამავლობას უწევს ზაალ ერისთავს და თავდებად უდგება. დოკუმენტში არ ჩანს შუამავლობისთვის ზაალ ერისთავმა რა და რამდენი გადაუხადა მეფეს, მაგრამ, როგორც სხვა დოკუმენტები მოწმობენ, ზაალ ერისთავი მეფე სოლომონს გაწეული შუამავლობისთვის ქრთამის მირთმევის გარეშე არც დატოვებდა და ვერც გაბედავდა.

ოჯახების გაყრა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ოჯახთა გაყრას სასამართლოები აწარმოებდნენ. გაყრის მონაწილენი ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაეხადათ განსაკუთრებული გადასახადი, რომელსაც გასამყრელო ეწოდებოდა. გასამყრელოს გარდა, გაყრის მონაწილენი იხდიდნენ სამდივანბეგო გადასახადსაც, რაც ნიშნავდა სასამართლო პროცესის წარმოებისას, მოსამართლისთვის მისაცემ საზღაურს, რასაც ქრთამი- გასამრჯელო ეწოდებოდა. მაშასადამე, სამდივანბეგო გადასახადი, იგივე ქრთამი, კანონიერი გასამრჯელო მოსამართლის მიერ წარმოებული სამუშაოსთვის. „გოსტაშაბიშვილების გაყრის საქმეზე განჩინებაში“, მოცემულია ძმების გოსტაშაბიშვილების სასამართლო საქმის გაყრის შესახებ. „საქართველოს წესის და რიგის“ დაცვით, სასამართლომ საერთო ქონება ძმებს შორის თანაბრად გაანაწილა და მათ სახელმწიფოს სასარგებლოდ გასამყრელოც გადაახდევინა. გასამყრელოსთან ერთად, გოსტაშაბიშვილებმა გადაიხადეს სამდივანბეგო გადასახადიც. „კიდევ მდივანბეგს რომ გასამყრელოსთვინ ქრთამის გადებას რომ ამბობს, თუ მართალია, უნდა სამთავ პასუხი გასცენ“<sup>267</sup>, ასე, რომ მოსამართლებს

<sup>264</sup> ქს.ძ. ტ V, ობ, 1974, 694

<sup>265</sup> თაყაიშვილი ე, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ობ, 1910., 519

<sup>266</sup> იქვე

<sup>267</sup> ქს.ძ. ტ IV, ობ, 1972, 259

სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილი გასამყრელოდან წილის გარდა, დამატებით ეძლეოდათ, აგრეთვე გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსთვის, რასაც სამდივანბეგო ქრთამი ეწოდებოდა.

სამდივანბეგო ქრთამს იხდის დოლმაზაშვილი დოლმაზაც, როცა ის თავის ძმისწულობა ნაზარასთან იყრება. რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, დოლმაზას შვილი ნასყიდა და მისი ძმისწული ბიძაშვილ ნაზარას წამოედავნენ. ამიტომ ნასყიდამ მოსთხოვა ნაზარას მამამისის მიერ მდივანბეგისათვის მირთმეული ქრთამის წილი, რომელიც მისმა მამამ ნაზარას მამის მამულის დახსნაში გადაიხადა. „მამაჩემმა დოლმაზამ მდივანბეგს და კარის კაცს ძალუანი ქრთამი გამოიღო და მამიშენის კერძი მამული პაპიდამ ისე გამოიტანაო. რადგან ჩემი ძმობა აღარ ინდომეო და გამეყარაო, მამიჩემის გამოღებული ქრთამი მამეციო“<sup>268</sup>. არათუ სამდივანბეგო გადასახადს, არამედ თავად გასამყრელოსაც, როგორც სავალდებულო გადასახადს, ქრთამი ეწოდებოდა. „ციციშვილების ყმა-მამულის საქმეზე განჩინებით“ სასამართლომ ზაალ და უთრუთ ციციშვილები გაყარა, რისთვისაც მათ ქრთამი და სამდივანბეგო გადაახდევინა. „ქრთამი და სამდივანბეგო ორი წილი უთრუთს გავაღებინეთ და მესამედი ზაალს“<sup>269</sup>. მაშასადამე, აქ ქრთამი გასამყრელოს გადასახადს ჰქია, ხოლო სამდივანბეგო ის გასამრჯელოა, რომელსაც გაყრის მონაწილენი უხდიდნენ მოსამართლეს მათვის გაწეული სამსახურისათვის. აღნიშნული დოკუმენტებით, ქრთამის ცნების ქვეშ მოიაზრება გადასახადები, ერთ შემთხვევაში გასამრჯელოს, მეორე შემთხვევაში - სამდივანბეგოს სახით.

ოჯახების გაყრა, განსაკუთებით დიდი სათავადო ოჯახების და სახლკაცების გაყრა, მეფისათვის ყოველთვის სასურველი არ იყო, რადგან მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო წეს-ჩვეულებით შეკავშირებული, ტრადიციით უფროს-უმცროსობაზე დაფუძნებული საერთო ოჯახის უფროსთან ჰქონდა ურთიერთობა, ვიდრე ოჯახის გაყრის შემდეგ სხვადასხვა ოჯახების უფროსებთან. ერეკლე I-მა (ნაზარალისანმა) ამილახვართა სახლობის გაყრისთვის მოწვია მოსამართლენი და წარჩინებულნი და მათთან ერთად გადაწყვიტა ამილახვართა ერთსახლობის გაყრის საქმის გარჩევა. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, არც მეფეს და არც წარჩინებულებს არ სურთ ამილახვართა დიდი ოჯახის გაყრა. საქმის გარემოებათა ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ, მეფემ (სასამართლო) სახლიკაცები კვლავ ერთმანეთს შეარიგა, ოჯახს მთლიანობა შეუნარჩუნა და გივი ამილახვარი ისევ ტახის უფროსად დატოვა. სასამართლომ დაადგინა, რომ ოჯახის ყველა წევრი გივი ამილახვარს დამორჩილებოდა, სამაგიეროდ, გივი ამილახვარს დაავალეს სახლისკაცებს მიწები სამართლიანად მისცეს, „ჯამაგირი“ დაუნიშნოს, ერთმანეთში მოარიგოს, მიღებული შემოსავალი ანუ ქრთამი ისე გაანაწილოს, რომ ოჯახის არცერთი წევრი გულნაკლული და ნაწყენი არ დარჩეს, და საერთოდ, ოჯახის სამეურნეო საქმე ყველას გამოკითხვითა და აზრის გათვალისწინებით გადაწყვიტოს. „ამილახვარი ყმათა წახდენის და გაპეტების და მამულის გაცემას სახლიკაცთა შეკითხულობით იქმოდეს და მართებულად ქრთამს ამათვისაც მიაცემინებდეს და მშოველი

<sup>268</sup> ქ.ს.ძ. ტ IV, ობ, 1972, 170

<sup>269</sup> დასახ ნაშრომი. 313

შეიჯერებდეს“<sup>270</sup>. ე.ი. გივი ამილახვარი ვალდებულია ოჯახის საერთო შემოსავლიდან ოჯახის წევრებს, მათთვის განსაზღვრული ოდენობის წილი მისცეს და უკმაყოფილო არავინ დარჩეს. სწორედ, იმ ფულადი თუ ნატურალური შემოსავლის წილს, რომელსაც „მართებულად“ გივი ამილახვარი აძლევდა სახლისკაცებს, ქრთამი ეწოდებოდა.

ასე, რომ სახლიკაცთა გაყრა სახელმწიფოს პრეროგატივაა. გაყრისთვის გადახდილი გასამრჯელო, იგივე ქრთამ-გადასახადი, სახელმწიფო ბიუჯეტში შედის და სახელმწიფოს საკუთრებად იქცევა. გადასახადი ქრთამი-გასამყრელო ნატურალური (ყმა-გლეხები, მიწები) სახისაც შეიძლებოდა ყოფილიყო და ფულადი სახისაც. აღებულ და საკუთრებაში მოქცეულ გასამყრელოს სახელმწიფო სურვილის მიხედვით, გამოიყენებდა, ან თავისთვის დაიტოვებდა, ან სხვას უბოძებდა და „ბოძებისთვის“ ქრთამსაც აიღებდა, ან კიდევ, გაყრის მონაწილეს, მისივე თხოვნით, დაუტოვებდა ერთდროული ქრთამ - გადასახადის, გადახდის პირობით.

1736 წლით დათარიღებული დოკუმენტით შესაძლებელი ყოფილა ქრთამის წინასწარ გადახდაც იმ ქონებისათვის, რომელიც გასამყრელო გადასახადში იქნებოდა გაცემული. ძმებს პაპუნა და დათუნა წერეთლებს, რომლებიც მომავალში გაყრას აპირებენ, არ სურთ რა, რომ მათ მფლობელობაში მყოფი, მაგრამ გაყრისას სახელმწიფოსთვის მისაცემი მამული, სხვის ხელში მოხვდეს, წინასწარ თავს იზღვევენ და ალექსანდრე მეფეს თხოვნის წერილით მიმართავენ, რათა ნება დართოს მათ, წინასწარ მირთმეული ქრთამი გასამყრელოში მიცემული ქონების მათვის დატოვებისათვის გადებულ ქრთამში ჩაუთვალოს. მეფე ალექსანდრე ძმების თხოვნას აკმაყოფილებს და დასტურად წყალობის წიგნს აძლევს. „დაგვაჯენით, და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ქრთამიც კარგი მოგვართვი, როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა, და გობიძეთ. შენ და შენი ძმა დავით, როდესაც გაიყოთ, მაშინ, რომელიც თქვენი გასამყოფლო ჩვენი მართებული ავიდოთ და იყოს აზნაური, მსახური თუ გლეხი, რომელიც გასამყოფლო ჩვენ ავიდოთ, თქვენთვის გვიბოძებია ... თუ თქვენ ჩვენი ერთგული იყო, ჩვენ ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა არაოდეს არ მოგიშალოთ-ო.“<sup>271</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქრთამად იხსენიება სასჯელის სახით გადახდილი ჯარიმაც. XVI საუკუნის დოკუმენტის მიხედვით, გერგეტელ საყდრის შვილებს, ხუცესებს და დეკანოზებს კათალიკოზმა დაუწერა რჯული და მცნება, სადაც მიუთითა, რომ აუცილებელია მათ მიერ დაცული იქნას ის წესები, რომლებიც წმინდა მამების მიერაა დაწესებული, მაგრამ თუ შეცოდავენ „საყდრის შვილნი“, ე.ი. არ შეასრულებენ რჯულისა და მცნების წესებს, დასჯილნი იქნებიან, დასჯა კი ჯარიმის – ოთხი ათასი თანგა ქრთამის გადახდაში გამოიხატებოდა. „თქუენ საყდრის შვილნი შემცოდე იყუნეთ წმიდისა სამებისა და ყოვლად წმიდისა ღმრთის – მშობელისა და ოთხი ათასი თანგა ქრთამი დაიუროს -ო“<sup>272</sup>.

ქრთამი ეწოდება ყმათა გააზატებისათვის გაცემულ თანხასაც. გააზატება სასამსახურო მოვალეობების შესრულებისგან

<sup>270</sup> ქ.ს.ძ. ტ IV, ობ, 1972, 159

<sup>271</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 63

<sup>272</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 351

განთავისუფლებას ნიშნავდა. გააზატებისათვის, რა თქმა უნდა, დიდი ქროამი იყო საჭირო, რადგან ყმათა გათავისუფლება მებატონისათვის, მაიცდამაინც, ხელსაყრელი არ იყო. ქაქუჩელა და სეხნია ყრუაშვილებს სურთ ბატონ დადიანს გლეხების გააზატება სოხოვონ, რისთვისაც თითეულ კომლს ორმოც ორმოც მარჩილს ახდევინებენ, ე.ი. საბატონო ქროამს აგროვებენ. როგორც დოკუმენტშია მითითებული, მათ „ქროამი მობოჭეს“ და ბატონ დადიანს მიართვეს. „ჩვენ ერთად ვესახლეთ და განვიზრახეთ, რომ ბატონს ქროამი მივართვათ და ჩვენი კაცები გავიაზატოთქვა მივდექი ამაში ბატონს დადიანთან და ქროამი მივართვი . . . და ჩვენი კაცები გავიაზატეთ-ო.“<sup>273</sup>

---

<sup>273</sup> ქს. ქ VI, თბ, 1977, 503

## ბ) „საცოდავი ძლვენი“

დროის სხვადასხვა პერიოდში შედგენილი ქართული სამართლის ძეგლები შეიცავენ მექრთამეობის, როგორც დანაშაულის განმსაზღვრელ ნირმებს. მართალია, სამართლის ძეგლებში, უმეტესწილად, მოსამართლეების მიერ ქრთამის აღებით საქმეთა გარჩევა-გადაწყვეტაზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად, ქრთამის აღება, თითქმის, ცხოვრების ყველა სფეროსათვის იყო დამახასიათებელი. ზოგჯერ, და არც თუ იშიათად, მექრთამეობა ისე აყვავებულა საქართველოში, რომ ქვეყნის ერთგული ადამიანები და თვით ხელისუფალნიც კი არჩევანის წინაშე დამდგარან, ან გადამჭრელი ზომები მიეღოთ მექრთამეობის წინააღმდეგ და აღეგავათ მიწისაგან პირისა მექრთამე მოხელეები, მექრთამე სასულიერო პირნი და გადაერჩინათ ქვეყანა, ანდა თავადაც მექრთამეთა მხარეზე დამდგარიყვნენ. მაგალითად, XI საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს, გიორგი მთაწმინდელს ქვეყანაში, მეტად მძიმე მდგომარეობა დახვდა. მძიმე მდგომარეობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ბაგრატ IV ქრთამს იღებდა და საეპისკოპოსოებს ჰყიდდა. მეფე, ამ უმსგავსო საშუალებით, ეპისკოპოსთა არჩევაში ერეოდა და სხვებს სამართლიანი, კანონიერი გზის დარღვევის ყოვლად უკადრის გზას უჩვენებდა, რაც, თავისთავად, ულიორსი ადამიანების ეპისკოპოსებად დასმის დაკანონებას ნიშნავდა. ამიტომაც, გიორგი მთაწმინდელმა, რომლისთვისაც, ულიორსად, როგორც პატიოსანი მორწმუნესათვის, მიუღებელი იყო ქრთამით და საჩუქრებით „უწესო“ ადამიანების თანამდებობაზე მიღება, მოურიდებლად გაილაშქრა თვით მეფე ბაგრატ IV-ის უზნეო საქციელის წინააღმდეგ, რაც უკანონობის-მექრთამეობის წინააღმდეგ გალაშქრებასაც ნიშნავდა. გიორგი მთაწმინდელმა ამხილა ბაგრატ IV და ბრძოლა გამოუცხადა მის უსამართლობას, რათა: „არა ჰყიდდეს საეპისკოპოზოთ კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლითა შემსჭიდვალულთა და უწესოებათა და მიმოსვლათა შინა აღზრდილთა, არამედ გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა და წმიდათა და მონაზონებითა შინა აღზრდილთა, და ღვთივ-სულიერთა მოძღუართა მიერ წამებულთა.“<sup>274</sup>

მეფის გარდა, გიორგი მთაწმინდელმა სამართლიანად კიცხავს, ასევე „უწესოდ“, „ქრთამით“ გაეპისკოპოსებულ პირებს, მღვდელ-მოძღვართ: „რათა თუალდებით კელთდასხმასა არა ჰყოფდენ ულიორსთა მღდელთა არა აკურთხევდენ და რათა ამცნებდენ მათ მიერ კურთხეულთა მღდელთა ულიორსთა არა ზიარებად და რათა არა შეკრებდენ ოქროსა და ვეცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა“<sup>275</sup>.

მექრთამეობის, როგორც ერთ-ერთი საშიში დანაშაულისათვის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ქრთამის მიცემა ფარულად ხდება და საქმის ქრთამით გადაწყვეტის გამომჟღავნებისას, აუცილებელია მისი დამტკიცება. მტკიცება კი ძნელია და მით უფრო ძნელი იყო მისი მტკიცება ფეოდალურ საზოგადოებაში, სადაც თითოეულ ნორმას,

<sup>274</sup> ჯავახიშვილი ივ, დასახ. ნაშრომი, 321

<sup>275</sup> ჯავახიშვილი ივ, დასახ. ნაშრომი, 23

თითოეულ სამართლის წიგნს, წოდებრივი უთანასწორობა სამართლიანად მიაჩნდა. ამიტომ, ხშირად, ძნელდება გაარკვიო, სად მთავრდება ქროამი, როგორც კანონიერი გასამრჯელო და, სად იწყება ქროამი, როგორც „საცოდავი ძღვენი“.

ქართულ სამართალში ძალზე მცირე რაოდენობის დოკუმენტები მოიპოვება, რომლებიც, შინაარსობრივად, მექრთამეობის, როგორც უკანონო გასამრჯელოს საკითხს ეხებიან, მაგრამ იმით, რამაც ჩვენმდე მოაღწია, შეიძლება ვთქვათ, რომ სამართლის წიგნებში მოცემული გამაფრთხილებელი ნორმები მექრთამეობის შესახებ, პრაქტიკულ რეალიზებას ვერ ახდენდნენ და მოსამართლეები, სხვა მოხელეები თუ საეკლესიო მოღვაწენი, ქრთამის აღებით, არაერთ უმსგავსო საქმეს ჩადიოდნენ. მექრთამეობა, როგორც დანაშაული, საკმაოდ გავრცელებული იყო საეკლესიო ცხოვრებაში. იუდას გზის მიმდევარნი მდვდელ-მსახურნი დანაშაულებრივ საქმიანობაში იძირებოდნენ, როცა ქრისტეს სახელით ქრთამს იღებდნენ და სულ საქაო ცხოვრებაშივე იწყმედდნენ. კათალიკოსობის, ეპისკოპოსობის თუ მდვდლობის მოსაპოვებლად უდირსი ადამიანები ქრთამს და საჩქრებს არ ზოგადდნენ: ამნაირი უწესობის საშუალებით გაეპისკოპოსებულნი თითონაც, რასაკვირველია, მდვდლად კურთხევის დროს კანონების დაცვას არ დაიწყებდნენ, არამედ თვითონაც ეცდებოდნენ, რომ ეპისკოპოსობის მისაღებად გაწეული ხარჯებიც აენაზღაურებიათ და მოგებაც პქონოდათ. არაფერს დაერიდებოდნენ და „შეკრებდენ ოქროს და ვეცხლსა.“ ამიტომაც კანონიკური სამართლის ძეგლები თუ ცალკეულ ეკლესიათ წინამდობარი ადგენდნენ წესდებებს მათსვე დაქვემდებარებულ სამწყოსთვის, სადაც აფრთხილებდნენ როგორც მდვდელმთავრებს, ასევე მთლიანად ძმობის წევრებს ქრთამის აღებით არ ემსახურათ და დმერთის საწყენი, რწმენის საწინააღმდეგო ქმედებები არ ჩაედინათ. ეკლესია-მონასტრების ყმა-მამული ქრთამისათვის, ვერცხლისმოყვარეობის გამო არ შეემცირებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში „ვინცა მოშალოს, იგიმცა შეიშლების სჯულსა და წესისაგან-ო.“<sup>276</sup>

მაშასადამე, იშვითი არ ყოფილა საერო თუ სასულიერო პირებისაგან, პირადი გამორჩენის მიზნით, დანაშაულებრივი ქმედებით, ქრთამისათვის, საეკლესიო ყმა-მამულის გაყიდვა-გასხვისება. „დომენტი კათალიკოსი სვეტიცხოველისადმი შეწირულების შეკერვის წიგნში“ მიუთითებს: „ვინცა და რამანცა კაცნმან ძეგვი და ციხედიდი შეწირულებისაგან შლად ჭელყოს და გამოახოს სუეტსაცხოველსა ანუ მძლავრმან მძლავრობით, ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ პისკოპოზმან ანუ ერისგანმან იუროს და შეამავლობა ქნას, ანუ ქრთამის გულისათვის კათალიკოზმან გასცეს და სააზნაურიშვილოდ გახადოს . . . რისხვამცა მამა-ძე და სული წმინდა ზეცისა და ქუეყანისანი ხორციელნი და უხოცონი და წმიდა სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი და მირონი“<sup>277</sup>.

„გარდარეული ვეცხლის-მოყუარებად“<sup>278</sup> და „აღებად ქრთამისად“<sup>279</sup> შესაძლებელი ბოროტმოქმედება ყოფილა სავანეებში. ქრთამად ითვლებოდა ყოველგვარი უკანონო „სასყიდელი“, რომელიც კი

276 J.b.d. § III, 1970, 540

277 J.b.d. Ø III, mð. 1970, 540

<sup>278</sup> დასახ. ნაშრომი, 264

279 დასახ. ნაშრომი, 146

თანამდებობის პირის მიერ ვისგანმე აიღებოდა ისეთი მოვალეობის შესასრულებლად, რიმლისთვისაც წესიერად აღსრულების დროს, არანაირი „სასყიდელი“ არ უნდა ყოფილიყო გადებული.“<sup>280</sup>

„ვაჰანის სავანის ტიპიკონში“ მითითებულია, რომ გამდიდრების მიზნით, საეკლესიო პირთა მხრიდან ყოველგვარი უწესო საქმე სამარცხვინო და აუტანელი საქციელია. დაუმსახურებლად ქონების შეძენის მიზეზები სხვადასხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო, მათგან „ვაჰანის ქვაბთა წესდება“ რამდენიმეს მიუთითებს: „მონასტერსა ამას შინა არავის ძმათაგანს ხელეწიფების ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარდულობად ღვინისად გინა რაღაცა სხვსად არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემად საჯმართა მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა“<sup>281</sup>, – რაც „არცა თუ ერისკაცთაგან ჯერ – არს ყოფად-ო“<sup>282</sup> – უმეტეს ასეთი საქმე და დანაშაული ძმათაგანს არ ეპატიებოდა. ამაზე უფრო მძიმე შეცოდებად ითვლებოდა „მუხუეჭა მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებთავ“<sup>283</sup> ძმობის, სავანისა და საეკლესიო ქონების მითვისება. მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ასევე ვერცხლისმოყვარეობით და ქრთამის აღებით სიმართლის გამრუდება, ჭეშმარიტების უარყოფა. „ხოლო უკუეთუ ორგულობავ გამოჩნდეს ვის მონასტრისა პატრონთავ, ანუ მოხუეჭა მონასტრისა და ეკლესიისა ნაქონებთავ ანუ ქრთამისა აღებითა, გარდაქცევავ ჭეშმარიტებისავ, გინა რაღაცა გუარი საძაგელისშეძინებისად და მოხუეჭისავ, სრულიად განიცადენენ მონასტრით.“<sup>284</sup>

ქრთამის აღებას ადგილი ჰქონდა „მემხრეთაგან“, „მწირველთაგან“ და თვით „მწირთაგანაც“, ამასთან, ქრთამი აიღებოდა როგორც მალულად, ისე ცხადად, და ორივე შემთხვევაში იგი უკანონო საჩუქარი ან გასამრჯელოა. თუ ქრთამი, როგორც აღვიზნეთ, ისეთი საქმის შესრულებისათვის იქნებოდა გამიზნული, რომელიც, ჩვეულებრივად, ყოველგვარი საჩუქრის, ქრთამის გარეშე უნდა შესრულებულიყო, მაშინ ადგილი ჰქონდა დანაშაულს ანუ მექრთამეობას. მისი ჩამდენი გათანაბრებული იყო ისეთ პირთან, რომელიც უკანონოდ საქმის გაკეთებისათვის ქრთამს იღებდა. ქრთამის აღებაში მხილებულებს „ვაჰანის ქვაბთა განგების“ წესდება თანამდებობიდან „ჩამოამცრობდა“ ანუ მონასტრიდან სამუდამოდ აძევებდა. რადგან ეკლესიის მსახურთ კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ ვერცხლისმოყვარება არის „ძირი ყოველთა ბოროტავ“ და იქ, სადაც ქრთამის აღება დამკვიდრებულია, ნაკლებად არის „მოლოდებავ კეთილისა რაღაშამე ოდესცა, რამეთუ „ბოროტა თესლთაო თქმულ არს „ბოროტ ნამუშაკვიცა-ო“<sup>285</sup>.

„განგვიწესებიეს, რაღოთა სასყიდელი ყოვლად რაღოურთით არავ ვისგან აიღებოდის ძმად დაწესებისათვს, არა მემკრეთაგან, არა

მწირველთაგან და არცა მწირთაგან, ხოლო უკუეთუ იკადროს მოძღუარმან, ანუ ეკონომოსმან, გინა დეკანოზმან, გადარეულებითა

<sup>280</sup> ჯავახიშვილი ივ, დასახ. ნაშრომი, 336

<sup>281</sup> ქ.ს.ძ. გ III, თბ, 1970, 139

<sup>282</sup> დასახ. ნაშრომი, 140

<sup>283</sup> დასახ. ნაშრომი, 336

<sup>284</sup> დასახ. ნაშრომი, 145

<sup>285</sup> ქ.ს.ძ. გ III, თბ, 1970, 146

ვეცხლისმოყუარებისადთა, აღებად ქრთამისა რაისამე ფარულად გინაცხად და ემხილოს, დაკლებულ იქმნეს თვისისა პატივისაგან-ო.“<sup>286</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია-მონასტრებში, მექრთამე მდვდელ-მსახურთა გვერდით, პატიოსანი და განათლებული საეკლესიო მოღვაწენიც იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სარწმუნოება დაკარგავდა იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას, რაც მას საუკუნეების მანძილზე გააჩნდა.

ძევლი ქართული სახელმწიფოს სინამდვილეში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მრავალი მაგალითი იცის, როცა სათხო, ერის, ქვეყნის და რწმენისათვის თავდადებული მსახურნი სიძულვილის მსხვებლინი გამხდარან. იოანე მდვდლის სიბრძნემ და კეთილსიტყვაობამ, შრომისმოყვარეობამ, ქრისტეს ოჯულისადმი ერთგულებამ შურით აღავსო მეფე და მისდამი ბოროტებამ გააცემინა ბრძანება, „რათა ზედმიწევნით და კეთილად გონიერებით მიამსგავსონ კაცსა მას ხატი სიტყვსად და გონებისავ: და გამოწულილივით მსგავსებითა კელისადთა დაწერონ წიგნი მაგიერი. ვითარცა შეეტყუების შურსა მას მისსა: ქრისტეს-მოსახელეთა ერთა სარწმუნოებისა-თვს“<sup>287</sup>. ბოროტებით შედგენილ წერილისათვის იოვანეს მარჯვენა ხელი ისე მოჰკვეთეს, რომ არავითარი გამოიყება „გამოცნობად ჭეშმარიტებისა“ არ ჩაუტარებიათ, მაგრამ სიმართლემ თავისი გაიტანა და ერთგულ მორწმუნება დმერთმა მოჭრილი მარჯვენა ხელი ისევ გაუმრთელა. მეფეს აუწყეს, იოვანესათვის ხელი არ მოუჭრიათ, რადგან მან ჯალათი ქრთამით მოისყიდა და იოავანეს ნაცვლად ხელი სხვას მოაჭრაო. „ამიერ უკუე უუწყა მთავარსა, ვითარმედ არა მოკუეთილ არს იოანესდა კელი: არამედ მან ქრთამი ოდენ მისცა-და სხუასა ვისმე მის წილ მოეგუეთა მარჯვენა-ო.“<sup>288</sup>

მაშასადამე, იოანეს ქრთამის გაღება, ჯალათის მოსყიდვა, მით მკლავის მოუჭრელობა და თავის გადარჩენა დააბრალეს, მაგრამ პატიოსან მდვდელს ვერაფერი დააკლეს, ვინაიდან „იხილა მთავარმან მრძვალი იგი მოკვეთილისა“.<sup>289</sup>

სამართლის წიგნების მიხედვით, ქრთამის საკითხის განხილვისას, დავინახეთ, რომ „გარდაჭცევად ჭეშმარიტებისად“ და უსამართლო სამართლის ქმნა, პირველ რიგში, მეფისაგან, და მაშასადამე, სახელმწიფოსაგან დანიშნულ მოსამართლებს არ ეპატიებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ქრთამის ამდები და მით საქმის გამრჩევი - გადამწყვეტი მოსამართლენი პატივაყრილნი იქნებოდნენ. როგორც კერძო ხასიათის სამართებლივი აქტები მოწმობენ, ცხოვრებაში მოსამართლეთა მხრიდან „უკანონო ძღვენის“ აღებას, არც თუ იშვიათად, ჰქონდა ადგილი. უფრო მეტიც, ზოგჯერ მოსამართლენი არად აგდებდნენ თვით მეფის სიტყვასაც და ქრთამის გამოძალვას აგრძელებდნენ. მოსამართლის სისასტიკეს და გამომძალველობას ვერ გაუძლო სტეფანე ალაპაპაშვილის ძმამ და საშველად მეფე ერეკლე II- ეს მიმართა. ამ უკანასკნელმა წერილი მისწერა მოსამართლეს, რითაც უბრძანა „ამას უსამართლობას ნუ უზამთო“<sup>290</sup>, მაგრამ როგორც ჩანს, ალაპაპაშვილის შევიწროება

<sup>286</sup> ქ.ს.ძ. ტ III, თბ, 1970, 146

<sup>287</sup> პეკლიოძე პ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, თბ, 1961, 160

<sup>288</sup> დასახ. ნაშრომი, 163

<sup>289</sup> იქვე

<sup>290</sup> ქ.ს.ძ. ტ. VII, თბ, 1981, 307

მაინც გრძელდებოდა, რამაც აიძულა იგი გაქცეულიყო. გაქცეულზე გულისჯავრი თეიმურაზ მდივინბეგს სურს მის მმაზე, სტეფანეზე იყაროს. ამიტომაც, სადაც კი სტეფანეს დაიჭერდა სცემდა, ავად ეპყრობოდა, თოპზე ჰკიდებდა, ფეხებს ამტვრევდა, ძალით ფულს და იარაღს ართმევდა. სტეფანე იძულებული გახდა მეფისთვის მიემართა და ეუწყებია მდივინბეგ თეიმურაზის მექრთამეობა და მისი სისასტიკე. მეფე ერეკლე მეორემ მდივანბეგს არზა გაუგზავნა: „მერმე ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, თუ ეს ასე არის, თქვენც გასინჯეთ და თუ უსამართლოთ გამორთმეოდეს, ისევ მიეცით-ო“<sup>291</sup>, ამასთან ერთად, ერეკლე II მდივინბეგ თეიმურაზს შეახსენებს, რომ მოსამართლე პატიოსანი, სამართლიანი და კეთილშობილი უნდა იყოს. შეახსენებს, ასევე, მის მოვალეობას და იმ სიმძიმეს, რაც მოსამართლეს დვთის წინაშე დაეცისრეგბა უსამართლო გადაწყვეტილების და საქციელის გამო. „თქვენ მოსამართლე ხართ, თქვენგან უსამართლოთ გამორთმეული უფრო მძიმე არის, ვიდრემ სხვა უბრალოს კაცისაგან. თუ ასე იყოს, ამას ნუდარ აჩივლებთ, რაც გამორთმეოდეს მიეცითო.“<sup>292</sup> შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფე ერეკლე II-ს სურდა მკაცრი დონისძიების გამოყენების გარეშე, რაც უთუოდ გაამწვავებდა უერთიერთობას დიდებულებობან, მექრთამე მდივან-ბეგი აიძულოს შეგონებით და მორალური ზემოქმედებით, თავი დაანებოს ადამიანებისადმი უსამართლო მოპყრობას და მათგან გამომძალველობას.

მოსამართლის მიერ ქრთამის ადგებას ადგილი აქვს ბიძაშვილების, ბეგთაბეგიშვილების ჩხუბის თაობაზე საქმის გარჩევისა. იოანე და ესავ ბეგთაბეგიშვილებს თავისავე ბიძაშვილთან ჩხუბი მოუვიდათ. ეს უკანასკნელი ჩხუბის თაობაზე სასამართლოში უჩივის ესავს და იოანეს და მოსამართლისათვის ქრთამის მირთმევით ახერხებს სასურველი განაჩენის გამოტანას. არასწორი, ქრთამით შედგენილი განაჩენი ძმებმა გაასაჩივრეს. დედოფალმა გასინჯა რა საჩივარი, დარწმუნდა, რომ იგი, მართლაც, უსამართლოდ იყო გამოტანილი, ამიტომაც კი არ დაამტკიცა, პირიქით, გააუქმა: „ხელით მაგანაც შემოგვკრა და ჩვენც შემოვკარით, გატეხილობა და ჭრილობა არა მომხდარა რა, ქრთამით მდივანბეგს განაჩენი დააწერინა, დედათქვენმა ბატონმა დედოფალმა რომ გასინჯა, უსამართლო იყო, ადარ დაამტკიცა და დააყენა, ათი წელიწადი იქნება, გაბათილებულია და ახლა კიდევ ცდილობს უსამართლოდ ხარჯი მოგვცესო“<sup>293</sup> – აღნიშნავენ ძმები ბეგთაბეგიშვილები მეფისადმი გაგზავნილ წერილში.

მექრთამეობას ეწეოდნენ არამარტო მოსამართლეები, არამედ სხვა მოხელეებიც. არუთაანთ როსტომა იძულებულია მეფესთან იჩივლოს, რადგან მის ყბებს ხაჩიანი და კუჭატანი ეცილებიან, ბატონის იასაული სიმონ მდივანიც მათ მხარს უჭერს, ვინაიდან „სიმონ მდივნისთვის ქრთამი მიუციათ“<sup>294</sup>.

იასაულებისთვის ქრთამის მიცემას ადგილი აქვს XVIII საუკუნის დოკუმენტშიც. 14 წელია იმერეთიდან წამოსული მახარებელა ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ყოფილმა ბატონმა იასაულებს ქრთამის მიცემით შვილები მოატაცებინა და ისევ იმერეთში გადაიყვანა. „იმერეთიდან ჩემი

<sup>291</sup> იქვე

<sup>292</sup> იქვე

<sup>293</sup> ქ.ხ.ძ. ტ. VII, თბ., 1981, 307

<sup>294</sup> ქ.ხ.ძ. ტ. VIII, თბ., 1985, 641

ნაბატონევი გადმოვიდა, ქრთამი დახარჯა და ორი ვაჟი და ერთი ქალი ჩემი შვილები დამტაცეს იასაულებმა და მიმიცეს, იმ ჩემმა ნაბატონევმა იმერეთს გარდაასხა”<sup>295-ო</sup>.

ქრთამის აღებისაგან უკან არ იხევდნენ მოურავებიც. მათი მექრთამეობისაგან არამარტო ყმა-გლეხებს, არამედ თვით ზედაფენების წარმომადგენლებსაც კარგი დღე არ ადგათ. ქრთამის გარეშე მოურავები, თითქმის, არაფერს აკეთებდნენ. მოურავისაგან გაწამებული ივანე ოდიშელი იძულებულია მეფე ერეკლე II-ეს მიმართოს და სამართალი სთხოვოს, რადგან „ქაიხოსრო მოურავმა დათვიაშვილს მდუდელს ხუთი თუმანი ქრთამი გამართო და ჩემი იმას მისცა”-ო<sup>296</sup>.

მექრთამე სახლთუხუცეს დიმიტრის მიერ გაცემულ წიგნის გაუქმებას სთხოვს ერეკლე II-ს ამსარქისაშვილის ქვრივი. საჩივრის განცხადებით ქვრივს უნდა, რომ დაიბრუნოს „ჩიქილის ყურით“<sup>264</sup> გამოზრდილი მისი ყმა-ბიჭი, რომელიც სახლთუხუცესმა დიმიტრიმ, ქრთამის აღებით, სხვას მიაკუთვნა, ხოლო მას ე.ი. ამსარქასიშვილის ქვრივს „სიდარიბითა და უმსახურობით ყური არ მიუგდ-ო“<sup>297</sup>.

ეკონომიური ძლიერება გაბატონებული მდგომარეობის და მექრთამე მოხელეებთან გამარჯვების აუცილებელი გარანტია. დავით ერისთავი სარგებლობს რა უფროსობით და მატერიალური უპირატესობით, მმებს არ აძლევს საერისთავოდან მთლიანი შემოსავლის მესამედ ნაწილს. ერისთავმა შესძლო მსაჯულთა მოსყიდვა და მის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტა: „მსაჯულთათვის, როგორც უნდოდათ, ისე გაესინჯინებიათ უჩვენოთ და ასეც დაერწმუნებინათ, რომ განაჩენი მიეცათ და სანამ ჩვენ ამ მიზეზებს მოვიხსენებდეთ, რომელსაც ახლა თქვენ მოგახსენებთ, მანამდინ განაჩენი აედოთ და ამისათვის ითხოვენ თეორსა-ო.<sup>298</sup>

უსამართლოდ, ქრთამის გაცემით, დაღლილი გიორგი ფისაძე თხოვნა-საჩივრის არზას სწერს იულონ ბატონიშვილს: „ვინ მოსთვლის ჩემო ხელმწიფევ, დავით ერისთავის უკან რა შრომა და ჭირი გამომივლია გლახაკ კაცს ჩემს მკვიდრის მამა-პაპის ნასყიდს ცოტას ვენახზედ და რამდენჯერ უმსჯავროდ რთმევის მიზეზით, რამდენი ქრთამი დამიხარჯავს, აღურაცხველია, რომ ათი იმისთანა ვენახი მომივიდოდა-ო.“<sup>299</sup>

სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ქრთამის აღებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობას ადგილი აქვს „ოქროპირ წერეთლისა და გიორგი ორჯონიკიძის სასისხლო საქმეზე განჩინებაში“. ოქროპირ წერეთლი ბრალს სდებს გიორგი ორჯონიკიძეს, რომ იგი თავის ძმასთან და ყმასთან ერთად, გზად მიმავლებს თოვებით შეიარაღებული დახვედრია. ოქროპირის ძმა გიორგი ორჯონიკიძეს ყმასთან ერთად დაუჭერია და მათ გამოუშვებლობაში ორჯონიკიძეს ქრთამი გადაუხდია. შემდეგ კი ისინი გაუყიდია. სასამართლომ ორჯონიკიძეს თავის გასამართლებლად დაფიცება მოსთხოვა, ამგვარი ტექსტით: „შენ რომ ძმისა და ყმის დახდომას მეწამები, არც ჩემის რჩევით და განდობილობით დაჭრილიყოს, არც დაჭრული კაცი ჩემთან მოეყუანოს, არც ის კაცები, ვინც იმაში ერია, ჩემად ყმად მყოლებოდეს, არც დღეს

<sup>295</sup> დასახ. ნაშრომი, 459

<sup>296</sup> დასახ. ნაშრომი, 267

<sup>297</sup> იქვე

<sup>298</sup> ქ.ს.ძ. ტ. VII, ობ, 1981, 264

<sup>299</sup> ქ.ს.ძ. ტ. VII, ობ, 1981, 789

მყავდეს, არც არავისთვის შენის ძმის და ქმის გამოუშვებლობაში მე ქრთამი მიმეცეს-ო.“<sup>300</sup>

მაშასადამე, აღნიშნული დოკუმენტი დადასტურებაა იმისა, რომ ქრთამი გაიცემოდა პირთა დაკავებისათვის და მათი გამოუშვებლობისათვის, მაგრამ ხდებოდა, პირიქითაც, როცა ქრთამი გაიღებოდა დაკავებულთა გამოშვებისთვის. ფინეზი თავის ძმას - ასლამაზს ბრალს სდებს, რომ მან მეფისაგან მიბარებული ტყვეები გააბარა, რაშიც ქრთამი აიღო: „ბატონმან ტყუები მიაბარა ასლამაზ ქრთამი აიღო და გააპარა იმისათვის ბატონმა ხელი დამიჭირა, ბევრი ავი მიყო და კიდევ გამძარცო.“<sup>301</sup>

საქართველოში მოქმედი სამართლის ძეგლთა ნორმები ითვალისწინებდნენ აკრძალვებს როგორც მოსამართლეთა და მოხელეთა მხრიდან ქრთამის აღების შესახებ და მით უკანონო მოქმედებათა შესრულებას, ასევე ითვალისწინებდნენ მოწმეების მიერ ცრუ ჩვენების მიცემის საკითხესაც და სასტიკად კრძალავდნენ ქრთამისათვის ცრუმოწმეობას. პრაქტიკაში, ალბათ, მაინც ჰქონდა ადგილი ქრთამის აღებით ცრუ მოწმეობას, რის დადასტურებასაც წარმოადგენს XVII საუკუნის განჩინება „ზაქუმასა და შალიკას შვილების მამულის თაობაზე“.

ზაქუმასა და შალიკას შვილებს ერთამენეთში დავა ჰქონდათ ზემო ჯახობის მიწებზე. სასამართლომ ზაქუმას შვილებს დაფიცება და მოფიცრების მოყვანა დაავალა. ზაქუმას შვილებმა, ქრთამის გადახდით, დაიქირავეს მოწმეები ალალიშვილი ბაინდურა, ველისაშვილი გასაბრა და ნასრიას შვილი შანაზარა. მაგრამ, როდესაც „მოვიდნენ ხელმწიფის კარზე მოფიცრები ეს ილაპარაკეს, ტყუილად გვაფიცაო.“<sup>302</sup> მოწმეებს შეეშინდათ ტყუილი ფიცისა და იძულებული გახდნენ ელიარებინათ, ქრთამის აღებით, ცრუ დაფიცების თხოვნის ფაქტი.

სასამართლომ, რა თქმა უნდა, არ გაითვალისწინა ზაქუმას შვილების ფიცი და სადაო მამული თანაბარწილად გაუყო მოდავე მხარეებს.

პრაქტიკულად, ცხოვრებაში, ადამიანთა შორის, ურთიერთობებში ცრუ მოწმეობას, მსაჯულის წინაშე ტყუილის თქმას და სიმართლის დაფარვას რომ არცთუ იშვიათად ჰქონდა ადგილი, მოწმობს 1688-1703 წლებით დათარიღებული „ბრძანება ერეკლე I-სა სამართლის ქმნის შესახებ“.

ტყუილის საფუძველი მრავალი შეიძლება ყოფილიყო. მაგალითად: შიში, ქრთამის აღება, მოყვრობა-ნათესაობა ან, თუნდაც, უმცროსის უფროსისადმი დამოკიდებულება ანუ ბატონისადმი ქმის მორჩილება, ხათრი და ა. შ.

ამ უარყოფითმა ტენდენციამ, რომელმაც, როგორც ჩანს, მასიური ხასიათი მიიღო, აიძულა მეფე ერეკლე I-ლი გამოეცა სათანადო ბრძანება, სადაც იგი აღნიშნავს: „ვინც სამართალში კაცი მოეფეროს და მართალი არა თქოს, ან ჩემის ყმობით, ან დიდის კაცის ყმობით, ან შიშითა და ქრთამითა, ან მოყუარებითა, სულიც წაუწყდესო.“<sup>303</sup>

<sup>300</sup> ქს. გ IV, თბ, 1972, 359

<sup>301</sup> დასახ. ნაშრომი, 57

<sup>302</sup> ქს. გ IV, თბ, 1972, 145

<sup>303</sup> ქს. გ II, თბ, 1965, 233

მაშასადამე, ტერმინ „ქრთამს“ სისხლის სამართლებრივი დატვირთვაც პქონდა. იგი დანაშაულებრივი ბუნების ხასიათს იძენდა იმ შემთხვევისათვის, როცა მისი მიცემა მაშინ ხდებოდა, როდესაც შესრულებული უნდა ყოფილიყო მოქმედი სამართლის ნორმის მოთხოვნის საწინააღმდეგო ქმედება.

მოცემული დოკუმენტების განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თუკი უკანონოდ დანაშაულებრივი ქრთამის აღება და მით საქმის გადაწყვეტა ცნობილი გახდებოდა პირთათვის, ვისაც უფლება პქონდა ზეგავლენა მოეხდინა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, აუქმებდა და გადასაწყვეტ საკითხს ნორმის მოთხოვნათა ფარგლებში აქცევდა. მექრთამე მოსამართლეებს და მოხელეებს კი, თავიანთ მოვალეობებს ასესენებდნენ და აფრთხილებდნენ, ეგრძნოთ პასუხისმგებლობა დვთისა და ქვეყნის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მექრთამეობის გამო, არასწორი გადაწყვეტილების გამოტანისას, აუცილებლად, დაისჯებოდნენ. ეს გვაფიქრებინებს ვთქვათ, რომ არც სულ მთლად, მაგრამ მაინც, მაღალ სამოხელეო წრეებში მექრთამეობა მიუღებელი მოვლენა იყო, თუმცა იგი საქმეს ვერ შველოდა, რადგან ქრთამის აღება და მით სამართლის პოვნა, პრაქტიკულად ცხოვრებაში მეტად გავრცელებული და აუცილებელი მოვლენა იყო, რაც რა თქმა უნდა, დოკუმენტებში რეალურ ასახვას ვერც და არც პოულობდა, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობის ექსპლუატაციორული ბუნების გამო.

## თავი IV

### ქრთამი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით

XVIII საუკუნის II ნახევრის უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტად რთული იყო. ჯერ კიდევ, ერეკლე II-ის სიცოცხლეშივე ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი, კარგად ხედავდა, რომ არსებულმა სახელმწიფოებრივმა წყობილობამ დრო მოჭამა და აუცილებელი იყო მისი შეცვლა საზოგადოებრივ-ურთიერთობათა დროის შესაფერისად, მაგრამ ერეკლე II-ემ ამის გაკეთება სიცოცხლეში ვერ შეძლო, თუმცა, მისი სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვეტილა მცდელობები ქვეყნის გადახალისებისა და აღორძინებისათვის, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ გიორგი XII-ის ვაჟები, იოანე და დავით ბატონიშვილები, ამუშავებენ კანონთა პროექტებს, რომლებშიც მოცემული იყო სახელმწიფო წყობილების, ადმინისტრაციისა და მართმსაჯულების, ასევე სამეურნეო ცხოვრების შესაძლებელი გადაკეთება ისე, რომ შენარჩუნებული ყოფილი მეფის ხელისუფლება და დიდებულთა პრივილეგიები.

„სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, სწორედ, ამ გაცხოველებული საკანონმდებლო შემოქმედების დროს გაუთვნის. ამავე პერიოდს განეკუთვნება დავით ბატონიშვილის უმცროსი მმის, იოანე ბატონიშვილის „წინადადება“ და ცალკეული კანონპროექტის კრებული, ე.წ. „სამოქალაქოს პსჯულვილება“, რომლის უშუალო შემდგენლად და, შესაძლოა, თაოსნადაც ვინმე დიდი მოქალაქეთაგანი მოსჩანს<sup>304</sup>.

არსებულ მრავალრიცხოვან კანონპროექტთა შორის, შედარებით სრულყოფილი, დავით ბატონიშვილის პროექტია.

დავით ბატონიშვილს შეგნებული პქნდა, რომ სახელმწიფო ძლიერება დამოკიდებული იყო მოხელეთა საქმიანობაზე, მათ მიერ დაკისრებულ მოვალეობათა პირნათლად შესრულებაზე. ამიტომაც, კანონპროექტში, მეტ-ნაკლები სიზუსტით დაახასიათა ცალკეულ მოხელეთა უფლება-მოვალეობანი და ხაზი გაუსვა არამარტო იმას, რომ არ ჩაედინათ უმსგავსო საქციელი, არამედ, მიუთითა სასჯელებზეც, რომელიც მოხელებს მიეზღვებოდათ მინდობილი საქმის ბოროტად გამოყენებისას. ერთ-ერთ უმსგავსო საქციელად და ქვეყნის დამდუპველად დ. ბატონიშვილმა მექრთამეობა მიიჩნია და, სავსებით სწორადაც. ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაცემად მექრთამეობის მიხნევა ბატონიშვილის მხრიდან, სრულიად გასაგებია, რადგან მის დროინდელ საქართველოში და რუსეთშიც, მეფის კარზე, სადაც იგი მოღვაწეობდა, მექრთამეობა ძლიერად ფეხმოკიდებული მოვლენა იყო. ზემო თქმულიდან გამომდინარე დ. ბატონიშვილმა მკვეთრად გაუსვა ხაზი მოხელეთა უქრთამობის საკითხს. მოხელეთაგან მან დიდი ყურადღება მიაქცია მოსამართლეებს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოხელეთაგანს, რომელთა მიერ მართალი სამართლის ქმნაზე, დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი.

დაბატონიშვილის კანონპროექტის მიხედვით, იქმნებოდა სამეფო საბჭო, როგორც მუდმივმოქმედი უმაღლესი ორგანო, რომელიც მეფის

<sup>304</sup> ფურცელაძე დ, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964, 05

მიერ მოიწვეოდა და მეფევე თავჯდომარეობდა. „უდიდესი უფლებებით აღჭურვილი საბჭო, ქმნის სასამართლოთა ერთიან სისტემას, სადაც გამორიცხული უნდა ყოფილიყო „ბოროტგანზრახულობანი”. საბჭოსვე უნდა დაესაჯა დაუდევარი და მიკერძოებული მოხელეები.

მოსამართლეები აირჩეოდნენ პატიოსანი და გამორჩეული გვარისაგან „და არა უპატიოთა და უგვანთა გუამთაგან”<sup>305</sup>, და რაკი, მხოლოდ, ამ პატიოსანი გვართაგან იქნებიან მოსამართლეები დანიშნულნი, ამიტომაც მართებთ კდემამოსილება, პატიოსნება და მეფისადმი ერთგული სამსახური. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დ. ბატონიშვილი კანონპროექტში მიუთითებს, რომ მოსამართლედ დამტკიცებამდე, შერჩეულმა პირმა, ეკლესიაში, დვთის წინაშე ფიცი უნდა დადოს. უნდა დაიფიცოს, რომ იგი იქნება მეფისა და საზოგადოების ერთგული, და რომ ქრთამის აღების, მოუსყიდველობის, პირადი ანგარიშსწორების გარეშე, პატიოსნად შეასრულებს თავის მოვალეობას: “ოდეს დაიდგნენ მსაჯულნი და გამორჩეულ იქნენ, მაშინ ჯერ-არს მათდა მისვლად და ფიცვად ეკლესიასა შინა ერთგულობისათვის მეფისა და საზოგადოებისა და ეგრეთვე თვალუდებელობისათვის გლახაკთა, აზნაურთა, თავადთან, მეფის ძეთა და მეფეთა ზედა, რომელნიცა ქვეშე შემვრდომ იქმნებიან მსჯავრთა მათთა, რათა საჯონ მიუფერებელად, თვინიერ ქრთამისა, სიმრუდისა, შურისა და ბირებისა”<sup>306</sup>.

მიუხედავად ამისა, თუ მაინც აღმოჩნდებოდა მოსამართლე, რომელიც არად ჩააგდებდა დვთის წინაშე დადებულ ფიცს, დაარღვევდა მას, რაც ცნობილი გახდებოდა მეფისათვის, მაშინ ასეთი “მოსამართლე ესევითარისა მოქმედად, განიძოს სამსახურით და მისცეს სამეფოცა ჯურუში”<sup>307</sup>.

ვინაიდან, მოსამართლეების მიერ ირჩეოდა ამქვეყნიური სამართლებრივი ურთიერთობანი, მათი პასუხისმგებლობა მარტო ფიცით არ ამოიწურებოდა. მოსამართლეთა მუშაობაზე სამეფო საბჭო აწესებს კონტროლს. გარდა ამისა, მუშაობის დაწყებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, თითოეული მოსამართლე ვალდებულია მეფის წინაშე გააკეთოს ანგარიში თავისი სამოსამართლო მოღვაწეობის შესახებ. “მოსამართლეებს უნდა ჰქონებოდათ ყველაზე დიდი სიფრთხილე და ყურადღება, რათა არ დაეშვათ უდანაშაულოთა წამება.”<sup>308</sup> მაშასადამე, თუ მოსამართლეს ეჭვი ექნებოდა, რომ „შეწამებული“ დამნაშავეა, მაგრამ იგი არ აღიარებდა თავის დანაშაულს, მაშინ მოსამართლეს უფლება ჰქონდა, დანაშაულში ეჭვმიტანილი „ტანჯვით გამოეკითხა”, კიდეც გამოეცადა „რათამცა ზედმიწევნილ იქმნეს საქმე მართალი”<sup>309</sup>, მაგრამ მოსამართლე ყურადღებით უნდა ყოფილიყო, რომ უდანაშაულო, მართალი კაცი არ ეწამებინა და არ დაესაჯა. საინტერესოა, აღინიშნოს, რომ დ.ბატონიშვილი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოსამართლისაგან ეჭვმიტანილის „ტანჯვით გამოეკითხვის” ორ შემთხვევას. პირველი, როცა ამას მოსამართლე აკეთებს „შეწამებულისათვის” ტანჯვის მიუენებას განზრახსვის გარეშე, „მიუხდომელობით” და მეორე, მიკერძოებით,

<sup>305</sup> ფურცელაძე დ, სამართლი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964, 50

<sup>306</sup> დასახ. ნაშრომი, 50

<sup>307</sup> იქვე

<sup>308</sup> ბატონიშვილი დ, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმხილვა, თბ, 1959, 244

<sup>309</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 146

განზრახ, გამორჩენის, ქრთამის აღების მიზნით. სასჯელის სიმპაციურ აღნიშნული განსხვავებიდან გამომდინარეობს. იმ შემთხვევისათვის, “თუ მსაჯულმან ტანჯვაი ჰყოს მიუხდომელობითა, მაშინ კაცსა მას ზედა მოითხოვოს ბოდიში, თეთრითა განიმართლოს კაცი იგი ერთა წინაშე”<sup>310</sup>, მაგრამ თუ მსაჯულნი, მიკერძოებას გამოიჩენენ მათდამი დაქვემდებარებული საქმეების გარჩევისას, ქრთამის აღების ან სხვა ანგარებითი საფუძვლით, რაც გამოაშკარავებული იქნება, მაშინ ასეთი მოსამართლენი გაგდებულნი იქნებიან სამსახურიდან სამუდამოდ, აეყრებათ ყველა ლირსება და ჩინი, ამავე დროს დაეკისრებათ დიდი ფულადი ჯარიმა, რომელიც უნდა გადაუხადონ, ერთის მხრივ, იმ პირს, ვინც უდანაშაულოდ აწამეს, მათი სოციალური, წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ისე, როგორც ამას ვახტანგის სამართალი ითვალისწინებდა, და, მეორეს მხრივ, ხაზინის სასარგებლოდ: „დაუკეთუ მსაჯულთა პქნან განგებ ეს ქრთამით, მაშინ მოაკლდენცა პატივსა და სამეფოთა ჯურუმითა განაპატიჟენ და მიაცემინონ სისხლი ტანჯულსათვის.”<sup>311</sup>

მაშასადამე, მექრთამე მოსამართლე დ. ბატონიშვილისათვის მიუღებელია, ამიტომაც მოუწოდებს მათ გონიერებისაკენ და ამასთან, აფრთხილებს: „ვითარმედ პატიოსნად აღმოჩენილთა კაცთა უმსუბუქებს იქმნების ტანჯვაი, ვიდრე უპატიოთა კაცის-მკულელთა, ავაზაკთა, ქურდთა და მეამბოხეთა”<sup>312</sup> და რომ „დიდისა საქმისათვს იქმნების ფიცხელი ტანჯვაი და არა მცირისა.”<sup>313</sup>

დ.ბატონიშვილის კანონპროექტი, შეუდარებლად წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართულ სამართლებრივ აზროვნებაში, მაგრამ, უნდა ადინიშნოს, რომ იგი მაინც ვერ გასცდა ფეოდალურ სულისკვეთებას და თავადაზნაურობა დიდი უფლებებით აღჭურვა, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ დიდგვაროვანთა დასჯა ადვილად შესაძლებელი არ იყო. თუმცა, ბატონიშვილი იქვე მიუთითებს ისეთ დანაშაულებზე, რომელიც არავის ეპატიებოდა, მათ შორის - არც დიდგვაროვნებს. ერთ-ერთი ასეთი დანაშაული, სწორედ ქრთამის აღება. მოსამართლეები მაღალი წრიდან ინიშნებიან, ამიტომაც მათ მეტი მოეთხოვებათ: „როდესაც მოსამართლეთაგან ვინმე მხილებული იქნება მექრთამეობაში, პირველ შემთხვევაში, იხდის ფულად ჯარიმას, და აბრუნებს უკან ქრთამს, ხოლო მეორე - შემთხვევისას სამსახურიდან გაგდებული იქნება სამუდამოდ.”<sup>314</sup>

კანონპროექტის მიხედვით, საქმის სამართლიანად გადაწყვიტა დამოკიდებულია არამარტო მოსამართლეთა პატიოსნებაზე, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმხილველის „მოწმობას“ ანუ ჩვენებას სასამართლოში საქმის გარემოებათა გამო. ვინაიდან ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, ადგილი ჰქონდა მოწმისაგან არასწორი ჩვენების მიცემას, რაც შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, ანგარებით, ქრთამის აღებით, მობირებით, ბოროტებით, შურისძიებით, მიდგომით და ა.შ. ამიტომაც, კანონპროექტის სპეციალურ მუხლში „მოწამეთათვის“ განსაზღვრულია, ვინ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოწმედ: „უხმარი,

<sup>310</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 147

<sup>311</sup> იქვე

<sup>312</sup> იქვე

<sup>313</sup> იქვე

<sup>314</sup> ბაგრატიონი დ, მიმოხილვა, 384

შეურაცხნი, ფიცისა გადამავალნი, მღუდელმთავართაგან კრულნი, საზოგადოებისაგან პლუტად ცნობილნი, უაღსარებონი, მამულთა სამნისა შემრევნი, საზოგადოობისა ორგულნი (მექრთამენი), განდევნილნი, დაშავებულნი, კაცის-მკულელნი, ცხადად მემანი, ყრმანი უასაკონი, ხელნი, სხეულნი, რომელთაცა არა აქუს ცნობაი უძლურებითა, უცხონი, რომელნიცა ჯერეთ მუნებურთაგან არა ცნობილ იყუნეს.“<sup>315</sup>

სასამართლოში მოწმედ დაშვებულმა პირმა მოსამართლეთა წინაშე ფიცი უნდა დადოს, რომ: „არცა მტერობით, არცა შურით, არცა მიდგომით და არცა სხვათა რაითამე განზრახვით და ანუ თნებით უმოწმონ.“<sup>316</sup> მიუხედავად კანონის თხოვნა-გაფრთხილებისა, თუ მოწმე თნებით ანუ ქრთამის აღებით ცრუ ჩვენებას მისცემს, რაც ცნობილი გახდებოდა სასამართლოსათვის: „მაშინ დაისაჯოს, ვითარცა ცრუ ერთა შორის მოყივნებითა, ჯურუმითა და კაცისა მის სუპატიოსა მიცემინებითა დირსებისამებრ გუამისა. <sup>317</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ფიცი, კვლავ გვავლინება, როგორც ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთ მტკიცებულება: „ ფიცი არს სახე დამტკიცებისა და დამწმენდელი სამართლისა, რომელთაცა ჭეშმარიტებრი საქმე უკანასკნელ ჭეშმარიტებისა შინა შეიცვის და მით დამტკიცებულ იქმნების“<sup>318</sup>. ამასთან, ფიცს ხშირად არ უნდა მიმართავდნენ და, რაც მთავარია, ყურადღება უნდა მიექცეს: „რათა არა (იფიცებოდნენ) სიძულილითა, არცა მტერობით, არცა განრისხებითა მის ზედა; არც მობირებითა (მოსყიდვით) და არცა თნებითა (ქრთამისათვის)“<sup>319</sup>, წინააღმდეგ შემთხვევაში მექრთამე, ბოროტი, ცრუდ დამფიცებული მოწმენი სასტიკად იქნებიან დასჯილი მეფისა და კანონის მიერ.

მექრთამეობის პრობლემას დ. ბატონიშვილი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, მწვავედ უყენებს არამარტო მოსამართლეებს, არამედ ყველა მოხელეს, სულერთია ვინ იქნება იგი - მოურავი, მდივანბეგი-ნაცვალი, პოლიციის მუშაკი, მწევარი, მამასახლისი, ხევისთავი, მელიქი და ა.შ. „ყველა ადამიანი, რომელიც იმყოფება თანამდებობაზე, ვალდებულია მთელი პატიოსხებისა და სამართლიანობის დაცვით, შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა“<sup>320</sup>.

მოურავები, დიდი თანამდებობის პირებია, რომლებსაც ფართო უფლებები გააჩნიათ. მათ აქვთ უფლება აწარმოონ სამოსამართლო საქმე თავიანთ სამოურვაო ტერიტორიაზე, მოძებნონ ავაზაკები, კაცისმკვლელები, სახლისა და მნების დამწევლნი, ქურდები, მტაცებლები, ორგულები, მტრისთვის ინფორმაციის მიმცემი. მათ ევალებათ თვალყური ადევნონ, რათა არ გავრცელდეს რაიმე საშიში დაავადება, ყურადღება მიაქციონ, რათა სიმშვიდე იყოს სამოურავოში, შეკრიბონ ჯარი საჭიროებისამებრ, აკრიფონ სამეფო ხარკი, ყურადღება მიაქციონ ვაჭრობას, უზრუნველყონ დამნაშავეთა გაგზავნა საპურობილები და ა.შ. ასე, რომ მოურავები თავიანთ სამოურავოებში სრულუფლებიანი მოხელეები არიან, ამიტომაც „მოურავთა მართებთ

<sup>315</sup> ბაგრატიონი დ, მიმოხილვა, 52

<sup>316</sup> იქვე

<sup>317</sup> იქვე

<sup>318</sup> ბაგრატიონი დ, მიმოხილვა, 101

<sup>319</sup> დასახ. ნაშრომი, 102

<sup>320</sup> დასახ. ნაშრომი, 264

რათამცა ბრძანებით მეფისა და სამართებლოდსა ადასრულოს მსწრაფლად, ერთგულად, სიმართლით და მგვარჯივად, თვინიერ ყოვლისავე რამსამე მიზეზისა<sup>321</sup>. ამგვარი უფლებების ფონზე, ცხადია, ცდუნებაც დიდი იქნებოდა და მოურავთაგან გამორიცხული არ იქნებოდა ქრთამის აღება და საქმის მით „მოწერიგება“. დ. ბატონიშვილი ითვალისწინებს რა აღნიშნულ გარემოებას, აწესებს სასჯელებს მექრთამე მოურავების მიმართ. კერძოდ, ჯარიმის გადახდას - ხაზინის სასარგებლოდ და სამსახურიდან დათხოვნას: „უპუთუ მოურავმა აიღოს ქრთამი, განიპატიჟოს ჯურუმითა, ვითარ სწადდეს მეფესა, და იგი განუკუეთოს სახელოსაგან.“<sup>322</sup>

პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სხვა მოხელეების, კერძოდ, პოლიციის და მისადმი დაქვემდებარებული მოხელეების მიმართაც. პოლიციის მუშაკთა უფლებებიც ძალზე დიდია. დ. ბატონიშვილი კანონპროექტის სპეციალური მუხლით იძლევა გაფრთხილებას, რათა პოლიციის მოხელეებმა მოსახლეობისაგან, რომლებსაც ზედამხედველობენ, და რომლებიც ვალდებული არიან დაემორჩილონ მათ, ქრთამი არ აიღონ, წესიერებას არ უდალატონ, იუვნენ უანგარონი, მოუსყიდველნი. პოლიციის მოხელეები განსაკუთებით უნდა: „ემკაცრნენ, რათა არ მოიღონ ქრთამი, მოსახლეთაგან, რომელნიცა სამართალთა ქუეშე მიეცემიან“<sup>323</sup>, წინამდებარებული შემთხვევაში მკაცრად დაისჯებიან და გათავისუფლდებიან თანამდებობებიდან. მაშასადამე, დ. ბატონიშვილი არ ინდობს არავის, ვინც მექრთამეობაში იქნება მხილებული. პასუხისმგებლობა მით უფრო დიდია, თუ მოხელე, უშუალოდ, მეფისაგან იქნება დანიშნული ან მეფისაგან წარგზავნილი რაიმე საქმის მოსაგვარებლად. მაგალითად, საქართველოში, არცთუ ისე იშვიათი მოვლენა იყო მამულების განსაზღვრის გამო წარმოშობილი დავები. აღნიშულთან დაკავშირებით, მეფე, ადგილებზე, სპეციალურად აგზავნიდა პირებს, რათა მამულის საზღვრები მოდავე მხარეებს შორის სწორად განესაზღვრათ და საქმეც მშვიდად გადაეწყვიტათ. მაგრამ, ალბათ, არცთუ იშვიათი იქნებოდა შემთხვევები, როცა გაგზავნილი პირები მოისყიდებოდნენ, ქრთამს აიღებდნენ და დავას ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ, მისი ინტერესების გათვალისწინებით, გადაწყვეტილენ. თუ ეს გამომჟღვნდებოდა და გამოძიების ჩატარებით გაგზავნილ მოხელეს ქრთამის აღება დაუდასტურდებოდა, მას ან ჯარიმას გადაახდევინებდნენ, ან დააპატიმრებდნენ, ანდა თანმდებობიდან ჩამოაქვეითებდნენ. ჩამოთვლილი სასჯელებიდან ერთ-ერთის გამოყენება, ალბათ, კონკრეტული საქმის სიმძიმისა და მხარეთა წოდებრიობის გათვალისწინებით იქნებოდა შეფარდებული: „რომელმაც, წარგზავნილმან მეფისაგან და მსაჯულთა განმსაზღურებელთა მამულისათა, მიდგომითა და ქრთამითა ცრუდ განსაზღვრონ მამული, მაშინ გამოძიებითა საქმისათა დასაჯონ იგი ჯურუმითა ანუ პატიმრობითა და ანუ სახელოსა მოკლებითა.“<sup>324</sup>

მაშასადამე, დაბატონიშვილი მკაცრად აყენებს უქრთამობის საკითხს, მიუთითებს სასჯელებზე იმათ მიმართ, ვინც ქრთამის აღებით

<sup>321</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 207

<sup>322</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 210

<sup>323</sup> დასახ. ნაშრომი, 181

<sup>324</sup> დასახ. ნაშრომი, 182

მინდობილ საქმეს უდალატებდა. მაგრამ თავი რომ დაიცვას მოსალოდნელი სასჯელების გამოყენებისაგან, გააძლიეროს მოხელეთა პასუხისმგებლობა, კანონპროექტში ცალკე თავს უთმობს საოლქო ინსპექტორების ანუ რევიზორების ინსტიტუტს. აქ მითითებულია, რომ ყოველ წელს, მთავრობის მიერ, სამეფო საბჭოსაგან ინიშნებიან გამოცდილი და სანდო მოხელეები, რომლებიც სამეფო საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებით არიან აღჭურვილნი. მათ უფლება ეძლევათ, პირადად დათვალიერონ, ე.ი. შეამოწმონ, პროვინციები. სულ 3 ინსპექტორი ანუ რევიზორი ინიშნება: “ერთი იგზავნება კახეთში, მეორე ათვალიერებს ქართლს, ხოლო მესამე რევიზიას უკეთებს იმ სათათრო დასახლებას, რომელიც საქართველოს ეკუთვნის”.<sup>325</sup> რევიზორებს უფლება აქვთ “შეამოწმონ მოურავები და სხვა მოხელეები და გამოიძიონ, მათი მოქმედებანი და ქცევები, გულმოდგინედ, მუჟაითად უცქირონ და დაიცვან თავისი მოვალეობანი, რათა არავინ იყოს შევიწროებული, დაჩაგრული და შეურაცხყოფილი. გადახედონ საჩივრებსა და მისცენ მართალი სამართალი”.<sup>326</sup> ასე, რომ რევიზორების უფლებები ფართოა. მათ კეთილსინდისიერებაზე დიდად არის დამოკიდებული სამეფო – საქვეყნო პოლიტიკის გატარება. ფართოა რა რევიზორების უფლებები, შესაბამისად, დიდია პასუხისმგებლობაც. პრაქტიკულად, სხვა მოხელეთა მსგავსად, ადვილი შესაძლებელი იყო ადგილი პქონოდა რევიზორთა მოსყიდვას. ის მოხელეები, რომელთა უკანონო ქცევები, მოსახლეობის ძარცვა და მექრთამეობა გამომჟღავნებული იქნებოდა, შეეცდებოდნენ რევიზორთა მოქრთამვა – მოსყიდვას, რათა არ დაეკარგათ თანამდებობანი. მართალია, რევიზორები მთავრობისაგან საგულდაგულოდ შერჩეულ, სანდო და გამოცდილ პირთაგან აირჩეოდა, მაგრამ რადგან ისინი ადამიანები იყვნენ, შესაძლოა, ვერ გაეძლოთ და “მოხელეთაგან ქრთამითა და ანუ მოყვრობით და ანუ სხვათა რაითამე მიზეზით”.<sup>327</sup> არასწორი მოხსენებები თუ ჩანაწერები გაეკეთებიათ. გაითვალისწინა რა დ. ბატონიშვილმა ეს „მიმოხილვის“ 294-ე მუხლში მიუთითა: „თანმიმდევრობით უურადღება უნდა მიექცეს, რათა ინსპექტორების ჩანაწერები და მოხსენებები შედგენილი იყოს სიმართლეზე და არ წარმოადგენდნენ მიკერძოებულ-არაობიექტურს. მხილებულნი შევიწროებაში, ჩაგვრაში, აგრეთვე მექთამეობაში, გაგდებულნი იქნებიან სამსახურიდან და სამუდამოდ კარგავენ საზოგადოებრივ თანამდებობაზე სახელმწიფო ნდობას“<sup>328</sup>.

საინტერესოა, რომ ქართულ სამართალში ცნობილია ფაქტი, როცა ერეკლე მეფის დრომდევ არსებობდა მსგავსი რამ. ქართველი მეფეები თავიანთ საიურისძიეციო ტერიტორიებზე, პირადად, ან თავიანთი სარწმუნო პირთა წარგზავნით, ოფიციალურად ან საიდუმლოდ, თავიანთი აგენტ-მსტოვრების მეშვეობით აწარმოებდნენ, ეწ. რევიზიას. მაგრამ იმ პერიოდისათვის ამას მუდმივი ხასიათი არ პქონია და იგი საჭიროების და მიხედვით გარდებოდა. ამჯერად, კი ერეკლესა და გიორგის მეფობის დროს, რევიზიას სისტემატური ხასიათი აქვს და ყოველ წელს სამეფო საბჭოს წევრებისაგან რევიზორები ანუ ინსპექტორები გამოიყოფიან<sup>329</sup>.

<sup>325</sup> ბაგრატიონი დ, მიმოხილვა, თბ, 1959, 111

<sup>326</sup> იქვე

<sup>327</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 33

<sup>328</sup> ბაგრატიონი დ, დასახ. ნაშრომი, 111

<sup>329</sup> დასახ. ნაშრომი, 112

ამგვარად, დ. ბატონიშვილმა ეს საკითხი თავის კანონპროექტშიც შეიტანა, როთაც ხაზი გაუსვა სახელმწიფოს წიანშე მთავრობისაგან დანიშნული მოხელეების დიდ პასუხისმგებლობას.

კანონპროექტში დაყენებულია არამარტო სამოქალაქო, არამედ, სამხედრო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობაც, მათვის შეუფერებელი ქმედებისათვის, მათ შორის, რა თქმა უნდა მექრთამეობისათვისაც – კანონპროექტში მექრთამე სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ გათვალისწინებული სასჯელები უფრო მკაცრად მოსჩანან, ვიდრე მექრთამე სამოქალაქო მოხელეთათვის, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ კარგად შეიარაღებული და დისციპლინირებული ჯარი ქვეყნის არსებობის და ძლიერების საფუძველია. ძლიერი ჯარი კი ქვეყნისათვის აუცილებელია: „ვინათვან ქუეყანა ჩუენი არს ესრეთსა ადგილსა მდებარე, რომელიც თვინიერ მხედრობისა არსებითობა არა ეგების და რომლისა გარდა ბედნიერობა ჩვენი მდგომარეობა ვერა მოიგებს“<sup>330</sup>. ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია გაუფრთხილდეს სამხედრო ქონებას, საბრძოლო იარაღებს. განსაკუთრებული უურადღება გამახვილებულია ზარბაზნებისა და დროშის დაცვაზე, ვინაიდან იმ პერიოდისათვის, როდესაც დ. ბატონიშვილი თავის კანონთა პროექტებზე მუშაობდა, ჯარისათვის ზარბაზნები, როგორც საბრძოლო იარაღები „ფუფუნებას“ წარმოადგენდა. ერეკლე II-ის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზს, კრწანისის ომში, სწორედ ზარბაზნების სიმცირე და მეზარბაზნეთა უქონლობა წარმოადგენდა. რაც შეეხება დროშას, მისი დაკარგვა, ფაქტიურად, ჯარის განადგურებასა და დაცემას ნიშნავდა. გამომდინარე ამ მნიშვნელობიდან, დ. ბატონიშვილი კანონპროექტის სპეციალურ მუხლში, რომელსაც „დროშის დაკარგვისათვის და ჯართა“ ეწოდება, აღნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, არავის ეპატიება დროშისა და ზარბაზნის დაკარგვა, მაგრამ თუ მათი დაკარგვა სარდლის სახელთან იქნება დაკავშირებული, თანაც ორგულობით და ქრთამის აღებით, მაშინ ასეთი სასტიკად იქნებიან დასჯილნი, მათ როგორც სამშობლოს მოღალატეებს, თავებს აჭრიან, ხოლო მექრთამე სარდლები კი სამსახურიდან დაითხოვებიან, და ხალხისაგან შეჩვენებულნი იქნებიან: „რომელიცა დაკარგვას დროშასა და ზარბაზანსა, და უკეთუ ჰქმნას ესე სარდალმან ორგულობით, მაშინ მოყივნულ იქმნას ერთა წინაშე და ემხილოს ორგულობისათვის მისისა და მოპკვეთონ მას თავი; უკეთუ ჰქმნას ქრთამით, მაშინ განდევნილ იქმნას სამსახურისაგან და, განკიცხულ ერთაგან. განიდევნოს დაღადებითა ამით, ვითარმედ ორგულთა ჯილდოთ ეს არსო“<sup>331</sup>. ასევე სასტიკია დ. ბატონიშვილი იმ ორგული და მექრთამე სარდლების მიმართ, რომლებიც, უკვე ბრძოლით აღებულ ადგილებში შესულნი ისეთ საქმეებს ჩაიდენენ, რაც შეურაცხყოფს მეფისა და ლაშქრის სახელს: „რომელიცა სარდალთა ანუ მთავართაგანი ბრძანებითა მეფისათა ციხეთა და ქალაქთა და საფართა შემოადგეს, ნუდარა იკადრებს, თვინიერ დიდისა საჭიროებისა, ხელისა აღებად, რომლისაცა მოქმედნი თვინიერ დასჯისა არა ეგებიან; ხოლო ორგულებისა სახითაცა მოქმედნი განიპატიუებიან ორგულებისა პატიუებითა, და ქრთამითაცა მქმნელთა

<sup>330</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 86

<sup>331</sup> დასახ. ნაშრომი, 33

მიეღების ერთიორად და თვითცამ რაოდენმე პატიმრობასა დაშთების და შემდგომად სამსახურიდამცა განიძების“<sup>332</sup>.

დ. ბატონიშვილი ითვალისწინებს რა ქვეყნისათვის ძლიერი ჯარის მნიშვნელობას, აღიარებს საერთო ხელმძღვანელობაზე დაფუძნებულ ლაშქრის არსებობას. „უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციები, უპირველესად მეფეს აქვს მინიჭებული. ამიტომ არავის აქვს უფლება მეფის ბრძანების და დასტურის გარეშე, რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს, თუნდაც ჯარისკაცი სარდალმა თუ თფიცერმა, თავისი სურვილისამებრ, სამხედრო მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს. მით უმეტეს, თუ სამსედრო სამსახურიდან ჯარისკაცთა გათავისუფლება, მეთაურთა მხრიდან, ქრთამის გამორთმევით მოხდებოდა. ასეთ შემთხვევაში: „დამთხოვნი კაცთანი განიპატიუებიან: პირველისა ქმნისთვის ერთა წინაშე მხილებითა, ხოლო მეორისათვის – ჯურუმითა ეგოდენითა მეტითა, რაოდენიცა გამოურთმევია მისთვეს, და მესამედ ქმნისთვის – სამსახურიდამ განძებითა“<sup>333</sup>. უფრო მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული „მეჯურუმებისა“ და ჯარის მომწოდებელთა“ მიმართ. თუ აღნიშნული პირები, ქრთამის აღებით, სამხედრო სამსახურის მოვალეობისაგან გაათავისუფლებენ ლაშქარში გასაწვევ პირებს, მაშინ მათ ორმაგი ჯარიმის გადახდა დაეკისრებათ, გარდა ამისა, რამდენი კაციც ეყოლებათ გათავისუფლებული, იმდენი თვე მიესჯებათ პატიმრობა. „მეჯურუმენიცა და ჯარის მომწოდებელი ემკაცრნენ, რათა არა ქრთამითა დაითხოვნ კაცი, ვინათგან აქუსთ ჩუელებად უკანონიბისა გამო; რომელთაცა მიეხდების, ნაცვლად ერთისათვის, ორი ზომა ჯურუმი, და რაოდენიცა კაცი დაუთხოვნია, ეგეოდენსა თვესა პატიმარ იქმნების“<sup>334</sup>.

დ. ბატონიშვილის დროინდელ ქართულ სინამდვილეში ტერმინმა „ქრთამმა,“ წინა საუკუნეების მსგავსად, კვლავ, შეინარჩუნა ორგვარი მნიშვნელობა; „ქრთამი – როგორც დანაშაული, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, და ქრთამი, როგორც საჩუქარი, მირთმეული ძღვენი, რაიმე საქმის გასარიგებლად. დ. ბატონიშვილი ვერ ასცდა რა თავის დროინდელ სინამდვილეს, კანონპროექტში წარმოაჩინა „ქრთამის“ ორივე ბუნება – როგორც დანაშაული და როგორც საჩუქარი, კანონიერი გასამრჯელო. გვიჩვენა, რომ ერთ შემთხვევაში - ქრთამის აღება დანაშაულია, და მაშასადამე, დასჯადია, მეორე შემთხვევაში სრულიად მისაღები, გამართლებული საჩუქარია. საჩუქარი, როგორც ქალისა და მამაკაცის ქორწინებისას, ისე ცალკეულ პირებს შორის, სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით, წარმოშობილი ურთიერთობებში. საქართველოში ქორწინება გარიგების ერთერთი სახე იყო. დასაქორწინებელი პირები, უფრო სწორად კი, ოჯახის უფროსები ერთმანეთის წინაშე ურთიერთვალდებულებას ღებულობდნენ. ვალდებულების ერთ-ერთ პირობას საჩუქრის (მზითვის) ანუ ქრთამის მირთმევა წარმოადგენდა. აღნიშნულს, საქართველოში, ჩვეულებისა და ტრადიციის სახით, დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. დ. ბატონიშვილმა იგი კანონის ჩარჩოში მოაქცია. ამიტომაც კანონპროექტის 128-ე მუხლში აღნიშნა: სასიძო ქრთამი არ დაეხუთვის სიძესა, გინა სასძლოსა“<sup>335</sup>.

<sup>332</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 33

<sup>333</sup> დასახ. ნაშრომი, 143

<sup>334</sup> დასახ. ნაშრომი, 85

<sup>335</sup> დასახ. ნაშრომი, 75

მაშასადამე, სიძისათვის და საპატარძლოსთვის მისართმებს მზითვებს „სასიძო ქრთამი” და „სასძლო ქრთამი” რქმევია.

ოჯახის უფროსი, სასიძო თუ საპატარძლო ქრთამ-საჩუქრის მიცემისას, იძლევა თამასუქს, ქ. ი. ხელწერილს, სადაც დადასტურებულია ქრთამ-საჩუქრის ბოძება და აღნიშნულია იმის გვარი და სახელი, ვისაც ეს ქრთამი-საჩუქარი ეძლევა. ქრთამი-საჩუქარი, როგორც კანონპროექტის აღნიშნული მუხლიდან ჩანს, უფრო მეტად ფულში გამოიხატებოდა, თუმცა ეს არ გამორიცხავს საჩუქრის ნატურალურ ხასიათსაც. „სასიძო თუ სასძლო ქრთამი” დაზღვევულია დაკარგვისაგან, მაგრამ თუ მაინც მოხდა მისი დაკარგვა, მიუცემლობა, მაშინ ყურადღება ექცევა იმას თუ, რა მიზეზით ვერ მიიღებს ქრთამ-საჩუქარს სასიძო თუ სასძლო. 128-მუხლში მისი მიუცემლობის ორი მიზეზია წინ წამოწეული:

1. თუ ქრთამად განკუთვნილი თეთრი განადგურებული იქნება ცეცხლის ან სხვა უბედური შემთხვევის გამო, მაშინ ზარალს განიცდის ის, ვისთვისაც იგი იყო გათვალისწინებული, რადგან თეთრის განადგურებაში ოჯახს და ოჯახის წევრებს ბრალი არ მიუძღვისთ.

2. მაგრამ თუ სასიძოსათვის, ანდა საპატარძლოსთვის განკუთვნილი ქრთამი თეთრი, ოჯახის საჭიროებისათვის იქნება დახარჯული, მაშინ ოჯახი ვალდებულია აანაზღაუროს იგი: „მაგრა იქმნების, რომელ სახლისა უფროსმან განსცეს ანუ სასიძოსა და ანუ სასძლოსა სახელსა ზედა; ხოლო რომელსაცა ექმნების თამასუქი თვისსა სახელსა ზედა, უკეთუ შეხუდეს თეთრისა დაწვითა უბედურებად, დაეწვის მას, ვისისაცა სახელსა ზედა არს თამასუქი.

და უკეთუ, საერთოდ, სახლისა სახმარ-ყოფისათვის დახარჯვენ, მაშინ თეთრისა პატრონსა აღუდგენენ საერთოდ”<sup>336</sup>.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კანონპროექტის აღნიშნული მუხლის მიხედვით, უშვილობის შემთხვევაში, ქრთამ-საჩუქრის მიმცემ ოჯახს, უფლება ეძლევა, ქრთამის უკან დაბრუნება მოითხოვოს; „ხოლო უკეთუ არა დაუშთების შვილი, უკანვე წაიღებენ ყოველსავე ჩუქებულსა მას“<sup>337</sup>.

კანონპროექტის იმავე მუხლში გამოკვეთილია ტერმინ „ქრთამის“ კიდევ ერთი ბუნება. ქრთამი, როგორც, დავალების შესრულების საშუალება. თუ კაცი კაცს რაიმე საჭირო გაკეთებას შეპირდება-იღებს ქრთამს-გასამრჯელოს, ეს უკვე შესასრულებელი სამუშაოსთვის წინასწარ აღებული საზღაურია, რომელიც არ ისჯება, პირიქით, იგი კანონპროექტით დაშვებული და დაცულია. თუ ქრთამ-საზღაურის ამღები დაპირებულ სამუშაოს ვერ შეასრულებდა, საქმეს ვერ გააკეთებდა, მაშინ ვალდებულია წინასწარ აღებული ქრთამი-გასამრჯელო უკანვე დაუბრუნოს ქრთამ-გასამრჯელოს მიმცემს. “ხოლო უკეთუ მოხდეს, რომელიც ქრთამად აჩუქოს რამე ვერდარა შეუსრულოს აღთქმული თვისი, მაშინ ,რამცა მიეცეს უკანვე მიეზღოს.”<sup>338</sup>

ამრიგად, დ. ბატონიშვილმა ქვეყნისათვის მეტად მწვავე პერიოდში შეიმუშავა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სახელმწიფო წყობის ახლებურად მოწესრიგების ნორმები. კანონპროექტში სხვა

<sup>336</sup> ფურცელაძე დ, დასახ. ნაშრომი, 75

<sup>337</sup> იქვა

<sup>338</sup> იქვა

მნიშვნელოვანი საკითხების გვერდით, დაყენებულია ქრთამისა და მექრთამეობის საკითხიც.

დ. ბატონიშვილმა ხაზი გაუსვა მექრთამეობას, როგორც სერიოზულ დანაშაულს, რომელსაც კი შეიძლებიდა ადგილი ჰქონოდა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და მექრთამე, სამოქალაქო თუ სამხედრო, მოხელეებს მძიმე სასჯელები განუსაზღვრა.

მნიშვნელოვანია, რომ დ. ბატონიშვილი თავის კანონპროექტში ტერმინი “ქრთამის” განიხილავს არამარტო როგორც დანაშაულს, არამედ გვიჩვენებს, მის სხვაგვარ ბუნებასაც, კერძოდ, ახასიათებს ქრთამს, როგორც საჩუქარს, რომელიც დასჯადი არ არის, პირიქით, იგი მიღებული ფორმაა, აგრეთვე, ახასიათებს, როგორც საზღაურს შესასრულებელი თუ შესრულებული სამუშაოსთვის.

ტერმინი “ქრთამის” მრავალგვარმა მნიშვნელობებმა, როგორც ამას ქართული სამართლებრივი აქტები ადასტურებენ, დიდხანს შეინარჩუნეს არსებობა ქართულ სინამდვილეში.

რა თქმა უნდა, დ. ბატონიშვილის დამსახურება უდავოდ დიდია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ვერ გასცდა თავისი კლასის ინტერესებს, და როგორც ტახტის მემკვიდრე, ცდილობდა არამარტო შეენარჩუნებინა, არამედ განემტკიცებინა კიდეც მონარქის ხელისუფლება და დიდგვაროვანთა წრიდან დანიშნული მოხელეების პასუხიმგლობის ამაღლებით, დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა და საქართველოს მართვა დროის შესაფერისად წარემართა.

## თავი V

### ტერმინები, რომლებიც „ქრთამის“ მნიშვნელობით იხმარებოდნენ

ქართულ ლექსიკაში, არც თუ იშვიათად, ვხვდებით სხვა ხალხთა ენებიდან შემოსულ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც, დროთა განმავლობაში, იმდენად გაითქვიფა ქართულ სასაუბრო თუ სალიტერატურო ენაში, დღეს ძალზე ძნელია გაარკვიო უცხოენოვანია ისინი, თუ ქართული, მხოლოდ სპეციალისტების და მკვლევართა მეცნიერული მუშაობის შემდეგ დგინდება მათი წარმომავლობის, ქართულ ენაში შემოსვლისა და დამკვიდრების მიზეზები.

თავისთვად კი უმდიდრესი ქართული ენა, იმავდროულად, უძველესიცაა და ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს სიტყვათა მრავალფეროვნება ამა თუ იმ მოვლენის გამოსახატავად. აღნიშნულს ადასტურებს, თუნდაც „ქრთამის“ შინაარსის ამსახველ ტერმინთა სიჭრელეც. ფეშაში, ძღვენი, სასსარი, საბუჩარგო, ყაბზი, ფეხის ქირა, საფიცარი, თნება, სამათხობლო, ნიჭი, ვერცხლისმოყვარეობა, საფასვა, – ეს ის ტერმინებია, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობებში იხმარებოდნენ. მათ ვხდებით, როგორც სამართლის წიგნებში, ისე კერძო ხასიათის იურიდიულ დოკუმენტებში. აქვე ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ზემოთჩამოთვლილი ტერმინების გამოყენება დაკავშირებული იყო ხან კანონიერი ანუ მართველი გასამრჯელოს გადახდასთან, ხან დანაშაულებრივი ქმედების, საქმის უკანონო შესრულებასთან. ასე, რომ აღნიშნული ტერმინები, ქრთამის მსგავსად, ორგვარი მნიშვნელობის მატარებელნი არიან. ა) მაგალითად, ტერმინი „ფეშაში“, რომელიც თავისი წარმოშობით სპარსულია, ნიშნავს ძღვენს, საჩუქარს, გადებულს წყალობის მისაღებად<sup>339</sup>, ასევე გადებულს უკანონო ქმედებისათვის.

წყალობა, უფროსობით ზემდგომის მიერ, ქვემდგომის მიმართ გაიღებოდა, როგორც ყმა-მამულის, სახელოების, ასევე სხვადასხვა უფლებების ბოძებისათვის. იმერეთის მეფე გიორგი „ერთგულსა და დიდად თავდადებით ნამსახურსა აბაშიძე პაატას“<sup>291</sup>, იმის შვილს და წინამძღვარ ევდემონ წერეთელს, წყალობის ნიშნად, აძლევს ნავარძეთელ მამუკა ამაშუკელის ყოფილ გლეხებს და მიწებს, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პაატა აბაშიძეც და ევდემონ წერეთელიც მეფეს შესაფერისს ქრთამ-საზღაურს, ანუ იგივე ფეშაშ-საზღაურს მიართმევენ. მეფისათვის ფეშაშის მირთმევას იმგვარი დატვირთვა პქონდა, როგორი დატვირთვაც პქონდა ჩვენს მიერ წინა თავებში განხილული ქრთამის მირთმევას: „ასე და ამა პირსა ზედა რომე თრთავემ ერთად ფეშაში მოგვართვით და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ნავარძეთს მამუკას ამაშუკელის კერძი გლეხი და პარტახები, რისაც მქონებელი ნავარძეთს ყოფილიყო, მართლის სამართლიანის ყოვლის ფერითა გვიბოძებია.“<sup>340</sup>

ფეშაში, იგივე ქრთამი, მწყალობელის გულის „შემაჯერებელი“ უნდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში წყალობის მთხოვნელის სურვილი დაკმაყოფილებული არ იქნებოდა. დოკუმენტებში, ხშირად

<sup>339</sup> ბურჯანაძე შ, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია ოდიშის სამათავროებისა, წიგნი I, თბ, 1958, 18

<sup>340</sup> იქვე

გამოყენებულია ფრაზა „ქრთამიც კარგი მოგვართვით“, და რაკი ფეშქაში იგივე ქრთამია - „ნაბოძები“ ქონების ღირებულებაში მირთმეული, ამიტომ ვხვდებით გამოთქმასაც „ფეშქაშიც“ კარგი მოგვართვი“, რაც ძვირფასი საჩუქრების მირთმევას ანუ ძვირი ფასის გადახდას ნიშნავდა. მეფე ალექსანდრეს მიერ გაცემულ წყალობის წიგნში გაითხულობთ: „ფეშქაშიც კარგი მოგვართვით და ჩვენ გიბოძეთ წერეთელი ხოსია ხუთის კვამლის კაცითა, ერთის სამოსახლოს ალაგითა და ერთის პარტახითა“<sup>341</sup>.

ბატონს რომ ხელქვეითის ნათხოვ საქმეზე დასტური მიეცა, აუცილებელი იყო, „დასახუქრებული“ ყმა მწყალობელის პატივისმცემელი და ერთგული ყოფილიყო და მისი „სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმა“ დარჩენილიყო ქონების წყალობის შემდეგაც. სხვა შემთხვევაში ბატონი, ჯერ ერთი, რომ ორგულ და არასანდო ხელქვეითს, რა გინდ „კარგი ფეშქაშიც“ არ უნდა მიერთმია, წყალობას არ უზამდა, და მეორეც, თუ პირი ბატონს წყალობას არ დაუფასებდა, მაშინ მიცემული ფეშქაშის მიუხედავად, და უკან დაუბრუუნებლად, ნაბოძებ ქონებას ჩამოართმევდა, სხვას უბოძებდა და ახალ ფეშქაშს აიღებდა. ბეჟან წერეთელს მეფე ალექსანდრემ როგორც „ერთგულსა და დიდად თავდადებით ნამსახურ“<sup>307</sup> ყმას, სამეფო მიწები მიუბოდა და თან გააფრთხილა, თუ მისი ერთგული ყმა დარჩებოდა, ნაბოძები ქონება არასოდეს მოეშლებოდა: „ფეშქაშიც მოგვართვით, შეგიწყალეთ და გიბოძეთ საჩხერეს ჩუენის სახასოს ხვადაბუნის ნახევარი; გვიბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩემსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან და თუ თქვენ ჩუენი ერთგული, ჩუენი სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმა იყოთ, ადარასოდეს არ მოგიშალოთ-ო.“<sup>342</sup>

რიგ დოკუმენტებში „ფეშქაში“ გვხდება, როგორც ფასი, როგორც შესასყიდი ქონების ფულადი ღირებულება. მაგალითად, ვასილ კობახიძეს თორმეტ-თორმეტი თუმანი ფეშქაშად გადაუხდია ორი კომლი გლეხისა და ბეითელმანი მიწის შეძენისათვის: „ . . . ვარიანს ორი კომლი კაცი მებოძა, მანამ სააზნაურიშვილო გამოჩნდებოდესო, ეს გჭიროსო მკვიდრად სიგლითა და თორმეტი თუმანი ფეშქაში მივართვი ყველასა. მასუკან ბეითელმანი სააზნაურიშვილო გამოჩნდა და ის მიბოძეს და თორმეტი თუმანი კიდევ მეორეთ ფეშქაში იმაში მოვართვი ყველასა, ვინცავინ ბრძანდებოდნენ.“<sup>343</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმავე დოკუმენტში, თავად კობახიძე მიუთითებს ფეშქაშის და ქრთამის იგივეობაზე, ფეშქაშისა, რომელიც სარგებლით ანუ პროცენტით ვალად აუღია. პროცენტების ანუ სარგებლის გადახდას კი იგი ისეთ გაჭირვებაში ჩაუგდია, რომ იძულებული გამხდარა ეკლესიაში მათხოვრობაც დაეწყო. „ბედნიერო მეფევ, ასრე დავგლახავდი ამ მამულების ქრთამზედ, რომ მას ეკლესიაში ვთხოულობდი და ამ თეთრს სარგებელს ისე ვაძლევ, ასე საქმე გამიჭირდა-ო.“<sup>344</sup>

ფეშქაში, შესაძენი ქონების ღირებულად მოსჩანს სხვა დოკუმენტებშიც. ბეჟან ნაზაროვს თავისი სახლისკაცის იოანეს მამულების შოვნაზე ცხრა თუმანი ფეშქაშად დაუხარჯავს. ე.ი. ცხრა

<sup>341</sup> ბურჯანაძე შ, დასახ. ნაშრომი, 29

<sup>342</sup> იქვე.

<sup>343</sup> ქ.ს.ძ. ტ. V, თბ, 1974, 310

<sup>344</sup> იქვე.

თუმანი ქრთამად გადაუხდია: „ცხრა თუმანი ფეშქაში დავხარჯე შენი მამულის შოვნაზეო“<sup>345</sup>, მიმართავს ბეჭან ნაზაროვი სახლისკაც იოანეს. ციცი ციციშვილმა კი წყალობის წიგნი და ნიშანი დაუწერა და მისცა მეუნაგრე ბაბინას: „რადგან ჩუენი დიდი ნამსახური იყავ და ფეშქაშიც მოგუაროუი, ავდეგ და მეც ერთი კომლი ყმა მოგეც წყნეთელი გოგია თავისი ცოლითა და ოთხის ვაჟითა“<sup>346</sup>. იგივე ციცი ციციშვილი ფეშქაშის აღების შემდეგ ყმის ჩუქების წიგნს აძლევს ოხიაყორჩს პატრონს როსებს: „რადგან თქუენ მოინდომეთ, ჩუენ თქუენის გულისათვის დავთმევით და თქუენ მოგვაროვით ფეშქაში სრული, რითაც ჩვენი გული შეჯერდა“<sup>347</sup>. ერთგულებისა და გაწეული სამსახურისთვის „კაი ფეშქაშების“ მირთმევისათვის ერისთავისშვილი ბატონი ზურაბი კი ბოძების წიგნით მდივან გივი თუმანიშვილს „ჩუქნის“ ყმა-გლეხს: „ჩვენზედ ბევრი გარჯა და სიკეთე მოგიძოოდა და, რადგან ჩვენის სიკეთისა და შემატების მდომი ხართ, ბევრს გაისარჯე და კაი ფეშქაშები მოგვაროვი, ჩვენც ერთი ჩვენი მემკვიდრე ყმიშვილი მახარებლის-შვილი დათუნა მოგეცით“<sup>348</sup>.

ნასყიდი ქონება პატრონს და მის მემკვიდრეებს, როგორც წესი, არ უნდა დაკარგოდათ, მაგრამ პრქტიკამ იცის მაგალითები, როცა ნასყიდი ქონება მის შემძენს მაინც ეკარგებოდა. XVII საუკუნის დასასრულის ერთ დოკუმენტებში მოცემულია, რომ შერმაზან რჩეულიშვილს ხიზანა მონესელიძე და მისი შვილები ქაჯანა ალხაზიშვილისაგან პყავდა შეძენილი, მაგრამ სულეიმან ბატონიშვილს, შერმაზანის სიკვდილის შემდეგ მისი შვილისაგან აყრილი და მცხეთას გადასული ხიზანა მონესელიძე თავისი შვილებით „კაი ფეშქაშის“ „მირთმევის“ შემდეგ სახლთუხუცეს რევაზისათვის მიუცია: „ . . . აწე ფეშქაში მოგვაროვით და ის ნასყიდი კაცი ასე თქუენ გიბოძეთო“<sup>349</sup>.

ფაშქაში რომ ყიდვის დროს გადახდილი ფასის აღმნიშვნელი ტერმინია, დასტურდება 1698 წელს „ზურაბ ერისთავისაშვილის მიერ საამ კობიაშვილისადმი მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნითაც“. ერთგულად და თავდადებით ნამსახურმა ყმამ, საამ კობიაშვილმა ორმოცდაორი მარჩილის ფეშქაში მიართვა, ე.ი. ფასი გადაუხადა ზურაბ ერისთავის – შვილს, და მისგან იყიდა ყმა, მამულის გარეშე: „ორმოცდა ორის მარჩილის ფეშქაში მოგაროვი, და გიბოძეთ ლაბაური იანვარა მისის ცოლითა და შვილებითა უმამულოდ, ყოვლის კაცის უცილობელი-ო“<sup>350</sup>. მირთმეული ფეშქაში რომ ყმის ყიდვისათვის გადახდილი ღირებულებაა, მოწმობს ამავე დოკუმენტის ბოლოში გაკეთებული წარწერა: „ერისთავს შენთვის ლაბაური მოეყიდნა და ჩვენც ბეჭდის დასმას დაგვაჯენით და ჩვენც ბეჭედი დაგვისომს-ო.“<sup>351</sup>

<sup>345</sup> ქს. გ V, თბ, 1974, 541

<sup>346</sup> ბერძენიშვილი 6, ბერძნიშვილი მ, დოკუმენტები თბილისი ისტორიისათვის (XVI–XIX სს.), წიგნი პირველი, თბ, 1962, 21

<sup>347</sup> ბერძენიშვილი 6, დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა, თბ, 1940, 47

<sup>299</sup> დასახ. ნაშრომი. 157

<sup>349</sup> დასახ. ნაშრომი. 77

<sup>350</sup> ბერძენიშვილი 6, დასახ. ნაშრომი, 105

<sup>351</sup> იქვე

ფეშქაში საზღვაურის მნიშვნელობას ინარჩუნებს XVIII საუკუნეშიც, მაგალითად, ციცი ციციშვილს მემკვიდრე ყმა, კარალელი შავშიშვილი გაქცეოდა და ფარსადან ფაციაშვილთან მისულიყო. ფარსადან ფაციაშვილმა ციცი ციციშვილს სთხოვა ყმა მისთვის დაეთმო და სახაცვლოდ ფეშქაში მიართვა, რის შედეგაც ციციშვილმა ყმის დანებების წიგნი დაუწერა ფარსადან ფაციაშვილს: „ჩვენი მემკვიდრე ყმა კარალელი შავშიშვილი თქვენ მოგსლოდათ. ფეშქაში მოგვართვით, შემოგეხვეწერ. გუთხოვეთ და დაგანებეთ ყოვლის კაცის მოუდევარ-მოუსარჩელელად.“<sup>352</sup>

ფეშქაშის აღება ხდებოდა აგრეთვე ეპლესია-მონასტრებისათვის ყმების შეწირულების დროსაც. სვეტიცხოველს ზაალ ბარათაშვილმა სამკვიდრო ყმა შესწირა და გულისშემაჯერებელი ფეშქაშიც აიღო, რის დასტურადაც მან კათალიკოზს ქრისტეფორეს ყმის ნასყიდობის წიგნი მისცა: „ავიდეთ თქვენგან ფეშქაში, რითაც გული შეგჯერებოდა და შემოგწირეთ თქუენ სვეტიცხოველს ჩვენი მემკვიდრე ყმა.“<sup>353</sup>

ფეშქაშის გადახდა უხდებათ „პატრონთ“ საკუთარი, მაგრამ საქართველოს ძნელბედობის, „ურუმობის“ დროს დაკარგული მიწა-ადგილის დაბრუნებისათვის.

მაგალითად, ჩიგიანანთ შაქარუას სახლ-კარი, სწორედ, „ურუმობის“ დროს უსამართლოდ წაართვეს და იგი თეიმურაზ II-ს თხოვს წყალობა უყოს და თავისი „სახლის ალაგი“ ისევ უბოძოს. მართალია, თეიმურაზ II-ემ შაქარუას კი „სახლის ალაგი“ დაუბრუნა, მაგრამ წყალობისათვის ფეშქაში გამოართვა. „შენი სამკვიდრო სახლის ალაგი, ისევ შენთვის და შვილთა შენთათვის გვიბოძებია და წყალობა გვიქნია. ჩვენს სარქარში ამისათვის ფეშქაშიც მოგვართვით,“<sup>354</sup> ხოლო ხელმწიფის კარის მდგდელმა ნაომმა კი ბატონიშვილებს კონსტანტინეს და მის ძმას ოტიას ფეშქაში მიართვა, რათა ბატონიშვილებს მდგდელ ნაომისათვის მის სახლთან ახლოს მდებარე მიწა დაეთმოთ: „შენც ფეშქაში მოგვართვი და . . . რასაც შენი სასახლე გამოიტანს შენვე დაგანებეთ-ო.“<sup>355</sup>

როგორც ვიცით, ხდებოდა ბეითელმანი და პარტახად ქცეული მიწების ხელახალი გაცემა. ბეითელმანი მიწების ხელში ჩამგდებთა რიცხვი დიდი იყო, მაგრამ, როგორც წესი, უპატრონო სახლ-კარსა თუ მიწებს იმ ადამიანებს უწყალობებდნენ-ხოლმე, ვინც ბატონისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა და ამასთან, ვინც მეტ გამოსასყიდს ე.ო. ფეშქაშს გადაუხდიდა პარტახტის მესაკუთრეს. აფხაზეთის კათალიკოსმა ნემსაძემ თხოვნის წერილის საფუძველზე, „გულის შემაჯერებელი“ ფეშქაშის აღების შემდეგ, ივანე ქავთარიას მისცა წყალობის წიგნი: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გემაძალი წუწუბავას და მისის ძმის თუთარიას სეული პარტახტი გუთხოვეთ უშაბაკეთს და ფეშქაშიც მოგვართვით, როგორათაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა და გიბოძეოთ.“<sup>356</sup> ფეშქაშის გაცემით იძენს პარტახტ ადგილს გენათელი ზაქარია ქვარიანიც: „ფიცით და ფეშქაშით გუებობა საჭალანგრიძეო და კაკაბაური პარტახტი რაც იყო“, . . . გვიბოძა ჩუქმა გამზდეულმა ბატონმა

<sup>352</sup> ბერძენიშვილი 6, დასახ. ნაშრომი, 223

<sup>353</sup> დასახ. ნაშრომი, 37

<sup>354</sup> ბერძენიშვილი 6, დასახ. ნაშრომი, 259

<sup>355</sup> თაყაიშვილი ე, საქართველოს სიმველენი, ტ II, ტფ, 1909, 248

<sup>356</sup> თაყაიშვილი ე, დასახ. ნაშრომი, 88

მეფეთ-მეფემ გიორგიმ ფეშქაშთა იქივ ჭოლევს გამსახურდი ოყურეშელიძე და მისი ძმისწულები.“<sup>357</sup>

გადასახადი-გასამყრელო ის გადასახადი იყო, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ გაიღებოდა იმ პირების მიერ, ვისაც ოჯახების გაყრა უნდოდა. გაყრის დროს სახელმწიფოსათვის სახასოდ, გარკვეული სოფლები და ყმა-გლეხები „დაიდებოდა“. სახელმწიფო კი საკუთრებაში მოქცეულ მიწებს და ყმა-გლეხებს თავისი შეხედულებისამებრ ექცეოდა, ან თავისთვის, სახასოდ იტოვებდა, ან დროებით სარგებლობის და მფლობელობის უფლებით, ქრთამის მირთმევის შემდეგ, სხვას უწყალობებდა, ან კიდევ ყოფილ მფლობელს შეეძლო მეფისათვის ეთხოვნა და დირებულების ანუ ქრთამის მირთმევით ისევ თავისთან დაეტოვებინა გაყრის დროს სახასოდ გაღებული მიწები და ყმა-გლეხები. როგორც კერძო ხასიათის ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, იმ საზღაურს, რომელიც მიწის თუ ყმა-გლეხების ბოძებისას, ქრთამის სახით გადაიხდებოდა, ფეშქაში ეწოდებოდა, რაც თავისი შინაარსით იგივე იყო, რაც ქრთამი, კანონიერი გასამრჯელოს გაგებით. „ერისთავების მამულის საქმეზე განჩინებაში“ მითითებულია, რომ ქსნის ერისთავებმა გაყრისას, სახასოდ სოფლები „დადგეს“. მაგრამ ერისთავებმა მეფეს იქვე სოფლებს „სახასოდ დადებული“ სოფლები, შესაფერისი ქრთამის, იგივე ფეშქაშის გადახდის შემდგომ, ისევ მათთვის ებოძებინა, რაზეც მეფემ ერისთავებს დასტური მისცა: „ქსნის ერისთავნი რომ იყრებოდნენ, მაშინ რომელიც სოფლები სახასოდ დაიდგა, ის სოფლები მისმა სიმაღლემ ისევ ქსნის ერისთავიანთ უბოძა და მის შოვნაზედ რაც ფეშქაშით მოინდომოდა, ქსნის ერისთავს კურთხეულს დავითს დაეხარჯა.“<sup>358</sup>

ფეშქაში, რომ ნამდვილად ქრთამია და ორივე გამოსასყიდი გადასახადია, კიდევ უფრო კარგადაა გამოხატული „ოთარ გერმანოზის შვილისა და ზაალ კორდანა შვილის ყმა-მამულის საქმეზე განჩინებაში“. „ვახტანგის ბატონობაში გერმანოზის შვილი იქსე და მისი ძმისწული დათუნა გაყრილიყვნენ და ბატონს გასამყრელო აედო,“<sup>359</sup> მაგრამ სახასოდ დადებული გასამყრელოს ნახევარი მეფეს, მათივე თხოვნით, იქსესათვის მიეცა, მეორე ნახევარი კი დათუნასათვის, და „იქსეს თავისი ფეშქაში რომ არ ქონებოდა ბატონის მისართმევი, თავისი რძლის ოთარის ჯალაბისათვის ზითვის საქონელი გამოერთმია და ეს გლეხები იმით ექრთამებინა.“<sup>360</sup> მაშასადამე, გამოთქმები „ბატონის მისართმევი ფეშქაში“ და „გლეხები იმით ექრთამებინა“ დასტურია იმისა, რომ „ფეშქაშიც“ და „ქრთამიც“ ერთი და იგივე შინაარსისანი არიან და ორივე ლირებულების გადახდის მნიშვნელობით იხმარებოდა.

საინგერესო 1720 წლით დათარიღებული დოკუმენტი „სამუხრანოს სახლიკაცობის რიგი განწევებული ვახტანგ VI-ის მიერ“. დოკუმენტში ტერმინი „ფეშქაში“ პქვია მთლიანი შემოსავლის იმ წილს, რომელიც სახლიკაცებს უნდა მიცემოდათ: „თუ ვისმე მისცენ რამე, ფეშქაში მართებულად ყულას მიეცემოდეს“<sup>361</sup>, ეს წინადადება მსგავსია წინადადებისა „ამილახვარი. . . მართებულად ქრთამს ამათოვისაც

<sup>357</sup> ქს. გ. III, თბ, 1970., 509, 510

<sup>358</sup> ქს. გ. IV, თბ, 1972., 663

<sup>359</sup> დასახ. ნაშრომი, 378

<sup>360</sup> იქვე

<sup>361</sup> ქს. გ. IV, თბ, 1972, 692

მიაცემინებდეს და მშოველი შეიჯერებდეს“<sup>362</sup> მაშასადამე, ფეშქაში იგივე ქრთამი მთლიანი შემოსავლიდან, თანაბრად განაწილების შემთხვევაში, წილის ის ოდენობაა, რომელიც სახლიკაცებს უნდა მისცემოდათ და რომელსაც „მართბულ ქრთამს“ ან „მართებულ ფეშქაშსაც“ უწოდებდნენ.

XIV საუკუნის ძეგლიდან - „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ვიგებთ, რომ არსებობდა ე.წ. „სიგლის ქრთამი“, რაც სიგელის დაწერისა და მისი დაბეჭდისათვის აღებულ გასამრჯელოს ნიშნავდა. ე.ი. სამეფო მოხელეები ადგენდნენ სხვადასხვა შინაარსის სიგელებს, რომელიც უმეტესწილად, „ქვეყნის გაცემას“ და „სამამულოდ შეწყალებას“ ეხებოდა. სიგელის წამდები ანუ ის, ვისაც ეს სიგელი მკუთვნოდა, ვალდებული იყო გადაეხადა გადასახადი, იგივე ქრთამი, იმ მოხელეებისათვის და იმ უწყებისათვის, ვინც მონაწილეობას ღებულობდა სიგელის შედგენაში, დაბეჭდისა და გაცემაში. „პ. გარიგებიდან“ ირკვევა, რომ სიგელის მიმღების მიერ გადახდილი გასამრჯელო-ქრთამით, პირველად, სამეფოს დამწერი უწყება კმაყოფილდებოდა: ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, საწოლის მწიგნობარი და სიგელის უშუალო დამწერი. „უპვე გამზადებული სიგელის დაბეჭდვაში მსახურთუხუცესის მოხელენი-მოლარეთხუცესი, სალაროს მოლარე და მეგოდრე მონაწილეობდნენ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ორი უკანასკნელი მაინც ამისთვის გასამრჯელოსაც იღებდა.“<sup>363</sup> გასამრჯელოს კი ქრთამი ეწოდებოდა. XVIII საუკუნის დასაწყისიდან „სიგელის ქრთამი“, „სიგელის ფეშქაშადაც“ გვხვდება. „ვისთვისაც ერკლეს მიეცეს რამე, ამათაც დააბეჭდინონ, მართებულად ფეშქაში მიართვან.“<sup>364</sup> სხვა დოკუმენტებში კი სიგელისათვის „მართებული საბეჭდავის“ ანუ „მართებული ფეშქაშის“ მირთმევაზეა საუბარი. „ახალი გათარხებული კაცი, ვინც იყოს თუ არ უნდოდეს, მოუშალონ და თუ არ მოუშალონ. ვისაც არ დაებეჭდოს, ახლა დაუბეჭდონ და მართებული საბეჭდავი მიართვან-ო.“<sup>365</sup>

ფეშქაში ანუ ქრთამი ერქვა რაიმე უფლების მიცემისათვის აღებულ საზღაურს. მაგალითად, ტყით სარგებლობის უფლების მოპოვებისათვის „ფარსად ციციშვილის მიერ გორელებისადმი ტყით სარგებლობის წიგნში“ ვკითხულობთ: „ხელმწიფესაც თქვენთვის წიგნი ებოძებინა და ჩვენზედაც ფეშქაშათ გაისარჯენით. ჩვენც ეს წიგნი და პირი მოგეცით და ხელმწიფე ნაზარალიხანის ბრძანება და წიგნი ასე დავამტკიცეთ, რომე ნასუალას გარდა ზედაველის მთაშია, სანიაჟორში და ურიულშია და სადაც ხელი მიგიწვდეს, შეშა და ვერც სახმარი ხე-ტყე ვერავინ დაგიშალოს.“<sup>366</sup>

ფეშქაში იხმარებოდა საჩუქრის შინაარსითაც, იმ საჩუქრის, რომელიც საქართველოს უნდა მიერთმია უცხო სახელწმიფოსათვის ერთგულებისა და მორჩილების დასამტკიცებლად. ძალზე ხშირად ჩვენი მეფეები მოჩვენებითი გულითადობით, რომ ქვეყანა მტარვალთ აოხრებისაგან ეხსნათ, იძულებული იყვნენ „ნებაყოფლობით“ ეკისრათ ყაენების, ხონთქრებისა და შაპებისათვის ფეშქაშის მირთმევა, რაც სინამდვილეში იძულებითი მძიმე გადასახადი იყო. მის გადასახდელად მთელი სახელმწიფო მობილიზებული ხდებოდა, რათა გადაუხდელობით

<sup>362</sup> ქ.ს.ძ. გ IV, თბ, 1972, 159

<sup>363</sup> სურგულაძე ივ, დასახ. ნაშრომი, 97

<sup>364</sup> ქ.ს.ძ. გ IV, თბ, 1972, 692

<sup>365</sup> ქ.ს.ძ. გ IV, თბ, 1972, 711

<sup>366</sup> ქ.ს.ძ. გ. VIII, თბ, 1985, 877

მტერი არ გაედინიანებიათ, საბაბი არ მიეცათ, რათა საქართველოს და ხალხისთვის არაფერი ეკნოთ.

ფეშქაში, რომელიც იგივე ქრთამი და მაშასადამე, საჩუქარი იყო, უმძიმეს ტვირთად აწვა საქართველოს მოსახლეობას. ამ უმძიმესი გადასახადისაგან გათავისუფლება არათუ მემამულებს არ შეეძლოთ, თვით მეფეებიც ძლიერ ეკრძალვოდნენ ცალკეული პირების საყაენო და სახონთქრო გადასახადისაგან ანუ ფეშქაშისაგან გათავისუფლებას: „ქალაქს საური და ტყვის ხარჯი არ ეთხოება, მაგრამ როდესაც ბედნიერის ხელმწიფის („ხელმწიფე“) მტრული სახელმწიფოს მეფეს ნიშნავდა) ფეშქაშს გაისტუმრებენ, ვინაც ქალაქში სახლობან, ასი თუმანი ბატონს უნდა შემოაწიონ“<sup>367</sup>. ყენის ფეშქაში არამარტო ნატურალური და ფულადი გადასახადისაგან შედგებოდა, არამედ ცოცხალი ადამინებისაგანაც. „როდესაც ბედნიერის ყენის ფეშქაში ტყვე წავა, მაშინ ასი თუმანი ელმა ბატონს ფეშქაშის გასაგზავნად უნდა მიართვან.“<sup>368</sup>

ფეშქაშს, როგორც აღვნიშნეთ, ხარკის ხასიათი ჰქონდა და იგი უმძიმესი ტვირთი იყო საქართველოს მოსახლეობისათვის, რომ ადარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რამდენად შეურაცხმყოფელი იყო ხალხისათვის ასეთი შინაარსის გადასახდელი. იესე თსეს-ძე ბარათაშვილის ცხობით, როცა საქართველოში შაპისათვის ფეშქაშს ამზადებდნენ, მოსახლეობა მალავდა შვილებს, რათა შაპის საჩუქარში არ გაეგზავნა. <sup>369</sup> ვახუშტი ბატონიშვილის ცხობით კი ვახტანგ VI შაპთან გასაგზავნად ვაჟებს და ქალებს საზღვარგარეთ ყიდულობდა. <sup>370</sup> მაშასადამე, „ღირსეული საჩუქრის“, „ღირსეული ქრთამის“ მირთმევით, რომელშიც ახალგაზრდა ქალები და ვაჟები, რჩეული ცხენები, ფულით, საქონლით, ქსოვილებით დატვირთული აქლემები შედიოდა საქართველოს მეფენი, ახერხებდნენ შაპების გულის მოგებას და მათი გამანადგურებელი თავდასხმებისაგან ქვეყნის დროებით გადარჩენასა.

ბ) ფეშქაშის მსგავსად, ქრთამის სინონიმად გვევლინება ტერმინიც „ძღვენი“. ს.ს. ორბელიანი, როგორც ავლიშნეთ, ქრთამს „საცოდავ ძღვენს“ უწოდებს, ხოლო დ. ჩუბინაშვილი საქმის გასარიგებლად იძულებით და უსამართლოდ მირთმეულ ძღვენს. ივანე სურგულაძე „ქათული სამართლის ძეგლების“ თანდართულ ლექსიკონში ქრთამის შესახებ მიუთითებს: „ქრთამს ძეგლად ორგარი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. ძღვენი, სასყიდელი, გასამრჯელო (ნებადართული). 2. უკანონო, უსამრთლო, თანამდებობის პირის მოსასყიდად მირთმეული ძღვენი“<sup>371</sup>. ქართულ განმარტებით ლექსიკონში ძღვენი მოცემულია, როგორც საჩუქრად მირთმეული რამ მოსაკითხი“<sup>372</sup>. ასე, რომ ძღვენი იგივე ქრთამია, რომელიც ხან კანონირად, ხან კი უკანონოდ გადაიხდებოდა. არსებობდა სხვადასხვა სახის ძღვენი. მაგალითად, „საწელიწდისთაო ძღვენი“,<sup>373</sup> „სანახავი ძღვენი“<sup>374</sup>, „საშობაო ძღვენი“<sup>375</sup>, „სააღდგომო

<sup>367</sup> სურგულაძე ივ, დასახ. ნაშრომი, 536

<sup>368</sup> სურგულაძე ივ, დასახ. ნაშრომი, 573

<sup>369</sup> იესე ბარათაშვილის ცხოვრება – ანდერძი, რედ. იოსელიანი ა, თბ, 1950, 4

<sup>370</sup> ჩუბინაშვილი დ, ქართლის ცხოვრება, ტ II, 1986, 74

<sup>371</sup> სურგულაძე ივ, დასახ. ნაშრომი, 195

<sup>372</sup> აბულაძე ილ, ძეგლი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მეცნიერება, 1973, 530

<sup>373</sup> ქ.ს.ძ. ტ. II, თბ. 1965, 94.

ძღვენი“<sup>376</sup>, „კომლად ძღვენი“<sup>377</sup> და ა.შ. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ძღვენი მოცემულია კანონიერი საჩუქრის, კანონიერი გადასახადის სახით. „ძღვენი საწელიწდისთაო ერისთავთა, ქართლის ერისთავისა, სამცხის სპასალარისა ჩანს: დადიანისა სამი ცხენი, ორი უკაეთესი და ერთი სატალახე, ამირსპასალარისა ბურთი, ჩოგანი, ცხენი უკაეთესი, -მოიდოს საგანმგებოსა;... გელათური ძღვენი-საჭირმაგეო სეფისკვერი, სამი შეფანული ლვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი-ფიცხლივ მოიგებონ საქრისტისშობოთ მომავალსა. გარეჯული ძღვენი: კაპარი, კალამი და ცოტა ძღვენი-ცოცხი, კარგად დაწყობილი... სანახავი ძღვენი: ლელვი კეოტრა ზედა დაცემული. ჩურჩხელი – ორთა კაცთა ქონდეს, – ნუში, ნაყვი, თუთუბო, ალარდენი და ბროწეული, თორმეტი თაფლის ქვევრი, სიღალორი“<sup>378</sup>.

ძღვენი იგივე მიზანს ემსახურებოდა, რა მიზანსაც ემსახურებოდა ქრთამი და ფეშაში. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მნიშვნელობა არა აქვს რა ერქმევა უამრავ საგანმურს, უძვირფასეს ქონებას-ქრთამი, ფეშაში თუ ძღვენი, რომელიც მტრების გულის მოსაგებად და მოწყალების მისაღებად იყო გამიზნული, რათა ქვეუანა განადგურებისაგან ეხსნათ. მთავარი იყო რომ ამ ტერმინების ქვეშ მირთმეული ცოცხალი საჩუქარი თუ თვალ-მარგალიტი ქრთამად მირთმეული ქონება იყო. „მეფე ალექსანდრემ საგანმური იგი შესძლუნა ფაშასა ქრთამად“<sup>379</sup>. ე.ი. ალექსანდრე მეფემ ფაშას საგანმური, იგივე ძღვენი მიართვა და ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ქრთამი, მაგრამ არა ნებაყოფლობითი, არამედ იძულებით, მძიმე მდგომარეობით ნაკარნახევი გადასახადი. „ძღვენად ლარნი მრავალნი“ მიუტანა თავადმა ესაიამ ლანგ-თემურს, რითაც მტარვალმა შეიწყალა და არ დასაჯა ესაია. ასევე მოიქცა ათაბაგ ალბუდას შვილი იგანეც „აღიღო მანცა ძღვენი ტურფა და მივიდა ლანგ-თემურისა თანა, მაშინ შეიწყალა ლანგ-თემურ და მისცა ხალათი და უწყო წყალობა“<sup>380</sup>, ხოლო გიორგი მეფემ “წარმოავლინა ძმა თვისი კონსტანტინე ძღვენითა მრავლითა და მიუმცნო სიტყუა მდაბალი მორჩილებისა“<sup>381</sup>, რომლის მდიდარი და ძვირფასი ძღვენით და მორჩილების გამოცხადებით მოქრთამული იქნა თემურ-ლენგის გული: „იამა დიდად ლანგ-თემურს და შეიწყალა“<sup>382</sup> მეფე გიორგი და ადარ ააოხრა მისი სამეფო. გლეხებს იმ აუცილებელი გადასახადების გარდა, რასაც მეფესა და ბატონებს უხდიდნენ, მძიმე ტვირთად აწვათ ძღვენის სახით მირთმეული უამრავი საჩუქარი, ყოველ სადღესასწაულ დღეებში გლეხებს სულს უხუთავდა სტუმრიანობისა თუ მეფის მიერ ჩატარებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, გაღებული ძღვენიც. მეფის მოხელეები, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში საქმეებზე იგზავნებოდნენ, გლეხების მიგანილი ძღვენით იკვებებოდნენ. ერეკლე II-ემ ულუმბისა ღმრთიშობლის ყმას, გარდა იმისა, რომ დააკისრა ყოველ

<sup>374</sup> ქს. ტ. II, თბ. 1965, 94.

<sup>375</sup> იქვე, 298, 305

<sup>376</sup> იქვე, 306

<sup>377</sup> იქვე, 277

<sup>378</sup> სურგულაძე იგ, დასახ. ნაშრომი, 215

<sup>379</sup> ქართლის ცხოვრება, რედ. ყაუხეჩიშვილის ს, ტ IV, თბ, 1973, 881

<sup>380</sup> ქართლის ცხოვრება, რედ. ყაუხეჩიშვილის ს, ტ. II, თბ, 1959., 336

<sup>381</sup> იქვე

<sup>382</sup> იქვე.

წელიწადს ეკლესიის სასარგებლოდ ოთხი მინალთუნის გადახდა, ასევე დააკისრა ძღვენის მირომევა იმ შემთხვევისათვის, თუ თელავში, მინბაში ზაზა, მისი ძმა ან შვილი ჩავიდოდნენ: „უნდა მივიდეს ეს მჭედელი, ძღვენი მიართვას და აამოს რამე შეძლებისამებრ-ო.“<sup>383</sup>

ყმები სულგამწარებულნი იყვნენ ავი ბატონების დაუსრულებელი მოთხოვნებისაგან, ამიტომ ისინი ცდილობდნენ როგორმე გაქცეოდნენ მათ და შეკედლებოდნენ, მეტნაკლებად, „ლმობიერ“ ბატონებს. სწორედ, ამ მიზეზით გაექცა ქრისტესია ოსინაშვილს ყმა. ეს უკანასკნელი სასამართლოს ყმის დაბრუნებაში დახმარებას სთხოვს... ყმას მასთან დაბრუნება არ უნდა და ამტკიცებს, რომ მას ოსინაშვილთან არ უმსახურნია, და რომ მისთვის არანაირი ძღვენი არ მიუტანია. მაგრამ ოსინაშვილი, სწორედ, მისგან მიტანილი ძღვენით ასაბუთებს, რომ ყმა მისია, მას ემსახურებოდა და საამისოდ მოწმებიც მოჰყავს: „მაგას მდუღარე დასხმოდა, თითონ ვედარ ჩამოვიდა, წყალკურთხევის ძღვენი, ყმისაშვილის ხიზანი სალოცავთ ყოფილიყო, იმათის ხელით ორი ყვერული ჩამოაგზავნა, მე კი ავათ ვარო.“<sup>384</sup>

გლეხთა შევიწროებას, „უკანონო ძღვენის“ მოთხოვნას და იმაზე მეტის გადახდევინებას, ვიდრე ეს დაწესებული შეიძლებოდა ყოფილიყო, არც თუ იშვიათად პქონდა ადგილი. ამიტომაც წინააღმდეგობა ბატონებსა და ყმა-გლეხებს შორის მუდმივ არსებობდა. მევე შაჰნავაზი „ურბნელისა და რუისელთ მამულის საქმეზე განჩინებით“ იძულებულია აღნიშნოს: „ურბნელი ნურც ქრთამსა და ნურც ძღვენს ნუ სთხოვს. და ნურც რუისელნი დალასა დაუმალავენ, რომელიც ამ ჩვენს ბრძანებას გადავა ჩუენად შეცოდებად მოვიკითხავთ.“<sup>385</sup>

სომხური სამართლის 429-ე მუხლი ძღვენის ძალად გამორთმევისა და ზედმეტის გადახდასთან დაკავშირებით აცხადებს: „საბედნიეროს დღის ძღვენს ქრისტიანი ბეკრს ნუ დასდებენ, რასაც ხელიდამ გამოუიდესთ, ის უნდა მიართვან, ძალას ნუ უზმენ. ეს საბედნიერო დღის ძღვენი მეტი არის დადებული და ძალად ნუ წაართმევენ, და ნურც ცოტას მიმრთმევს გაუწყრებიან-ო.“<sup>386</sup>

ქრთამის შინაარსის შემცველია ტერმინი „სახსარიც“, რომელიც გადახდილ დირებულებას, ფასს ნიშნავს. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დოკუმენტით ირკვევა, რომ პეტრე ავთანდილაშვილი ბატონის იასაულებისაგან მძიმე მდგომარეობაში ჩავრდნილა, რის გამოც ის იძულებული გახდა თავისი ყმები, ნადირაშვილები, ყმობიდან გაათავისუფლოს და თავის გამოსახსნელად ქრთამი ანუ დირებულება გადახდევინოს. დოკუმენტში ყმობიდან გამოსახსნელი დირებულება სახსარის ტერმინით არის გადმოცემული. „სულსა იქითა ღონე და ილაჯი არსიდ არა გავქმნდა, თქვენ თავი დაგახსნევინეთა, სახსარი გამოგართვითა, რითაც ფერათაც ჩვენი გული შესჯერდებოდა ავიღევითა. სახსარი ჩვენი აღარა დარჩა რა ჩვენსა თქვენსა შუა არც ერთის იოტის ფასი.“<sup>387</sup>

<sup>383</sup> ქ.ს.ძ. გ VIII, თბ, 1985., 233

<sup>384</sup> ქ.ს.ძ. გ V, თბ, 1974., 261

<sup>385</sup> ქ.ს.ძ. გ IV, თბ, 1972, 122

<sup>386</sup> ქ.ს.ძ. გ I, თბ, 1963, 389

<sup>387</sup> თაფაიშვილი ე, საქართველოს სიძველენი, გ II, ტფ, 1909, 447

ტერმინი „საბუჩარგო“ XVII საუკუნის „ფიცის წიგნში“ წარმოდგენილია, როგორც მამულზე გადასახადი თანხა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კათალიკოს დავით ნემსაძესა და დეისა ჯაიანს შორის ურთიერთობა დაძაბულა. ურთიერთობის გაფუჭება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ კათალიკოსს დეისა ჯაიანის შევიწროება დაუწყვია. დეისა ჯაიანი იძულებული გამხდარა კათალიკოს დავით ნემსაძეს სასახლეში წვეოდა და შერიგება ეთხოვა. მართალია, კათალიკოსი დეისა ჯაიანს შეურიგდა, მაგრამ შესარიგებლად ქრთამი ანუ გადასახადი, იგივე „მამულის საბუჩარგო“ მოსთხოვა. საბურჩაგოს მიცემის შემდეგ ჯაიანსა და კათალიკოსს შორის ურთიერთობა აღსდგა. „თქვენსა და ჩვენს შუა სასამდურავო საქმე ჩამოვარდა, და გვიწყრებოდით, და მოვედით ხორგას სასახლეშიდ და შემოგეხვეწეო გარიგების საქმეზედ, და სანამდის თქვენთვის მამულის საბუჩარგო არ გამოგვართვი, მანამდის არ შეგვირიგეთო.“<sup>388</sup> მაშასადამე, საბურჩაგო მამულის შესანარჩუნებლად და შემდგომად „წყალობისათვის“ გადახდილი ერთჯერადი ხასიათის ქრთამია.

„ყაბზი“ შენახული საბუთების გადაცემისთვის აღებულ საფასურს ნიშნავს. ფარსადან ესიტაშვილმა, თავის სიმამრს ზურაბს მამულის წიგნები შეუნახა, რამდენიმე ხნის შემდეგ შენახული საბუთები უნაკლოდ გადასცა ერსიტი უზბაშს, რაშიც ყაბზი გამოართვა: „მე ფარსადან ესიტაშვილს ჩემის სიმამრის ბიძი შენის ზურაბის მამულის წიგნები მებარა დაბეჭდილი ზურაბისაგან, უნაკლოდ მოგაბარე თქვენ ერსიტი უზბაშს და ყაბზი გამოგართვი.“<sup>389</sup>

თუ „ყაბზი“ შენახული საბუთების გადაცემისთვის აღებულ საფასურს აღნიშნავს, „ფეხის ქირა“ თხოვნის, დავალების შესრულებისთვის მიცემულ საჩუქარს წარმოადგენს: „წყალობას ვითხოვ, შენი ხონიას გაზდასა, ცხენი გარიგე, ამა გზობათ გამომიგზავნე, რომ ქეიითი გახლავარ, პლიბათ ახლავ გარიგო და ერთი კაცს გამოატანო, ფეხის ქირაც მივცემ, აქ ვინც ცხენს მომიტანს, ბარათს მივაბარებ, ბარათის პირიც ამ წიგნში ჩამიდვიაო“<sup>390</sup>.

როგორც დოკუმენტები მოწმობენ, ქრთამის შინაარს აღნიშნავდა ტერმინი „საფიცარიც“, რომლის ქვეშ იგულისხმებოდა მისაცემი ფულადი თუ ნატურალური ხასიათის ქრთამ-საჩუქარი, იმის სანაცვლოდ, რისი შესრულებაც სურდათ მთხოვნელებს „საფიცრის“ ამდებისაგან. XVII საუკუნის „ფიცის წიგნში“ მოცემულია, რომ შიოშ და იესე მხეიძეები, პაატა ფანჩულიძე და დიაკონი გიორგი მასხარაშვილი მოძღვარს სთხოვენ, მათი ყოფილი კაცი, სტამბულიდან დაბრუნებული „აზატ ნაქმარი“ გიორგი ჭლიკაშვილი, რომელიც თავის დროზე, მათი სახლის კაცისაგან იყო გაყიდული, ისევ მათ უემონ. სამაგიეროდ, ისინი მოძღვარს პატივისცემას შეპირდნენ. პატივისცემა კი იმაში იქნებოდა გამოხატული, რომ გიორგი ჭლიკაშვილი, მოძღვარს გულის შემაჯერებელ ქრთამს მიართმევდა და თავადაც ფიცის წიგნით გათვალისწინებულ საჩუქარს მისცემდნენ. მაგრამ მხეიძეები გასამრჯელოს გადებისას, დარწმუნებულნი რომ ყოფილიყვნენ, მოძღვარი მათ თხოვნაზე უარს არ ეტყოდა, საგარანტიოდ ითხოვდნენ „აზად ნაქმარისთვის“

<sup>388</sup> თაყაიშვილი ე, საქართველოს სიძველენი, ტ I, წიგნი I, ტფ, 1899, 40

<sup>389</sup> დასახ. ნაშრომი, 157

<sup>390</sup> დასახ. ნაშრომი, 82

მირონის ცხებას და ყმის ბოძების შესახებ თანხმობის წიგნის მიცემას. თავის მხრივ, პირობას დებდნენ, რომ ფიცის წიგნით გათვალისწინებულ ქრთამ-გასამრჯელოს ანუ „საფიცარს“ აუცილებლად მიარომევდენ მოძღვარს. მოძღვარმა, როგორც ჩანს, სახლიკაცებს მირონის ცხებისა და ყმის ბოძების შესახებ თანხმობის წიგნი მისცა, ვინაიდან „ფიცის წიგნში“ აღნიშნულია: „მერმე მე თქვენ მადამდის ვერ გენდვე, სადამდის ესე წიგნი არ მომეციო და იმ კაცს მირონი არა სცხეოთ“<sup>391</sup>. მხოლოდ ამის შემდეგ იქნა სახლიკაცების „საფიცარი“ შესრულებული. „მერმე მოციქულათ ჩამოვედით და გამსახურეთ და გლეხშიდ ჩააყენეთ, ქრთამიც მოგართვა, როგორც გული შეგიჯერდებოდა, და სხვ-დ საფიცარი მასაც მივეციო გლეხის, მაგრამ ეს საფიცარი შენ მოგეციო, ჩ“ნო მოძღვარო“ – ო.<sup>392</sup>

„ფიცის წიგნით“ გათვალისწინებულ „საფიცარს“ აძლევს აფხაზეთის კათალიკოსს ბესარიონს გვალია გიორგიც, რომელსაც კათალიკოსი ძლიერ „გასწყომოდა“ იმის გამო, რომ მას სახლში „მისანი ურია“ ყავდა და „უმეცრებით ლვთის შეცოდებას“ სჩადიოდა. გიორგი გვალიამ „წიგნი, პირი და საფიცარი“ მიართვა რა კათალიკოსს, სთხოვა, ოდონდ ამჯერად აპატიოს და ამ „უმეცერ უწესო საქმეს“ აღარ დაუშვებს. მირომეულ საფიცარში, რა თქმა უნდა კათლაიკოსის „გულის შემაჯერებელი“ ქრთამი იგულისხმება, რის სანაცვლოდაც იქნა კიდეც შეწყნარებული კათალიკოსისაგან გიორგი გვალია<sup>393</sup>.

დავით ბატონიშვილის კანონპროექტში ქრთამის შინაარსით ვხვდებით ტერმინ – „თხებას“. როდესაც კანონპროექტის ავტორი ეხება ფიცს, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს, აღნიშნავს: „ფიცი არს სახე დამტკიცებისა და დამწმენდელი სამართლისა“. მაგრამ მისი აზრით, ფიცის გამოყენებას ხშირად არ უნდა მიმართავდნენ, და რაც მთავარია, ყურადღება უნდა მიექცეს, რათა არავინ დაიფიცოს სიძულვილის გამო, არც ვინმეს მტრობით და არც გაბრაზებით. არავინ უნდა იკადროს ქრთამის აღება და მით ტყუილი ფიცის წარმოთქმა. „არა სიძულილითა, არცა მტერობით, არცა განრისხებითა მის ზედა; არც მობირებითა (მოსყიდვით) და არც თხებითა (ქრთამისათვის)<sup>394</sup>, რადგან ქრთამისათვის წარმოთქმულ ფიცს არამარტო დმერთისადმი დიდ შეცოდებად თვლის დავით ბატონიშვილი, არამედ, უფრო მეტიც, კანონპროექტით, ქრთამით მოსყიდული ცრუ ფიცის მოქმედის მკაცრად დასჯასაც მოითხოვს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 236-ე მუხლი მოწმობის და მოწმის საკითხს ეხება. სჯულმდებელი მეფე მოწმეს მთხოობელს უწოდებს: „მთხოობელობა იმას ჰქვიან, რომელსაც უნახავს თვალითა“ (მ.236). მოცემულ მუხლში გამოყენებულია ტერმინი „სამთხოობლო“, რომელიც მთხოობელისათვის მოწმობის გამო მიცემულ გასამრჯელოს ნიშნავს. მოწმისათვის „სამთხოობლო“ ანუ გასამრჯელო გადახდილი უნდა იქნას იმ პირის მიერ, ვისაც კაცის მთხოობელობა ანუ მოწმობა სჭირდება. როგორც ვიცით, ქრთამი ხშირ შემთხვევაში კანონიერად გადახდილი გასამრჯელოა ამა თუ იმ საქმის შესრულებისათვის. მოწმის მიერ ჩვენების მიცემაც გარკვეული მოქმედების შესრულებასთან არის

<sup>391</sup> თაყაიშვილი ე, დასახ. ნაშრომი, 61

<sup>392</sup> იქვე

<sup>393</sup> თაყაიშვილი ე, დასახ. ნაშრომი, 48

<sup>394</sup> ფურცელაძე დ, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964, 102

დაკავშირებული, რომელიც ანაზღაურებული უნდა იქნას. ამიტომაც ითვალისწინებს „ვახტანგ VI სამართლის წიგნი“ მოწმობისათვის „სამთხომობლოს“. რაკი „სამთხომობლო“ მოწმისათვის მიცემული გასამრჯელოა, მაშინ იგი იგივე კანონიერი, ჩვეულებრივი გასამრჯელოს სახით გაცემული ქრომია. „სამთხომობლოს“ ანუ ქრომ-გასამრჯელოს ამღები მოწმე, ვალდებული იყო შეესრულებინა თავისი დანაპირები და მონედ დადგომოდა იმ დროს, როცა ეს „სამთხომობლოს“ მიმცემს დასჭირდებოდა: „მთხომელმა, როდესაც უთხრას კაცსა და სამთხომო გამოართვას, მაშინვე ის პირობა უნდა დადოს, რომ „თუ გაჭირდეს, პირს დაუდგებაო.“<sup>395</sup>

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ნიჭი“-განმარტებულია, როგორც საჩუქარი, საბოძვარი, შესაწირავი და ძღვენი.<sup>396</sup> ნიჭება ანუ მინიჭება კი ბოძებას, საჩუქრების წყალობას ნიშნავდა.<sup>397</sup> დღეს ნიჭი, ლექტოსგან ბოძებულ, ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებსაც ნიშნავს. მაგრამ ადრეულ საუკუნეებში ნიჭი ქრომის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ნიჭი, როგორც საჩუქარი, როგორც ქრომი, რომელიც მოსუიდვასთან ან დასაჩუქრებასთან იყო დაკავშირებული, უფრო მეტად, ფეოდალური ხანის დოკუმენტებში გვხვდება, განსაკუთრებით კი სასულიერო ხასიათის საბუთებში.

XI საუკუნის ქართულ ხელწერაში „ცხოვრებაი წმიდისა ხარიტონისი“-მოთხომობილია, როგორ შეიპყრეს ხარიტონი სარწმუნოებისათვის, როგორ ცდილობდნენ ქრომ-საჩუქრებით მის მოსუიდვას, რათა იგი კვლავ კერპთაყვანისმცემლობაზე გადასულიყო, მაგრამ არ გასჭრა რა, მეფისგან დაპირებულმა, ვერარა „ნიჭმა“ ანუ ქრომ-საჩუქარმა, საშინლად აწამეს: „და ყოვლისა პირველად იწყო უღროთომან მან მისა მიმართ სიტყვო ტკბილითა და აღუთქუმიდა მას ნიჭსა მეფისაგან, ვითარცა მზადუვარი იგი. და ვითარ ყოვლადვე არა ერჩდა მას წმინდად იგი, კუალად გუემა წმინდად იგი სხვთა სატანჯველოა.“<sup>398</sup>

ტერმინ „ნიჭს“ ქრომ-საჩუქარის მნიშვნელობით ვხვდებით აგრეთვე „ქართლის ცხვორების“ მრავალ ადგილზე. როცა დავით ულუ ბათუ ყაენთან გაემგზავრა, „მაშინ წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე დავით ნიჭითა უზომოთა.“<sup>399</sup> „ხოლო ვითარ მოაწყო მეფემან სამეფო, წარვიდა ყაენს ულოს წინაშე ნიჭითა დიდითა.“<sup>400</sup>

მაშასადამე, ნიჭი-იგივე ქრომია ადამიანის გულის მოსაგებად და მოსასუიდად გათვალისწინებული. იგი მიზნობრივი საჩუქარია პირისათვის, რათა დასაჩუქრებულმა გააკეთოს ის, რაც „ნიჭის“ მიმცემს სურს. ქართლის მეფე ლუარსები და კახეთის ბატონი თეიმურაზი, შაპაბაზისაგან თავის გადასარჩენად იმერეთის მეფე გიორგისთან წავიდნენ. შაპაბაზი, იმერეთის მეფის გიორგის მიერ, სტუმრების კეთილად მიღებამ და შეფარებამ გააბრაზა, მაგრამ მეფე გიორგისთან ჯიქურ მისვლას,

<sup>395</sup> ქ.ს.ძ. ტ I, თბ, 1963, 255

<sup>396</sup> აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მეცნიერება, 1973, 33

<sup>397</sup> წებინაშვილი დ, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ, 1984, 986

<sup>398</sup> მამათა ცხორებანი, რედ იმნაიშვილი ვ, თბ, 1975, 129

<sup>399</sup> რედ. ყაუხჩიშვილის ს, ქართლის ცხოვრება, ტ IV, თბ, 1973, 37

<sup>400</sup> დასახ. ნაშრომი, 231

„ნიჭითა და საბოძვრით“ მოციქულის მიგზავნა და მეფეების მისთვის გადაცემის მოთხოვნა არჩია. გიორგი მეფემაც, თავის მხრივ, ძვირფასი ფეშქაშით დატვირთული მოციქულები გაუგზავნა შაპ-აბაზს და მეფე ლუარსაბთან და თეიმურაზთან შერიგება სთხოვა: „ხოლო შაპ-აბაზ მოვიდა გორსა და დადგა მუნ, და წარგზავნა მპყრობელსა იმერეთისასა კაცი შაპ-აბაზ და შეუთვალა ესრეთ ვითარმედ: „მომეც ეგვევ ორნივე მეფენი და აღგავსებ მრავლითა ნიჭითა და საბოძვრითა“, ხოლო მპყრობელსა იმერეთისასა რა ესმა საქმე ესე გაუგზავნა კათალიკოსი აფხაზეთისა მალაქია და აბაშიძე ლევან მოციქულად და გამოუგზავნა ფეშქაშიცა მრვალი და შემოუთვალა ესრეთ ვითარმედ: „ამათი მოცემა ჩემგან არ იქნებისო და ხელმწიფემან ამდენი წყალობა გვყოს და დაგვდვას პატივი, რომე ესენი ისევ შეირიგოს და თვითონ „წაბრძანდეს და დაანებოს ამათ ამათი მამული და საბატონო.“<sup>401</sup>

თუ შაპ-აბაზმა ვერ შეძლო იმერეთის მეფე გიორგის „ნიჭითა და საბოძვრით“ მოსყიდვა, სამაგიეროდ, შაპ-თამაზ ყაენმა „დიდძალი ნიჭის“ შეპირებით, ადვილად მოსყიდა ბირთვისის ციხის მეციხოვნენი და აიღო იგი: „შაპ-თამაზ ყაენმა ბოროტის-ყოფად ქართლსა ზედა სპიო ურიცხვთა ჩამოვლო თრიალეთი და იავარ-ჰყო. წარმოემართა საბარათიანოს ზედა და მოაოჭრა იგიცა. მაშინ მოადგა ციხესა ბირთვისისასა და ვერ აღიღო; და აღუთქვა ნიჭი დიდძალი მეციხოვნეთა და მოებირნა იგინი და დაანებეს ციხე.“<sup>402</sup>

ქრთამის, მექრთამის, შინაარსით ვხვდებით ტერმინ „ვეცხლისმოყვარებასაც“. „ვაჟანის ქვაბთა განგების“ მიხედვით, „ვეცხლის-მოყვარე“ მექრთამე საეკლესიო პირები, იმდროინდელ სასულიერო ცხოვრებაში არც თუ ისე ცოტანი ყოფილან, რაკი წესდების შემდგენელს მისთვის ყურადღება მიუქცევია. წესდებაში აღნიშნულია, რომ „ძირი ყოველთა ბოროტა არის ვეცხლისმოყუარებავ“-ო და აფრთხილებდა ბერებს, რათა მათთვის ნებისყოფას არ ედალატა, სულს არ წაეძლია და უწესობა არ ჩაედინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავიანთი წოდებებიდან იქნებიდნენ ჩამოქვეითებულნი. „ხოლო უკუეთუ იკადროს მოდფუარმან, ანუ იკონომოსმან, გინა დეკანოზმან, გარდარეულებითა ვეცხლისმოყუარებისაითა, აღებად ქრთამისა რაისამე ფარულად გინა ცხადად და ემხილოს, დაკლებულ იქმნეს თვისისა პატივისაგან.“<sup>403</sup>

სომხური სამართლის 310-ე მუხლი კათალიკოზებისგან კატეგორიულად მოითხოვს ვერცხლისმოყვარენი ნუ იქმნებიან და მის გამო ჭეშმარიტების გზას ნუ გადაუხვევენ: „კათალიკოზმან უნდა გასინჯოს სამართლის სიმრუდე და სიმართლე, და არ უნდა იყოს ვეცხლითა მოყუარე და სამართლისა გამრუდებულიო.“<sup>404</sup>

სასულიერო ხასიათის ძეგლებში ვხვდებით ტერმინ „საფასესაც“. „საფასე“-პირდაპირი მნიშვნელობით ქონებას ნიშნავს. ქონების შეძენა პატიოსანი შრომითაც შეიძლებოდა და უკანონო „უპატიოსნო გზითაც“. „მცირე სჯულის კანონში“ მოცემულია „საფასეს“- როგორც ქრთამის მნიშვნელობა. მექრთამე სამღვდელო მსახურებს „საფასეს“ აღებით

<sup>401</sup> რედ. ყაუხხიშვილი ს, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ობ, 1959, 393

<sup>402</sup> რედ. ყაუხხიშვილის ს, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ობ, 1973, 506

<sup>403</sup> ქ.ს.ძ. ტ III, ობ, 1970, 146

<sup>404</sup> ქ.ს.ძ. ტ I, ობ, 1963, 336

შეეძლოთ უღირსი პირები, ყოველგვარი დამსახურების გარეშე, მაღალ თანმდებობებზე დაენიშნ-დაეწინაურებიათ. მაგრამ, თუ ქროამის-საფასეს მიცემით პირთა დანიშვნა-დაწინაურება გამჟღავნებული იქნებოდა, ქროამის მიმცემიც და ქროამის ამღებიც, აუცილებლად, დაისჯებოდნენ: „უკუთუ ვინმე ებისკოპოსობისა პატივი საფასითა მიიღოს, ანუ ხუცობისად, ანუ დიაკონობისად, აღიჭოცენ მღდელობისაგან საფასით კურთხეული იგი და მაკურთხეველიც“<sup>405</sup>.

„მცირე სჯულის“ კანონის შემდგენელი სასულიერო მოღვაწეა. ამიტომ იგი ქრისტეს მოწამეობრივი შეგონებით და გულითადი დამრიგებლური ტონით, მიმართავს ეკლესიის მსახურთ, ნუ მიბაძავენ იუდას, ომელმაც ოცდათ ვერცხლად გაყიდა თავისი მოძღვარი, ქრისტესადმი სამსახურის ნაცვლად, კერპორაციანისიცემის გზას ნუ დაადგებიან „საცოდავი“ ვერცხლისა და „საფასეს“ აღების გამო, რამეთუ ქროამის აღება უსაშინლესი ცოდვაა ქრისტეს წინაშე ჩადენილი. „მცირედისა ვეცხლისათვის ნუჟინ აღირჩევს კერპორაციანისა უფროს ქრისტეს მსახურებისა, ნუცამცა კუალად პბაძავს იუდას და საფასისა მიღებითა მით განსცემს მეორედ უფალსა, რომელი იგი ერთგზის ჩუენთვს ჯუარს ეცუა.“<sup>406</sup>

ქროამ-საფასის მიღებას გამართლება საერთოდ არა აქვს, მაგრამ თუ უმეცრებით, საფასეს მიცემასაც და აღებასაც შეიძლება კიდევ მოექებნოს გამართლება, „რამეთუ უსუბუქეს იყო უსწავლელისა მის უმეცრებით თხოვად საფასით მადლისად“, არაფრით არ შეიძლება გამართლებული იქნან ისინი, „რომელნი მეცნიერებით პყიდდენ ნიჭსა დმრთისასა, რამეთუ ნიჭი იგი, რომელი შენ შკაცო უგუნურო, უსასყიდლოდ მიიღე, უკუეთუ სასყიდლად მიჰყიდდი, გამოეგუები მადლისა მისგან, ვითარმცა ეშმაკისადმცა მისყიდულ იყავ, რამეთუ ვეცხლის საფარდულ-ჰუოფ ეკლესიასა, სადა იგი რწმუნებულ არს ჩუენდა კორცი და სისხლი ქრისტესი.“<sup>407</sup>

„საფასეს“ რომ იგივე ქროამია, უკანონობის ჩასადენად გაღებული, ამის შესახებ თვით „მცირე სჯულის“ შემდგენელი აღიარებს. „საფასეს“ კურთხევამდე იქნება აღებული თუ კურთხევის შემდეგ, მნიშვნელობა არა აქვს, ყველა შემთხვევაში იგი პირისათვის უკანონო საქმის გასაკეთებლად მიცემული დაუმსახურებელი გასამრჯელოა: „პგონებენ თუ არა არს ცოდვად, უკუეთუ უამსა მას კურთხევისასა არ მიიღო საფასე იგი, არამედ შემდგომად კურთხევისა მიეცეს; არამედ ესე ერთი არს, გინათუ პირველ მიიღოს, გინათუ შემდგომად, ქროამ ეწოდების, რომელი მის პირისა და მის საქმისათვის მიეცეს“<sup>408</sup>.

ამრიგად, განხულულ თავში დასმული საკითხის შესწავლამ, საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ქართულ სასაუბრო თუ სალიტერატურო ენაში იხმარებოდნენ რიგი ტემინები, რომლებიც ერთსა და იმავე აზრის გამოხატვას ემსახურებოდნენ.

ჩვენთვის საინტერესო „ქროამის“, როგორც კანონიერი ისე უკანონო საჩუქრის, გასამრჯელოსა თუ ლირებულების გადახდის ბუნება გადმოცემული იქნა ისეთ სიტყვებში როგორიცაა: ფეშქაში, ძღვენი,

<sup>405</sup> მცირე სჯულის კანონი, რედ. გიუნაშვილის ქ, თბ, 1972, 41

<sup>406</sup> დასახ. ნაშრომი, 43

<sup>407</sup> დასახ.ნაშრომი, 42

<sup>408</sup> დასახ. ნაშრომი, 43

სახსარი, საბუჩარგო, ყაბზი, ფეხის ქირა, საფიცარი, თნება, სამათხობლო, ნიჭი, ვერცხლისმოყვარეობა, საფასე. თითოეული ტერმინის ქრთამთან ანალოგია თავად დოკუმენტებსა და სამართლის ძეგლებშია მინიშნებული და ხაზგასმული. ბევრმა მათგანმა, დროთა განმავლობაში, დაკარგა მოსყიდვის, მოქრთამვის მნიშვნელობა. ხმარებაში შემოვიდა მანამდე უცნობი ახალი ტერმინებიც. მაგალითად: ყაბზი, სახსარი, საბუჩარგო, სამთხობლო და სხვა, რომლებიც უფრო ზეპირმეტყველებაში გამოყენებულ ტერმინებად მოსჩანან.

სასაუბრო ენაში შემოსული ტერმინები სრულიად ასახავენ სამართლებრივ დოკუმენტებში საყოველთაოდ გავრცელებული ქრთამის, ძღვენის, გინა ფეშქაშის აზრს, რაც იმითაც დასტურდება, რომ „ქრთამის“ და ამ ტერმინების ურთიერთხანაცვლება, სრულიადაც არ ცვლის დოკუმენტებში გადმოცემული მოვლენის შინაარსას.

უკანასკნელ საუკუნეებში, ქრთამის აღმნიშვნელ ტერმინთა სპექტრი შემცირდა, დაიხვეწა მათი მნიშვნელობა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად, გამარტივდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ დღეს ტერმინი „ქრთამი“ აღარ გვხვდება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ, იგი მხოლოდ სისხლის სამრთლებრივ ურთიერთობაში იხმარება, როგორც დანაშაულებრივი ქმედების აღმნიშვნელი ტერმინი.

## თავი VI

### მექრთამეობისათვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით

#### ა) მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები სხვა ქვეყნის ხალხთა სამართალში

„ის, რაც დამნაშავეს ჩადენილი ბოროტმოქმედებისა, თუ გარდამავლობითი მოქმედებისათვის მოსამართლის განაჩენით უნდა გადახდენოდა, „სასჯელის“ სახით იყო ცნობილი.“<sup>409</sup> სასჯელი კი სახელმწიფოს მიერ დაგენილი განსაკუთრებული ღონისძიებაა დამნაშავე პირების მიმართ. ამიტომაც, სამართლის განვითარების ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, ნებისმიერი ქმედება, რომელიც არსებული სამართლის დარღვევად, ანდა ზნეობრივი ქმედების საწინააღმდეგოდ, და მაშასადამე, დანაშაულად იქნებოდა მიჩნეული, დასჯას ექვემდებარებოდა. რაც უფრო ვითარდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობა, მით უფრო იზრდებოდა დამნაშავეთა და დანაშაულთა რიცხვი. ამის შესაბამისად იცვლებოდა სასჯელთა სახეებიც.

სისხლისსამართლებრივი და ქონებრივი ხასიათის სასჯელები ცნობილი იყო არამარტო სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართლისათვის, არამედ მანამდეც არსებულ, საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ, ჩვეულებითი სამართლისთვისაც. ჩვეულებითი სამართლის ბატონობის პერიოდში სამართლის „ქმა“ ღვთიურ საქმედ იყო მიჩნეული და „სასჯელის“ დადებაც დამნაშავე პირებზე ღმერთის სახელით ხდებოდა. „რომაელებს, კელტებს, ინდოელებს სამართალი ღვთიურ საქმედ მიაჩნდათ და ბევრ სხვა ადგილასაც ეგრე ყოფილა. მაგრამ რაც დრო და უამი მიდიოდა, სამართალი ზეცითაგან სააქაოსკენ მოეშურებოდა და დასასრულ თემიდას ტაძარი ცოდვილს ქვეყანაზე არსდებოდა.“<sup>410</sup> თუმცა, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და დადგენილი კანონების შემოღების შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში, სამართალს ისევ ზეცასთან ჰქონდა კავშირი. ამიტომაც ჩვ.წ.აღ-მდე და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშიც სამართლის წიგნები ღმერთის სახელით იქმნებოდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდებს, რა პერიოდებშიც კანონთა კრებულები, ღმერთის სახელით იქმნებოდნენ, მაშინ, მეტნაკლებად, ისინი სრულყოფილი სახით წარმოჩინდებიან თანამედროვეთა წინაშე.

ჩვენი გადასახედიდან მათი შედარებით მაღალი, სამართლებრივი დონე დაწყებული ადრემონათმფლობელური წყობიდან, თუნდაც იმაში

<sup>409</sup> ჯავახიშვილი ივ, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, ნაბეჭო 2, თვე, 1929, 503

<sup>410</sup> ურბნელი ნ, ათაბაგნი ბექა და ალბუდა და მათი სამართალი, თბ, 1890, 269

გამოიხატება, რომ კანონებში გამოკვეთილი სახით არის მოცემული ის, თუ რა ითვლებოდა შორეულ წარსულში, საზოგადოებისათვის მიუღებელ ქმედებად ან როგორ და რით უნდა დასჯილიყვნენ საზოგადროებრივი წესრიგის დამრღვევი პირები.

ნებისმიერ ქვეყანაში, მოქმედი სამართლის წიგნებისა და კანონების მიხედვით, იმ ქმედებათა შორის, რომელიც დანაშაულად ითვლებოდა, ცნობილი იყო მექრთამეობაც ანუ ადმინისტრაციული და სასამართლო უწყების მოხელეთა მიერ ქრთამის აღება. საერთოდ, ქრთამის აღება საზოგადოების ზნეობრივი უწმინდურების შედეგია. სწორედ, საზოგადოების ზნეობრივი გარეუნა დაედო საფუძვლად მექრთამეობას ძვ. ათენსა და ძვ. რომში, სადაც მოსამართლენი აშკარად იღებდნენ ქრთამს.<sup>411</sup> მექრთამე მოსამართლენი კი, თავისოთავად, დასჯას ექვემდებარებოდნენ. მექრთამები და მექრთამეობა, სისხლის სამართლის ისტორიის მიხედვით, როგორც დანაშაულის განსაკუთრებული სახე, დიდი სიმკაცრით დასჯადი გვხვდება ჯერ კიდევ საზოგადოების განვითარების აღრეულ საფეხურზე. მაგალითად: ჰეროდოტე, ძველი ბერძენი ისტორიკოსი, გვამცნობს, რომ სპარსეთის მეფე კამბიზმა სიკვდილით დასაჯა ქრთამით მოსყიდული მოსამართლე, შემდეგ მკვდარს ტყავი გააძრო და ბრძანა იმ ტყავით მოსამართლის სავარძელი დაეფარათ, რათა ისინი, ვინც მოსამართლის სავარძელში ჩაჯდომას მოინდომებდნენ, მუდამ ხსომებოდათ, რა სასჯელით იქნებოდნენ დასჯილი ქრთამის აღების შემთხვევაში.<sup>412</sup> მეფე დარიოსი კი ჯვარზე აკრავდა მოსამართლეებს, რომლებიც მხილებულნი იქნებოდნენ ქრთამის აღებაში და მით საქმის არასწორად გადაწყვეტაში.<sup>413</sup>

რაც უფრო ვითარდებოდა ჩინოვნიკური აპარატი, ფართოვდებოდა მოხელეთა წრე, მით უფრო, თავისი მნიშვნელობით, ყალიბდებოდა ეს ჩინოვნიკური აპარატი როგორც ხელისუფლების ორგანო, რომელიც მაღლა იდგა საზოგადოებაზე. ხოლო მისი, როგორც ხელისუფლების ორგანოს ფუნქციების განხორციელება კი იმავე ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით ხდებოდა. აღნიშნული მომენტი ყველაზე ნათლად რომის სახელმწიფოში შეიმჩნეოდა. ბიუროკრატიული აპარატის განვითარებას თან სდევდა მექრთამეობის განვითარებაც, რასაც ადასტურებს რომის სამართლის უძველესი კანონის, XII ტაბულის სისხლისსამართლებრივი სანქციები მექრთამეთა მიმართ. უმკაცრეს სასჯელად XII ტაბულის კანონების მიხედვით, ქრთამის ამდები მოსამართლეებისთვის ქონებრივი სასჯელების გარდა, სიკვდილით დასჯაც იყო გათვალისწინებული. მექრთამეობისათვის სასჯელები გათვალისწინებული იყო შემდგომი პერიოდის რომის სახელმწიფოს სხვა კანონებშიც. მეტნაკლებად სრულ კანონად, რომელიც მოიცავდა მაგისტრატთა ყველა შესაძლო ბოროტქმედებებს, წარმოადგენდა ჩვ. წ. აღ-მდე 59 წელს შედგენილი კანონი, „Lex Julia et Petundarum“-ი რომელიც, შეიცავდა საერთო აკრძალვას მაგისტრატების უკანონო გამდიდრებაზე, ადგენდა პროვინციის მაგისტრატების უფლებამოსილების საზღვრებს,

<sup>411</sup> Веко, Організація уголовної юстиції въ главныишия историческая эпохи, М, 1671, 77

<sup>412</sup> ფაუხიშვილი თ, ჰეროდოტე, ისტორია, ტ II, თბ, 1976, 383

<sup>413</sup> Брокаузъ ф. А. и Эфрон И. А. Энциклопедический словарь, Т. VI, С. Петербург, 1892, 214

კრძალავდა მექრთამეობას. რაც შეეხება სანქციებს, სანქციებად ის ითვალისწინებდა უკანონოდ მიღებული ქონების უკანდაბრუნებას, განდევნას პროვინციიდან, სენატორის წოდების ჩამორთმევას, გაძევებასთან ერთად ან გაძევების გარეშე. აგრეთვე, ქონების კონფისკაციას, როგორც ძირითადი სასჯელის დამატებას და სხვა.<sup>414</sup>

მიუხედავად მიღებული მრავალრიცხოვანი კანონებისა და მექრთამე მოხელების მიმართ მკაცრი სანქციებისა, მექრთამეობა და გამომძალველობა რომში მაინც ყვაოდა. ციცერონმა, ვერესის წინააღმდეგ ცნობილ გამოსვლაში აჩვენა სხვადასხვა საშუალებები, მთელი რიგი პროვინციების გაქურდვისა, და მექრთამეობა დაასახელა, როგორც ყველაზე მძიმე და, მეტნაკლებად, სამარცხვინო დანაშაული<sup>415</sup>. მიუხედავად ამისა, მექრთამე მოხელეები, თითქმის, მაინც დაუსჯელები რჩებოდნენ, რის გამოც რომაელებში გავრცელებული იყო გამოთქმა: „მდიდარ ადამიანს, თუგინდ ის დამნაშავე იყოს, არავის არ შეუძლია დაადანაშაულოს“<sup>416</sup>. ამ გამოთქმასთან დაკავშირებით საინტერესოა ფრანგი მეცნიერის ლაბულებს აზრი იულიუს ცეზარის შესახებ. ლაბულე წერდა: „მე არ ვიცი, რატომ არიან ისტორიკოსები დაბრმავებულნი მისი გენიოთ, და არ აკრავენ სირცხვილის ბეჭედს ამ უსინდისო დამტაცებელსო“<sup>417</sup>.

რომის რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდი იცნობს პროცესებს, სადაც მექრთამეობისათვის პასუხისმგებაში იყვნენ მიცემულნი თანამდებობის პირები, მაგრამ ეს პროცესები ძალზე ხშირად მექრთამე მაგისტრების და მოხელეების გამართლებით დამთავრებულა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსამართლეები მათ მოუქრთამავთ. მაგალითად, ლუციანმა, გალიის ნაცვალმა, რომელსაც პროვინციის მოსახლეობა შევიწროებული ჰყავდა მძიმე გადასახადებით, და რომელიც ავგუსტოსს პასუხისმგებაში მიცემული ჰყავდა, სასჯელისაგან თავი დაიხსნა მხოლოდ იმიტომ, რომ ავგუსტოსს მან დაუთმო თავისი სიმდიდრის დიდი ნაწილი<sup>418</sup>.

მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებდა ფრანგული კანონმდებლობაც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სერიოზული ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ არ შეიძლებოდა ყოფილიყო საფრანგეთში, ქვეყანაში, სადაც ყველა თანამდებობა იყიდებოდა, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაც. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის სამართლის ისტორიამ იცის მაგალითები მექრთამე მოხელეთა გასამართლებისა. მაგალითად, 1582 წელს 29 მაისს პარლამენტის მრჩეველმა ჟან პაულიამ გასტენასაგან, რომელიც გასტენას საქმეზე იყო მომხსენებული, ქრთამად აიღო სახლი, რომელიც დაშალა, გადაიტანა კლიშაში და იქ თავისთვის აიშენა. მექრთამეობაში ბრალდებული ჟან პაულიამ განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, მას აუკრძალეს დაეკავებინა რაიმე სამოსამართლო თანამდებობა, გაძევებული იქნა პარიზის ოლქიდან 5 წლის ვადით, ამასთან,

<sup>414</sup> Утевский Б.С. Общее учение о должностных преступлениях, М. 1948, 46-47

<sup>415</sup> Утевский Б. С. დასახ. ნაშრომი. 45

<sup>416</sup> Утевский Б. С. დასახ. ნაშრომი, 46

<sup>417</sup> Утевский Б. С. დასახ. ნაშრომი, 178

<sup>418</sup> Rein ,Criminalrecht dez Romer von Romulus, bis Iustinianus, 1844, 647

დაჯარიმებული იქნა 500 ეკიუს გადახდით მეფის სასარგებლოდ, ხოლო დარიბთათვის 600 ლივრის გადახდით.<sup>419</sup>

მოგვიანებით, ფრანგული სამართალი ყველას, ვინც კი აიღებდა ქრთამს, საჩუქრებს, ნახავდა სარგებელს, მიუხედავად იმისა იყო ოუ არა კანონი დარღვეული, უწესებდა სამოქალაქო ჩამოქვეითებას, საპატიო მოქალაქის უფლებების ჩამორთმევას, ფულადი ჯარიმის გადახდას, ხოლო საქმის სიმძიმიდან გამომდინარე - 5 წლით პატიმრობას. მექრთამეობამ, როგორც დანაშაულმა, განსაკუთრებით მკაცრი სახე მიიღო საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში. აღნიშნული დანაშაულისათვის მექრთამე მოხელეებს უკვე სიკვდილით სჯიდნენ.<sup>420</sup>

თანამდებობიდან გათავისუფლება და ჯარიმების გადახდა იყო ძირითადი სასჯელები მექრთამე მოხელეებისათვის ინგლისურ სამართალშიც. მეფე ედუარდ I-ლი XIII საუკუნეში იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე გენგამი და დაეკისრებინა მისოვის 700 მარკა ჯარიმის გადახდა. <sup>421</sup> რაც შეეხება გერმანულ სამართალს, ის ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული ქრთამის აღებას განიხილავდა, როგორც კერძო პირთა ინტერესების დარღვევას და ამიტომაც, სასჯელი ყოველთვის დაზარალებულის სასარგებლო იყო. სახელმწიფოს ასეთი სამართლებრივი განუვითარებლობა და პრივიტივიზმი გერმანელებში შემორჩა XIII საუკუნამდე. მაგალითად, 1235 წელს მაინცკომის საერობო საბაჟო მოხელეების მიერ უკანონო ბაჟების ამოღებას სჯიდა, როგორც ქუჩაში ქურდობას. ასე, რომ გერმანელმა იურისტებმა, ვერც „კაროლინამდე“ და ვერც „კაროლინას“ დროს, ვერ შეძლეს გამოსულიყვნენ თანამდებობრივი დანაშაულის ყველაზე პრიმიტიული წარმოდგენის ჩარჩოებიდან. <sup>422</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სალიელი ფრანკების კანონებში, რიპუარებში, ლანგობარდებში და სხვა ტომებში გვხდება გადასახლება, როგორც სასჯელი მექრთამეობისათვის.

მექრთამეობის, როგორც თანამდებობრივი დანაშაულის შეფასებისას, გაცილებით მაღლა იდგა რუსული სამართალი. ქრთამის აღება აქ განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი მძიმე დანაშაული. ქრთამის აღებაში და მით საქმის გადაწყვეტაში მხილებული პირები ისჯებოდნენ ისეთი სასჯელებით, როგორიც იყო მაგალითად: ჯარიმა, გაძევება, თანამდებობიდან გათავისუფლება, სხეულებრივი და გამაწმილებელი სასჯელები: გამათრახება, შერისხვა, ანდა დაწყევლა, დაზარალებულის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება, წოდების ჩამორთმევა, მოგვიანბით კი - სიკვდილით დასჯაც. სჯულმდებელ ივანე III-თან გვხდებით მოსამართლეების მიერ ქრთამის აღებას, რომელთა დასასჯელად იცემოდა მეფის ბრაძანებები, რათა მექრთამე პირი გადაეცათ ანათემაზე, წყევლა-ლანძღვით და შეჩვენებით ჩამოეტარებინათ თავშეერის ადგილებზე, განსაკუთრებით - მოსკოვისა და ნოვგოროდის, აგრეთვე მათ მიმდებარე მიწებზე განლაგებულ ქალაქების ბაზრებში, რათა ყველასოდის ცნობილი გამხდარიყო მექრთამე მოსამართლის უსინდისო საქციელი. ქუჩებსა და ბაზრებში

<sup>419</sup> Jousse \_ Traité de la justice criminelle de france t III, MDCCL XXI №16, 774

<sup>420</sup> Журналъ Гражданскаго и уголовнаго права, М. 1884, №4, 149

<sup>421</sup> Гнейст, История Государственных учреждений Англии, М. 1988, 346

<sup>422</sup> Утевский. В.С. დასახ. ნაშრომი, 148

ჩამოტარება, წყევლა-შეჩვენება და დატუსაღება მექრთამე მოხელეების მიმართ, გათვალისწინებული იყო, ივანე IV-ის დროინდელ კანონმდებლობაშიც. კიდევ უფრო გაიზარდა სასჯელთა რიცხვი მექრთამეობისათვის მეფე ალექსი მიხეილის ძის დროს. 1649 წლის „ძეგლისდებაში“ ვხვდებით ქრთამის ამდებ მოხელეთათვის სასჯელის სახედ გამათრახებას, აღებული ქრთამის სამმაგი ოდენობით ჯარიმის დაკისრებას სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ, აგრეთვე, გასახლებას, შერისხვას, დაწყევლას, წოდებისა და ლირსების ჩამორთმევას. „Лихоимство“-ში შემჩნეული პირები ისჯებოდნენ გამაწმილებელი სასჯელებითაც. მაგალითად, ქრთამის ამდებ პირს კისერზე პკიდებდნენ ქისას, ან სხვადასხვა ხარახურას, ან დამარილებულ ოვგზს - ერთი სიტყვით იმ საგანს, რომელიც პირმა ქრთამად აიღო. კანონმდებლები იდებდნენ საგანგებო ზომებს მომსყიდველებისა და მექრთამეების წინააღმდეგ და როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსცემდნენ ბრძანებეს, რათა შეეჩვენებინათ მექრთამენი, ჩამოებარებინათ ბაზარ-ბაზარ და ეცნობებიათ ყველა ქალაქისთვის, ყველა თემისთვის, რათა მოსარჩელეებსა და მოპასუხებს არ მიეცათ „Посуლ“-ი მოსამართლეებისათვის და ბოქაულებისათვის.<sup>423</sup>

რუსული კანონმდებლობა შეიცავს ცნობებს იმის შესახებაც, როცა ბოიარები და ვოევოდები კანონით დადგენილი სასჯელის გაუთვალისწინებლად შეიძლებოდა დასჯილიყვნენ მეფის შეხედულების მიხედვითაც. მაგალითად, მეფე ალექსი მიხეილის ძის „ძეგლისდების“ მე-11 და 12-ე მუხლები მიუთითებენ: „ბოიარების და ვოევოდების მიერ ქრთამის ანდა აღაპის გადახდევინება, სამხედრო პირების სამსახურიდან შვებულებაში გაშვების მიზნით, ითვლება დანაშაულად. ამიტომ, დამხაშავე, არსებული კანონების მიუხედავად, ისჯება სასჯელით მეფის შეხედულებისამებრ“, აგრეთვე „ბოიარები ანდა ვოევოდები, რომლებსაც ფიცი აქვთ დადებული მეფის წინაშე, ქრთამის მიღების გამო წაყენებენ ცრუ ბრალდებებს, ექვემდებარებიან „მკაცრ“ დასჯას მეფის შეხედულებისამებრ.“<sup>424</sup> მკაცრი სასჯელები იყო რუსეთში მექრთამე მოხელეებისათვის გათვალისწინებული პეტრე I-ის დროსაც. პირი, რომელიც მეგობრობის ან მტრობის, ან ქრთამისათვის თუ სხვა მოტივით ჩაიდენდა დანაშაულს, ექვემდებარებოდა სიკვდილით დასჯას, ანდა სამუდამო გადასახლებასა და ყველა წოდების ჩამორთმევას.<sup>425</sup>

განსაკუთრებული სიმკაცრით ისჯებოდნენ მექრთამენი რუსეთში საერობო ბურგომისტრების არჩევისას. ქრთამის აღებით არჩევნების გამყალბებლებს, სჯიდნენ სხეულებრივი სასჯელებით და აზოვის მხარეში სამუდამო გადასახლებით, ხოლო სახელმწიფო გადასახადების აკრეფისას კი, მექრთამე მოხელეებს სიკვდილითაც სჯიდნენ და მათ ქონებას კონფისკაციას უკეთებდნენ.<sup>426</sup>

<sup>423</sup> Владимирского - Буданова М. Ф ,Обзоръ исторіи русского права, Кіев с. Петегбуг, 1900 , 334

<sup>424</sup> Помятники русского права, Уложение Царя Алексея Михайловича 1649 г, М. 1957, 60

<sup>425</sup> Воскресенский Н. А, Законодательные акты Петр I, 1960, 131

<sup>426</sup> Брогкаузъ Ф. А. и ЭФРОН И. А. Энциклопедический словарь, Т. VI, кн.11, 1892, 215

## ბ) მექრთამეობისათვის გათვალისწინებული სასჯელებიძველ ქართულ სამართალის მიხედვით

საქართველოში მოქმედი ეროვნული ოუ უცხოური სამართლის ძეგლები მკაცრ სასჯელებს შეიცავენ მექრთამე მოხელეების, განსაკუთრებით კი, მექრთამე მოსამართლეების მიმართ. XIV საუკუნის „ბექა-აღბუდას სამართლის წიგნი“, რომელიც „ერთბაშად გაჩენილია განგებითა დავთისითა“, მოსამართლეებისაგან „არავის სთნიო“-ს პრინციპით მუშაობას ითხოვდა. ქრთამის აღება, მით უმეტეს, მოსამართლეების მიერ, უდიდეს ზნეობრივ დაცემულობად მიაჩნდა „ბექა-აღბუდას სამართლის წიგნის“ შემდგენელს, და ამიტომ, იგი მექრთამეობაში ეჭვმიტანილს მკაცრ გამოცდას, მდუღარე წყლიდან გავარვარებული რკინის ამოღებას, აკისრებდა. მდუღარე წყლით გამოცდა ორდალის ერთ-ერთი სახე იყო, რომელიც დამნაშავეს განსაკუთრებულ შემთხვევაში ენიშნებოდა. „ბექა-აღბუდას სამართლის წიგნი“ მოსამართლის მიერ ქრთამის აღებას, სწორედ, ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას მიაწერდა. მაშასადამე, კანონმდებელი სამართლის წიგნის 90-ე მუხლში სასტიკად გმობს მოსამართლეთა სიხარბეს და სიხარბით კი საქმის გარჩევა-გადაწყვეტას, მაგრამ მიუხედავად გაფრთხილებისა, „არავის სთნიოთო“, თუ მაინც აღმოჩნდებოდა ვინმე, ვინც სიხარბეს ვერ დაძლევდა, ქრთამს აიღებდა და საქმეს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ გადაწყვეტდა, ჯერ ერთი, რომ ქრთამით გარჩეული საქმე გაუქმდებოდა, და მეორეც, მექრთამე მოსამართლე, აუცილებლად, ძნელი გამოცდის წინაშე წარსდგებოდა. კანონმდებლის მოთხოვნა კატეგორიულია, „მას სიაჟსა ხელნი დაესხნეს-ო“. „სიაჟი“ სპილენძის დიდი ქვაბი იყო, რომელშიც წყალი დუღდა. სწორედ, მდუღარე წყლიდან უნდა ამოედო ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილ მოსამართლეს გავარვარებული რკინა და მით დაედასტურებინა თავისი უდანაშაულობა.

როგორც აღვნიშნეთ, მდუღარე წყლით გამოცდა ორდალთა ერთ-ერთი უმკაცრესი სახე იყო და მის გამოყენებას, საქართველოს სინამდვილეში XIX საუკუნეშიც პქონდა ადგილი. დ. ბაქრაძეს 1873 წელს გურიაში მოგზაურობისას, შეხვედრია ადგილობრივი მდგდელი გიორგი დუმბაძე, რომელსაც მისთვის უამბნია, რომ „გავარვრებული რკინა და მდუღარე წარმოადგენდნენ საყოველთაოდ სახმარ საშუალებებს მხოლოდ განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულობების გამომჟღვნებისასო.“<sup>427</sup> ორდალით გამოცდა ჯერ კიდევ არ იყო სასჯელის საბოლოო სახე. თუ აღმოჩნდებოდა, რომ მოსამართლეს, მდუღარე წყლიდან რკინის ამოღებისას, ხელები დაეწვებოდა, მისი ბრალეულობა ანუ მექრთამეობა დადასტურებული იქნებოდა, გადაეცემოდა სასამართლოს სასჯელის დასადებად. რა სასჯელით დაისჯებოდა მექრთამე მოსამართლე, „ბექა-აღბუდას სამართლის წიგნის“ მიხედვით არ ჩანს, მაგრამ უდავოა, რომ სასჯელი მკაცრი იქნებოდა, ხოლო თუ როგორი სასჯლები არსებოდა ძველად

<sup>427</sup> Бакрадзе Д. З., Археологическое путешествие по Гурии и Аджарье, с. Петербург, 1878, 159

საქართველოში, ამის გაგების საშუალებას გვაძლევს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“, რომელიც 7 ნაწილისგან, ანუ 7 საკანონმდებლო ძეგლისაგან შედგება. საკუთრივ „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში“, რომელსაც „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ ეწოდება, „ქრთამი“ სისხლისამართლებრივი ცნებაა. კანონმდებელს სამარცხვინოდ და გასაკიცხად მიაჩნდა ის, რომ მის დროინდელ ქართლში, „ვიეთნიმე მოყვსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღმერთის ურუდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ, სჯიდნენ.“<sup>428</sup>

მევე ვახტანგ VI მიზანი იყო არავის განედრიკა სასწორი სამართლისა „ქრთამით, გინა მოყვსობით ანუ სხვაფრივ, რითამე მიღვომითა.“<sup>429</sup> მოსამართლის მთავარ დადებით თვისებებად კანონმდებელს ღვთისმოშიშობა და უქრთამობა მიაჩნდა, რომელსაც უანგარობა უნდა დაეცვა ორივე მხარის მიმართ: „არც მტყუანსა და არც მართალზე ქრთამი არ არისო.“<sup>430</sup>

სჯულმდებელი მევე სამართლიან მოქმედებას მოითხოვდა ნებისმიერი პირისაგან, მოსამართლე იქნებოდა იგი თუ სხვა მოხელე, გინდ მოწმე, რომელსაც ვახტანგ VI „მთხოვობელს“ უწოდებდა. მთხოვობელობა, აღნიშნავს იგი – „საქმით ხომ მართლაც ცოდვა არის, და ტყუილი მესისხლობა არისო“<sup>431</sup>. ამიტომ ანგარებიან, ცრუ „მთხოვობელს“, იგივე ცრუ მოწმეს, არ ინდობს და მას ფიზიკურ ტანჯვას და ჯარიმის გადახდას უწესებს. ჯარიმა კი მოსამართლემ იმდენი უნდა გადახდევინოს მას, რამდენიც მართალ კაცს ცრუ მთხოვობელის ენით უნდა გადახდენოდა. „თუ ტყუილად კაცმა კაცს უმთხოვობლოს და მთხოვობელი გამტყუნდეს, რაც იმის ენით მართალს კაცს ედებოდეს, იმთონი მოსამართლემ გადახდევინოს, . . . თუ თვითონ გამტყუნდა, სცენ, ჯარიმა წაართვან და ისე გააგდონო“<sup>432</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნში, სშირად დანაშაულებრივი ქმედებისათვის სასჯელები მითითებული არ არის, არადა სწორედ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იყო ის პირველთაგანი, რომლითაც მოსამართლეებს უნდა ეხელმდვანელათ. მაგრამ, როგორც სამართლის წიგნის ბოლოში, თავად სჯულმდებელი მევე აღნიშნავს, მოსამართლეებს უფლება ჰქონდათ, თუ არ აღმოჩნდებოდა მის სამართლის წიგნში სათანადო პასუხი, გასარჩევი დავის შესახებ, შეეძლოთ გამოეყენებინათ კრებულის სხვა სამართლის წიგნებიც. რადგან „კრებულის არაქართულ ნაწილებს კანონმდებელი განიხილავდა, როგორც სამართლებრივ სიძველეთა არსენალს, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა სათანადო იარაღის აღება.“<sup>433</sup>

როგორც წინა თავში გვაქვს აღნიშნული, არაქართული სამართლის წიგნთაგან, მოსამართლენი „სათანადო იარაღის ასაღებად“ ყველაზე სშირად ბერძნულ სამართალს მიმართავდნენ. ბერძნული სამართალი მექრთამე მსაჯულთათვის მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებდა.

<sup>428</sup> ქს. გ. I, თბ, 1963, 174

<sup>429</sup> ენუქიძე თ, დასახ. ნაშრომი, 47

<sup>430</sup> დასახ. ნაშრომი, 49

<sup>431</sup> ქს. გ. I, თბ, 1963, 255

<sup>432</sup> იქვე

<sup>433</sup> ნადარევიშვილი გ, ნუ მიიღებ ქრთამსა, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა., № 213, 8.08, 2000

ანგარებიან მოსამართლეებს, სამართლის წიგნის მიხედვით, დაკავებული თანამდებობიდან აძევებდნენ, ამასთან კრეჭდნენ, პირს შავად უდებავდნენ, თავზე ცხვრის ფაშვს აცმევდნენ და, რუსული სამართლის მსგავსად, დასამცირებლად, ვირზე შემოსმულს ქუჩა-ქუჩა, ბაზარ-ბაზარ ხალხმრავალ ადგილებში ატარებდნენ, თანაც მის წინ მავალი კაცი ყვიროდა, მოდით, ნახეთ მექრთამე „სიცრუისა მსაჯულიო“. ქრთამის ამდებ მოსამართლეს ამას არ აჯერებდნენ, მას ექსორიას უყოფდნენ და შორს ასახლებდნენ, სადაც ქვას და კირს აზიდვინებდნენ, მის ქონებას სახელმწიფო ხაზინას გადასცემდნენ, ხოლო შვილებს მონა-მოსამსახურებად მდიდრებს ურიგებდნენ: „უკეთუ შთავარდეს წარწყმედასა თვისისა თვისისა, და უსამართლო რამე ქნას, და კელმწიფემ შეიტყოს და მთავართა, რომე უსამართლოთ სჯის კაცთაო, ჯერ არს, რათა იგი გადააყენოს და მის მაგიერად სხვა დააყენოს და იგი გაკრიჭოს და პირი შავად შეუდებოს, ვირზედ შესვას, ცხურის ფაშვი თავს ჩამოაცვას და სულ ბაზარი და ქუჩები ასე შემოარონინოს; და წინამდოლი იგი კაცი ესრეთ უძახოდეს კაცთა: მოდით, ნახეთ სიცრუისა მსაჯულიო, და მერმე ექსორია უყონ და შორს ქვეყანას გაგზავნონ და, სადაც რომ მივიდეს, იქ სულ თავისის გელით ქვა და კირი აზიდვინონ. მისი საქონელი ყოველსა ერსა განუყონ და შვილი მისნი მისცენ თავადებთა.“<sup>434</sup> ჩამოთვლილი სასჯელები, ძველი ქართული სისხლის სამართლისათვის დამახასიათებელი სასჯელები იყო, და სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი სასჯელებისათვის მიემართათ მექრთამე მოსამართლის დასჯის შემთხვევაში, თუ კი იგი მდუღრით ან გავარვარებული რკინით გამოცდის შემდეგ მტყუანი აღმოჩნდებოდა. რაც შეეხება სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილით დასჯას, კერძოდ თავის მოკვეთას, ასეთს ითვალისწინებდა ბერძნული სამართლის 380-ე მუხლი, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეფო საპყრობილებს უფროსი პატიმრებისაგან ქრთამს აიღებდა და ქრთამით მალულად გაათავისუფლებდა. ასეთ მექრთამე საპყრობილებს უფროსს ან სიკვდილით დასჯიდნენ, ან ექსორიას უყოფდნენ და ქვეყნიდან გააძევებდნენ: „ვინცავინ სამეფოს საპყრობილების უფროსი იყოს და ვინცავინ მაშიგ პყრობილი ყუანდეს, და მისგან ქრთამი აიღოს, და ის კაცი არ დააბან ჯაჭვითა ანუ ხუნდითა და გაუშვან, ანუ რომელმან ბორკილი გააღონ ან ჯაჭვი გატეხონ, იმ საპყრობილებით უფროსთა თავი მოეჭრას ანუ ექსორია ექმნას.“<sup>435</sup>

რუსული სამართლის მსგავსად, როცა ნორმის არსებობის მიუხედავად, მეფეს უფლება პქონდა, თავისი შეხედულებისამებრ, დასაჯა დამნაშავე პირი, საქართველოშიც მოქმედი ბერძნული სამართალი აძლევდა მეფეს უფლებას გვერდი აევლო კანონის მოთხოვნისათვის და დამნაშავე მექრთამე პირი, იმ შემთხვევაში, თუ „პატრონის“ ე.ი. მესაკუთრის ნებართვის გარეშე მონასტრის მამულს ან გაყიდდა, ან გაათარხებდა, მკაცრად დაესაჯა: „უკეთუ ვინმე მონასტრის მამული ესრეთ შექმნას, მეფეთაგან იტანჯოს იგი ძლიერადო.“<sup>436</sup>

<sup>434</sup> ქს.ძ. ტ I, ობ, 1963, 134

<sup>435</sup> დასახ. ნაშრომი. 182

<sup>436</sup> ქს.ძ. ტ I, ობ, 1963, 182

თანამდებობიდან მოხსნა, ცემა, სამეფო კარიდან გაგდება და დამცირება იყო გათვალისწინებული სომხური სამართლის მიხედვითაც იმ მექრთამე მოსამართლის მიმართ, რომელმაც ღმერთის შეგონებას და მეფის ნდობას უდალატა, პირადი გამორჩენის გამო, ბოროტება გაამრავლა: „იმათანა მოსამართლე ჩამოაგდოს ხელმწიფემ სამართლის გარიგებიდან, და გაუწყენ და გალახონ, და გაიშოროს კარისაგან, ამიტომ რომ ვერ შეიტყო წერილი „დათაებისაგან, ხელთ რიგი რომ მისცა მოსემ: „ნუ გაამრუდებო სამართალსა და ნუ აიღებო ქრთამსა.“<sup>437</sup>

უარყოფით დამოკიდებულებას მექრთამეობისადმი, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულის მიმართ, ამჟღავნებდა საქართველოში მოქმედი მოსეს სამართლიც. მართალია, შეგონებანი დიდაქტიკურია - „ნუ გარდასდრეკო სასჯელსა, ნუცა სჯიდე თუალღებით, ნუ მიიღებ ქრთამსა, რამეთუ ძღუენმან და ქრთამმან დაუყვნეს თუალნი ბრძენთანი და გარდააქცინის სიტყუანი სამართლისანი-ო,“<sup>438</sup> მაგრამ იქვე ანათემასა და წყვლის უსჯიდა იგი იმ მექრთამე მოსამართლეს, რომელიც ყურად არ იღებდა ღმერთის გაფრთხილებას: „წყეულ იყავნ, რომელმან მოიღოს ქრთამი მოკვლად სულისა მართლისა, და თქუას ყოველმან ერმან: იყავნ.“<sup>439</sup>

ასე, რომ ეროვნული და საქართველოში მოქმედი უცხოური სამართლის ძეგლები მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებდნენ მექრთამე მოხელეების მიმართ, მაგრამ რამდენად რეალიზდებოდა ეს სასჯელები ცხოვრებაში, ამაზე ჩვენამდე მოღწეული სასისხლო დოკუმენტები ნაკლებ ცნობებს იძლევიან, მაგრამ დოკუმენტების უქონლობა, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში მოხელეთა მხრიდან ქრთამის აღებას და მით უკანონო ქმედებათა ჩადენას ადგილი არ ჰქონდა. სინამდვილეში, საქმე იმაშია, რომ ფეოდალური წყობილების დროს მთელი სახელმწიფო მანქანა, გაბატონებული ფენის ინტერესებს იცავდა და, ბუნებრივია, თავის „შვილებს“, ნაკლებად თუ „დატუქსავდა“ კერძომესაკუთრულ და პრივილეგირებულ საფუძველზე აგებული სამართალი. მექრთამეობის საქმის განხილვას და მექრთამეთა დასჯას მხოლოდ მაშინ უნდა ჰქონდა ადგილი, როცა ქრთამის ამდებიც და დაზარალებულიც მაღალი წოდების წარმომადგენელი პირები იქნებოდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფეს, როგორც უზენაეს მსაჯულს, უფლება ჰქონდა გამოეკენებინა არა მარტო კანონით დადეგნილი სასჯელები, არამედ შეეძლო თავისი შეხედულების მიხედვითაც დაესაჯა მექრთამე პირები, ამის დადასტურებას წარმოადგენს 1775 წლის 18 ივლისის „მეფე ერეკლე მეორის ბრძანების ოქმი“. აღნიშნული ოქმით ირკვევა: ერეკლეს შვილის, ფარნავაზის მიერ გაგზავნილი მოხელე იასაულები, გოგია ომანისშვილი და იაკობ ალექსიშვილი, გორელებს ძლიერ ავიწროებდნენ. შევიწროება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ქრთამად, დიდი ოდენობით, ფულს ითხოვდნენ და ძალითაც ართმევდნენ ხალხს. მეფე ერეკლე II ძლიერ აღუშფოთებია მოხელეთა ამგვარ საქციელს, რაც კარგადა გამოხატული მის მიერ გამოცემულ

<sup>437</sup> ქს. გ. I, თბ, 1963, 293

<sup>438</sup> მითოთ. ნაშრომი. 109

<sup>439</sup> მითოთ. ნაშრომი. 125

მექრთამე იასაულების დასჯის ბრძანებაში: „მერე ომანისშვილი გოგია და ალექსიშვილი იაკობ რომ იასაულად ბატონს ჩემს შვილს ფარნავაზს გამოუგზავნია, ერთი ექვსს თუმანს გთხოვსთ და მეორე სამს თუმანსა გთხოვსთ. ეგენი ორნივ დაიჭირეთ, ან რაც კაცი ახლდესთ, თავიანთი თუ ვისიც უნდა იყოს, უველანი უნდა დაიჭიროთ და ცხენი და იარაღი თქვენთვის სულ სახალხოთ მომიცია და მაგას უველას თავი გაუტეხეთ, ოთხას თოხასი ჯოხი დაჰკარით, ძალიანი ჯოხები, და ასე ჰქმენით“.<sup>440</sup> მეფე ერეკლე II დაუნდობელია მექრთამე იასაულების მიმართ და კატეგორიულად მოითხოვს მისი ბრძანების ზუსტ აღსრულებას. უფრო მეტიც, იმავე დოკუმენტში ერეკლე II წყევლის მათ, ვინც თავს შეიკავებს მექრთამე იასაულების დასჯისაგან: „ამ ჩემს ბრძანებას ასე აღასრულებოთ, თუ ასე არ აღასრულეთ წმინდა სარწმუნოებაცა და დათოც გაგიწყრესთ და წყეულიც იყვნეთ, და თუ ასე აღასრულეთ, როგორც მომიწერია დათმა თქვენ უოველი სულიერი და გორციელი ავი გაშოროსთ, და უოველი სულიერი და გორციელი საქმენი კვითოლად წარგიმართოსთ, და ეგ მაგათი ნაცარცვი პალალი ქმნას თქვენთვის“.<sup>441</sup> ქონებრივი, სხეულებრივი და დამამცირებელი სასჯელის გარდა, ერეკლე II უკან არ იხევს მექრთამეთა და მათ დამხმარე პირთა ფიზიკური განადგურებისგანაც. იგი ნებას რთავს გორის ხელისუფალთ, მთლიანად მოსახლეობას, უველას: ბატონს, სახელმწიფო მოხელეს თუ გლეხს მექრთამე მოხელეებს „ნურაფერს ნურას მისცემთო“, მაგრამ, თუ მექრთამენი ძალას გამოიყენებენ და სხვებსაც დაიხმარენ, მაშინ ის დამხმარე კაცებიც უცემეთ და იარაღის ხმარებაზედაც უკან არ დაიხიოთო: „თუ ძალა მოინდომონ, კაცები კარგად დაუტყიპეთ, ისე გაუყარეთ, თუ თქვენზე იარაღი მოინდომონ და იხმარონ იმათმა კაცებმა, თქვენ ერთისათვის თრი და სამი იარაღი იხმარეთ იმათზედა-ო“.<sup>442</sup>

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იგივე ოქმით ბრძანების შესრულებისათვის და მექრთამე გამომდალველი მოხელეების ანგარიშის გასწორებისათვის, მეფე ერეკლე მოსახლეობისაგან ხატზე და ჯვარზე დაფიცებას მოითხოვს, ხოლო ის, ვინც უარს იტყვის დაფიცებაზე, მისივე ბრძანებით, დაჯარიმებული უნდა იქნას ფულადი გადასახადით: „ქართველის და სომხის ორთავე სამღვდელონო და ეკლესიაების შინა მოსამასახურენნო, მთავარეპისკოპოსის საყდრის გარეთ ეზოში შეიყარენით, მართებულის პატივით სამდოთ სახარება და ცხოველ-მყოფელი ჯვარი პატიოსნებით დაასვენეთ, ამ საქმეზე ასე დაიფიცეთ და ჩემი ერთგულებაც შიგ ჩატანეთ, ... და რომელმაც არ დაიფიცონ ჯვარზედა და სახარებაზე, პირველს კაცს სამი თუმანი წაერთვას და მეორეს ორი თუმანი და მესამეს ერთი თუმანი, და სათემოთ თქვენთვინ გამოიყენეთ და თქვენთვის დახარჯეთო“.<sup>443</sup>

მექრთამეობა არამარტო საზოგადოების ზნეობრივი დაცემულობის, არამედ მისი სამხედრო და პოლიტიკური ძლიერების დასუსტების გარდაუვალი პირობაა. გარდა ამისა, მეფის ნდობის შებდალვა, უდიდესი პიროვნული შეურაცყოფაცაა. ალბათ, ამითაა განპირობებული ერეკლე II-ის და მისი შვილის, მეფის ძე გიორგის მკაცრი ტონი მექრთამეთა

<sup>440</sup> თაყაიშვილი ე, საქართველოს სიძველენი, ტ I, წიგნი II, ობ, 1920, 198

<sup>441</sup> დასახ. ნაშორმი, 198

<sup>442</sup> დასახ. ნაშორმი, 199

<sup>443</sup> იქვე

მიმართ, იმათ მიმართ, ვინც დადგენილზე მეტის გადახდით წელში წყვეტდა გლეხებს, მშრომელებს, რომელთა ზურგზეც საქართველოს მთავარი ძარღვი და ქვეყნის ტვირთი გადადიოდა.

ბატონიშვილ გიორგის, ლამისყანელმა ჭქედლიშვილმა „არზა“ გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა ბატონისაგან თავს დამტკიცარ უბედურებას: „ექვსი კოდი პური კიდევ ჩემის ხელით მიმირთმევია და ახლა კიდევ საამ ფიცხელაური დამაყენა იასაულათა. ოცდა ერთს კოდს ახლა მთხოვს და იასაული შინ მიდგასო.“<sup>444</sup> გაბრაზებული გიორგი ერეკლეს ძე არჯევან ფიცხელაურს უთვლის: „რა წამს ეს ოქმი მოგივოდეს, მაშინვე წამოდი. თუ ხვალ დამ აქ არ ჩამოხვალ, ჭეშმარიტად იასაულებს გამოგისევთ და თრევით ჩამოგატაინებოთ“<sup>445</sup>. დოკუმენტში არ ჩანს, არჯევან ფიცხელაურმა ბატონიშვილის წინაშე იმართლა თუ არა თავი, და თუ ვერ იმართლა, მეფის ძე გიორგიმ როგორ დასაჯა იგი, მაგრამ თუ გავითვალისწინებოთ რა სიტყვებით შეუთვალა მან სამეფო კარზე გამოცხადება, ადვილი წარმოსადგენია, რომ ფიცხელაური საჯელის გარეშე ვერ უნდა გადარჩენილიყო.

მართალია, აღნიშნული ფაქტები დადასტურებაა იმისა, რომ სამეფო კარი შემწყნარებლური თვალით მექრთამეობას არ უყურებდა, მაგრამ ცაკლეულ პირებს, თუგინდ ის მეფე ყოფილიყო, არ შეეძლოთ შეეჩერებინა მექრთამე სახელმწიფო მოხელეთა და მებატონეთა დაუკმაყოფილებელი მადა, არ შეეძლოთ მოესპოთ მექრთამეობა, საზოგადოების ეს უდიდესი მანკიერი მხარე, რომელიც ასე ფესვგამდგარი იყო ბატონიურ წესზე აგებულ ყოფით ურთიერთობებში.

<sup>444</sup> თაყაიშვილი ქ, საქართველოს სიბველენი, ტ. II, ტვ, 1909, 460

<sup>445</sup> დასახ. ნაშრომი, 461

## გ) სასჯელები მექრთამეობისათვის კანონიკური სამართლის მიხედვით

როგორც ვიცით, საერო სასამართლოებისა და მოსამართლეების გვერდით არსებობდნენ საეკლესიო სასამართლოებიც, სადაც სასულიერო მსახურთაგან დანიშნული პირები აწარმოებდნენ საეკლესიო საქმიანობასთან და სასულიერო პირებთან დაკავშირებული დავების განხილვას. მაგრამ, როგორც ჩვენამდე მოღწეული ცნობები მოწმობენ, ქრთამის აღება და მით მდვდელ-მოსამართლეთა მხრიდან არამარტო დავების გარჩევა, არამედ, საერთოდ, მდვდელმსახურებაც უცხო არ ყოფილა. არადა „სიმართლით სამართლის ქმნა“ ე.ი. სამართლიანობის დაცვის პრინციპი არამარტო სამდვდელო მოსამართლეებისათვის, არამედ მთელი საეკლესიო მოღვაწეებისათვის ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო. იმ პერიოდისათვის, სწორედ ეკლესია-მონასტრები უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოების ზნეობრივი სიწმინდის მედროშენი, მაგრამ რომელ მორალურ სიწმინდებზე შეიძლებოდა საუბარი, როცა სასულიერო მოღვაწენი ისე მდაბლებოდნენ, რომ არა თუ მექრთამება, არამედ თვით საშინელი სენი, სოდომური ცოდვაც კი გავრცელებულა ეკლესია-მონასტრებში.

ერისა და ქვეყნის ხსნისათვის, ეშმაკისეული ცოდვების მოსპობა მხოლოდ მკაცრ და შეურიგებელ ბრძოლას შეეძლო. ამიტომაც, კანონიკური სამართლის ძეგლებსა თუ ცალკეული მონასტრების წესდებათა დოკუმენტებში, გათვალისწინებული იყო მძიმე სასჯელები მდვდლის ანაფორაში გადაცმული, მექრთამე და უსინდისო პირებისათვის: „შეჩვენება, წყევლა, დაკავებული საეკლესიო თანამდებობიდან ჩამოქვეითება, საზოგადოების თვალში ავტორიტეტის დაცემა, „გაბედითება“ და ეკლესიიდან გაძევება იყო ის სასჯელები, რასაც საეკლესიო სამართალი მექრთამე „მორწმუნების“ მიმართ იყენებდა. აღნიშნული სასჯელებით დასჯა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, სასულიერო მოღვაწეებისათვის დიდი დამცირება იყო.

ბერძნული სამართალი მექრთამე სასულიერო პირს საღმთო მსახურების უფლებას ართმევდა და ეკლესიიდან აძევებდა „... როგორც ჩვენ უზამთ კაცთა სამართალსა, ეგრეთ დათი ჩვენ გვიზამს სამართალსა ამა სოფელსა და მას საუკუნესა ... და იგი შეიქმნების წაწყმენდილი და უპატიოო.“<sup>446</sup>

მდვდლობიდან „გარდაყენება და უპირისწყალო“ ანუ ავი კაცის სახით ჩამოამცრობდა ჯკ სომხური სამართალიც მექრთამეობაში მხილე-ბულ, სასულიერო, მოსამართლე პირებს.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“, მექრთამე საეკლესიო პირებს, არამარტო თანამდებობიდან ათავისუფლებდა და ეკლესიიდან სამუდამო გაძევებით სჯიდა, არამედ, მექრთამე მდვდელს თუ ეპისკოპოსს, შეაჩვენებდა და დაწყევლიდა. შეჩვენება და წყევლა კი ეკლესიის მხრიდან, და ისიც საეკლესიო მოღვაწისათვის, უმკაცრესი სასჯელი იყო: „ხოლო ქრთამისათვს და საფასისა, რომელსა მიიღებენ

<sup>446</sup> ქ.ს.ძ. ტ. I, თბ, 1963, 131

კელთდამსხმელნი, კელთდასმადთაგან, ზემოვთგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისამებრ, განჩინებად ვიკადრებოთ ჩუენცა, რათა მოისპოს ეგვეითარი იგი ეკლესიისაგან და აღიკოცოს მლდელობისაგან, მაკურთხეველისა თვისისა თანა, რომელისა ქმნავ ამიერითგან ნუდარამცა-ვის უკადრებიეს, რათა არა-იგიცა შევსძინოთ, ვითარმედ შეიჩუენოს ვითარცა სუმონ მოგბ პეტრე მოციქულისაგან“<sup>447</sup>.

მონასტრიდან გამევება და თანამდებობიდან ჩამოქვეითება იყო გათვალისწინებული „ვაჟანის ქუაბთა განგებაშიც“. ვაჟანის მონასტრის წესდება მოითხოვდა, ის, ვინც ქრთამისათვის უკადრის საქმეს ჩაიდენდა, „განიხადნენ მონასტრით“-ო, და ამასთან, „ჩამომცრობილნი“ იქნან დაკავებული თანამდებობიდანო. „ხოლო უკუეთუ იკადროს მოძღუარმან, ანუ იკონომოსმან, გინა დეკანოზმან, გარდარეულებითა ვაცხლისმოუარებისადთა, აღებად ქრთამისა რაიოსამე ფარულად გინა ცხადად და ემხილოს, დაკლებულ იქმნეს თვისისა პატივისგანო.“<sup>448</sup> წმინდა კრებულთაგან შეჩვენებას და ეკლესიიდან გაძევებას აწესებდა „მცირე სჯულის კანონი“ და XVI საუკუნის „კათალიკოზთა სამართალიც“. „რომელმანცა ებისკოპოზმან უდირსი მლდელი ანუ დიაკონი აგურთხოს და ანუ იცოდეს მისი უდირსობა, და ანუ წირვა დაახებოს, და ანუ ქრთამი აართვას, შეჩუენებულიმცა არის, ვითარცა სუმონ მოგვი.“<sup>449</sup> „ორკეცისა განჯვისა დირს არსო“-აღნიშნული იყო „მცირე სჯულის კანონში“ – ის საეკელსიო მოდვაწე, რომელიც „იქმს ბოროტსა და სახელსა მას, გინა სახელსა კეთილისასა იქმარებს შემწედ თვისისა ცოდვისა“<sup>450</sup>. და „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსობისა პატივი საფასითა მიიღოს, ანუ ხუცობისად, ანუ დიაკონობისად, აღიკოცონ მლდელობისაგან საფასით კურთხეული იგი და მაკურთხეველიცა მისი და განიკუეთენ სრულიად ზიარებისაგან, ვითარცა სუმონ მეგბ განკუეთა ჩემ მიერ პეტრეს მოციქულისა.“<sup>451</sup>

სასულიერო პირის დაწყევლა, ანათემაზე გადაცემა, შეჩვენება და მლვდელმსახურების უფლების ჩამორთმევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმკაცრესი საეკლესიო სასჯელები იყო და, შეიძლება ითქვას, რომ ისინი საერო სასჯელთაგან სიკვდილით დასჯას უთანაბრდებოდნენ, ხოლო თუ მექრთამე, შეჩვენებულ მლვდელს ზიარებასაც აუკრძალავდნენ - ეს უკვე სასულიერო პირისათვის ცოცხლად სიკვდილს ნიშნავდა.

ძელი ქართული საეკლესიო სამართლისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია: „კახა თორელის მიერ რკონის დვთისმშობლისადმი 1259 წლის შეწირულობის წიგნი“, რომელ შიც მოცემულია, სწორედ, ის საშინელი წყევლა, რითაც იწყევლებოდა პირი, რომელიც ანგარებით, ქრთამისთვის „შეწირულების წიგნის“ შეცვლას მოინდომებდა. „რკონისა და-თისმშობელო ... არ ვისგან შეგაცვალოს დაწერილი ესე, არ ჩემგან და არცა შემდგომითი შემდგომად მომავალთა ჩემთაგან, და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან ანუ გუარისა ჩემისამან, ანუ სხუამან ვინ, დიდმან ანუ მცირემან რაისაცა ქამისა მოდებითა შეცვალოს ანუ მძლავრობით, ანუ მოხუეჭით, ანუ ქრთამისათუის, გინა

<sup>447</sup> ქ.ს.ძ. ტ. III, ობ, 1970, 116

<sup>448</sup> დასახ. ნაშრომი, 146

<sup>449</sup> ქ.ს.ძ. ტ. I, ობ, 196, 396

<sup>450</sup> მცირე სჯულის კანონი, რედ. გიუნაშვილის ქ, ობ, 197, 42

<sup>451</sup> დასახ. ნაშრომი, 41

დამცრობისათუის ვინ ესე ჩემგან გაგებული შეცვალოს და აქციოს, შემცა იცვლების სჯულისაგან ქრისტეანეთასა, რისხავსმცა მამაი, ძე და სული წმიდაი, კრულმცა არს სიტყუუითა ღ~თისაითაი მკუდარი და ცოცხალი გაუგსნელად ორთავე შინა ცხორებითა და ნაწილიმცა მისი ნისტორის და ორიგენისთან დასჯილ არს, დამცაინოქმის დათან და აბრონისებრ, შემცაედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გეზისი, შიშოვილი იუდაისი, სოდომელთა და გომორელთა ცეცხლითა და წუნწუბითამცა დაიწვის, მასზედამცა განეხუნიან საქანელნი ღ~თის რისხვისანი.“<sup>452</sup>

წყევლის გარდა, „პახა თორელის რკონის ღ~თისმშობლისადმი შეწირულობის წიგნით,“ მონასტრის კრებულთაგან „გააბედითება“ ანუ გაუბედურება მოელოდა იმ წინამდვარს, რომელიც ქრთამისათვის ასევე მოიწადინებდა „შეწირულების წიგნის“ შეცვლას: „და ესე ჩემგან გაჩენილი ვენაკი ანუ ყანა, ანუ სამსახური, ანუ სხუამა მოურავმა შეცვალოს ქრთამისათვს, ვითა სამასართა უყვეს, იგიმცა კრულია ღ~თისა პირითა, და თუ კრებულმან შეიცნოს, აუზორხორდენ და გააბედითონო“<sup>453</sup>, ხოლო მონასტრიდან გაძევებით იქნებოდა დასჯილი ის „მედალე“ მღვდელი, რომელიც ქრთამს აიღებდა და მონასტერს „სამსახურს დააკლებდა“: „რომელმანცა ბერმა, მესთულემა ანუ მეღალემ, თავისი ქრთამისათუის რაი დააკლოს, მონასტრისაგან გაიძოს“-ო.<sup>454</sup>

ქრთამი საოჯახო - ქორწინებით ურთიერთობაშიც იჭრებოდა, რასაც თვით რელიგიის მსახურნი უწყობდნენ ხელს. გვირგვინის კურთხევა ეკლესია-მონასტრებში წარმოებდა და ქრთამს დახარბებული მღვდლები არ ერიდებოდნენ ჯვრისწერა ნათესავებს შორისაც ეწარმოებინათ. ეს კი სისხლის აღრევას იწვევდა, მაშინ, როდესაც ქრისტიანული სარწმუნოება პირებს შორის ქორწინებას სისხლით ნათესაობის მერვე საფეხურამდე კრძალავდა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს წესი, მექრთამე მღვდლების და არა მარტო მღვდლების მიერ, ხშირად ირღვეოდა, რაც ერის ზნეობრივ განადგურებას იწვევდა. 1103 წლის „ძეგლისწერით“ დავით აღმაშენებელმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მექრთამე ეკლესიის მსახურებს. ზნეობრივი სიწმინდის შენარჩუნებას და მექრთამე, სისხლის აღრევის ხელშემწყობი, მღვდლების მოსალოდნელ დასჯას ითვალისწინებდა დოკუმენტით „ქორწინების თავთაჯე“.

დოკუმენტში მითითებულია: ის, ვინც, ქრთამის აღების სურვილით დაბრმავებული, თავისი ნებით, „სჯულის წესებს“ წინ აღუდგება და სისხლის აღრევას შეუწყობს ხელს, ღმერთი, რომელიც ყველაფერს ხედავს და რომელმაც ყველაფერი იცის, უმძიმეს სატანჯველში ჩააგდებს ყველას, იმათ, ვინც დაქორწინდა და იმათაც, ვისაც უშუალოდ ევალებოდა ზნეობრივი სიწმინდის დაცვა და ასეთი ქორწინება ანუ სისხლის აღრევა აპურთხა: „და რომელნიცა ნებსით ყოფენ წინააღმდეგომსა სჯულისასა ქრთამითა, ანუ ნიჭითა, გინა კაცო მოთნებისათვის, იგინიცა და ცოლ-ქმარნიცა იგი, რომალთაცა სისხლისა აღრევად ქმნეს, შეერთებულნიცა და შუამდგომელნიცა მაკურთხეველიცა თანა მათისა ერთბაშად მიეცნენ სატანჯველსა, რამეთუ უმეტესად

<sup>452</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგნი 2, ტფ, 1897, 138

<sup>453</sup> დასახ. ნაშრომი, 136

<sup>454</sup> დასახ. ნაშრომი, 137

ღრმასა შინა დანახეთქსა შთასცვივიან მწყემსნი, ამად კითარმედ უცოომელთა თუალი ღმრთისა ყოველსაგე პხედავსო და ყოველივე უწყის”.<sup>455</sup>

მაშასადამე, საეკლესიო სამართალი ღმერთის გმობად და უდიდეს დანაშაულად მიიჩნევდა რა ქრთამის აღებას და მით სამართლიანობის დარღვევას, არ ინდობდა მექრთამე მღვდელმსახურებს, მიუხედავად მათი საეკლესიო თანამდებობისა. მექრთამე პირებისადმი დაწესებული საეკლესიო სასჯელების მიზანი იყო არ შებდალულიყო ქრისტესადმი რწმენა, არ გარევნილიყო ზნეობრივი სული, არ განადგურებულიყო სარწმუნოებრივი ფასეულობები. აღნიშნულის დასაცავად ჭეშმარიტი მორწმუნები არა თუ უღირს ღმერთის მსახურებს, არამედ, თვით უმაღლეს საერო ხელისუფალთაც კი არ ინდობდნენ, რის ნათელ დადასტურებასაც წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის მხრიდან მეფე ბაგრატ IV-ის მხილება, როცა მან მეფე საეკლესიო თანამდებობის ყიდვა-გაყიდვაში და მექრთამეობის ხელშეწყობაში ამხილა.

---

<sup>455</sup> ქ.ბ.ძ, გ. II, ობ, 1965, 155

## დ) მექრთამეობისათვის გათვალისწინებული სასჯელები დ. ბატონიშვილის კანონპროექტის მიხედვით

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოს სამეფოს მძიმე მდგომარეობამ დავით ბატონიშვილს არ მისცა საშუალება, კეთილი ზრახვები რეალობად ექცია, ხოლო მისი კანონპროექტი სახელმწიფოს მოწყობისა და სახელისუფლებო შტოების მოწესრიგებისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს კანონად ქცეულიყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი კანონპროექტად დარჩა, მისი ისტორიული ღირებულება მაინც დიდია, რადგან შეგვიძლია გავისიგრძებანოთ ის ვითარება, რაც XVIII საუკუნის ბოლოსათვის იყო საქართველოში, და რამაც აიძულა დ. ბატონიშვილი და სხვებიც, შეექმნათ კანონთა პროექტები სახელმწიფოს ახლებურად მოწყობის შესახებ. ამასთან, ისინი საშუალებას გავაძლევენ დავინახოთ, როგორ ავითარებდნენ კანონპროექტთა ავტორები სამართლს საერთოდ, და როგორ იცვლებოდა მათი დამოკიდებულება დანაშაულებისა და სასჯელებისადმი.

დ. ბატონიშვილს კარგად ჰქონდა შესწავლილი რუსული და ევროპული სამართლი სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, რომლის კვალიც, აშკარად ატყვია მის შემოქმედებას. მას შეგნებული ჰქონდა, რომ სახელმწიფოს ძლიერება დამოკიდებული იყო თითეულ მოხელეზე, მათ მიერ მოვალეობების პატიოსნად შესრულებაზე. სასამართლო ხელისუფლება, მისი აზრით, სახელმწიფოსათვის ის ბერკეტი იყო, რომელსაც ადგილად შეეძლო დაეღუპა სახელმწიფო, თუ ამ უწყებაში მყოფი მოხელეები მექრთამეობის და ანგარების მორევში იქნებოდნენ ჩაფლულნი, რადგან მექრთამე სამართლის მსახურთა ქრთამის აღების სენი ადვილად გადამდები იქნებოდა სხვა უწყებაში მომუშავე მოხელეებისათვის და, იმავდროულად, სამართლის მსახურნი ადვილად აითვისებდნენ სხვა უწყების მოხელეთა უარყოფით მხარესაც. მიტომაც, კანონპროექტში დ. ბატონიშვილი ყურადღებისა და კონტროლის გარეშე არ ტოვებდა რა სახელმწიფო მოხელეებს, აფრთხილებდა მათ და ხაზს უსვამდა, ერთის მხრივ, არ ჩაედინათ რაიმე სახის უმსგავსოება, მათ შორის მექრთამეობაც, ხოლო მეორეს მხრივ, მიუთითებდა სასჯელებზე, რომელიც მიეზღვეოდათ დაკისრებული მოვალეობების ბოროტად გამოყენებისათვის.

მაშასადამე, კანონპროექტის ავტორი მექრთამეობას და მით მოხელეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას თუ შეუსრულებლობას მძიმე დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნებდა. ბატონიშვილისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იქნებოდა ქრთამის ამღები მოსამართლე თუ მოურავი, სამხედრო მოსამასახურე თუ პოლიციის მუშაკი, ინსპექტორი თუ რევიზორი, „მეჯურემენი“ თუ მექრთამე ცრუ მოწმეები, რომლებსაც თავიანთი არასწორი ჩვენებით, სერიოზული ზიანის მიუენება შეეძლოთ როგორც კერძო პირისთვის, ისე საზოგადოებისათვის. ყველა პირი, მხილებული მექრთამეობაში, მკაცრად და ამასთან, ჩადენილი ქმედების სიმძიმის მიხედვით, იქნებოდნენ დასჯილნი, ხოლო სასჯელები, რომლებიც ქრთამის ამღებთათვის იყო კანონპროექტით გათვალისწინებული, არც თუ ისე ლმობიერია.

სასჯელის სახეებიდ ვხდებით თანამდებობიდან განთავისუფლებას, ღირსებისა და ჩინების ჩამორთმევას, ჯარიმებს დაკისრებას დაზარალებულის სისხლის ფასის გათვალისწინებით, ასევე ჯარიმების ხაზინის სასარგებლოდ, “ერთა შორის მოყიფებას”<sup>456</sup>, სამსახურებრივ ჩამოქვეითებას, პატიმრობას, თავის მოკვეთასა და ჩამოხრმობასაც.

საინტერესო აღინიშნოს, რომ დ. ბატონიშვილი სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებდა ბრალის ფორმებს. ე.ი. ითვალისწინებდა, თუ როგორ იქნებოდა ჩადენილი დანაშაული: განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით. ის მოსამართლეები, რომლებიც, აშკარად, მიკერძოებას გამოიჩინდნენ საქმის გარჩევა-გადაწყვეტის დროს და სამართალს განზრახ გამრუდებდნენ, მკაცრად უნდა დასჯილიყვნენ, ვიდრე ის მოსამართლეები, რომელთა უყურადღებობის გამო, კანონის მოთხოვნა დარღვეული იქნებოდა: „მოსამართლენი, რომლებიც გამოიჩინენ მიკერძოებას მათდამი დაქვემდებარებული საქმეების გარჩევისას, გაგდებული იქნებიან სამსახურიდან სამუდამოდ, აეყრებით ყველა ღირსება და ჩინი, გასამართლებული იქნებიან და გადახდებათ დიდი ფულადი ჯარიმა, მაგრამ, როდესაც ეს მოხდება მათი უყურადღებობით, მაშინ განთავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან, აგრეთვე მათ უნდა დააკმაყოფილონ ის პირი, რომელიც დაკავებული იქნა მათი გაუგებრობის გამო და აუზაზდაურონ სისხლის ფასი იმგვარი ოდენობით, როგორიც არის მითითებული ვახტანგის კანონებში, იმგვარივე რაოდენობით მათ მიერ გადახდილი იქნება ჯარიმა ხაზინის სასარგებლოდ თითო კაცზე.“<sup>457</sup>

თუმცა, კანონპროექტით გათვალისწინებული სასჯელები მკაცრია, მაგრამ უნდა ადგნიშნოთ, რომ კანონმდებლისათვის მოსამართლე ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელიც, შესაძლოა ცდუნების წინაშე აღმოჩენილიყო. ამიტომ, კანონპროექტის ავტორი ერთი ხელის მოსმით არ სწირავდა მოხელეებს, - პირიქით, აფრთხილებდა და გონიერებისაკენ მოუწოდებდა. გაფრთხილება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ პირველი შემთხვევისთანავე არ ათავისუფლებდა მოსამართლეს დაკავებული თანამდებობიდან ქრთამის აღებისათვის, არამედ აჯარიმებდა და აღებულ ქრთამს უკან აბრუნებინებდა, რითაც მითითებას აძლევდა, აღარ გაემეორებინა მსგავსი ქმედება, მაგრამ თუ მოსამართლე ჭკუას ვერ ისწავლიდა და ქრთამის აღებას მეორედაც გაბეჭდავდა, მაშინ სამუდამოდ, დაემშვიდობებდა მოსამართლის სავარძელს: „როდესაც მოსამართლეთაგან, ვინმე მხილებული იქნება მექრთამეობაში, პირველ შემთხვევაში იხდის ფულად ჯარიმას და აბრუნებს უკან ქრთამს, ხოლო მეორე შემთხვევისას - სამსახურიდან გაგდებული იქნება სამუდამოდ.“<sup>458</sup>

სამსახურიდან განთავისუფლებას და მკაცრად დასჯას ექვემდებარებოდნენ პოლიციის მუშაკებიც, ამიტომაც განსაკუთრებით უნდა „ემკაცრნენ, რათა არა მიიღონ ქრთამი მოხელეთაგან, რომელნიცა სამართლითა ჭუეშე მიეცემიან“<sup>459</sup>. ალტერნატიული სასჯელი, ან ჯარიმის გადახდა, ან დაპატიმრება, ან თანამდებობიდან ჩამოქვეითება

<sup>456</sup> ფურცელაძე დ, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964, 437

<sup>457</sup> ბატონიშვილი დ, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნების მიმოხილვა, თბ, 1959, 247

<sup>458</sup> ფურცელაძე დ, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964, 384

<sup>459</sup> დასახ. ნაშრომი, 181

იყო გათვალისწინებული იმ მოხელეების მიმართ, რომლებიც პირადად მეფისაგან, მოსამართლის უფლებებით აღჭურვილნი, გაგზავნილნი იქნებოდნენ მამულის თაობაზე მოქალაქეთა შორის წამოჭრილი დავების მოსაგარებლად, და რომელთა მიერაც არსებული დავა, ქრთამის აღებით, ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ გადაწყვდებოდა, რაც ე.ი. მოხელეთაგან ქრთამის აღება, სამისოდ ჩატარებული გამოძიებით უნდა ყოფილიყო დადასტურებული: „რომელმაც წარგზავნილმან მეფისგან და მსაჯულთა განმსაზღურებელთა მამულისათა, მიდგომითა და ქრთამითა ცრუდ განსაზღვრონ მამული, მაშინ გამოძიებითა საქმისათა დასაჯონ იგი ჯურემითა ანუ პატიმრობითა და ანუ სახელოსა მოკლებითა.“<sup>460</sup>

თანამდებობიდან გაძევება და საზოგადოებრივ თანამდებობაზე დასანიშნად სახელმწიფოს მიერ სამუდამოდ უნდობლობის გამოცხადება იყო გათვალისწინებული იმ ინსპექტორების მიმართაც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილნი, როგორც კონტროლის განმხორციელებელი პირები, ისარგებლებდნენ სახელმწიფოს ნდობითა და ანგარებით, ქრთამის აღებით შეადგენდნენ არასწორ ჩანაწერებს, გააკეთებდნენ ყალბ მოხსენებებს: „თანმიმდევრულად ყურადღება უნდა მიექცეს, რათა ინსპექტორების ჩანაწერები და მოხსენებები შედგენილი იყოს სიმართლეზე და არ წარმოადგენდნენ მიკერძოებულს, არაობიექტურს. მხილებულნი შევიწროებაში, ჩაგვრაში, აგრეთვე მექრთამეობაში, გაგდებულნი იქნებიან სამსახურიდან და სამუდამოდ კარგავენ საზოგადოებრივ თანამდებობაზე სახელმწიფო ნდობას.“<sup>461</sup>

კიდევ უფრო მკაცრი სასჯელები: სამსახურიდან დათხოვნა, „მთელი ერის წინაშე მხილება“, „მოყივნება“, „დაღადებით განდევნა“ და თავის მოკვეთა იყო გათვალისწინებული ქრთამისათვის სამშობლოს მოღალატე სარდლების მიმართ. ის სამხედრო მეთაურნი, „რომელიცა დაკარგავს დროშასა და ზარბაზანს და უკეთუ ჰქნას ესე სარდალმან ორგულობით, მაშინ მოყივნელ იქმნას ერთა წინაშე და ემხილოს ორგულობისათვს მისისა და მოკვეთონ მას თავი, უკეთუ ჰქნას ქრთამით, მაშინ განდევნილ იქმნას სამსახურისგან და განკიცხული ერთაგან, განიდევნოს დაღადებითა ამით, ვითარმედ „ორგულთა ჯილდოთ ეს არსო.“<sup>462</sup>

სამხედრო პირებისაგან ჩადენილი ანგარებითი დანაშაულები, დავით ბატონიშვილს უფრო მძიმე და საშიშ ქმედებად ჰქონდა მიწნეული, ვიდრე იგივე ქმედება სახელმწიფოს სხვა მოხელეთა მხრიდან ჩადენილი, და ეს ბუნებრივი იყო, რადგან მტრებით გარშემორტყმულ საქართველოს შემდგომი არსებობა მხოლოდ ძლიერ, ერთგულ მხედრობაზე და მის დისციპლინირებულ მეთაურთა შემადგენლობაზე დაყრდნობით შეიძლებოდა. დისციპლინა კი ჯარში, როგორც წესი, სწორედ სამხედრო მეთაურებიდან უნდა ყოფილიყო დაწყებული. უდისციპლინო სამხედრო ხელმძღვანელი პირები, კანონპროექტის მიხედვით, „გარდიყენებიან სამსახურიდამ“, ხოლო ქრთამის აღებით, მეფის ბრძანების გარეშე, სამხედრო სამსახურიდან ჯარისკაცების დამთხოვნი კი დაისჯებოდნენ, „პირველისა ქმნისთვის ერთა წინაშე

<sup>460</sup> ფურცელაძე დ, სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ, 1964, 63

<sup>461</sup> დასახ. ნაშრომი. 111

<sup>462</sup> დასახ. ნაშრომი. 33

მხილებითა, ხოლო მეორისათვის, ჯურუმითა ეგოდენითა მეტითა, რაოდენიცა გამოურომევია მისთვის, და მესამედ ქმნისთვის, სამსახურიდამ განძებითა.“<sup>463</sup>

მკაცრი სასჯელით – პატიმრობით ისჯებოდნენ „მეჯურუმები“ და „ჯარის მომწოდებლები“. ჯარს ბრძოლისა და სიცოცხლიუნარიანობისათვის ახალი შევსება სჭირდება. აგრამ, თუ „მეჯურუმები“ და „ჯარის მომწოდებლები“, ქრთამის აღებით, დამალავდნენ, ე.ი. გაანთავისუფლებდნენ, ჯარში გასაწვევ პირებს, ეს ქვეყნის დალატის ტოლფასი ქმედება იქნებოდა, ამიტომ „მეჯურუმენიცა და ჯარის მომწოდებელი ემკაცრნენ, რათა არა ქრთამითა დაითხოონ კაცი, ვინათაგან აქუსთ ჩუელებად უკანონობისად გამო, რომელთაცა მოხდების, ნაცვლად ერთისათვის, ორი ზომა ჯურუმი, და რაოდენიცა კაცი დაუთხოვნია, ეგეოდენსა თვესა პატიმარ იქმნებისო.“<sup>464</sup>

დ. ბატონიშვილის კანონპროექტში, თავის მოკვეთის გარდა, ვხდებით ჩამოხრმბასაც „საქართველოში ყველა, ვინც მხილებული იქნება მოსახლეობის ძარცვაში და ყაჩაღობაში, მიესჯება ჩამოხრბა, უკლებლივ ყველას, პირის განურჩევლად.“<sup>465</sup>

ბუნებრივია, ისეთი მძიმე სასჯელებით დასჯა, როგორიც თავის მოკვეთა და ჩამოხრმბაა, ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ რაკი კანონპროექტის შემდგენელი უშვებდა მას, პრაქტიკულადაც გამოიყენებდნენ, თუკი იგი კანონად იქცეოდა და ამასთან, შესაბამის ქმედებასაც ექნებოდა ადგილი. მაგრამ კანონპროექტში მთავარი მაინც ის არის, რომ დ. ბატონიშვილისდროინდელ საქართველოში მექრთამეობა, მოსყიდვა, მოსახლეობის ძარცვა, საკმაოდ ცნობილი, დანაშაულები იყო და იგი მის მიერ ადიქმებოდა იმ უზნეო ქმედებებად, რომლებიც საზოგადოებას ჭაობისაკენ, ქვეყანას კი დალუპვისაკენ მიაქანებდა. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, ამგვარი მკაცრი დამოკიდებულება მექრთამეობისადმი იმ პირისაგან, ვისი ოცნებაც ძლიერი მონარქიული სახელმწიფოს შექმნა იყო.

<sup>463</sup> ფურცელაძე დ, სამართალი ბატონიშვილის დაგითისა, თბ, 1964, 85

<sup>464</sup> იქვე

<sup>465</sup> ბატონიშვილი დ, დასახ. ნაშრომი, მიმოხილვა, თბ, 1959, 365

## დასკვნითი თეზისები

1. ქრთამს როგორც სოციალურ მოვლენას უძველესი დროიდან ეყრება საფუძველი.

თითქმის, უველა ხალხის ენასა და კანონმდებლობაში, XIX საუკუნის ბოლომდე კანონიერი თუ უკანონო ქმედებების აღსანიშნავად არ არსებობდა ცალკე ტერმინები და ცნება. ქრთამის ქვეშ მოიაზრებოდა მოქმედებათა როგორც დანაშაულებრივი ბუნება, ასევე კანონიერი შინაარსიც.

ერთ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეებს და სამართლის მსახურებს თუ ქრთამის აღება და მით საქმის არასწორად გადაწყვეტა დანაშაულად ეთვლებოდათ და მექრთამეობისთვის სამართლიც საკმაოდ მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებდა, მეორე შემთხვევაში იგივე ქრთამი ერქვა გადასახადებს, კანონიერ გასამრჯელოს აღებულს შესრულებული სამუშაოსთვის, ქონების შეძენის დროს გადახდილ ფასს, მირთმეულ საჩუქარს და ა. შ. ე. ი. ქრთამის ცნება ძველ ქართულ სამართლში ორგვარი მნიშვნელობით წარმოგვიდგება. იგი იყო როგორც დანაშაულის და როგორც კანონიერ მოქმედებათა აღმნიშვნელი ცნება.

2. ვახტანგ VI სამართლის წიგნის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელო კოდექსი იყო ქართლის სამეფოს სამართლწარმოებაში და, რომლის მოქმედების არეალიც მთელ საქართველოზე გავრცელდა, მექრთამეობა წარმოადგენს როგორც სისხლისამართლებრივ კატეგორიას, რომლის შენდობაც არ დაიშვებოდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ქრთამის“ გამოყენებისას, მან გვერდი ვერ აუარა საუკუნეებით განმტკიცებულ რეალობას და ამ ტერმინში არადანაშაულებრივი ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების გამომხატველი შინაარსიც ჩადო.

3. ბექა-აღბუდას სამართლის წიგნი მნიშვნელოვანია იმ თვალასაზრისით, რომ იგი ქრთამს წარმოგვიდგენს არამარტო როგორც სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, არამედ აგრეთვე, როგორც გასამრჯელოს, საზღაურს შესრულებული სამუშაოსთვის, რაც ნათელი დადასტურება იმისა, რომ XIII-XIV საუკუნეებში ტერმინი „ქრთამი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა და ის არ მოიცავდა მხოლოდ უკანონო ქმედებისთვის აღებულ „საცოდავი ძღვენის“ მნიშვნელობას.

ბექა-აღბუდას სამართლის წიგნი მოსამართლის მიერ აღებულ ქრთამს წარმოგვიდგენს როგორც დანაშაულებრივ კატეგორიას, რომელიც გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხვა დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაული. ამიტომაც, მექრთამედ ეჭვმიტანილ მოსამართლებს სამართლის წიგნი აიძულებს მძიმე ორდალით, ადუდებული წყლიანი ქვაბიდან გაგარვარებული რკინის ამოღებით, დაიცვან თავიანთი დირსება და პატიოსნება.

4. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს და გ. ბრწყინვალის „ძეგლისწერას“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული სამართლისთვის. აღნიშნული სამართლის წიგნები ეხებიან ჩვენთვის საინტერესო ქრთამის საკითხს,

კერძოდ, სასამართლოსა და მოსამართლეთა მუშაობას, მოწმეთა მოუსყიდველობას, მათი მოწმეობის საკითხს არა ვინმეს მორიცებისა და ხათრის ან ქრთამის გამო, არამედ მხოლოდ სიმართლისთვის. სამართლის წიგნები ქრთამს და მეაქრთამეობას დანაშაულად აცხადებენ და „ქრთამის ქმედებისთვის” მოსამართლეების მიერ სადაო საქმეთა გადაწყვეტა საძრახისად მიაჩნიათ.

5. ქართულ სამართლწარმოებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ უცხოური სამართლის ძეგლებს, ბერძნულ, სომხურ და ებრაული სამართლის წიგნებს. არცთუ იშვიათად ხდებოდა, როცა აღნიშნული სამართლის წიგნების ნორმების გამოყენებით არეგულირებდნენ არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ქართული სამართლის წიგნები, უცხოური სამართლის წიგნებიც შეიცავენ ნორმებს, რომლებიც გმობენ ქრთამის აღებით საკითხების მოგვარებას. მექრთამეობა „ბერძნულ სამართალში” წარმოდგენილია, როგორც დანაშაულებრივი ქმედება. მისთვის ერთნაირად მიუღებელია, როგორც მექრთამე მოსამართლე, რომელსაც ყველაზე მეტად ევალება „სიმართლით სამართლის ქმნა”, ისე მექრთამე საპყრობილეს უფროსი, მექრთამე ცრუ მოწმე, ანგარებით დამნაშავისთვის თავდებად დამდგარი პირი და ა. შ.. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნული სამართლის წიგნი იცნობდა ე. წ. „ქრთამის ჩავლას” და წინასწარ შეპირებულ, მაგრამ გადაუხდელ ქრთამს.

მექრთამეობა და ქრთამის აღებით ნებისმიერი მოქმედების შესრულება დაგმობილია სომხურ სამართლის წიგნშიც, როგორც მოსამართლეთაგან ისე რიგითი საეკლესიო მოღვაწეთაგან. სომხური სამართლის წიგნში ცალკე მუხლადაა მოცემული და საგანგებოდაა მითითებული სასულიერო პირთა ისეთ მანკიერ ნიშანზე ანუ დანაშაულზე, როგორიც ქრთამით საფლავის მიწების გაცემა იყო.

ქრთამი და მექრთამეობა დაგმობილია მოსეს სამართალშიც და მას წარმოგვიდგენს როგორც დანაშაულებრივი შინაარსის მატარებელს. ქრთამს ის მიიჩნევს უკანონო საჩუქრად, რომელიც აიღება მოსამართლის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიერ, რათა საქმე გადაწყვიტოს საჩუქრის მიმცემის სასარგებლოდ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოსეს სამართლის წიგნის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, რომ უძველეს დროში, უფრო ადრე, ვიდრე ბიბლია შეიქმნებოდა, რაბინულ ლიტერატურაში ქრთამის აღება არ იყო დაკავშირებული დანაშაულთან. პირიქით, იგი წარმოადგენდა გასამრჯელოს მოსამართლეებისთვის მათ მიერ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ.

უძველეს დროში ადამიანები, რომლებსაც საქმეთა გარჩევის უფლება ჰქონდათ მინიჭებული, მარტო მოსამართლის ფუნქციებს არ ასრულებდნენ. მოსამართლენი ამ მოვალეობას საოჯახო, კერძო საქმეების გვერდით აწარმოებდნენ. რადგან სასამართლო საქმეების გარჩევას გარკვეული დრო სჭირდებოდა, მოსამართლე საოჯახო საქმეებს ვედარ აუდიოდა. იგი წყდებოდა თავის პირად სამუშაოს, ამიტომ გაუკეთებული საკუთარი საქმეების საკომპენსაციოდ მათ ქრთამს, ე. ი. საზღაურს აძლევდნენ, რაც არცთუ იშვიათად მათ მაგივრად, მათი პირადი სამუშაოს შესრულებაშიც გამოიხატებოდა. მაშასადამე, ქრთამის ორგარი მნიშვნელობა და შინაარსი როგორც დანაშაულებრივი და

როგორც კანონიერი გასამრჯელოსი პქონდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სამართლი და სამართლებრივი ურთიერთობები ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურზე იმყოფებოდა.

6. ქრთამი და მექრთამეობა საშინელ ცოდვად და დანაშაულად არის გამოცხადებული კანონიკური სამართლის წიგნების მიხედვითაც. „მცირე სჯულის კანონს” დანაშაულად მიაჩნია ვერცხლისმოყვარეობის გამო საღვთო ცოდნის სხვებისთვის სასყიდლით გადაცემა, მღვდლების მიერ ანგარებით, ქრთამით ჩატარებული ზიარება და სხვა საეკლესიო რიტუალები. სამართლის წიგნის მიხედვით მნიშვნელობა არა აქვს ქრთამი „კურთხევამდე” იქნება აღებული ოუ „კურთხევის” შემდეგ. ქრთამით კურთხევას „ძეგლსწერა” „ვაი, ქრთამ კურთხევას” უწოდებს. „ძეგლისწერის” მიხედვით მექრთამე ანგარებიანი მღვდლელ-მსახურებს ეკლესია-მონასტრებს ჩამოცილებდნენ და აძევებდნენ, ანდა, სამუდამოდ ართმევდნენ საეკლესიო საქმის წარმოების უფლებას.

ისევე, როგორც „მცირე სჯულის კანონსა” და 1105 წლის „ძეგლის წერში” ქრთამი დანაშაულად არის გამოცხადებული „კათალიკოსთა სამართლის წიგნშიც”. სამართლებრივი ძეგლი პირველსავე მუხლში საუბრობს ქრთამზე, როგორც დანაშაულზე და მექრთამე მოსამართლეს უმძიმესი საეკლესიო საჯელით, შეჩვენებით ემუქრება.

კათალიკისთა სამართლს შეუწყნარებელ დანაშაულად მიაჩნია ადამიანებით ვაჭრობა. ამგვარი დანაშაულისთვის იგი ჩამოხსრებისა ითვალისწინებს. სამართლსი წიგნის მიხედვით ოუ მოსამართლე, ქრთამის აღების გამო, ადამიანებით მოვაჭრის მიმართ ლმობიერებას გამოიჩნდა და ჩამოხსრების ნაცვლად უფრო მსუბუქ საჯელს მისცემდა, თავად იქნებოდა დასჯილი როგორც ორმაგი დანაშაულის ჩამდენი პირი.

უნდა აღინიშნოს, რომ XVI საუკუნეში შედგენილი „ კათალიკოსთა სამართლის” მუხლები კვლავ იმეორებენ ქართულ საეკლესიო სამართლის წიგნთა მოთხოვნას - ქრთამის გარეშე საეკლესიო თანამდებობებზე პირთა დანიშვნის შესახებ. ამგვარი შინაარსის მუხლები მუდმივად თან სდევს რა ქართულ კანონიკურ სამართლს, შეიძლება ითქვას, რომ ქრთამით საეკლესიო პირთა დანიშვნა არცთუ იშვიათი მოვლენა იყო და რომ მექრთამე, განდიდების მოყვარული მსახურნი ეკლესია-მონასტრებში ყველა პერიოდში არსებობდნენ.

7. ქართული ინდივიდუალური ანუ კერძო ხასიათის სამართლებრივი აქტების მიხედვით ერთის მხრივ, გამოკვლეულია ქრთამის სამოქალაქო ვალდებულებითი ხასიათი, რომელიც დასჯადი არ არის და რომელსაც ს.ს. ორბელიანი თავის სიტყვის კონაში „უცოდველ ქრთამს” უწოდებს და, მეორეს მხრივ, დადგენილია ქრთამი, როგორც სისხლის სამართლებრივი კატეგორია, რომელიც დასჯას ექვემდებარება და რომელსაც ს. ს. ორბელიანი „საცოდავ ძრვენს” უწოდებს.

8. დროთა განმავლობაში, ქრთამთან დაკავშირებით ხდება ცვლილებები, იზრდება და ფართოვდება მისი დანაშაულებრივი ბუნება, რაც საზოგადოების და სახელმწიფოს დამდუპველ ძალად იქცევა. ეს საშიშროება მხედველობიდან არ გამოპარვიათ და, ამიტომაც XVIII საუკუნის II ნახევრიდან ქვენის განათლებული მამულიშვილები

ადგენდნენ ახალ კანონპროექტებს, რომლებშიც შეჰქონდათ მექრთამეობის ამკრძალავი ნორმები. კანონპროექტებმა, სამწუხაროდ, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, რეალური განხორციელება ვერ პკოვეს, მაგრამ მათ უდიდესი როლი შეასრულეს ახალი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ერთერთი ასეთი კანონპროექტი დ. ბატონიშვილის სამართლის წიგნი იყო, მართალია, დ. ბატონიშვილის სამართლის წიგნმა კანონის სახით განხორციელება ვერ პკოვა, მაგრამ მისი მეცნიერული დიდი ღირებულება დიდია, რადგან მასში დ. ბატონიშვილი ქრთამს განიხილავს არა მარტო როგორც დანაშაულს, არამედ გვიჩვენებს მის სხვაგვარ ბუნებასაც. კერძოდ, ახასიათებს, როგორც საჩუქარს, რომელიც დასჯადი არ არის და რომ იგი მიღებული ფორმაა, აგრეთვე ახასიათებს, როგორც საზღაურს შესასრულებელი თუ შესრულებული სამუშაოსთვის. ქრთამის მიმართ კანონპროექტში მოცემული ამგვარი აზროვნება, დამახასიათებელი იყო XVIII საუკუნის II ნახევრის ქართული სამართლებრივი აზროვნებისთვის.

**9.** ქრთამის, როგორც კანონიერი თუ უკანონო საჩუქრის, გასამრჯელოსა თუ ღირებულების გადახდის ბუნება გადმოცემული იქნა ისეთ სიტყვებში როგორიცაა: ფეშქაში, ძღვენი, სახსარი, საბუჩარგო, ყაბზი, ფეხის ქირა, საფიცარი, თნება, სამათხერობლო, ნიჭი, ვერცხლიმოყვარეობა, საფასე, რომელთა ანალოგიები თავად დოკუმენტებსა და სამართლის ძეგლებშია მინიშნებული. ბევრმა მათგანმა, დროთა განმავლობაში, დაკარგა მოსყიდვის, მოქრთამვის მნიშვნელობა, ხმარებაში შემოვიდა მანამდე უცნობი ახალი ტრემინები, მაგალითად, ყაბზი, სახსარი, საბუჩარგო, სამათხერობლო და სხვა, რომლებიც უფრო ზეპირსიტყვიერებაში გამოიყენებოდა. ეს ტერმინები სრულად ასახავენ სამართლებრივ დოკუმენტებში საყოველთაოდ გავრცელებული ქრთამის, ძღვენის თუ ფეშქაშის მნიშვნელობას, რაც იმითაც დასტურდება, რომ ქრთამის და ამ ტერმინების ურთიერთ ჩანაცვლება სრულიადაც არ ცვლის დოკუმენტებში გადმოცემული მოქმედების შინაარს.

**10.** ქრთამი და მექრთამეობა მიჩნეული იყო რა უმძიმეს ცოდვად და დანაშაულად, როგორც საერო ისე კანონიკური სამართლის ძეგლები, უმნიშვნელო ლმობიერებასაც კი არ იჩენენ მექრთამე სახელმწიფო მოხელეებისა თუ მღვდელ-მსახურების მიმართ. პირიქით, მათ უმკაცრესად სჯიან. დასჯა კი გამოხატულებას პოულობდა როგორც სხულებრივ, დამამცირებელ, გამაწილებელ სასჯელებში, ისე მატერიალური ქონებრივი ზიანის დაკისრებაში.

საერო სამართლის ძეგლები თუ უფრო მეტად ფიზიკურად სჯის მექრთამე მოსამართლეს და სახელმწიფო მოხელეს, კანონიკური სამართალი მორალურად ანადგურებდა მექრთამე საეკლესიო პირს დაწყევლით, ანათემაზე გადაცემით, გაძევებით, სამღვდელო საქმიანობის უფლებამოსილების ჩამორთმევით და სხვა, რაც საეკლესიო პირთათვის ნებისმიერ ფიზიკურ საჯელზე უფრო მძიმე სასჯელი იყო. მით უფრო, რომ ასეთი სასჯელი არამარტოკონკრეტულ პირზე ვრცელდებოდა, არამედ მისი ოჯახის წერებზეც გადადიოდა.

**11.** მექრთამეობა საზოგადოების არსებობის მანძილზე მისი მუდმივად თანმდევი სოციალური მოვლენა იყო.

ადამიანთა კოფის ამ მახინჯი ფორმის წინააღმდეგ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა და მკაცრი ღონისძიებების მიუხედავად, ის ყოველთვის განაგრძობდა არსებობას.

სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებისა და კონტროლის მოდუნებისთანავე, მექრთამეობა თავს იჩენს მმართველობითი გამგეობის ყველა რგოლში და, შესაბამისად, იზრდება დაბალ თუ მაღალ მექრთამე სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობა.

მექრთამეობამ, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, როგორც სოციალურმა მოვლენამ, არა თუ ამოწურა თავისი თავი, არამედ, პირიქით, ახალი ძალით წარმოჩინდა და დამღუპველ სარეველად მოევლინა ქვეყნას დამოუკიდებლობის მშენებლობის რთულ და ძნელ გზაზე. ამოტომაც, მის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან, პრიორიტეტულ ბრძოლად უნდა გადაიქცეს.

მისი, როგორც მახინჯი სოციალური მოვლენის, ამოძირვა კი, იმ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას ნიშნავს, სადაც ადამიანთა თანასწორობის, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, სამართალი და კანონი უზენაესი იქნება.

## ბიბლიოგრაფია

1. აბულაძე ი., მველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. მეცნიერება, 1973 .
2. ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, თბ, 1959 .
3. ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები თბილისის ისტორიისთვის (XVI-XIXსს), წიგნი პირველი, თბ, 1962 .
4. ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წიგნი პირველი, ბატონიშვილი ურთიერთობა, თბ, 1940 .
5. ბურჯანაძე შ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა 1466-1770 წწ, წიგნი I, თბ, 1958 .
6. გიუნაშვილი ე., მცირე სჯულის კანონი, თბ, 1972 .
7. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ I, თბ. 1963
8. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ II, თბ. 1965
9. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ III, თბ. 1970
10. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ IV, თბ. 1972
11. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ V, თბ. 1974
12. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ VI. თბ. 1977
13. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ VII. თბ 1981
14. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ VIII. თბ. 1985
15. დოლიძე ი., სამართალი ვახტანგ მექქისისა, თბ. 1981 .
16. ვეფხისტყაოსანი., რედ, ბარამიძე ალ, თბ. 1957 .
17. იქევ ბარათაშვილის ცხოვრება –ანდერძი, რედ. იოსელიანი ა, თბ, 1950 .
18. კეკელიძე კ., ეტიუდები მველი ქართული ლიტერატურიის ისტორიიდან, ტ VII, თბ. 1961 .
19. მამათა ცხოვრებანი, რედ. იმნაიშვილი ვ, თბ, 1975.
20. ნადარეიშვილი გ., ქრთამი ჯოჯოხეთს მუდამ იურვებს, საქართველოს რესპუბლიკა, № 210. 5.08.2000.
21. ნადარეიშვილი გ., ნუ მიიღებ ქრთამსა, საქართველოს რესპუბლიკა, № 213. 8.08.2000
22. სამართალი ბატონიშვილის დავითისა. დედ. ფურცელაძე დ, თბ, 1964.
23. საისტორიო კრებული, წიგნი III, თბ. 1928.
24. საქართველოს სიძველენი. რედ. თაყაიშვილი ე, ტომი I, წიგნი II, ტო. 1920.
25. საქართველოს სიძველენი. რედ. თაყაიშვილი ე. ტომი II. ტო. 1909 .
26. საქართველოს სიძველენი. რედ. თაყაიშვილი ე, ტომი III. ტო. 1910.

27. სულხან-საბა ორბელიანი., ლექსიკონი ქართული, ტ. II. რედ.  
მეტრეველი ც, ქურციკიძე ც, მერანი, 1993.
28. სულხან-საბა ორბელიანი., სიტყვის კონა ქართული რომელს არს  
ლექსიკონი. ღედ. იორდანაშვილი ს, თბ. 1949.
29. სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ძეგლები, პ. არიგება, თბ.  
1970 .
30. ურბნელი ნ., ათაბაგნი ბეჭა და აღაბუდა და მათი სამართალი, თფ.  
1890 .
31. ქართული პროზა., ხუცესი ი, შუშანიკის წამება, წიგნი 1. თბ. 1982.
32. ქართული პროზა., საბანისძეს. ი. ჰაბოს წამება, წიგნი 1. თბ. 1982 .
33. ქართულ-რუსული ლექსიკონი. ღედ. ჩუბინაშვილის დ. თბ. 1984.
34. ქართლის ცხოვრება. ყაუხებიშვილის ს, რედაქტორობით ტ IV. თბ.  
1973 .
35. ქართლის ცხოვრება, რედ. ყაუხებიშვილი ს, ტ II. თბ. 1959 .
36. „ქართლის ცხოვრება“, რედ. ჩუბინაშვილი დ, ტ II. თბ. 1986 .
37. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და  
დამწერლობისა, რედ. უორდანია თ, წიგნი II, ტფ. 1897.
38. ყუბანეიშვილი ს., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ  
I. თბ. 1946 .
39. შანიძე აკ., დაბადებისავ გამოსვლვათავ, ტ. 1. ნაკვ. 1. თბ. 1947
40. შანიძე მზ., ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII  
საუკუნის ხელნაწერების მიხედვით, თბ, 1960.
41. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი  
II, ტფ. 1929
42. ჰეროდოტე., ისტორია. რედ. ყაუხებიშვილი თ. ტ. 2. თბ. 1976
43. Бакрадзе Д. З. Археологические путешествия по Гурии и Аджаре. Тифлис.  
1878 .
44. Бакрадзе Д. З. Сборник законов грузинского царя Вахтанг VI.. Тиф. 1887 .
45. Брокгауз Ф. А. и ЭФРОН А., Энциклопедический словарь Т. 6. (книга 11) С.  
Петербург. 1892 .
46. Брокгауз Ф. А. и ЭФРОН А., Энциклопедический словарь Т. 6. С. Петербург.  
1892 .
47. Воскресенский Н. А. Законодательные акты Петра I. М. 1960 .
48. Владимирский – Буданов М. Р. Обзор истории русского права. Киевъ- С.  
Петербург. 1900 .
49. Ганшина К. А. Французский – русский словарь. М. 1947.
50. Гнейст. История Государственных учреждения Англии, М, 1988.
51. Гранатъ. Энциклопедический словарь. Т 9. Кн. 10. М. 1913 .
52. Дворецкий И. Х., Латинско – русский словарь. М. 1976 .
53. Дворецкий И. Х., Древнегреческо – русский словарь. М. 1976 .
54. Малинин А. М. Латинско – русский словарь. М. 1992 .
55. Помятники русского права Царя Алексея Михаиловича. 1649 г. М. 1957.
56. Судебник СМБАТА спарапета (Гунстабля). 1252г. редак. Абрамян А.Г.  
Ереван. 1971.
57. Судебники XV-XVI веков. редактор Грекова Б.Д. Москва – Ленинград.  
1952г.
58. Утевский Б.С., Общее учение о должностных преступлениях. М. 1948.
59. Журналъ гражданскаго уголовнаго права . № 4. 1884 .
60. Русская Правда. Штами С.И., М. 1958 .

61. Еврейская Энциклопедия. Ред. Гарков А. и Касенельсон Л.. С.- Петербург. Т. 10. М. 1892 .
62. Dictionair de la langue français. T.1. Paris. 1989 .
63. Grand usel larousse dictionnaire encyclopédique. Т. IV. larousse-Bordos. Paris.1997 .
64. Dictionair de la langue français. Nouvelle edition. Paris. 1994 .
65. Grand larousse encyclopédique. T. VIII. Librairie-larousse. Paris. 1973 .
66. Grand larousse encyclopédique. Librairie-larousse. Paris. 1961 .
67. Grand larousse encyclopédique. T. I. Librairie-larousse. Paris. 1971 .